

ჟურნალი

წიგნი

სიყვარული



გოგონა ბეჭედი
ტრიაკული

მ ო ძ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი:

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი ფ ო ნ ვ ა ლ ტ ე რ ი — გერმანელი ჰერცოგის პირველი მინისტრი.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — მისი ვაჟი, მაიორი

პ ო ფ მ ა რ შ ა ლ ი ფ ო ნ კ ა ლ ბ ი

ლ ე დ ი მ ი ლ ფ ო რ დ ი, ჰერცოგის ფავორიტი — ქალი

ვ უ რ შ ი, პრეზიდენტის პირველი მდივანი

მ ი ლ ე რ ი, მუსიკოსი


მ ი ს ი ც ო ლ ი

ლ უ ი ზ ა, მათი ქალი

ს ო ფ ი, ლედის კარის მორბედი

ჰერცოგის კამერდინერი

სხვადასხვა პირნი.



მოქმედება პირველი.

სურათი პირველი.

მუსიკოსის ოთახი.

მიღერი წამოდგება სავარძლიდან, დებს ვიოლინოს. მაგიდასთან ზის მისი ცოლი, ყავას სვამს, კაპოტი აცვია.

მიღერი — (სწრაფი ნაბიჯით ოთახში ბოლთასა სცემს). კმარა, ეს უკვე სახიფათო საქმეა, ჩემ ქალს ბარონთან ურთიერთობა სახელს გაუფუჭებს. ოჯახი შემირცხვება. პრეზიდენტი შეიტყობს — ერთი სიტყვით, მე იმ ვაჟბატონს აქ ფეხს აღარ დავადგმევინებ.

ცოლი — შენ ხომ ის სახლში არ შემოგიტყუებია, შენი ქალი მისთვის თავზე არ მოგიხვევია?

მიღერი — სახლში არ შემოგიტყუებია, შენი ქალი მისთვის თავზე არ მოგიხვევია, ვინ რას დაგიღვეს? განა მე ჩემი ოჯახის ბატონ-პატრონი არა ვარ? ჩემი ქალისთვის უნდა მეტი თვალყური მედევნებინა, მაიორი კარგად შემეხურებინა, ან მაშინვე მისი აღმატებული მამისათვის მეცნობებინა. ახალგაზრდა ბარონი წყლიდან მშრალი გამოვა და ჯოხი მევიოლინეს თავზე გადატყდება.

ცოლი — (ძიხვრებას ყავას) სისულელეა! რას გიზამენ? ვინ რა უნდა დაგაბრალოს? შენ შენი ხელობა გაქვს და შეგირდებს შოულობ, სადაც კი მოგხვდება.

მილერი — აბა მითხარი რა გამოვა ამ საქმიდან? — ის ხომ ჩვენ ქალს ცოლად არ იკადრებს. ამას ნურც იფიქრებ და ისე კი... საყვარლად... ღმერთი გვფარავდეს... არა, ძაღლობას მოგახსენებთ. შორს ბატონ ბარონებისაგან! ვინ იცის იმ ვაჟბატონს რა არ უნახავს, რა არ გადახდენია თავს — ეშმაკმა იცის, რასაკვირველია, მაგისთანა მსუნაგს გემრიელი ლუქმის დანახვაზე პირში წყალი მოადგება... ფრთხილად იყავი! ფრთხილად! ისიც კი მართალია, ყოველ ჭუჭრუტანს რომ თვალი არ მოაშორო და შენი ქალის ყოველ ნაბიჯს დარაჯად დაუდგე, ის მაინც თავისას იზამს, შენ ცხვირწინ გოგოს შეგიცდენს, მერე წადი და უყარე კაკალი; გოგო კი სამუდამოდ შეერცხვება და თუ ლოგინის ხელობა გაუტკბა, ვეღარას გახდები (შუბლში ხელს დაირტყამს), ო. წყეულებო!

ცოლი — ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

მილერი — ნურც ჩვენ დავიკრეფთ გულხელს. მაშ რა განზრახვა უნდა ჰქონდეს იმ თავქარიანს? გოგო ლამაზია, მოხდენილი, ჩამოსხმული ფეხები აქვს, ზედა სართულში რა უყრია, ამას ყურადღებას ვინ აქცევს! თქვენ, ქალებს ამისათვის არავინ დაგიწუნებთ, თუკი ღმერთმა ქნა და მიმზიდველი ქვედა სართული გექნათ. თუ ქარაფშუტამ ამ ადგილს თვალი დაადგა, მერე... წინ ვერაფერი დაუდგება, როგორც ჩემ ქოფაკ როდნეის, რომელსაც, ფრანგის სუნს რომ აიღებს, ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, მე ბარონს არც ვამტყუნებ. ადამიანი ხომ მუდამ ადამიანია, ეს ნუ დაგავიწყდება.

ცოლი — ნეტავ გიჩვენა, რა მშვენიერ წერილებს ჰწერს ბარონი ლუიზას. ღმერთო ჩემო! აშკარაა, რომ მართლა ძლიერ უყვარს.

მილერი — ეს ხომ ყოველთვის ასეა! მულო, შენ გეუბნებიან, რძალო, შენ გაიგონეო! ვინც სხეულს შესტრფის, ის ჯერ გულს უმღერის. განა მეც ასე არ ვიყავი? როგორც კი გულს მოინადირებ, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ და სხეულიც გულის მაგალითს მიჰყვება, მსახურნი ბატონს ბაძავენ და ვერცხლის ფერი მთვარე მაჰანკლის როლს ასრულებს მხოლოდ.

ცოლი — აბა ნახე რა საუცხოო წიგნებს უგზავნის მაიორი. შენი ქალი მათზე ლოცულობს.

მ ი ლ ე რ ი — (უსტვენს) ჰეიდა! ლოცულობს! გამოგიცენია! ნედლ, ნატურალურ საკვებს ვერ მოინელებს მისი მოწყალების ნახი კუჭი, მას სურს, რომ იგი კარგად მოხარშონ ბელეტრისტების ჯოჯოხეთურ სამზარეულოში. ცეცხლში ეგ საზიზღარი ნაჭ-ღაბნი! ღმერთმა უწყის რა ჰაეროვან ფანტაზიებს გაუღვიძებს გოგოს. ისინი სისხლში ესპანელი ბუზებისავით აირევიან და მაშინ მშვიდობით... ქრისტიანული სათნოების ნამცეცებო, რომელთაც ვაი-ვაგლახით უნარჩუნებს მას მამა. ცეცხლში, გელაპარაკები! გოგოს თავში ათასგვარი ჯანდაბა დაიბუდებს; ოცნების სამყაროში ხეტიალისას, ბოლოს და ბოლოს, სახლის გზას ვერ გაიგნებს, დაიფიქვებს, შერცხვება, რომ მისი მამა მევიო-ლინე მილერია და, ბოლოს, მე პატროსან სიძეს ველარ ვიშოვი, საქმეში რომ ჩემი ერთგული თანაშემწე იქნება... არა! დამლა-ხვროს ღმერთმა! (სწრაფად წამოხტება) ახლავე უნდა შევეუდ-გე საქმეს და მაიორს... დიახ, დიახ მაიორს ვუჩვენებ სეირს (აპირებს გასვლას).

ცო ლ ი — გონს მოდი, მილერ! რა ძვირფას საჩუქრებსა გზავნის! მ ი ლ ე რ ი — (გამობრუნდება და ცოლის წინ გაჩერდება) ჩემი ქალის პატროსნების საფასურად! ეშმაკსაც წაუღია შენი სული, უსინდისო მაჰანკალო! — უკეთესია ჩემი ვიოლინო ავიღო, მათხოვრობა დავიწყო და ცხელი შეჭამანდის გულისათვის დავუკრა, უკეთე-სია ჩემი ვიოლონჩელი ნაკუწ-ნაკუწად ვაქციო და მისი ფულურო ნეხვით ავავსო, ვიდრე ვისარგებლო ფულით, რომლისთვისაც ჩემი ერთადერთი ქალი თავის სულსა და საიქაო ნეტარებას გაჰყიდის. თავი დაანებე წყეული ყავის სმას და ბურნუთის ყნო-სვას, მაშინ აღარ დაგჭირდება შენი შვილის სილამაზე ბაზარზე გამოაფინო, მე კი მიძლარი ვიყავი და კარგად ჩაცმული დავ-დიოდი მანამდეც, ვიდრე მაგ ხელიდან წასული ვიგინდარას სუ-ლი დატრიალდებოდა ჩემს სახლში.

ცო ლ ი — რისთვისა ცხარობ? დამშვიდდი! მე მხოლოდ იმას ვამ-ბობ, რომ ბატონ მაიორს არ უნდა ვაწყენიოთ — ის ზომ პრეზიდენტის ვაჟია.

მ ი ლ ე რ ი — სწორედ მანდ არის ძაღლის თავი დამარხული! სწორედ მაგისათვის არის საჭირო საქმეს ბოლო მოვულო! პრეზიდენტმა მადლობა უნდა მითხრას, თუ ის პატიოსანი მამაა. გამიწმინდე ჩემი წითელი ხვერდის ჯუბა, წავალ და მის აღმატებულებას ვინახულებ, ვეტყვი: „თქვენ ვაჟს ჩემ ქალზე თვალთუქირავს, ჩემი ქალი თქვენ ვაჟს ცოლად არ გამოადგება და საყვარლად კი ვერ გავიმეტებ“, მოვრჩეთ და მოვისვენოთ — მე მილერს მეძახიან!

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე .

იგივენი და მდივანი ფურში.

ც ო ლ ი — ახ! დილა მშვიდობისა, ბატონო მდივანო! გმადლობთ, რომ კვლავ თქვენი მოსვლით გაგვაბედნიერეთ!

ვ უ რ მ ი — კმარა, კმარა, ნათლიდედ. ვისაც დიდი აზნაური წყალობს, ჩემს მეშხანურ ღირსებას ანგარიშს არ გაუწევს.

ც ო ლ ი — რასა ბრძანებთ. ბატონო მდივანო! ბატონი მაიორი ფონ ვალტერი, მართალია, დროგამოშვებით თავის წყალობას არ გვაკლებს, მაგრამ ამისათვის არავის ვუკადრისობთ.

მ ი ლ ე რ ი — (გაბრაზებით) დედაკაცო, ბატონ მდივანს სავარძელი მიართვი, მიბოძეთ თქვენი ქუდი, ბატონო ვურმ.

ვ უ რ მ ი — (დებს ქუდსა და ჯოხს, ჯდება) ნება მიბოძეთ ვიკითხო, როგორა გრძნობს თავს ჩემი ძვირფასი მომავალი... თუ ყოფილი? — იმედია ქალბატონ ლუიზას ვნახავ?

ც ო ლ ი — გმადლობთ ყურადღებისათვის, ბატონო მდივანო! ჩემი ქალი სულაც არ არის ამბარტავანი.

მ ი ლ ე რ ი — (გაჯავრებით მუჯლუჯუნს სცემს) დედაკაცო!

ც ო ლ ი — ვწუხვარ, ჩემი ქალი თქვენი ნახვით ვერ ისიამოვნებს, ბატონო მდივანო. ეს არის ახლა ეკლესიაში გეახლათ.

ვ უ რ მ ი — სასიამოვნოა! სასიამოვნო! მამ სათნო ქრისტიანი ცოლი მეყოლება.

ც ო ლ ი — (სულელური სიამაყით იცინის) დიახ, მაგრამ, ბატონო მდივანო...

მ ი ლ ე რ ი — (თვალსაჩინოდ დარცხენილი ცოლს ყურს მოსწევს) დედაკაცო!

ც ო ლ ი — თუ ჩვენს სახლს სხვაფრივ შეუძლია სამსახური გავიწიოთ... დიდის სიამოვნებით, ბატონო მდივანო.

ვ უ რ მ ი — (ყალბი ტონით) სხვაფორი? დიდად გმადლობთ! დიდად გმადლობთ. ჰმ! ჰმ! ჰმ...

ცო ლ ი — მაგრამ, როგორც ბატონი მდივანი თვით დაინახავს...

მ ი ლ ე რ ი — (გაბრაზებით უკნიდან მუჯღუფუნსა ჰკრავს) დედაკაცი!

ცო ლ ი — კარგი კარგია, და უკეთესი კი უკეთესი. ჩვენ ერთადერთ ბავშვს ბედს ხომ არ დავუწვამოვთ. (გლფუთი ამპარტავნობით) თქვენ, ალბათ, გამიგებთ, ბატონო მდივანო...

ვ უ რ მ ი — (მოუსვენრად ბორავს სავარძელში, ყურს უკან იფხანს და ისწორებს მანუეტებსა და ჟაბოს). ვამჩნევ? ესე იგი... დიახ... რას გულისხმობთ?

ცო ლ ი — მე... მე... მე ვფიქრობ... მე მინდოდა მეთქვა... (ახველებს) ვინაიდან უფალმა ინება, რომ ჩემს ქალს ბედი გაეხსნას და ბარონის მეუღლე შეიქმნეს...

ვ უ რ მ ი — (სკამიდან წამოხტება) რაო, რა ბრძანეთ?

მ ი ლ ე რ ი — დაბრძანდით! დაბრძანდით! ბატონო მდივანო, ეს დედაკაცი ნამდვილი გამოშტერებული ბატია! საიდან მოჩიხა ბატონი ბარონის მეუღლეობა? რომელმა დიდყურამ მოიგონა ეს ხუმრობა?

ცო ლ ი — ილანძღე რამდენიც გინდა. რაც ვიცი—მე ვიცი და რაც ბატონმა მაიორმა თქვა, თქვა.

მ ი ლ ე რ ი — (გაბრაზებული მივარდება ვიოლონჩელს) გააჩერებ თუ არა მაგენას? გინდა ამით თავი გაგიხეთქო? აბა რა იცი? რა უნდა ეთქვა მაიორს? ყურს ნუ დაუგდებთ ამის სულელურ ყბედობას, ბატონო ვურმ! გასწი შენ სამზარეულოში... იმედია არ იფიქრებთ იმდენად გამოვტვინდი, რომ ჩემი ქალისათვის ამგვარ სიძეს ვეძებდე, იმედია, ამას თავში არ გაივლებთ, ბატონო მდივანო.

ვ უ რ მ ი — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო მუსიკოსო. ხედავთ ჩემი სიტყვის კაცი ვარ და ჩემი განზრახვა თქვენი ქალისათვის ისევე მტკიცე იყო, როგორც ხელმოწერილი თამასუქი. ჩემი სამსახურით, თუ წესიერად მოვიქცეით, ჩინებულად ვიცხოვრებთ. პრეზიდენტი მწყალობს, წარჩინება არ მომაკლდება. ხომ ხედავთ, როგორი მტკიცეა ჩემი განზრახვა ქალბატონ ლუიზას მიმართ. თუ ვინმე თავქარიანი აზნაური...

ცო ლ ი — ბატონო მდივანო, მეტი პატივისცემით თუ შეიძლება...

მ ი ლ ე რ ი — ენა დიდუმიე, გელაპარაკები! ყურს ნუ დაუგდებთ, ბატონო ვურმ, ყველაფერი ძველებურად რჩება. რაც წარსულ შემოდგომას მოვახსენეთ, კვლავ გიმეორებთ. ჩემს ქალს და-

ლას არ ვატან. თუ მოსწონხართ, ეცადოს თქვენთან ბედნიერი იყოს, არა სურს და მით უკეთესი... ეს მისი საქმეა... ამის თქმა მინდოდა... თავს დაუკრავთ და მის მამასთან ერთ ჯარეკს გამოსცლით. ჩემმა ქალმა უნდა იცხოვროს თქვენთან და არა მე. რად უნდა გავჯიუტდე და ისეთი ქმარი დავაძალო, რომელიც არ მოსწონს... რად მინდა სიცოცხლე გამიმწარდეს და ყოველი ჭიქა ღვინო, ყოველი კოვზი წვენი მაგონებდეს, რომ უსინდისო ვარ, შვილის მკვლელი.

ცოლი — მე კი გადაჭრით გეტყვით — თანახმა არა ვარ; ჩემ ქალს უფრო დიდი ბედი ელის და თუ ჩემი ქმარი დაგყაბულდათ, სამართალს მივმართავ.

მიღერი — გინდა ხელ-ფეხი შემოგამტვრიო, შე ეშმაკის კერძო?

ვურმი — (მიღერს) მამის რჩევა ქალისათვის ბევრსა ნიშნავს და მე კი იმედი მაქვს კარგად მიცნობთ, ბატონო მიღერ?

მიღერი — მეხიც დაცემია! გოგომ უნდა გაგიცნოს... ჩემ თვალში თითქოს არა გიშავსრა, მაგრამ ახალგაზრდა გოგოსათვის შესაძლებელია სულაც სახარბიელო არ იყოთ. მე შემძლია გითხრათ გამოდგებით თუ არა თქვენ ორკესტრისათვის, მაგრამ ქალის გული კაპელმისტერისთვისაც გამოუცნობია. ისე, მე გაუთლელი და პირდაპირი კაცი ვარ და უნდა პირდაპირ მოგახსენოთ. მართალია, ამ რჩევისთვის მაინცა და მაინც დიდ მადლობას არ მეტყვით. ჩემი ქალისთვის ჯერ მე არავინ ამირჩევია, მაგრამ დავუშლი, რომ თქვენ გამოგყვით, ნება მომეცით, დავამთავრო, ბატონო ვურმ! საქმროს რომ მამის იმედი ექნება, მაპატიეთ და, ის გახვრეტილი გროშიც არ ღირს. თუ ის რამეს წარმოადგენს, შერცხვება თავის სატრფოს ამ გზით ამცნოს თავისი დადებითი მხარეები, ეს ძველებური მოდაა. თუ მას გამბედაობა არ ჰყოფნის, მაშასადამე იგი კურდღელივით მშიშარაა, მშიშარა კი ლუიზას არ გამოადგება. საქმრომ მამის ზურგს უკან უნდა გაარიგოს თავისი საქმე და ისე უნდა შეაყვაროს თავი, რომ ქალმა დედაც დათმოს მისი გულისთვის და მამაც, ანდა მამას ფეხებში ჩაუვარდეს და მუდარით სთხოვოს, ან მოშკალი ან სატრფოს გამატანო. აი, ეს მესმის, ამას ჰქვია სიყვარული! ის კი, ვინც ქალის გულს ვერ მოინადირებს, უმჯობესია, რა გზითაც მოსულა, იმ გზით წავიდეს.

ვურმი — (იღებს ჯოხსა და ქუდს და გადის ოთახიდან). დიდი მადლობა, ბატონო მიღერ!

მთლერი — (ნელა მიყვება ვურმს). არაფრის, არაფრის! ბატონო ვურმ! არც კი გამგამსინძლებივართ (ბრუნდება უკან). არაფერი ესმის, თავქუდმოგლეჯილი მირბის. ჩემთვის ეს კანცელარის ვირთხა ნამდვილი საწამლაგია. არამზადა! ამ ქვეყნად, ალბათ, კონტრაბანდისტიმ გააჩინა. ცბიერი, წვრილი თვალები, წითური თმები, წინ წამოწეული ნიკაპი, თითქოს გაბრაზებულ ბუნებას, რომ ასეთი მახინჯი შეექმნა, სწორედ ნიკაპში ჩაუვლია ხელი და სადღაც კუთხეში მიუგდია იგი. არა, ვიდრე ასეთს ჩაუვარდებოდეს ხელში, უკეთესია ჩემი ქალი... ღმერთო, შენ შემინდე.

ცოლი — (ბრაზით იფურთხება) თფუ, ქეციანი ძალი, მაგრამ ლუკმას პირში არ ჩაგივლებენ.

მთლერი — შენ კიდევ შენი ბარონით საქმეს აჭირვებ! წელან მოთმინებიდან გამომიყვანე. როცა ტყავიდან ძვრები და გინჯა შენი თავი ჰკვიანად მოაჩვენო, სწორედ მაშინ ხარ ნამდვილი სულელი. მაინც რა გინდოდა გეთქვა მაგ შენი ლაყბობით დიდგვაროვან ქალბატონზე და შენს ასულზე! მერე და ვისთან? ის ვირთხა ხომ ხვალამდე მთელს ქალაქს შეჰყრის! ეს იმ ვაჟბატონთაგანია, ვინც სხვის სახლებში დაძვრება, სამზარეულოშიც შეიხედავს, ბელელშიც შეიჭვრიტავს და, თუ ღმერთი გაწყრა და რამე წამოგცდა, მშვიდობით, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, რომ პერცოგიც შეიტყობს, მისი ნებიერი საყვარელიცა და პრეზიდენტიც. მერე წადი და უყარე კაკალი!

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე .

იგივენი და ლუიზა წიგნით ხელში

ლუიზა — (დებს წიგნს, მიუახლოვდება მამას და ართმევს ხელს) დილა მშვიდობისა, მამილო!

მთლერი — (აღფრთხით) ყოჩაღ, ლუიზა! მიხარია, რომ ასე გულმოდგინედ ევედრები შემოქმედს. მუდამ ასეთი იყავ და ღმერთი წყალობას არ მოგაკლებს.

ლუიზა — ოჰ, მამაჩემო, ცოდვილი ვარ... დედა, ის ხომ არ მოსულა?

ცოლი — ვინა, შვილო?

ლუიზა — ახ, ასე მგონია, თითქოს მის გარდა აღარავინ არის, გულმაგიწვი გავხდი. ვალტერს არ შემოუვლია?

მ ი ლ ე რ ი — (მკაცრად და სევდიანად) მე მეგონა ჩემმა ლუიზამ ეგ სახელი ეკლესიაში დასტოვა.

ლ უ ი ზ ა — (გაოცებული ჟღერებს მამას) მე მესმის თქვენი, მამაჩემო, თქვენ ჩემი სინდისის მტკივნეულ წყლულს ეხებით, მაგრამ უკვე გვიანდაა. აღარა ვარ ისეთივე ღვთისმოსავი, როგორც უწინ ვიყავი. ცა და ფერდინანდი ჰგლეჯენ ჩემს დაჭრილ გულს და მე მეშინია... მეშინია... (მცირეოდენი დუმილის შემდეგ) არა, მამაჩემო. როცა ჩვენ სურათს შევცქერით და აღტაცებულთ მისი ავტორი გვაიწყვდება, ვანა ეს საუკეთესო ქება არაა მხატვრისა? ვანა ღმერთს არ უნდა სიამოვნებდეს, რომ მისი საუკეთესო ქმნილება გვაიწყვებს თვით შემოქმედს?

მ ი ლ ე რ ი — (შეწუხებული დაეშვება სკამზე) აი ნაყოფი ამ უღმერთო წიგნებისა.

ლ უ ი ზ ა — (ჩაფიქრებული მივა ფანჯარასთან) ნეტავი ახლა სად არის? დიდებულთა ასულნი უსმენენ, უცქერენ მას, მე კი საცოდავი, იქნება დავიწყებული... (თითქოს საკუთარი სიტყვებით შეშინებული მივარდება მამას) არა, არა, მაპატიეთ, ბედს ვერ დავემღუბრები, მინდა მხოლოდ ცოტა იმაზე ვიფიქრო. ეს ხომ შეიძლება! რა ბედნიერი ვიქნებოდი ჩემი ხანმოკლე სიცოცხლე ნიადავ ქცეულიყო და მის სახეს მიაღერებოდა! ჩემი ახალგაზრდობის ყვაილი იად ქცეულიყო და მის ფეხთ ქვეშ დასრესილს ნელა დაელია სული. მე მეტი არა მინდა რა, მამაჩემო. ვანა მზე, ამაყი დიდებული მზე სჯის საცოდავ ქინქლას, რომ მის სხივებში თბება?

მ ი ლ ე რ ი — (მწუხარებით დაეყრდნობა სავარძელს და სახეს ხელბში მალავს). ყური დამიგდე, ლუიზა, ნეტავ მაიორს არ შეხვედროდი და ჩემი სიცოცხლის დარჩენილ დღეებს შენ შეგწირავდი.

ლ უ ი ზ ა — (შეშინებული) რა ბრძანეთ? არა, მაგის თქმა არ ვინდობათ, მამილო! ხომ იცით, ფერდინანდი ჩემია, ჩემთვის შექმნილი, ზეციური მამისაგან ჩემთვის გამოგზავნილი ერთადერთი სიხარული. (ჩაფიქრდება) პირველად რომ თვალი მოეკარი, (გამოცოცხლდება) სისხლი მომაწვა სახეზე, გულმა ძგერა დამიწყო და მითხრა: „ეს ის არის, ეს ის არისო!“ ჩემთან ერთად, თითქოს მთელი ქვეყნიერებაც იმეორებდა იმ სიტყვებს. მაშინ, მაშინ გათენდა პირველი დილა ჩემს გულში, მრავალმა ახალგაზრდულმა გრძნობამ გამოისხა ყლორტები იქ, როგორც გაზაფხულზე მიწიდან ამოხეთქილმა ყვავილებმა. მე ველარ ვხედავდი ქვეყანას და, მაინც არასოდეს ყოფილა იგი

ისე მიმზიდველი, როგორც მაშინ. მე აღარ ვფიქრობდი ღმერთზე და, მაინც არასოდეს მყვარებია იგი ისე, როგორც მაშინ.

● ი ლ ე რ ი — (ქალს გულზე მიიხუტებს) ლუიზა, ჩემო ძვირფასო! შეიწირე ჩემი მოხუცებულობა — ყველაფერი, ყველაფერი წაიღე!.. ხოლო მაიორის მოცემა, ღმერთთა მოწამე, არ შემიძლიან. (სწრაფად გადის).

ლ უ ი ზ ა — ახლა არც მინდა. ეს ცვარია მხოლოდ, დროის მცირე ნაწილი, რომელსაც ხარბად გადაჰყლაპავს ფერდინანდზე ოცნება. ამ ქვეყნად მე ხელს ვიღებ მასზე, მაგრამ მაშინ, დედაჩემო, როცა დაიმსხვრევა განსხვავების საზღვრები, როცა ჩამოგვეცილდება წოდებრიობის საზიზღარი ნაჭუჭი, როცა ადამიანს მხოლოდ ადამიანობით დაათასებენ, მე არაფერს წავიღებ თან გარდა ჩემი უმანკოებისა. მამას ხომ ხშირად უთქვამს, როცა ღმერთი მოვა — მაღალი წოდება და სიმდიდრე გაიფდება და უმანკო გულის ფასი აიწევს. მაშინ მეც მდიდარი ვიქნები, დედა! იქ ცრემლებს გმირობად მიიჩნევენ, კეთილ აზრებს — დიდებულ წინაპრებად და მეც წარჩინებული ვიქნები. მაშინ რით იქნება ის თავის შეყვარებულზე უკეთესი?

ც ო ლ ი — (წამოხტება) ლუიზა... მაიორი! მაიორი ღობეზე გადმოხტა! სად დავიძალო?

ლ უ ი ზ ა — (ჯანკალებს მღელვარებით) დარჩით, დედილო! დარჩით!

ც ო ლ ი — ღმერთო, რასა ვგვევარ! სირცხვილო, სირცხვილო! როგორ ვეჩვენო მის ბრწყინვალებას (სწრაფად გადის).

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ე

ფერდინანდ ფონ ვალტერი. ლუიზა.

შემოდის ალღელებული ფერდინანდი. სწრაფად მივა ლუიზასთან. ლუიზა ფერწასული, კანკალით დაეშვება სკამზე. ფერდინანდი მის წინ გაჩერდება. ცოტა ხანს ერთმანეთს უცქერიან. პაუზა.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — შენ ფერი წავსვლია, ლუიზა.

ლ უ ი ზ ა — (ადგება და ხელებს მოხვევს) არაფერია, არაფერი... შენ ხომ ჩემთანა ხარ. უკვე გაიარა.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (ხელებზე კოცნის) და ჩემ ლუიზას კვლავინდებურად ვუყვარვარ? ჩემი გული ისეთივეა, როგორც მაშინ იყო; შენი? მოვირბინე, რათა მენახე, მხიარულადა ხარ თუ

არა და შემდეგ წავსულიყავ და მეც მხიარულად ვყოფილიყავი...
მაგრამ შენ მოწყენილი ხარ!

ლ უ ი ზ ა — უკვე გავმხიარულდი, ჩემო ძვირფასო!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — მართალი მითხარი. შენ მოწყენილი ხარ. ჩემთვის შენი სული ისეთი ნათელია, ვით წმინდა წყლის ბრილიანტი (უჩვენებს თავის ბეჭედს). საკმარისია, რომ ერთი წერტილი გაჩნდეს და მე მას შევამჩნევ. არც ერთი აზრი შენს სახეზე ჩემთვის გაუგებარია არა რჩება. რა გეშინია? მითხარ, ძვირფასო. ოღონდ ეს სარკე იყოს კრიალა და ვერც ერთი ღრუბელი ვერ მიაყენებს ჩრდილს ქვეყანას. რად მოგიწყენია?

ლ უ ი ზ ა — (შცქერის ჩაფიქრებული და სევდიანი) ფერდინანდ! ფერდინანდ! ნეტავ იცოდე, რა წარმტაცად სახავს უბრალო ოჯახის ქალს — შენი სიტყვები!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (გავირეებით) რაო?.. ლუიზა, საიდან მოგდის ეგ ფიქრები? ლუიზა, ჩემი ხარ! ვინ ჩაგაგონა, რომ კიდევ სხვა რამ არის საჭირო? ხედავ, ორგულო, რა ცივი ხარ ჩემს მიმართ. შენ რომ ნამდვილად გიყვარდე, მაგ სულელური ფიქრისათვის დრო აღარ დაგჩემბოდა. როდესაც შენთანა ვარ — ჩემი გონება შენ თვალებში იძირება, მართო ვრჩები და შენა ხარ ჩემი ოცნება, შენ კი ამ დროს ცივ მსჯელობას აძლევ თავსა! გრცხვენოდეს, ლუიზა! ყოველი წუთი, ასეთ ნაღვლიან ფიქრებში გატარებული, დაკარგულია შენი სატრფოსთვის.

ლ უ ი ზ ა — (ხელს მოჰკიდებს და თავს აქნევს) გინდა სიფხიზლე მომიდუნო, ფერდინანდ, გინდა ჩემი თვალი აარიდო ჩვენ შორის უფსკრულს, სადაც დაღუპვა მელის. მე წინ ვიყურები, ფერდინანდ... დიდების ხმა... შენი გეგმები... მამაშენი... ჩემი არარაობა (შიშით შეპყრობილი გაუშვებს ფერდინანდს ხელს). ჩვენ სასტიკი განსაცდელი გველის... ფერდინანდ, ჩვენ გაგვაშორებენ!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — გაგვაშორებენ? (წამოხტება) საიდანა გაქვს ეგ წინათგარძნობა, ლუიზა? გაგვაშორებენ? ვინ გასწყვეტს ორი გულის კავშირს, ვინ განაშორებს ერთი აკორდის ბგერას? აზნაური ვარ? მაგრამ დამიმტკიცონ, რომ ჩემი აზნაურობის სიგელი სიყვარულზე ძვირფასია და ჩემი ღერბი შენს თვალებზე მშვენიერი! მე პრეზიდენტის შვილი ვარ. მით უმეტეს. მხოლოდ შენი სიყვარული მივიწყებს წყევალ-კრულვას — აწიოკებული ხალხი რომ მამაჩემს უთვლის.

ლ უ ი ზ ა — მე მამაშენის მეშინია.

ფერდინანდი — რა, მე არაფერი მაშინებს გარდა შენს სიყვარულის განელებისა! დეე ჩვენ შორის მთები აღმართოს — ეს მხოლოდ საფეხურები იქნება: სწრაფად ავივლი მათ, რათა შენ მკერდს დავეკონო. სახიფათო ავდარი უფრო ძლიერი ალით ალაგზნებს ჩემს გრძნობებს, განსაცდელი ჩემს ლუიზას მშვენებას მოუმატებს, ნურას იტყვი შიმისას, ჩემო ძვირფასო! მე თვით ვიქნები შენი გუშაგი, ვით გველემშაპი ქვესკნელის განძისა, მომენდე მე! მე ვიქნები შენი მფარველი ანგელოზი, აგაცილებ ბედისწერის უკუღმართობას, დაგიფარავ ყოველგვარ უბედურობისაგან, არც ერთ წვეთს არ დავღვრი სიხარულის თასიდან, რომ შენ მოგართვა სიყვარულით სავსე ფიალა. (ნახად მოხვევს მკლავებს). ამ მკლავებს დაყრდნობილი შენ ადვილად და სიხარულით განვლი ცხოვრების გზას. ცას შენ უფრო მშვენიერი უნდა დაუბრუნდე, ვიდრე იქიდან წამოსული და მან გაკვირვებულმა უნდა აღიაროს, რომ სიყვარული ამალღებს სულს.

ლუიზა — (შიშით განთავისუფლდება მისი მკლავებისაგან) კმარა, ფერდინანდ! გეხვეწები — გაჩუმდე! რომ იცოდე რა ცეცხლი აანთე! აქ! (უნდა გავიდეს).

ფერდინანდი — (დაიჭვრს) რას ამბობ, ლუიზა? რა მოგდის?

ლუიზა — გამიგონე, ფერდინანდ! მე თავი დავანებე ამ ოცნებას და ბედნიერი ვიყავ, მაგრამ ახლა, ახლა... ამიერიდან სიმშვიდეს ბოლო მოელო... ამბოხი სურვილები სდულს ჩემს გულში... წადი! ღმერთმა შეგინდოს! შენ ხანძარი დაანთე ნორჩ, უსუსურ გულში... და უსუსური გული აღარ არის! და ხანძარი აღარ ჩაქრება! (სწრაფად გავარდება ოთახიდან. ფერდინანდი გაჩუმებული მისდევს).

სურათი მეხუთე.

პრეზიდენტის დარბაზი. შემოდის პრეზიდენტი ორდენით კისერზე და ვარსკვლავით მკერდზე, მას მოწიწებით მოსდევს მდივანი ვურმი.

პრეზიდენტი — ჩემი შვილი და — სერიოზული გატაცება! არა, ძვირფასო ვურმ, ამას ვერ დამაჯერებთ.

ვურმი — მიბრძანეთ, თქვენო აღმატებულებავ, და მე საბუთებს წარმოგიდგინთ.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — ის რომ მდაბიო ქალს აჰკვიატებია, ქათინა-ურებს აფრქვევს და იქნება გრძნობების შესახებაც ელაყბება — ყველაფერი ეს დიდ ხიფათად არ მიმაჩნია, ძვირფასო ვურმ, შენ ამბობ, რომ ის მუსიკოსის ქალია?

ვ უ რ მ ი — მუსიკის მასწავლებლის, მილერის ქალი.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — ლამაზია? თუმცა ეს თავისთავად იგულისხმება.

ვ უ რ მ ი — (გამოცოცხლებული) ქერათა შორის უმწვენიერესი და მომხიბლავი. შეიძლება ითქვას, სასახლის ულამაზეს ქალებს არაფრით ჩამოუვარდება.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (იცინის) ასეა? ჩანს გოგო შენც ძლიერ ჩაგვარდნია გულში. ის, რომ ჩემი შვილი ეარსიყება იმ გოგოს, ძვირფასო ვურმ, იმედს მიღვიძებს, მაშასადამე, არც მაღალი წრის ქალები იქნებიან მის მიმართ გულგრილნი და ამით სასახლეში შეუძლია მალა აიწიოს. გოგო ლამაზია, შენ ამბობ. ეს თუ ასეა, ძვირფასო ვურმ, მესიამოვნა, რომ ჩემ შვილს კარგი გემოვნება ჰქონია და იმ სულელ გომბიოს თუ რაღაცას სერიოზული ტონით უმღერის, მით უკეთესი. ეს ნიშნავს, რომ ჩემს ვაჟს ადამიანის რეგვენობით სარგებლობა ეხერხება, შეიძლება პრეზიდენტობას მიაღწიოს. თავისას გაიტანს, შესანიშნავი იქნება. ეს იმის ნიშანია, რომ ბედი ჰქონია. მთელ ამ მხიარულ ამბავს, შესაძლებელია, შედეგად უკანონო შვილიშვილი მოჰყვეს, რომლის სადღეგრძელოდ მზადა ვარ მალაგის ზედმეტი ბოთლი გაახლოთ. შემდეგ, შემდეგ — ჯარიმა პოლიციას იმ გომბიოს მოტყუებისათვის. ეს არის და ეს!

ვ უ რ მ ი — გისურვებთ, თქვენო აღმატებულებავ, რათა ის ბოთლი მწუხარების განსაქარვებლად არ დაგეცალოთ.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (სერიოზულად) შენ კარგად იცი, ვურმ, რომ, თუ ვინმეს ვენდე, ბოლომდე ვენდობი, მაგრამ თუ გაფბრაზდი, ჩემს მრისხანებას არა აქვს საზღვარი. მაგულიანებ, მაგრამ მიპატიებია. მესმის, ცოტა არ იყოს, შენთვის ძნელია ისეთ მეტოქესთან შეჯიბრება, როგორც არის ჩემი ვაჟი და ამისათვის მამის ავტორიტეტს მოუხმობ. აღტაცებული ვარ შენი დიპლომატიური ხერხებით. მაგრამ, ძვირფასო ვურმ, არ გირჩევ ჩემი მოტყუება მოინდომო, ჩემთან ხუმრობა ხეირს არ დაგაყრის.

ვ უ რ მ ი — მაპატიეთ, თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ მართლაც რომ ისე იყოს, როგორც თქვენ ბრძანებთ და ეჭვი მალაპარა-

- კებდენს, იგი ჩემს სწახეზე უნდა აშოგეკითხათ და არა სიტყვებში!
- პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — სულაც არ არის საჭირო. სულერთი არ არის, საიდან მიიღებ ტალერს, პირდაპირ სადახლოდან თუ ბანკირისაგან? აიღე მაგალითი აქაური აზნაურებისაგან; უნდა გამოეტყდე, რომ იშვიათია ისეთი ქორწილი, სადაც სულ მცირე ექვს სტუმარს და ზოგჯერ ლაქიებსაც წინასწარ გეომეტრიული წესით არ ჰქონდეთ გაზომილი საქმაროსათვის განკუთვნილი სამოთხე.
- ვ უ რ მ ი — (თავს დახრის) თუ ასეა, თქვენო აღმატებულებაე, ჩემთვის უკეთესი იქნება მდაბიოდ დავრჩე.
- პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — ამასთან შემძლიან განუგეგმო, სულ მალე გექნება შესაძლებლობა შენს მეტოქეს დაცივივისთვის სამაგიერო გადაუხადო. ჩემ კაბინეტში მაქვს ბრძანება, რომლის ძალით ნებიერი ლედი მილფორდი ჰერცოგის ახალი მეუღლის მოზრძანების გამო, ცხადია, მხოლოდ სხვების დასანახავად, სასახლეს მოშორდება და, რათა სიყალბე ბოლომდე დაცული იყოს, ჩქარა უნდა გათხოვდეს. კარგად იცი, ვურმ, ჩემი მდგომარეობა ბევრნაირად არის დამოკიდებული ლედი მილფორდისაგან და საერთოდ მთელი ჩემი პოლიტიკა ჰერცოგის ზოგიერთ უნს ემყარება... ერთი სიტყვით ჰერცოგი მილფორდისათვის ქმარს ეძებს. შეიძლება ვინმე სხვამ მოინდომოს, ჰერცოგის საყვარელთან ერთად მის ნდობასაც დაეპატრონოს და ჰერცოგისთვის საჭირო კაცი გახდეს. და ვინაიდან ჰერცოგი არ მინდა ხელიდან წამივიდეს, ჩემმა ვაჟმა ლედი მილფორდი უნდა შეირთოს... ახლა შენთვის ყველაფერი ნათელია, არა, ვურმ?
- ვ უ რ მ ი — ისე ნათელია, რომ თვალებსა მჭრის. ყოველ შემთხვევაში, თქვენო აღმატებულებაე, თქვენ ამტკიცებთ, რომ ჯერ პრეზიდენტი ხართ და შემდეგ მამა, მაგრამ მაიორმა რომ თქვენ მამობრივ უნაზეს გრძნობებს აგრეთვე უნაზესი მორჩილებით არ უპასუხოს, თქვენ მოთხოვნას შეიძლება წინააღმდეგობა შეხედეს.
- პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — საბედნიეროდ, ვურმ, ჯერ არასოდეს მომხდარა, რომ ჩემი გეგმის განხორციელება რამეს შეეფერხებინოს. თუ ვიტყვი, „ასე უნდა იყოს“, ასეც იქნება. მაგრამ იცი რა, ვურმ? ჩვენ იმავე საკითხს დავუბრუნდით, საიდანაც დავიწყეთ. მე დღესვე სადილობამდე ვეტყვი ჩემ შვილს, რომ

მან ცოლი უნდა შეირთოს. მისი გამომეტყველება ან დაადასტურებს შენს ექვს, ან სულ გააქარწყლებს.

ვ უ რ მ ი — მაპატიეთ, თქვენო აღმატებულებავე, მაგრამ თქვენი შვილის უკმაყოფილება, რომელსაც უეჭველია ამოიკითხავით მის სახეზე, შეგიძლიათ მიაწეროთ იმასაც, რომ თქვენ მას სატრფოს ართმევთ და იმასაც, რომ მას არ მოსწონს თქვენს მიერ არჩეული სასძლო. ნება მომეცით გამოცდის უფრო ძლიერი საშუალება შემოგთავაზოთ. შეაძლიეთ მას მთელ საჭერცო-გოში ყველაზე უმწიკვლო, წუნდაუდებელი ქალი და თუ დათანხმდება სამი წლის კატორღა მიუსაჯეთ ვურამს.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (ტუჩებს იკვნეტს) ეშმაკმა დალახვროს!

ვ უ რ მ ი — ვწუხვარ, მაგრამ ეგ ეგრეა, ქალის სულელმა დედამ ყველაფერი დაროშა.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (ნგრვიულად და ბრანზორფელი ოთახში დადის) კარგი! ამასაც ვნახავთ!

ვ უ რ მ ი — ერთ რამესა გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავე, მაიორი ჩემი მბრძანებლის შვილია...

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — ნუ შესწუხდები, შენ არავითარი ხიფათი არ მოგელის.

ვ უ რ მ ი — და ჩემი გარჯა, რომ თქვენთვის შეუფერებელი რძალი არ შეგხვედროდათ...

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — ჩემ მხრივაც გარჯას მოითხოვს, დაგეხმართ ცოლის შერთვაში? კეთილი, ვურამ.

ვ უ რ მ ი — (პატივისცემით თავს უკრავს) საფლავამდე თქვენი აღმატებულების მორჩილი მონა. (წასვლას აპირებს).

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — ის, რაც ახლა მე თქვენ გაგანდეთ, ვურამ, (მუქარით) რომ სადმე წამოგცდეთ!

ვ უ რ მ ი — (იციინს) ეს, თქვენო აღმატებულებავე, დაამტკიცებს იმას, რომ მე სიყალბეს ჩავდიოდი. (გადის)

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — შენი იმედი მაქვს. ვერსად წამიხვალ, შენი გაიძვერობითვე ხელში მყავხარ ჩაჭერილი.

(შემოდის კამერდინერი)

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი — ჰოფმარშალი ფონ კალბი.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — ძლიერ კარგ დროს მოსულა, სთხოვეთ.

(კამერდინერი გადის).

ს უ რ ა თ ი მ ე ე ქ ე ს ე

შემოდის ჰოფმარშალი ფონ კალბი ძვირფას, მაგრამ ცუდი გემოვნებით მკვრილ სასახლის ტანსაცმელში, კამერჰერის გასაღებით, ორი საათითა და დაშნით. ილლიაში ამოჩრილი აქვს რბილი ქუდი: თმა დახვეული აქვს და Harrison ხმაურით მიაშურებს პრეზიდენტისაკენ. მთელ დარბაზს მოეფინება შუშის სუნი.

შო ფ მ ა რ შ ა ლ ი — (მოხევევა პრეზიდენტს) დილა მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო! როგორ მოსიყვარულე ვიყავი? მაპატიეთ, რომ ასე დაგვიანებით მომეცა სასიამოვნო შემთხვევა... აუარებელი საქმე... მენიუს შედგენა, მოსაწვევი ბილეთები... კავალადის მომზადება... გარდა ამისა, საჭირო იყო მის დიდებულე-ბასთან ვყოფილიყავით lever-ის დროს და ამინდის შესახებ მომეხსენებინა.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — ო, დიახ, მარშალო, საქმე თავზე საყრელია.

შო ფ მ ა რ შ ა ლ ი — ამას გარდა მაწანწალა მკერავმა მალოდინა.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — და თქვენ მაინც მოასწარით?

შო ფ მ ა რ შ ა ლ ი — ეს კიდევ არაფერია. დღეს პირდაპირ უბედურება უბედურებაზე მომდის. იცით, რა შემემთხვა?

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (დაბნეულად) ნუთუ მართლა?

შო ფ მ ა რ შ ა ლ ი — იცით რა შემემთხვა? ეტლიდან გადმოსვლა ცერ მოვასწარი, რომ ცხენებს რალაცის შეეშინდათ, დაფრთხენენ, დაიწყეს ტორების ცემა და, თქვენთან ბოდიშს ვიხდი, შარვალი სულ ტალახით დამისვარეს. რა მექნა არ ვიცოდი: ღვთის გულისათვის, ბარონ, თქვენი თავი წარმოიდგინეთ ჩემს მდგომარეობაში. ქუჩაში ვდგავარ, უკვე გვიანაა. უკან დავბრუნდე — მთელ დღეს დავკარგავ, არა და ასეთი სახით მის დიდებულეობასთან გამოცხადება შეუძლებელია. მაგრამ ღმერთი მოწყალეა. იცით რა მოვიგონე? — თითქოს გული შემეწივდა. შემიტანეს ეტლში და მთელი სისწრაფით შინისკენ გამაქანეს. ვადავიცივი... სასწრაფოდ გავწიე სასახლისაკენ და როგორ გგონიათ? მისაღებ ოთახში მაინც პირველი მე აღმოვჩნდი. როგორ მოგწონთ ყოველივე ეს?

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — ადამიანის მოსაზრებულების უშესანიშნავესი ნიმუშია, მაგრამ ახლა კი მითხარით, კალბ, ელაპარაკეთ ჰერცოგს?

შო ფ მ ა რ შ ა ლ ი — (ამაყად) რასაკვირველია, სრულ 20 წუთსა და 30 წამს.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — აი, ეს მესმის! იცით რამე მნიშვნელოვანი ახალი ამბავი?

პ ო ფ მ ა რ შ ა ლ ი — (ცოტა ხნის დუმილის შემდეგ სერიოზულად) რასაკვირველია! მის დიდებულებას დღეს აცვია ფერადი ჯუბა „მერ-დალე“.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — მეტად საინტერესოა!... მაგრამ, მარშალო, მე უფრო საინტერესო ამბავს გეტყვით. იცით, თუ არა, რომ ლედი მილფორდი ჩემ ვაჟ მათორ ფონ ვალტერზე თხოვდებოდა?

პ ო ფ მ ა რ შ ა ლ ი — რას ბრძანებთ! ეს უკვე გადაწყვეტილია?

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — გადაწყვეტილია და ხელმოწერილიც. დიდად დამაჯალებთ თუ ახლავე წაბრძანდებით ლედი მილფორდთან, ფერდინანდის მისაღებად მოამზადებთ და მთელ ქალაქს შეატყობინებთ ჩემი შვილის გადაწყვეტილებას.

პ ო ფ მ ა რ შ ა ლ ი — (აღტაცებო) ო, დიდი სიამოვნებით, ჩემო უძვირფასესო. ახლავე ლედი მილფორდისაკენ გაეფრინდები, რა იტანება ჩემთვის უფრო სასიამოვნო? მშვიდობით, მეგობარო! (დადუმდა) და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ სულ ნახევარ საათში მთელ ქალაქს ეცოდინება.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (თვალს გააყოლებს ღმირით) მოდი და ამის მერე თქვი, რომ ეს არსებანი არაფერში გამოდგებიან. ნახევარი საათის შემდეგ საჰერცოგოს მთელი სატახტო ქალაქი ნიშნობის ამბავს შეიტყობს. ახლა ფერდინანდი ამ ქორწინებას თავს ველარ დააღწევს. (ხარი, შემოდის ვურში) სთხოვეთ ჩემს ვაჟს. (ვურში გადის, პრეზიდენტი ჩაფიქრებული ბოლთას სცემს).

ს უ რ ა თ ი მ ე შ ვ ი დ ე

ფერდინანდი, პრეზიდენტი, ვურში შემოდის და სასწრაფოდ გადის.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — თქვენ მიბრძანეთ, მამაჩემო?

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (შეაჩერებს) სამწუხაროდ, ბრძანება მიხდება, როდესაც მსურს ჩემი შვილის ნახვით გავიხარო. დაგეტოვებ, ვურმ. ფერდინანდ, ამ ბოლო დროს ველარა გცნობ. სად გაჰქრა შენი ახალგაზრდული ხალისი? რაღაც უცნაური სედა აღარ შორდება შენ სახეს... გამირბიხარ, ჩვენ საზოგადოებას აღარ ეკარები. შენ ასაკში ადამიანს ყველაფერი ეპატიება, გარდა დარდისა. დარდი მე გადმომილოცე, შვილო, მე მომანდე შენ ბედზე ფიქრი და ნურაფერს ინაღვლებ, ოღონდ

ჩემი რჩევა შეასრულე. მომიხლოვდი, გადამეხვიე და დამამ-
შვიდე, ფერდინანდ.

ფერდინანდი — დღეს ძლიერ მწყალობელი ბრძანდებით
მამჩემო.

პრეზიდენტი — მხოლოდ დღეს? აი, შე ცუდლუტო! და
მერე როგორი მქავე სახით მეუბნები ამას. (სერიოზულად)
ფერდინანდ, ვისთვის ვიკაფავდი სახიფათო გზას ჰერცოგის გუ-
ლისაკენ? ვისთვის გავწყვიტე სამუდამოდ კავშირი სინდისთან
და ზეცასთან? მისმინე, ფერდინანდ, შენ შვილი ხარ ჩემი, — ვის
გავუკაფე გზა, რისთვის მოვსპე ჩემი წინამორბედი? ო, ეს
ამბავი მით საშინლად ღრღნის ჩემს გულს, რაც მეტად ცვლი-
ლობ, ქვეყანას ჩემი გასისხლიანებული მახვილი დაეუმალო...
რისთვის ჩავიდინე ყველაფერი ეს?

ფერდინანდი — (თავზარდაცემული ჟან დაიხვეს) ნუთუ ჩემთვის,
მამჩემო! ნუთუ მე უნდა მომეხვეს თავს ამ ბოროტების აღ-
ქური. ძლიერო ღმერთო! მერჩივნა სულაც არ გავჩენილიყავ
და ბოროტმოქმედების გამართლება მე არ დამკისრებოდა.

პრეზიდენტი — რას მიქარავ! მაგრამ შენ რომანტიკულ თავს
ებატიება! ფერდინანდ, მე გულკეთილი ვარ, არ მინდა განგრი-
სხდე. მართალია, ეს უცნაური ჯილდოა ჩემი სინდისის ქეჭნი-
სა, უძილო ღამეების... ტანჯვისათვის... ზეციერი მსაჯულის
რისხვა მე დამატყდება, შენ ბედნიერებას სხვისი ხელით, ასე
უსთქვათ, წმინდა სახით მიიღებ, ვინაიდან ბოროტმოქმედება
მემკვიდრეს ლაქას არა სცხებს.

ფერდინანდი — (ასწევს მარჯვენა ხელს) უარსა ვყოფ მემკვიდ-
რეობას, რომელიც მამის ბოროტებას მომაგონებს.

პრეზიდენტი — ყური დამიგდე, ნუ მაბრაზებ! ყველაფერი
რომ შენებურად იყოს — მთელი შენი სიცოცხლე დამკირებუ-
ლი იცოცებდი.

ფერდინანდი — ეს უკეთესია, ვიდრე ტახტის წინაშე ფორ-
თხვა!

პრეზიდენტი — (ცდილობს არ ვანრისხდეს) კმ! შენი ბედნიერები-
საკენ კაცმა ძალით უნდა წაგათრიოს! რასაც სხვები დიდი ღვა-
წლით ვერ აღწევენ, შენ ხელის გაუნძრევლად მიიღებ. თორმე-
ტი წლისას უმცროსი ოფიცრობა მოგეცა. ოცისას — მაიორობა.
ეს, ჩემი თხოვნით, ჰერცოგმა გიწყალობა. ახლა კი სამხედრო
ტანსაცემელს გაიხდი და სამინისტროში შეხვალ, ჰერცოგი შენ-
თვის საიდუმლო მრჩევლის ხარისხს დამპირდა, ელჩობას.

არაჩვეულებრივი მოწყალებათა. შენს წინაშე საუცხოო მომავალი იშლება, გაშლილი გზა ტახტის მეზობლად, შეიძლება თვით ტახტისაკენ! — თუკი რაიმე აზრი აქვს ნამდვილი ძალაუფლება მის გარეგან ნიშნებზე გაცვალო — და ყველაფერი ეს არ გამებს?

ფერდინანდი — სულაც არა! სულაც არა! რადგან სიდიადისა და ბედნიერების ჩემი ცნება თქვენსას არ ჰგავს. თქვენი ბედნიერება სხვის უბედურებას ემყარება... შური, შიში, სიძულვილი — აი სარკე, რომელშიც მოჩანს სიდიადე მბრძანებლისა, ცრემლები, წყველა-კრულვა, სასოწარკვეთილება — აი საშინელი სუფრა, რომელზედაც თქვენი ნაქები ბედნიერნი ღიბნობენ! და მთვრალნი იქიდან ბარბაცით მიემართებიან მარადისობისაკენ, რომ წარდგენენ ყოვლისშემძლის სამსჯავროს წინაშე. არა, მამაჩემო, ჩემი იდეალი ბედნიერებისა უფრო ზომიერია, იგი თვით ჩემშია. ყველა ჩემი სურვილი ჩემს გულში მარხია.

პრეზიდენტი — საუცხოოა! მშვენიერია! შეუდარებელია! ოცდაათი წლის შემდეგ კვლავ ვისმენ პირველ ლექციას. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ორმოცდაათი წლის კაცისათვის საძინელოა შენი მოძღვრების მარგალიტების შეთვისება... მაგრამ, რათა ეგ მარგალიტები არ დაიკარგოს, მსმენელი მოგიძებნე, რომელიც მუდამ შენს გვერდით იქნება და საშუალება გექნება გაუზიარო ეგ შენი მალაღმარდოვანი სისულელე. დღესვე უნდა გადაწყვიტო და ხელი სთხოვო.

ფერდინანდი — (განცვიფრებული უკან დაიხევს) მე? ვის?

პრეზიდენტი — მე შენი სახელით ლედი მილფორდს უკვე ბარათი გავუგზავნე. შენ ახლავე მიხვალ მასთან სადარბაზოდ, როგორც საქმრო.

ფერდინანდი — მილფორდს?

პრეზიდენტი — იმედი მაქვს იცნობ?

ფერდინანდი — (აღელვებული) განა მთელ საჰერცოგოში არის სამარცხვინო ბოძი, რომელიც მას არ იცნობს? განა სასაცილო არა ვარ, მამაჩემო, რომ თქვენ ხუმრობას სერიოზულ მნიშვნელობას ვაძლევ? განა თქვენ ისურვებთ მამობას პატიჯაყრილი გაყისა, რომელიც თავის ბედს წარჩინებულ კახპას დაუკავშირებს?

პრეზიდენტი — პირიქით... უნდა გამოგიტყდე, მე თვით დი-

- დი სიამრევნებით ვითხოვდი მას, რომ ასაკი ხელს არ მიშლიდეს... როგორა გგონია ისურვებდი პატივყრილის შვილობას?
- ფერდინანდი — არა! არასოდეს!
- პრეზიდენტი — ვფიცავ, მაგ უტიფრობას მხოლოდ დიდი ღრვიანობისათვის გაპატიებ...
- ფერდინანდი — გემუდარებით, მამაჩემო, ნუ ლაპარაკობთ ისეთ რამეს, რაც თქვენს შვილობაზე ხელს ამაღებინებს.
- პრეზიდენტი — ფერდინანდ, ყური დამიგდე! ჭკუაზე შემლილხარ! ყველა გონიერი კაცი ინატრებდა დიდ პატივს, რათა თუნდაც ამ სახით თავისი მეფის ადგილი დაეჭირა.
- ფერდინანდი — უცნაურ რამეს ამბობთ, მამაჩემო, თქვენ ამას პატივს უწოდებთ? მისი სამარცხენო. გაყიდული სარეველის მოზიარე შევიქმნე — ეს არის პატივი! (პრეზიდენტი ხარხაოებს). იცნეთ რამდენიც გენებოთ, მაგრამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთი მითხარით, როგორღა უნდა გამოვჩნდე ქუჩაში? როგორი თვალით შემომხედავს თვით უღარიბესი ხელოსანი, რომელიც მზითვად, სხვას თუ არაფერს, თავისი ცოლის სხეულს მანაც მიიღებს ხელუხლებლად? რა თვალთ უნდა შევხედო: ხალხს, ჰერცოგს, ან თვით ჰერცოგის ხასას, რომელსაც ჩემი შერცხვენით მოუსურვებია განბანოს თავისი შებღღული პატიოსნება!
- პრეზიდენტი — მიკვირს სად შეიძინე ასეთი მქვერმეტყველება?
- ფერდინანდი — გაფიცებთ, მამაჩემო! თქვენი ერთადერთი შვილის დამცირება მას გააუბედურებს, მაგრამ თქვენ ბედნიერებას არ მოგიტანთ. შემძლია ჩემი სიცოცხლე შემოგწიროთ, თუ თქვენ ეს აგამალლებთ, სიცოცხლე თქვენ მაჩუქეთ და მზად ვარ უყოყმანოდ შევწირო იგი თქვენს განდიდებას, მაგრამ ჩემი პატიოსნება... თუ ამას წამართმევთ, თქვენს მიერ ჩემთვის სიცოცხლის მოცემა უსინდისობა იქნება... და ასეთ მამას, მაჭანკალს მე წყევლა-კრულვას შევუთვლი.
- პრეზიდენტი — (აღღრსით ბეჭებზე ხელს დაარტყამს) ყოჩაღ, ჩემო ძვირფასო, ყოჩაღ! ახლა ვხედავ, რომ მთელ საპერცოგოში შენ საუკეთესო საცოლეს ღირსი ყოფილხარ. ასე იყოს! დღესვე შუადღისას გრაფინია ფონ ოსტჰაიმთან დაინიშნები.
- ფერდინანდი — (კვლავ გაოცებული) დღეს გადაწყვეტილი გაქვთ გამოაცოთ?

- პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (გამომტდელი თვალთ უყურებს) იმედი მაქვს ამ არჩევანის წინააღმდეგ შენი პატიოსნება არ აჯანყდება?
- ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — დიახ, მამაჩემო, ფრედერიკა ფონ ოსტჰაიმბსხვისთვის ბედნიერება იქნებოდა (თავისთვის, შემფთობული) რაც მის ღვარძლს გადურჩა ჩემს გულში, იმას სიკეთე უღებს ბოლოს.
- პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (თვალს არ აშორებს) მადლობა გმართებს, ფერდინანდ!
- ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (მივარდება მამას და ხელზე ჰკოცნის) მამაჩემო, დიდად გმადლობთ თქვენი მზრუნველობისათვის... თქვენი არჩევანი უმწიკველია... მაგრამ... არ შემიძლია... ვერ ვიზამ... სიბრალული იქონიეთ... გრაფინიას სიყვარული არ შემეძლიან!
- პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (უან დაიხვეს) საუცხოოა! ვაჟაკი ახლა ამ ნემსკავით დავიჭირე! როგორცა სჩანს საქმე შენი საქებარი პატიოსნება კი არა ყოფილა, როდესაც ლედი მილფორდის შეერთვას უარობ, ჩემთვის ცხადია, შენ საცოლე კი არ გეზიზღება, არამედ ქორწინება. (ფერდინანდს ცოტაოდენი გაბრუნების შემდეგ სურს გავიდეს).
- პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — სად მიდიხარ? შეჩერდი! ასეთი პატივისცემით ეპყრობი მამას! (ფერდინანდი ბრუნდება) ყველაფერი გათავებულა, ლედი გაფრთხილებულია შენი დარბაზობის შესახებ. ჰერცოგს სიტყვა მივეცი. სასახლეში და მთელ ქალაქში იციან. თუ შენ ქვეყნის თვალში მატყუარად გამომიყვან, ან თუ რამე შენს ამბებს შევიტყობ... რად გაფითრდი?
- ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (გაფითრდება, აკანკალებული ხმით) ვინ? მე?... მე არაფერი, მამაჩემო...
- პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (განრისხებული უყურებს შვილს) და თუ... შენი უარის მიზეზს შევიტყობ? მიფრთხილდი, ეჭვიც კი ცოფსა მგერის! ახლავე გასწი, ალღუმი იწყება. ალღუმის შემდეგ დაუყოვნებლივ წახვალ ლედი მილფორდთან. საკმარისია ვისურვო და მთელი საპერცოგო შეინძრება! ვნახოთ ვინ უფრო ძლიერი აღმოჩნდება ჩვენს შორის! (მიდის და კვლავ უან ბრუნდება) გესმის? უკანასკნელად გეუბნები, ან წახვალ, ან ჩემს რისხვას უფრთხილდი! (გადის).
- ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (გამოეკვება გაბრუნებიდან) იგი წავიდა? ეს მამის ხმა იყო? კარგი! წავალ და ყველაფერს ვეტყვი... ყველაფერს დავანახებ; დაე, თავის თავი იცნოს, როგორც სარკეში! და თუ შენ უსირცხვილო, უნამუსო დედაკაცო, ჩემთან ქორწინებას უარს არა ჰყოფ, — მაშინ შემწედ მოიხმე ინგლისური

სიამავე — მთელი ჯარის, ხალხის, სასახლისა და ჰერცოგის წინაშე, მე, გერმანელი ჰაბსუი უარვევად შენს ხელს (წრაფად ადის).

მ ო ჭ მ ე დ ე ბ ა მ ე ო რ ე

ს ლ ო რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

დარბაზი ლედი მილფორდის სასახლეში. მარჯვნივ დივანი, მარცხნივ პიანინო

ლედი დილის ღამაში კაბით, გაშვებული, ჯერ დაუჯულულებელი თმებით ხის პიანინოსთან და ფანტაზიით უკრავს. მორბედი ქალი სოფი ფანჯარას მოშორდება

ს ო ფ ი — ოფიცრები წავიდ-წამოვიდნენ, ალღუმი გათავდა და ფონ ვალტერი ჯერ არსადა სჩანს.

ლ ე დ ი — (ძლიერი მღვღვარებით ადგება და დადის დარბაზში) არ ვიცი რა მემართება. აროდეს აღღვღვებულვარ ასე. მაშ შენ ის არ გინახავს? არსად ჩანსო? რა ეჩქარება. სუნთქვა მეხუთება, თითქოს რაღაც დანაშაული ჩამეცინოს — სოფი, უთხარი ყველაზე გიჟი ცხენი შემიკაზნონ. მინდა ჰაერზე გაეცდე, ხალხი ვნახო, ცას შევხედო. ცხენით სეირნობა დარდს გადაძიერს.

ს ო ფ ი — მილედი, თუ ცუდადა გრძნობთ თავს — ბრძანეთ, თქვენთან მოიყარონ თავი. ჰერცოგმა აქ ისაღილოს ან თქვენ დივანთან ქალაღი გაშალოს. გარწმუნებთ, ჰერცოგი და მთელი მისი სასახლე რომ ჩემს ხელში იყვნენ, მე წარმოდგენაც არ შექნებოდა, თუ რა არის მოწყენა.

ლ ე დ ი — (დაეშვება დივანზე) შემობრაღე, სოფი, ოღონდ კი მათგან დამიფარე და ყოველ საათში ბრილიანტებს გადაგიხდი, რად მინდა მე ისინი? ოთახების მოსართავად? საკმარისა, ერთი გულთბილი სიტყვა წამომცდეს, რომ ეს საცოღავი, სულმდაბალი ადამიანები პირს დაღებენ, თვალებს დააცეცებენ და ისე შემომცქერიან, თითქოს მათ წინაშე მოჩვენება იდგეს. ისინი მონები არიან ოჯახების სათამაშო მავთულისა, რომელსაც მე უფრო მარჯვედ ვხმარობ, ვიდრე ყაისნაღს. აბა რა უნდა მინტერესებდეს მაგ ხალხთან, რომელთა სული მათი ჯიბის საათის მექანიზმსა ჰგავს? რა სიამოვნება უნდა ვპოვო მათთან, როცა წინასწარ ვიცი, თუ რას მეტყვიან. განა ღირს მათთან საუბარი, როცა არც ერთ მათგანს არ ყოფნის გამბედაობა თავისი აზრი დაუპირისპიროს ჩემ შეხედულებას? არა, სოფი! უსი-

მოვნოა იმ ცხენზე სეირნობა, რომელიც ლაგამსაც კი არა ჰკბენს
(მრდის ფანჯარასთან).

სოფი — მაგრამ ჰერცოგი ხომ მათ რიცხვს არ ეკუთვნის, ლედი?
იგი მშვენიერი ვაჟკაცია, აგზნებული საყვარელი და ჭკუამახვი-
ლობითაც კერავინ შეედრება საჰერცოგოში.

ლედი — (მოსცილდება ფანჯარას) იმიტომ, რომ ეს მისი საჰერცოგოა.
მხოლოდ ჰერცოგის ღირსება ამართლებს ოდნავ ჩემს არჩევანს,
სოფი. შენ ამბობ, რომ მე შურით შემომცქეროიან, ნამდვილად
კი სიბრალულით უნდა მიცქერდნენ. ყველა მათგანი, ვინც ბა-
ტონის სუფრაზე იკვებება, ყველაზე საბრალო ფავორიტია,
რადგან მხოლოდ იგი ხედავს ამ დიდი და მდიდარი ადამიანის უბა-
დრუკობას. მართალია, საკმარისია მან ბრძანოს და, თავისი
დიდების თილისმით ყველაფერი, რაც ჩემს გულსა სურს, მსგავს-
ად ჯადოსნური კოშკისა, დაუყოვნებლივ გაჩნდება. იგი ჩემს
წინაშე მაგიდაზე ალაგებს ორსავე ინდოეთის საჩუქრებს, უდა-
ბნოდან სამოთხესა ქმნის, საჰერცოგოს წყაროებს ამაყ შადრევ-
ნებად ცად აღმართავს და თავის ქვეშევრდომთა ოფლსა და
სისხლს მდიდრულ ფოიერვერკებად აქცევს, მაგრამ შეუძლია მას
უბრძანოს თავის გულს, ძლიერი, მგზნებარე გულის გვერდით
ძლიერად და მგზნებარედ იფეთქოს? შეუძლია შესწიროს თავისი
მიხრწნილი სული ერთ მშვენიერ გრძნობას? ჩემს გულს
წყურვილი ჰკლავს, თუმცა მას თითქოს სიამოვნება არ აკლია.
რად მინდა ათასი საუკეთესო გრძნობა, როცა მე მხოლოდ იმი-
სათვის ვარ განწირული, რომ ვნება დავიცხოვრო?

სოფი — (უცქერის განვიფრებულად) დიდი ხანია თქვენ გემსახურე-
ბით, მილედი.

ლედი — და მხოლოდ ახლა გამიცანი? შენ მართალი ხარ, ჩემო
სოფი. მე ჰერცოგს ჩემი პატიოსნება მივყიდე, მაგრამ ჩემი
გული თავისუფალი დარჩა — გული, ჩემო კარგო, შეიძლება
კიდევ იყოს ღირსი ნამდვილი ვაჟკაცისა. სასახლის მოწამლული
ჰაერი მხოლოდ ისე აღიბეჭდა მასზე, როგორც დანაორთქლი
აღიბეჭდება სარკეზე. დამიჯერე, ძვირფასო, დიდი ხანია ხელს
ავიღებდი ამ საცოდავ ჰერცოგზე, რომ პატივმოყვარეობა ნე-
ბას მაძლევდეს, ჩემი ადგილი რომელიმე სეფე ქალს დაეუთმო.

სოფი — თქვენმა გულმა ასე იოლად დაუთმო პატივმოყვარეობას?

ლედი — (მგზნებარედ) განა ჩემმა გულმა მაპატიო ეს? არა,
იგი ახლაც შურს იძიებს, სოფი! (დაადებს ხელს მხარზე, მრავალ-
მნიშვნელოვნად) ჩვენ, ქალებს, მხოლოდ ერთი არჩევანი გვაქვს:

“ ვიყოთ მ ბ რ მ ჯ ნ ე ზ ე ლ ნ ი ” ანდა “ მ ო რ ჩ ი ლ ნ ა ” მხვრამ
თვით განუსაზღვრელი მბრძანებლობაც კი საცოდავი მოწყა-
ლეობაა, როცა მოკლებული ვართ უმაღლეს ნეტარებას —
ვიყოთ მონა მამაკაცისა, რომელიც ვვიყვარს.

ს ო ფ ი — ეს ჭეშმარიტებაა, მილედი, რომლის აღიარებას თქვენ-
გან არ მოველოდი.

ლ ე დ ი — მაინც რატომ, სოფი! განა იმის მიხედვით, თუ როგორ
ბავშვურად გვიჭირავს სკიპტრა, არა ჩანს, რომ ჩვენ მხოლოდ
ხელით სატარებლად გამოვდგებით! განა ვერ ამჩნევ, რომ ჩე-
მი ქარაფშუტული ახირებით გიჟური გართობა, მხოლოდ სა-
შუალებაა, რომ გულში ჩავიკლა კიდევ უფრო მეტად გიჟური
სურვილები?

ს ო ფ ი — (განცვიფრებული ჟვან იხვეს) ლედი!

ლ ე დ ი — (კიდევ უფრო მგზნებარედ) დააკმაყოფილე ისინი! მომე-
ცი ადამიანი, რომელზედაც... ვფიქრობ ახლა... რომელსაც
ვალმერთებ... იგი ჩემი უნდა გახდეს, ანდა მოვკვდები, სოფი.
(ნახად) გამაგონე მის ბაგეთაგან, რომ ჩემი თვალების... მოციმ-
ციმე სიყვარულის ცრემლები უფრო მშვენიერია, ვიდრე ბრი-
ლიანტები თმებს რომ მიმოკობენ (ვწებინადა) და უკანვე მი-
ვუგდებ ჰერცოგს მის გულსაც, მის საჰერცოგოსაც. მივუგდებ
და ამ კაცს წავეყვები თუნდაც ჯოჯოხეთში.

ს ო ფ ი — (შეშინებული შტეპრის) ღმერთო ჩემო! რა მოგდით, რა გე-
მართებათ, მილედი!

ლ ე დ ი — (დაფიქრებული) რატომ — ვაფიქრდი? — იქნებ — რაიმე
ზედმეტი ვთქვი? დე, ჩემმა მიმნდობლობამ დაადოს მღუმა-
რების ბეჭედი შენს ბაგეებს... ახლა კიდევ უფრო მეტს გეტყვი...
ყველაფერს გეტყვი...

ს ო ფ ი — (შინით იცქირება გარშემო) მეშინია, მილედი... მეშინია, რომ
ძალიან ბევრი მეცოდინება.

ლ ე დ ი — მაიორთან ქორწინება... შენც და ყველას ასე გგონიათ.
ეს კ ა რ ი ს ი ნ ტ რ ი გ ა ი ყ ო ს... ნუ წითლდები, სოფი...
ნუ გწვავს ჩემს მაგივრად სირცხვილის აღმური..., ეს საქმე
ჩემმა სიყვარულმა წამოიწყო!

ს ო ფ ი — ღმერთმანი, მე ამას ვგრძნობდი.

ლ ე დ ი — მათი დაყოლიება არ იყო ძნელი, სოფი. უნებისყოფო
ჰერცოგი, სასახლის გაიძვერა ვალტერი, სულელი ჰოფმარშა-
ლი... თვითეული მათგანი მზადაა დაიფიცოს, ეს ქორწინება უე-
ბარი საშუალებაა, რომ ჰერცოგმა შეიმინარჩუნოს და განამტკი-

ცოს ჩემი კავშირი მასთან. მათ რა იციან, რომ ამ ქორწინებით მსურს სამუდამოდ გავწყვიტო კავშირი, დაეამსხვრო ეს სამარცხვინო ბორკილები. მოტყუებულო მაცდურნო, რომელთაც ჭკუით გაჯობათ სუსტმა ქალმა, თქვენ თვითონ მოგყავთ ჩემთან ჩემი სატრფო, აკეთებთ იმას, რაც მე მსურდა... როგორც კი იგი ჩემი გახდება, მშვიდობით მდაბალო დიდებულებავ!

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო რ ე

იგივენი და ჰერცოგის მოხუცი კამერდინერი, რომელსაც მოაქვს პატარა ყუთი.

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი — მისმა უდიდებულესობამ ბრძანა მოკითხვა მოგახსენოთ და საქორწილოთ აი ეს ბრილიანტები მოგართვათ. ეს არის ახლა მიუღიათ ვენეციიდან.

ლ ე დ ი — (გახსნის ყუთს და გაოცებული ჟგან დაიხვეს). რა ღირს ეს დიდი განძეულობა?

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი — (მოწყენილი) ეს ძვირფასი ქვები ჰერცოგს გროშიც არ უღირს.

ლ ე დ ი — რაო? ხომ არ გაგიჟდი? (ჟგან დაიხვეს) რად მიყურებ ისეთი თვალებით, თითქოს ჩემი განგმირვა ვსურდეს?! ეს ძვირფასი ქვები ჰერცოგს გროშიც არ უღირს?

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი — გუშინ შვიდი ათასი ახალგაზრდა გაიგზავნა ამერიკას, ისინი გადაიხდიან ყველაფერს.

ლ ე დ ი — (მკვეთრი მოძრაობით დადებს ჰაგიდაზე ყუთს, ჩქარი ნაბიჯით დადის დარბაზში, შემდეგ მიმართავს კამერდინერს) რა დაგემართა, მოხუცო? მგონი შენ ტირი კიდევ?

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი — (იწმენდს ცრემლებს, ლაპარაკობს საშინელი ხმით, მთელი სხეულით კანკალებს) ეს ძვირფასი ქვები... ჩემი ორი შვილიც იყო გამგზავრებულთა შორის.

ლ ე დ ი — (შეშფოთებული მობრუნდება, ხელში წვდება) მაგრამ ისინი ხომ ძალდატანებით არ წაუყვანიათ?

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი — (მწარედ იცინის) ღმერთო ჩემო! არა— ნებაყოფლობით. მართალია, როცა ისინი დააწყვეს, ორი-სამი გაბედული ვაჟკაცი წინ გამოვიდა და შეეკითხა პოლკოვნიკს: რამდენს აძლევენ ჰერცოგს წვეილ ადამიანშიო, მაგრამ ჩვენმა მოწყალე მბრძანებელმა განკარგულება გასცა, მთელი პოლკი მოედანზე გამოსულიყო და დაეხვრიტათ ეს მყვირალეები. ჩვენ გავიგონეთ ზა-

ლპი, ვნახეთ, როგორ შეესხა მათი ტვინი ქვაფენილს და მთელმა არმიამ დაიყვირა „ვ ა შ ა! ა მ ე რ ი კ ა შ ი“.

ლ ე დ ი — (შეძრწუნებული დაფშვება დივანზე) ო, ღმერთო, ღმერთო! მე კი არაფერი მსმენია, ვერაფერს ვამჩნევდი.

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი — დიახ, ქალბატონო, რატომ წაბრძანდი დათვებზე სანადიროდ ჩვენს ჰერცოგთან ერთად სწორედ მაშინ, როცა ნალარა დაკრეს გასამგზავრებლად? არ უნდა გამოგეტოვებინათ ეს დიდებული სანახაობა: როცა დოლეზის ხმამ გვაშტეტო, რომ უკვე დროა გამგზავრებისა, თბლად დარჩენილი ბავშვები ღრიალით დაედევნენ თავიანთ ცოცხალ მამებს, ჰკუთხეშეშლილი დედა ვარბოდა, რომ ხიშტზე წამოეგო თავისი ძუძუმწოვარა შვილი, საცოლეებს ხმლებით აცილებდნენ საქმროებისაგან. ჩვენ, მოხუცი სასოწარკვეთილი ვიდექით და რომ ყოვლისშემძლეს არ შეესმინა ჩვენი ვედრება, განუწყვეტლივ აბრახუნებდნენ დოლებს!

ლ ე დ ი — (დგება ძლიერ აღელვებული). შორს ჩემგან ეს ბრილიანტები! ისინი ჯოჯოხეთურ ცეცხლს მინთებენ გულში (კამერდინერს, ნახად) გამაგრდი, საბრალო მოხუცო! ისინი დაბრუნდებიან, კვლავ იხილავენ თავიანთ სამშობლოს.

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი — (გულთბილად და ამალღვებლად) ეს მხოლოდ ღმერთმა იცის! სამშობლოს იხილავენ! ქალაქის კარებთან ისინი შემობრუნდნენ და ყვიროდნენ „ღმერთი იყოს თქვენი მფარველი ჩვენო ცოლებო და ბავშვებო! გაუმარჯოს ჩვენს ჰერცოგს, ვანკითხვის დღეს ერთმანეთს შეეხვდებით“.

ლ ე დ ი — (სწრაფად დადის ოთახში) საზიზღრობაა, საშინელებაა! მარწმუნებდნენ კი, რომ თითქოს მე ქვეყანას ცრემლი შევუშრეთვალეები ამიხილა ამ შემადრწუნებელმა ამბავმა... წადი და მოახსენე შენს ბატონს, რომ მე პირადად ვეტყვი მადლობას. (კამერდინერს სურს წავიდეს, ლედი ქუდში ჩაუგდებს ფულით სავსე ქისას). ეს შენ, სიმართლე რომ მითხარი და თვალი ამიხილე.

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი — (ზიზღით დაადგებს ქისას მაგიდაზე, თავს იქნევს). მიუმატეთ ეს თქვენს სიმდიდრეს (გადის).

ლ ე დ ი — (გაკვირვებით გააყოლებს თვალს) სოფი! დაედევნე მას, გამიგე მისი გვარი და სახელი. მას უნდა დაუბრუნდეს შვილები. (სოფი გარბის. ჩაფიქრებული ლედი დადის წინ და ჟკან. სიჩუმე. მიმართავს დაბრუნებულ სოფის) მართალია, რომ მთელი ქალაქი დაიწვა და ოთხასამდე ოჯახი სამათხოვროდ დადის? (რეკავს)

სოფი — საიდან მოგაგონდათ ეს, მილედი? დიახ, მართალია. იმ უბედურთა უმრავლესობა მევალებმა მონებად აქციეს, ანდა ჰერცოგის ვერცხლის საბადოების მალაროებში ლევენ სულს.

მსახური — (შემოდის) რას მიბრძანებთ, მილედი?

ლედი — (აღლევს ბრილიანტებს) დაუყოვნებლივ წაიღეთ ეს ბანკში, გადაეცით ჩემი ბრძანება, რომ ახლავე გადაახურდვონ და ფული ხანძრისაგან დაზარალებულ ოთხას გაუბედურებულ ოჯახს დაუნაწილონ.

სოფი — მილედი! რას სჩადიხართ? ხომ შეიძლება, რომ ამის გამო ჰერცოგი განრისხდეს?

ლედი — (აწყაად) არ მსურს, რომ მისი ქვეყნის წყევლა-კრულვა თმებს მიმკობდეს (ანიშნებს მსახურს, მსახური გადის). იქნებ შენ ვინდა, რომ წელში მხრიდეს ამ სამკაულთათვის დაღვრილ ცრემლთა სიმძიმე? კმარა, სოფი! მირჩევნია თმებში ხელოვნური ბრილიანტები ვატარო, ხოლო გულში ის შეგნება, რომ სინდისი სუფთა მაქვს.

სოფი — მაგრამ ასეთი ბრილიანტები! თქვენ ხომ სხვა ბრილიანტებიც გაქვთ, უფრო მდარე ხარისხისა? არა, მილედი, ეს არ გებატიებათ.

ლედი — სულელო გოგონა! სამაგიეროდ დადგება წამი, როცა წილად მხვდება უფრო მეტი ბრილიანტი და თვალმარგალიტი, ვიდრე ათი მეფის გვირგვინზე მოიპოვება და ისინი უფრო მშვენიერი...

მსახური — (ბრუნდება) მაიორი ფონ ვალტერი.

სოფი — (მივარდება ლედის) ღმერთო ჩემო! თქვენ გაფითრდით.

ლედი — ეს პირველი კაცია, რომლის წინაშეც შიშსა ვგრძნობ. სოფი! ედუარდ, უთხარით, რომ თავს ცუდად ვგრძნობ... მოიცადეთ! იგი მხიარულია? იცინის? რას ამბობს? ოჰ, სოფი! მე დღეს საშინელი შესახედავი ვარ, არა?

სოფი — გემუდარებით, მილედი...

მსახური — მიბრძანებთ, რომ მიღებაზე უარი ვუთხრა?

ლედი — (გაუბედავად) არა, სთხოვეთ შემოვიდეს. (მსახური გადის) მირჩიეთ, სოფი — რა ვუთხრა მას? როგორ შევხვდე? ხმას ვერ ამოვიღებ, ის დასცინებს ჩემს სისუსტეს. იგი... ოჰ! რა ცუდი წინათგრძნობა მაქვს. შენ მტოვებ, სოფი? ნუ მიდიხარ! არა, სჯობს წახვიდე! არა, არა, დარჩი. (კარებში გამოჩნდება მაიორი).

სოფი — დამშვიდდით, მილედი! იგი უკვე აქ არის.

იგივენი და ფერდინანდი ფონ ვალტერი

- ფერდინანდი — (მუბუჭადი სალამს აძლევს) ხელი ხომ არ შეგიშალეთ, მილუდი?
- ლუდი — (შესამჩნევი მღელვარებით) ო, არა, ბატონო ვალტერ, მობარული ვარ თქვენი ნახვისა.
- ფერდინანდი — მამა ჩემის ბრძანებით გიახელით.
- ლუდი — დიდი მადლობელი ვარ მისი.
- ფერდინანდი — უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ ჩემი საცოლე ხართ და მე კი თქვენი საქმრო... ასეთია მამის სურვილი.
- ლუდი — (ფითრდება და ანკალებს) და თქვენი საკუთარი გული რას გეუბნებათ?
- ფერდინანდი — მინისტრები და მაჰანკლები სხვის გულის სურვილებს მხედველობაში არ იღებენ.
- ლუდი — (მღელვარებისაგან ხმა უწყდება) და თქვენ არაფერს დაუმატებთ მამათქვენის დავალებას?
- ფერდინანდი — (გადახედავს სოფის) ძლიერ ბევრს, მილუდი.
- ლუდი — (ანიშნებს სოფის და ის გავა) დივანზე დაბრძანდით.
- ფერდინანდი — გმადლობთ... სიტყვას არ გავაგრძელებ, მილუდი.
- ლუდი — გისმენთ.
- ფერდინანდი — მილუდი... მე პატიოსანი კაცი ვახლავართ...
- ლუდი — მე ვაფასებ მაგ პატიოსნებას.
- ფერდინანდი — აზნაური.
- ლუდი — საუკეთესო მთელ საჰერცოგოში.
- ფერდინანდი — და ოფიცერი.
- ლუდი — რისთვის ლაპარაკობთ ამ ღირსებათა შესახებ, რომელიც თქვენთან ერთად სხვებსაცა აქვს და არაფერს ამბობთ თქვენი სულის უკეთეს ღირსებაზე, რომლის ბადალი არ მოიძებნება.
- ფერდინანდი — (მშრალად) აქ მათ შესახებ ლაპარაკი უადგილოა.
- ლუდი — (შიში თანდათან ემატება) როგორ გავიგო ეს თქვენი წინასიტყვა?

ფერდინანდი — (აუჩქარებლად და მკაფიოდ) მიიღეთ, როგორც პროტესტი პატიოსნებისა, თუ თქვენ მართლა გსურთ თქვენი ბედი ჩემსას დაუკავშიროთ.

ლედი — (წამობტება დივანიდან) რას ნიშნავს ეს, ბატონო ვალტერ?

ფერდინანდი — ეს ჩემი გულის ხმაა ჩემი ღერბისა და ამ ხმლისა.

ლედი — ეგ ხმალი ჰერცოგმა გიბოძათ.

ფერდინანდი — ხმალი სახელმწიფომ მომცა ჰერცოგის ხელით. გული ღვთისაგან მაქვს ბოძებული, ჩემს ღერბს ხუთასწლის ისტორია აქვს.

ლედი — ჰერცოგის სახელი...

ფერდინანდი — (ცხარად) შეუძლია ჰერცოგს ბუნების კანონები შერყვნას და ადამიანის ქცევა ფულივით მოსჭრას? არა, მას შეუძლია ამოღდეს პატიოსნებაზე და ოქროს ფასად მხოლოდ დადუმება შეუძლია მისი. მას შეუძლია თავისი სირცხვილი სიასამურის მანტიით დაფაროს. გთხოვთ, მიღედი, ნულარას ვიტყვიტ ამაზე! საქმე ეხება არა უკუგდებულ განზრახვებს, არა წინაპრებს, არა ხმლის ღირსებას და არა ხალხის აზრს. ყოველივე ამას არად ჩავაგდებდი, თუ დამარწმუნებდით, რომ ჯილდო ღირსი იქნებოდა ამ მსხვერპლისა.

ლედი — (ნაღვლიანი მოსცილდება ვალტერს) ბატონო მაიორო, მე ეს არ დამიმსახურებია!

ფერდინანდი — (ჩაავლებს ხელს ხელში). მაპატიეთ! ჩვენ უმოწყობედ ვლაპარაკობთ და გარემოება, რომელმაც შეგვყარა ჩვენ პირველად და უკანასკნელად, უფლებას მაძლევს ჩემი ფარული გრძნობა გაგიზიაროთ... შემინდეთ, მაგრამ, მაგრამ ვერ გამიგია, რომ ასეთი სილამაზისა და გონების პატრონი ქალი, რომელსაც დააფასებდა ყოველი მამაკაცი, დანებდა ჰერცოგს, ვინც ამ ქალს მხოლოდ სქესის თვალთ უცქერის და ამ ქალს არა რცხვენია თავისი გული სხვას შესთავაზოს?

ლედი — (უცქერის მას პირდაპირ თვალებში) განაგრძეთ, მაიორ ფონ ვალტერ!

ფერდინანდი — თქვენ თავს ბრიტანელს უწოდებთ! მაპატიეთ, მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ თქვენ ბრიტანელი იყოთ, თავისუფალი ქალი ქვეყნიერებაზე ყველაზე თავისუფალი ერისა, რომელიც თავისი სიამაყის გამო, გუნდრუქს არ უკმევს უცხოელთა თვით სიყეთესაც! ამ ერის ქალს არ შეუძლია იყოს მსახური სხვისი მანკიერებისა. არა, თქვენ ბრიტანე-

ლი აბა ხართ! ანდა გული ამ ბრიტანელისა, იმდენადვე დაკნინებულა, რამდენადაც კეთილშობილური და წმინდაა ბრიტანელის ძარღვებში მჩქეფარე სისხლი.

ლ ე დ ი — დაამთავრეთ?

ფ ე რ დ ი ა ნ დ ი — შეიძლება მითხრან, რომ ეს არის ქალური პატივმოყვარეობა, ვნება, ტემპერამენტი, სიამოვნების წყურვილი. ჩვენ ვიცით შემთხვევები, როცა ქველმოქმედება უფრო ძლიერი აღმოჩენილა, ვიდრე დიდება. ვიცით შემთხვევები, როცა ამ სამარცხვინო გზაზე მდგომთ, თავიანთი კეთილშობილური მოქმედებით მოუსყიდიათ ხალხის გული და გაუკეთილშობილებიათ ეს უღირსი ხელობა მშვენიერი მიზნისათვის სამსახურით... მაგრამ... რით აიხსნება ჩვენი ქვეყნის საშინელი ტანჯვა, რომელსაც უწინ ის არ განიცდიდა? მე ვლაპარაკობ საჭერცოგოს სახელით. მე დავამთავრე.

ლ ე დ ი — (მშვიდად, მაგრამ ღირსებით) ვალტერ, მხოლოდ თქვენ გაბედეთ ჩემთან ესეთი ლაპარაკი და მხოლოდ თქვენ გიპასუხებთ ერთადერთს. თქვენ უარსა ჰყოფთ ჩემ საცოდავ ხელს და ამისათვის პატივსა გცემთ! თქვენ შეურაცხყოფთ ჩემს სულს და მე შევიწინდობ... მაგრამ თქვენი გულწრფელობა არა მწამს. ვინც გაბედავს ასე შეურაცხყოს ქალი, რომელსაც ერთი ღამის საფასურად შეუძლია მისი დაღუპვა, იგი ან დარწმუნებულია, რომ ამ ქალს მაღალი სული აქვს ან შეშლილია... ქვეყნის აოხრებაზე მთელ პასუხისმგებლობას თქვენ მე მაკისრებთ, შევიწინდოთ ეს ყოვლისშემძლე ღმერთმა, რომელიც ოდესმე პირისპირ დაგვაყენებს თქვენ, მე და ჰერცოგს, მაგრამ თქვენ ჩემში ინგლისელი გამოიწვიეთ და ამ საყვედურზე ჩემმა სამშობლომ უნდა გიპასუხოთ.

ფ ე რ დ ი ა ნ დ ი — (ზმალზე დაეყრდნობა) მზად ვარ გისმინოთ.

ლ ე დ ი — მისმინეთ, ვალტერ! თქვენ პირველი ხართ, ვინც მოისმენს ამ ამბავს და უკანასკნელიც. მე ბედის მძიებელი არა ვარ, ვალტერ, როგორც თქვენა გგონიათ. ო, შემიძლიან ვიამაყო, რომ მეფის შთამომავალი ვარ, უბედური თომას ნორფოლკის გვარისა, რომელმაც მარიამ შოტლანდიელს თავი შესწირა... მამაჩემს — მეფის უფროს კამერპერს, ცილი დასწამეს, თითქოს საფრანგეთთან დაკავშირებულს, სამშობლოსთვის ელაღატოს და თავი მოჰკვეთეს, ჩვენი მამულები სახელმწიფოს ხელში გადავიდა, ჩვენ კი სამშობლო ქვეყნიდან გამოგვძევეს. დედაჩემი სასჯელის დღესვე გარდაიცვალა. მე თოთხმეტი წლის

გოგონამ გერმანიას შევაფარე თავი ჩემ აღმზრდელთან ერთად ძვირფასი ქვების ყუთით და ამ საოჯახო ჯვრით, რომელიც სიკვდილის წინ დედაჩემმა ლოცვა-კურთხევით ყელზე ჩამომკიდა.

ფერდინანდი — (ჩაფქრდება და უფრო ნახად დაუწყებს ცქროსს ლედის).

ლედი — (განაგრძობს საუბარს უფრო მეტი მღელვარებით) ავადმყოფი, უცნობი, უმწეო, ყოველგვარ საშუალებას მოკლებული, ობოლი მოვედი ჰამბურგს. მე არაფერი მისწავლია, ვიცოდი ცოტაოდენი ფრანგული, ცოტაოდენი ქარგვა და პიანინოს დაკვრა. სამაგიეროდ შეჩვეული ვიყავი ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელს, დამასკის საბნებს, თითის ერთი გაქნევით ათეულ მოსამსახურეთა დასაქმებას და ამ ქვეყნის ძლიერთა მლიქვნელობას. ო, მაშინ ექვსი გრძელი წელი ვტიროდი. უკანასკნელ ბრილიანტის ქინძისთავსაც გამოვეთხოვე, ჩემი აღმზრდელი მოკვდა და მაშინ ბედმა ინება თქვენი ჰერცოგის ჰამბურგს ჩამოსვლა. ელბის ნაპირზე ესეირნობდი, შევცქეროდი ტალღებს და ფვიქრობდი, რა უფრო ღრმა იყო, ჩემი მწუხარება, თუ ეს მდინარე. ჰერცოგმა დამინახა, თვალთვალი დამიწყო, ჩემი ბინა მოძებნა, ჩემს ფეხქვეშ დავარდა და სიყვარული შემომფიცა. (ძლიერი მღელვარებისაგან შეჩერდება, შემდეგ განაგრძობს საუბარს ტირილისაგან აჯანჯლებული ხმით). ცოცხლად წარმომიდგა ჩემი ბედნიერი ბავშვობის სურათი, მთელი მისი წარმტაცი მშვენიებით. შეგბნელ საფლავად მეჩვენებოდა ჩემი უიმედო მომავალი... ო, ვალტერ, ჩემი გული სხვისი გულის მხურვალეობას მოითხოვდა... და მეც მივეკარი მის გულს (აპირებს დატოვოს ვალტერი) ახლა განმსაჯეთ.

ფერდინანდი — (აღვლევბული მივარდება ლედის და შეაჩერებს) მილედო! ო, ღმერთო! რა მესმის, რა ჩავიდინე? შემინდე ჩემი უტიფრობა! შენდობის ღირსი არა ვარ!

ლედი — (ბრუნდება. ცდილობს თავი შეიკავოს) მისმინეთ შემდეგ. ჰერცოგმა ისარგებლა ჩემი უსუსური ახალგაზრდობით... მაგრამ ნორფოლკების სისხლი ამბოხდა ჩემში. „ემილია!“ — მეუბნებოდა შინაგანი ხმა — შენში მეფის სისხლი დულს, შენ კი ჰერცოგის ხასა ხარ! ბედი და სიამაყე იბრძოდა ჩემს გულში, როდესაც ჰერცოგმა აქ ჩამომიყვანა და თვალის წინ მყისვე შემზარავი სანახაობა გადამეშალა. ავხორცობა ამ ქვეყნის ძლიერთა, უძღვები აფთარი, რომელიც ხარბად ეძებს თავის მსხვერპლს,

“სასტიკად” მძვინვარებდა “ამ” ქვეყანაში! საქმრო-სტორლებს ერთმანეთს ძალით ამორებდნენ, არღვევდნენ თვით ქორწინების წმინდა კავშირს. იგი აქ ძირს უთხრიდა ოჯახის მყუდრო ბედნიერებას, იქ გამანადგურებელ ჭირს შეჰყრიდა კაბუჯ, გამოუცდელ გულს და მომაცდავი მოწიფე ქალები უანასქნელი კრუნჩხვისას პირზე დორბლმორეულნი წყველ-კრულვას უთვლიდნენ თავიანთ მასწავლებლებს. და მე გეფხისა და კრავის შორის ჩავდექი. რით, ვალტერ, ვნებიანი ალერსის დროს მე მას საღვთო ფიცს ვთხოვდი, რომ ეს საზიზღარი მსხვერპლთშეწირვა უნდა შეწყვეტილიყო.

ფერდინანდი — (უღრეს-დაღვლებული დადის წინ და უკან) კმარა, მილედი! კმარა!

ლედი — ამ სამწუხარო დროს მოყვა კიდევ უფრო საგაღალღო დრო. კარი და ჰარამხანა აიგსო იტალიელი ნაძირალებით. ჰარაფშუტა პარიზელები ეთამაშებოდნენ გარყვნილ გვირგვინოსანს და ქვეყანა სისხლისაგან იცლებოდა მათი ჟინისაგან. მე ვხედავდი, თუ რა უბედურება დაატყდათ მათ თავს ჩემი მოსვლის შემდეგ, რადგან მე ვიყავი უფრო კეკლუცი, ვიდრე ყველა ისინი ერთად. მე ჩამოვართვი მართვა-გამგეობის საღვებები ტირანს, რომელც ვნებიანად ნებივრობდა ჩემს ალერსში. პირველად იგრძნო შენმა სანშობლომ, ვალტერ, ადამიანის ხელი და იგი ნდობით მიეყრდნო ჩემს მკერდს. (პაუზა. ეფი ნახად შესცქერის ვალტერს) და ერთადერთი ადამიანი, რომლის აზრსაც ვაფასებ, მიიძღულებს ვიტრაბახო და თავმოყვარეობის ცეცხლზე დავწვა ჩემი მცირე დამსახურება. მე ხშირად ვაღებდი საპყრობილის კარებს, ვალტერ, ვხედი სასიკვდილო განაჩენებს, არაერთხელ შემომოკლებია სამუდამო კატორღის საშინელება. ჩემი ცრემლებით მალამოს ვადებდი განუკურნებელ ჭრილობათ! ვანადგურებდი ძლიერ ბოროტმოქმედთ და ჩემი ხასურთი ცრემლებით არაერთხელ მომიგია უდანაშაულოთა წაგებულის საქმე. ოჰ, ვალტერ! რა ტკბილი იყო ყოველივე ეს! რა სიამაყით შეუძლია ჩემს გულს უკუაგდოს ყოველი ბრალდება! და შეცირვ გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც ყველაფერი ამისათვის უნდა დავეჯილდოვებინე, ადამიანი, რომელც ჩემმა უმოწყალო ბედმა ჩემს განჯილ ტანჯვითა ჯილდოდ ზომილჩინა, ადამიანი, რომელსაც ოცნებაში აღმოდებულნი ვნებთ უკვე გულში ვიხუტებდით...

ფერდინანდი — (ძლიერ აღვლებული შეაჩერებს მას) კმარა! კმარა!

თქვენ პირობა დაარღვიეთ! თქვენ მხოლოდ ბრალდებიდან უნდა გემართლებინათ თავი და გასურთ ბოროტმოქმედად და- მსახოთ. შეიბრალებთ ჩემი გული, გემუდარებით, შეიბრალებთ! მას სირცხვილი ღრღნის და სინდისი მწვავედ ქენჯნის.

ლ ე დ ი — (მაგრად მოკიდებს ხელს ხელზე) ახლა ან არასოდეს! დიდხანს ვუძლებდი მე როგორც გმირი... მაგრამ შენ უნდა იგრ- ძნო ამ ცრემლების სიმწვავე! (ნახად) ყური დამიგდე, ვალტერ, როდესაც შენდამი უძლეველი ტრფობით შეპყრობილი უბე- დური ქალი შენს მკერდს მკერდით ეალერსება, აღვსილი მხურვალე, უშრეტო სიყვარულით, ნუთუ აქაც შენ ენას მო- ადგება ცივი სიტყვა „პატიოსნება“, როდესაც ეს უბედური, სირცხვილით დამწვარი, მიწას განრთხმული გარყვნილებას ზურგს უბრუნებს, გმირულად ყველა სიქველეს ეხმაურება, აი ეს შენს მკერდს ეკონება (ეხუტება მას, წრფელი ხმით და მუ- დარი) და შენგან ელის ხ ს ნ ა ს, ზეცას დაბრუნებას, ნუთუ... (პირს იბრუნებს, ყრუ აკანკალბული ხმით) ნუთუ ამ ბედ- შავმა ქალმა პირი უნდა აგარიდოს, სასოწარკვეთის ხმას დაუ- ჟეროს და უფრო საშინელი გარყვნილების მორევს დანებ- დეს?

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (ძლიერ არეული, ცდილობს თავი დააღწიოს მის ხვევ- ნს) არა, ვფიცავ ყოვლისშემძლე ღმერთს, ამას ველარ ავიტან! მილედი, მე უნდა... ჩემი სინდისი მოითხოვს ჩემგან... უნდა გა- მოგიტყდეთ, მილედი!

ლ ე დ ი — (გაუბრის) ახლა არა; ახლა არა, გემუდარებით, გე- ფიცებთ რაც თქვენთვის უძვირფასესია, ახლა ჩემი გული ისე- დაც სისხლით იღვრება ათასი ჭრილობით. ჩემი სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხიც რომ წყდებოდეს, არ შემიძლია, თქვენ აღსარებას ვერ მოვისმენ.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — არა, არა, ძვირფასო ლედი! უნდა მომის- მინოთ... ჩემი აღსარება თქვენს თვალში ჩემს დანაშაულს შეამ- ცირებს და გულწრფელი თხოვნა იქნება, მაპატიოთ. მე შეე- ცდი, მილედი... მე მოველოდი და მწყუროდა ჩემი ზიზღი და- ზემსახურებინათ. აქ მტკიცე გადაწყვეტილებით მოვედი, რა- თა შეურაცხყოფა მომეყენებინა და თქვენში სიძულვილი გა- მომეწვია. ჩემი განზრახვა რომ გამართლებულიყო, ჩვენ ორი- ვე ბედნიერი ვიქნებოდით (ცოტაოდენი სჩუმის შემდეგ, უფრო და- ბალი ხმით და მორცხვად) მე მიყვარს, მილედი, მიყვარს მ დ ა- ბ ი ო ქ ა ლ ი ლუიზა მილერი, მუსიკოსის შვილი (ლედი პირს

იბრუნებს, ფერი მისდის, ვალტერი განაგრძობს დიდი ალტაცებით) ვიცი, რაც შელის. მაგრამ თუ გონება ვნებას დაახშობს, მით ხმამალა ამეტყველდება მოვალეობა. მე ვარ დამნაშავე, მე პირველმა დავარღვიე მისი უმანკოების ნეტარი მყუდროება, მის გულს წარბეჭატი იმედებით ვაწყნარებდი, მე ვერაგულად ჩავაგდე ის მწვავე ვნების ალში, იქნებ მომავალთ ჩემი წოდება, ჩემი აზნაურობა, მინისტრი მამა? მაგრამ მე მიყვარს ჩემი სიყვარული მით უფრო გაბედულია, რამდენადაც ღრმა არის ჩვენ შორის საზოგადოებრივი ცრურწმენით ამოთხრილი უფსკრული. ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს: ც რ უ რ წ მ ე ნ ა თუ ადამიანობა? (ღვდი შორს, ოთახის კუთხეში დგას და თვალმტყ ხელები აუფარებია. ვალტერი მიდის მისკენ). თქვენ გსურთ რალაც მითხრათ, მილედი?

ლ ე დ ი — (ღრმა მწუხარების გამოხმატველი ხმით) არაფერი, ბატონო ვალტერ, არაფერი, გარდა იმისა, რომ თქვენ თავსაცა ლუპავთ, მეც და მესამესაც.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — მესამესაც?

ლ ე დ ი — ჩვენ ერთმანეთთან ბედნიერები ვერ ვიქნებით, მაგრამ მოვალენი ვართ მამათქვენის გადაწყვეტილებას დავემორჩილოთ. ვაგლახ მე!... ვერასოდეს დავეუფლები იმ კაცის გულს, რომელმაც თავისი ხელი ძალაუნებურად მომცა!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — ძალაუნებურად, მილედი? ხელი ძალაუნებურად მოგკათ? თქვენ შეგიძლიათ ხელი მთხოვით უგულოდ? შეგიძლიათ მოსტაცოთ საბრალო ქალს კაცი, რომელიც მისთვის ქვეყნად ფასობს? მოსტაცოთ კაცს ქალი, რომელიც მისთვის მთელ ქვეყნად ფასობს? თქვენ, მილედი, ამ ერთი წუთის წინათ გ ა ნ ც ვ ი ფ რ ე ბ ი ს ღ ი რ ს ი ბ რ ი ტ ა ნ ე ლ ი, მზად ხართ ეს ჩაიდინოთ?

ლ ე დ ი — იძულებული ვარ ეს ჩავიდინო. (სერიოზულად, მკაფიოდ) ჩემს ვნებას, ვალტერ, თქვენდამი ჩემი ნაზი გრძნობა არ ჩამოუვარდება, მაგრამ ჩემ პატიოსნებას მსხვერპლად ვერ გავწირავ. გესმით, მთელი საჰერცოგო ჩვენი ქორწინების შესახებ ლაპარაკობს! ჩემსკენ იქნება მომართული ყველა თვალი, ყველა ისარი, ყოველი დაცინვა. ველარაფრით მოვიშორებ ლაქას, უკეთუ ჰერცოგის ქვეშევრდომი უარსა მყოფ. ებრაძოლეთ მამათქვენს, დაიცავით თქვენი თავი, როგორც შეგიძლიათ. მე ყველა ნაღმებს ავაფეთქებ! (ღვდი ჩქარა გადის. ფერდინანდი განციფრებულია, პაუზა. შემდეგ ფერდინანდი სწრაფად გადის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო თ ხ ე

ოთახი მუსიკოსი მილერის სახლში.
მილერი, მისი ცოლი და ლუჩა.

მილერი — (წერფიულად დადის ოთახში) მე ამას წინდაწინვე ვგრძნობდი!..

ლუჩა — (შეშინებული მივარდება მამას) რა მოხდა, მამაჩემო?

მილერი — (გიჟივით დრბის ოთახში) მომეცით ჩემი საგარეო სურთუქი! ჩქარა! უნდა დავასწრო მას! მანუეტებიანი თეთრი პერანგიც! ეს მე მაშინვე გავიფიქრე.

ლუჩა — ღვთის გულისათვის, მითხარი რა მოხდა?

ცოლი — რა ამბავია, რა მოხდა?

მილერი — (იატაკზე დაანარცხებს პარიკს) ახლავე წაიღეთ ეს პარიკმახერთანი!... რა მოხდა? (შიობენს სარკესთან). წვერი ისევ ჯაგარივითა მაქვს. რა მოხდა? რა უნდა მომხდარიყო, ეშმაკის კერძო! ყველაფერი თავდაყირა დავმხო, თავდაყირა დავამხოს ჩემმა გამჩენმა.

ცოლი — ახლა ყველაფერი მე დამაბრალე.

მილერი — მაშ ვის დავაბრალე, ბელზებელის ტიკინავ, ამ დილით შენ არ ატარტალებდი ენას, იმ ეშმაკის კერძ ბატონიშვილზე?! ვურმს უკვე ულაცუნია.

ცოლი — რაო? საიდან იცი?

მილერი — საიდან ვიცი? გაიხედე გარეთ, პრეზიდენტს კაცი გამოუგზავნია.

ლუჩა — დავიღუპე.

მილერი — შენც კიდევ, შენი უმანკო თვალებით! (შწარფ იციონის) ტყუილად კი არ უთქვამთ, ლამაზი ქალის დაბადებაში ეშმაკის ხელი ურევიაო... ახლა გახდა ეს ჩემთვის გასაგები.

ცოლი — კი, მაგრამ რა იცი, რომ ლუჩას გამო გეძახიან? იქნებ, ჰერცოგს ვინმემ ურჩია და ორკესტრში სურს მივიღოს.

მილერი — (ხელს წაავლებს ჯოხს) მეხი დაგეცეს თავზე! „ორკესტრში“! დიახ, ორკესტრში, სადაც შენ დისკანტით იწრიპინებ და ჩემი დალურჯებული უკანალი კონტრაბასი იქნება! (აივანზე დაეცემა). ღმერთო მოწყალეო!

ლუჩა — (საშინლად გაფითრებული ჯდება) დედა! მამა! რატომ მეშინია ასე?

მილერი — (წამოხტება) ოჰ, ერთი ის კანცელარის ვირთხა ჩამივარდებოდეს სადმე ხელში! ერთი სადმე ბნელ კუთხეში

შემხდებოდეს. ამ ქვეყნად იქნება თუ იმ ქვეყნად, კაცი არ ვიყო, თუ ის მარილივით არ დავნაყო, მის ტყავზე ათივე მცნება, „მამაო ჩვენოს“ შეიდივე შენდობა, მოსესა და სხვა წინასწარმეტყველების წიგნები არ დავაწერო, და ისე არ დავალილო, რომ მეორედ მოსელამდე აჩნდეს...

კოლი — იღრინე და ილანძღე რამდენიც გინდა, ამით საქმეს ვერ უშველი! ღმერთო, შენ დაგვიფარე, რა ვქნათ ახლა? რა გვეშველება? ვის მივმართო? თქვი რამე, კაცო! (წუწუნით დარბის ოთახში).

მილერი — ახლავე წავალ მინისტრთან! თვითონვე დავუწყებ ლაპარაკს ამის შესახებ და ყველაფერს მოვახსენებ. შენ ეს ამბავი ჩემზე აღრე იცოდი. უნდა მიგეხვედრებინე. კიდევ შეიძლებოდა ამ გოგოს ჭკუაზე მოყვანა, კიდევ არ იყო გვიან. მაგრამ, გამიგონია?! შენ გამოსარჩენს ელოდი, გეგონა ხელს მოითბობდი და ცეცხლზე ნავთს ასხამდი. ახლა მიიღე გასამრჯელო, მაქანკალო, თვითონვე იგემე შენი დამზადებული ფაფა, მე კი ჩემი ქალით ჰაიდა უცხოეთში!

გ ა მ ო ს ე ლ ა მ ე ხ უ თ ე

იგივენი და ფერდინანდო ფონ ვალტერი, შ.წინებული, ქლოშინით შემოვარდება ოთახში.

ფერდინანდი — მამაჩემი აქ იყო?

ლუიზა — მამათქვენი?

კოლი — პრეზიდენტი? დავილუპეთ!

მილერი — (მწარედ იცინის) მადლობა ღმერთს!

ესეც თქვენი შაბაში!

ფერდინანდი — (ლუიზას მივარდება და გულში შაგრაღ ჩაიკრავს) ჩემი ხარ, თუნდაც ჩვენს შორის ცა და დედამიწაც ჩადგეს.

ლუიზა — არა, ჩემი ბედი გადაწყვეტილია. შენ საშინელი სახელი ახსენე. მამაშენი...

ფერდინანდი — ნუ შეშინდები! ყველაფერი თავის რიგზეა, ჩვენ კვლავ ერთად ვართ... მომასვენე შენს მკერდზე... ო, ეს საშინელი წუთები!

ლუიზა — რომელი? ნუ მკლავ, ფერდინანდ, მითხარი, რა მოხდა?

ფერდინანდი — (შუაბ დაიხვეა და დაკვირვებით უცქერის ლუიზას) იყო წუთები ლუიზა, როდესაც ჩემს გულსა და შენს შორის უცხო აღამიანი ჩადგა, როდესაც ჩემი სიყვარული მზად იყო

ჩემი სინდისის წინაშე უკან დაეხია, როდესაც ლუიზა აღარ იყო. ყველაფერი ფერდინანდისთვის (ლუიზა თვალბზზე ხელს აიფარებს და სავარძელში ჩავარდება. ფერდინანდი სწრაფად მიდის მსთან, დააშტერდება, შემდეგ უცაოდ მოცილდება უარესად აღფლავებული) არა, არასოდეს, მიღედი, ეს შეუძლებელია, ამ უმანკო არსებას მსხვერპლად ვერ შეგწირავ, არა, ვფიცავ ღმერთს! არ შემიძლია გავტეხო ფიცი, რომელსაც ცის ქუხილივით მაგონებს ეს ჩამქრალი ცქერა. შეხედეთ მას, ლედი! შეხედეთ მას, გულქვა მამე! შემიძლია სასიკვდილოდ გავწირო ეს ანგელოზი? შემიძლია ჯოჯოხეთური ტანჯვა მივაყენო მის ღვთიურ გულს? (გაბედულად მიუხალოვდება ლუიზას) მე წარვადგენ მას ზეციური მსაჯულის ტახტის წინაშე, დეე, ყოვლად ძლიერმა მოთხრას დანაშაულია თუ არა ჩემი სიყვარული. (ხელს მოხვევს და ზეჟე ააყენებს) გამხნედი, ძვირფასო! შენ გაიმარჯვე. სახიფათო ბრძოლიდან გამარჯვებული ვბრუნდები.

ლუიზა — ფერდინანდ, ნურას დამიძალავ. წარმოსტევი საშინელი განაჩენი, შენ ახსენე მამა, შენ ლედი ახსენე, შიშს შეუბყრია ჩემი გული, ამბობენ, ის თხოვდებო...

ფერდინანდი — (მოცეკროვით ვარდება მის ფეხებთან) დიახ, მე კი მისი საქმრო გახლავარ.

ლუიზა — (მაუზის შემდეგ წყნარი, აკანკლებული ხმით, მაგრამ მშვიდად) რის შემეშინდა? მოხუცმა მამამ ხომ არაერთხელ გამაფრთხილა, მე არ ვუჯერებდი. (გაჩუმდება, შემდეგ ქვითინით გაქანება მამისაკენ) მამა, შენი ქალი კვლავ შენთან არის!.. შემინდე, მამაჩემო! შენი შვილი არაა დამნაშავე, რომ სიზმარი ასე წარმტაცი იყო და ასე საშინელია ახლა გამოფხიზლება.

მიღერი — ლუიზა, გოგო, ღმერთო ძლიერო! გრძნობა დაკარგა!... ჩემი საბრალო ბავშვი! წყეულიც იყავ, მაცდურო! წყეულიც იყავ, შენ, კუდიანო მაჰანკალო!

ცოლი — (ტარილთ მივარდება ქალს) შვილო ლუიზა, განა ეს წყევლა დავიმსახურე? ღმერთმა გაპატიოს ბარონო! რა დავიშავათ ამ ანგელოზმა, რისთვის ჰკლავთ ამ საცოდავ კრავს?

ფერდინანდი — (გაბედულად მიიჭრება ლუიზასთან) არა, მე დავამსხვრევ მის ცბიერებას, დავგლეჯ რკინის ჯაჭვებს ცრურწმენისა. თავისუფალი ვფაკაცის მსგავსად იმას ავირჩევ, ვინც ჩემს გულს უნდა, რომ მდაბალი სულის მქონე კაცუნებს თავბრუ დაასხას ჩემი სიყვარულის გოლიათურმა სიმამაცემ (აპირებს წასვლას).

ლ უ ი ზ ა — (ცახკახებული დგება სივარქლად და მიდის ფერდინანდისაკენ).

მოიცა! შეჩერდი! სად მიდიხარ? მამა! დედა! ამ საშინელ წუთებში იგი გეტოვებს?

ცო ლ ი — (მიიბის ფერდინანდთან და არ უშვებს) მალე აქ პრეზიდენტი მოვა.. იგი არ დაინდობს ჩვენ გოგონას, არც ჩვენ დაგინდობს და თქვენ ახლა გეტოვებთ, ბატონო ფონ ვალტერ?

მი ლ ე რ ი — (მწარედ იცინის) გეტოვებს! რატომაც არა! რატომაც არა! მან ლუიზასაგან ზომ ყველაფერი მიიღო! (ერთი ხელით მაიორს დაიჭერს, მეორეთი ლუიზს) მოთმინეთ, ბატონო ჩემო! აქედან მაშინ წახვალთ, როცა ჩემს ცხედარს გადააბიჯებთ! თუ შენ სალახანა არა ხარ, დაელოდე მამაშენს, უამბე მას, როგორ შეძვერი ამ გოგოს გულში, მატყუარავ, ანდა დღის გულისათვის... (გაბორტვებით მიანარცხებს მას ლუიზას) ჯერ გასკულიტე ეს საცოდავი ჭია, რომელიც შენდამი სიყვარულმა ასეთ შერცხვენამდე მიიყვანა!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (მობრუნდება და ღრმად ჩაფიქრებული დადის წინ და შუან) მართალია, დედა ძალა პრეზიდენტისა, ფართოა ცნება მამის უფლებებისა, მის ნაოჭებში შეიძლება დაიფაროს ყველაფერი, თვით დანაშაულიც კი, მაგრამ სიყვარული უფრო ძლიერია. მოდი ჩემთან, ლუიზა! მომეცი ხელი. (ძალით იღებს მის ხელს) როგორც ის მწამს, რომ სიკვდილის უამს ღმერთი არ მიმატოვებს, ისევე მჯერა, რომ ის წამი, რომელიც განაშორებს ჩვენს ხელებს, გასწყვეტს იმ ძაფსაც, რომელიც მაკავშირებს ქვეყანასთან.

ლ უ ი ზ ა — მეშინია, ნუ მიცქერი! ტუჩები გიკანკალებს, საშინლად აბრიალებ თვალებს!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — არა, ლუიზა! ნუ ცახკახებ! მე სიგიჟე არ მალაპარაკებს. ზეცის მიერ ბოძებული ძვირფასი საჩუქარია მიიღო გადააწყვეტილებათ იმ მნიშვნელოვან წუთში, როცა გაუგონარი ძალთახმევა გჭირდება, რომ შეხუთულმა გულმა თავისუფლად ამოისუნთქოს. მე შენ მიყვარხარ, ლუიზა. შენ ჩემი უნდა გახდე, ლუიზა! ახლა კი მამაჩემთან! (ნირბის, კარებში შეეჯახება პრეზიდენტს).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ე ქ ვ ს ე .

იგივენი და პრეზიდენტი თავისი მხლებლებით.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (შემოდის) ის უკვე აქ ყოფილა.
(ველა შეშინებულია)

ფერდინანდი — (რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხვეს) დიახ, აქ, ჰა-
ტიოსანი ხალხის ქერქვეშ.

პრეზიდენტი — სადაც ვაჟი მამის მორჩილებას სწავლობს?

ფერდინანდი — ნება მომეცით...

პრეზიდენტი — (აღარ აცლის, მიმართავს მილერს) შენ ხარ მამა?

მილერი — დიახ, მუსიკოსი მილერი.

პრეზიდენტი — (მის ცოლს) შენ დედა ხარ?

ცოლი — დედა, თქვენო ბრწყინვალეებავ.

ფერდინანდი — (მილერს) მამა, ქალი გაიყვანეთ, მას მა-
ლე გული წაუღვა.

პრეზიდენტი — ზედმეტად ზრუნავ! გონს მოვიყვანთ. (მი-
მართავს ლუიზას) დიდი ხანია იცნობთ პრეზიდენტის ვაჟს?

ლუიზა — მე არ მიკითხავს მისი ვინაობა, ფერდინანდი დადის
ჩემთან ნოემბრის თვიდან.

ფერდინანდი — და აღმერთებს მას.

პრეზიდენტი — პირობა მოგცა?

ფერდინანდი — დიახ, უწმინდესი ფიცით განმტკიცებულ
და სულ ამ რამოდენიმე წუთის წინათ.

პრეზიდენტი — (ვაჟს, ოისხვით) მოითმინე, მალე დაგიძახებენ
შენი შეშლილობის აღსარებისათვის. (მიმართავს ლუიზას) პა-
სუხს ველი.

ლუიზა — მან სიყვარული შემომფიცა.

ფერდინანდი — და ფიცს არ გასტეხს.

პრეზიდენტი — (ფერდინანდს) გაჩუქდები თუ არა, ბოლოს
და ბოლოს! (ლუიზას) და შენც ეს ფიცი დაიჭერე?

ლუიზა — (ნახად) ამითვე ვუპასუხე.

ფერდინანდი — (გაბედულად) ჩვენი კავშირი მარადიულია!

პრეზიდენტი — ვუბრძანებ, რომ აქედან გაგაგდონ. (გაბო-
როტებული, ლუიზას) მაგრამ, იმედი მაქვს, ის ყოველთვის ნაღ-
დით გიხდრდით?

ლუიზა — (არგულად) არ მესმის, რას მეკითხებით?

პრეზიდენტი — (ბოროტი ღიმილით) არ გესმის? მინდოდა მე-
თქვა, რომ ყოველი ხელობა სასყიდელს მოითხოვს და შენც
იმედი მაქვს უსასყიდლოდ არ უმასპინძლდებოდი ამ ვაჟბა-
ტონს შენი ალერსით, ან, იქნებ მხოლოდ მიღებული სიამოვნებით
კმაყოფილდებოდით, ა?

ფერდინანდი — (გააფთრებული მივარდება მამას) ეშმაკმა დალაზ-
ვროს! რას ამბობ?

ლ უ რ ჯ ა — (მამიძის შტუკენუღად და ღირსებით) ზატონი ვალტერა!
ამერიიდან თავისუფალი ხართ!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — მამა! უმანკოება გლახის სამოსელში კეთილ-
შობილი ადამიანისაგან პატივისცემას მოითხოვს!

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (ბარბარეს) კარგი მოგონებაა! მამა უნდა
პატივსა სცემდეს ვაჟის საყვარელს.

ლ უ რ ჯ ა — ღმერთო მოწყალეო! (აუაწაული დაეცემა).

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (პრეზიდენტს ხმალს მოუღოფეს, მაგრამ მაშინვე
ძირს დაუშვებს) მამა! მოვალე ვიყავი თქვენი, რომ სიცოცხლე
მომანიჭეთ — ახლა ვალი გასტუმრებულია (ჩასდებს ხმალს ქარ-
ქაშში), თქვენდამი ჩემი მორჩილების მოვალეობა დარღვეუ-
ლია.

მ ი ლ ე რ ი — (აქამდე შეშინებული გვერდზე მდგარი წინ წ მოიწევს და ლა-
პარაკობს კბილებს კრაჭუნით) თქვენო აღმატებულებავ! შეილი
მამის სისხლი და ხორცია! ბოდის ვიხდით, მაგრამ ვინც
ქალს შეურაცხოფს, მამას ასილაქებს და სილას სილითვე
უპასუხებენ, ბოდის ვიხდი და ასეთია ჩვენი ნიხრი!

ც ო ლ ი — ღმერთო გვწყალობდე! დავიღუპეთ! მოხუცსაც კარგ
დღეს არ დააყენებენ.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (არც კი გაუგონია სიტყვები) ა! მაქანკალიც გა-
მოჩნდა. შენც ახლავე მოგელაპარაკებთ!

მ ი ლ ე რ ი — ბოდის მოვითხოვ, მე მიღერს მიძახიან, თუ გსურთ
ადაჯიო მოისმინოთ — ინებეთ, მაქანკლობა ჩემი საქმე არ არის.
ამ ჯურის ხალხი ჯერ-ჯერობით სასახლეშიც ბლომიდა გყავთ.
ჩვენი, მეშხანების, დახმარება არ გჭირდებათ, ნუ განმირისხ-
დებით.

ც ო ლ ი — ღვთის გულისათვის, ბერიკაცო, ნუ ლუბავ ცოლსა და
ქალს!...

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — მამაჩემო, თქვენ აქ ისეთ როლს თამაშობთ,
რომ უკეთესი იყო მოწმეები არ გყოლოდათ.

მ ი ლ ე რ ი — (იუხლოვდება პრეზიდენტს) კარგად და პატიოსნად არის
ნათქვამი, თქვენო აღმატებულებავ, ბოდის მოვითხოვ, მა-
გრამ იმბრძანებლეთ საპერცოგოში, როგორც გენებოთ, აქ კი
ჩემი სახლია. მდაბლად თავს დაგიკრავთ, თუ არზის შემოტანა
დაგვეკირდება, დაუპატიჟებელ სტუმარს კი ნურას უკაცრა-
ვად, ღირეს იქით გადავისვრით! ბოდის ვიხდი!

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (ბოახით გაფითრებული) რაო? (მოუახლოვდება მი-
ღერს)

მ ი ლ ე რ ი — (ნელა-ნელა უკან იხევის) ასეთია ჩემი აზრი, თქვენო აღმატებულებავ, ბოდიშს ვიხდი.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (გაცოფებული) ა, მაწანწალა! შენი უტიფარი აზრებით საპყრობილეში დაგალობ! ჰეი! დაუძახეთ პოლიციას! (ხოგი მოსამსახურე გადის პრეზიდენტი გაცოფებული ოთახში მიდი-ოდის) მამა საპყრობილეში! დედა და კახა ქალი სამარცხენო ბოძზე! მართლმსაჯულება მოუნახავს გზას ჩემს მრისხანებას. ასეთი შეურაცხყოფისათვის მკაცრ სასჯელს მოვითხოვ! ამისთანა ნაძირალებმა უნდა ჩამიშალონ გეგმები და დაუსჯელად გადაჰკიდონ ერთმანეთს მამა და შვილი? ჩემს მრისხანებას თქვენი დაღუპვით დავაოკებ. მთელ თქვენ მოდგმას — მამას, დედას და შვილს — ჩემ დაუცხრომელ შურისძიებას შევწირავ!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (მშვიდად და მტკიცედ ჩადგება პრეზიდენტსა და მილერს შორის) ნუ შეშინდებით! ეს არ მოხდება, მეც თქვენთანა ვარ! (მუბრუნდება პრეზიდენტს მორჩილებით) აგრე ნუ აჩქარდებით, მამაჩემო! თუ თქვენთვის სიკეთე გინდათ, ძალმომრეობას ნუ მიმართავთ! ჩემს გულში არის კუნჭული, სადაც სიტყვა „მამა“ ჯერ არ გაგონილა, ნუ შეახებთ მას ხელს.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — გაჩუმდი, გარეწარო! მეტისმეტად ნუ გამაცეცხლებ!

მ ი ლ ე რ ი — (გამოერკვევა მიძიმე მდუმარებისაგან) ყური უგდე გოგოს, დედაკაცო! მე ჰერცოგთან გავიქცევი. სასახლის მკერავი — თვით ღმერთმა ჩამაგონა ეს აზრი — სასახლის მკერავი ჩემთან სალამურის დაკვრასა სწავლობს, ის დამეხზარება, ჰერცოგამდე მივალწო (უნდა გავიდეს).

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — ჰერცოგამდე! ალბათ გავიწყდება, რომ მე ვარ ღირე, რომელსაც იქ მისგლამდე უნდა გადააღაჯო და ან კისერი მოიტეხო. ჰერცოგამდეო? უტიფრო! სცადე, ცოცხლად დაგმარხავ ჯურღმულში, სადაც ღამე და ჯოჯოხეთი ერთმანეთს ეთამაშებიან, სადაც ხმა არ ისმის და სინათლე ვერ აღწევს. აჩხარუნე მაშინ ჯაჭვები და შესჩივლე ღმერთს, რომ ასეთ დღეს მოესწარ!

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე შ ვ ი დ ე .

იგივენი და პოლიციელები.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (მივარდება ლუიზას, რომელიც გულშეუფხვებული მის მკლავებზე დაესვენება) ლუიზა! მიშველეთ! დამეხმარეთ! შიშისა-

გან გული წაუვიდა!.. (შიტერი დასწვდება თავის ჯიბს, დაიხურავს ჭურჭელს და თავდაცვის პოზიციას მიიღებს. მილერის ცოლი პრეზიდენტს ფეხებში ჩაუვარდება).

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (პოლიციელს უჩვენებს თავის ორდენს). ჰერცოგის სახელით! დაატუსაღეთ! მოწორდი მაგ გომბიოს, ლაწირაკო! გულწასვლით არაფერი დაუშავდება. როცა რკინის საყელის გაუკეთებენ და ქვების სროლას დაუწყებენ, მალე მოვა გონს.

ცოლი — მოწყალება იქონიეთ, თქვენო აღმატებულებავ! მოწყალება იქონიეთ, შეგვიბრალეთ!

მილერი — (გაბრაზებული ცოლს ააყენებს) დედაბერო, ღმერთს შეევედრე, არა არამზადას! სულერთია, ციხეს ვერ ავცდებით.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (ტუჩებს იკვნებს) გაფრთხილდი მაწანწალა, სახრჩობელაზე არ ჩამოგაკონწილონ. (მიუბრუნდება პოლიციელებს) რა გითხარით?

(პოლიციელები ლუიზას შემოეხვევიან)

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (წამოხტება და ლუიზას ჩამოეფარება) ვინ გაბედავს? (აიღებს ხმაღს ქარქაშით და ხმლის ყუას მოიღვრებს) მას ხელს ის შეახებს, ვისაც პოლიციისათვის თავიცი მიუყიდნია. (პრეზიდენტს) თქვენი თავი გეცოდებოდეთ, მამაჩემო! უკიდურესობამდე ნუ მიმიყვანთ!

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (მუქარით, პოლიციელებს) მხდალებო, თუ თქვენ პური ძვირად გლირთ... (პოლიციელები კვლავ მიუახლოვდებიან ლუიზას).

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — შორს, სულთამხუთაეებო! გელაპარაკებიან შორს! მამა, კვლავ გთხოვთ, თავი გებრალებოდეთ, უკიდურესობამდე ნუ მიმიყვანთ!

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (აკოვებელი მიმართავს პოლიციელებს) ეს არის თქვენი ერთგულება, არამზადებო! (პოლიციელები გაბედულად ჩაქიდებენ ხელს ლუიზას).

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — თუ ესეა... (ამოიღებს ხმაღს და რამდენიმე პოლიციელს დაჰკრის) მაპატიე, ზეციერო მსაჯულო!

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (კოჰმორეული) ვნახოთ, მეც შემეხება ეგ ხმალი თუ არა? (თვით წააქვებს ხელს ლუიზას, აიყვანს და პოლიციელს გადასცემს).

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (მწარე სიცილით) მამა! მამა! თქვენ უხეში პასკვილი ხართ ღვთაებისა, რადგან იგი კარგი ჯალათისაგან ცუდ მინისტრსა ქმნის.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (პოლიციელებს) წაიყვანეთ!

ფერდინანდი — მამა, ეგ სამარცხვინო ბოძთან დადგება, მაგრამ პრეზიდენტის ვაჟთან ერთად! თქვენ ამას კვლავ მოითხოვთ?

პრეზიდენტი — მით იშვიათი იქნება სანახაობა. წაიყვანეთ! ფერდინანდი — მამა, ჩემ ოფიცრის ხმაღს ამ გოგონას ფეხქვეშ დავუდგებ. თქვენ დაჟინებით მოითხოვთ?

პრეზიდენტი — შენი ხმალი შენზედაც სირცხვილს შეჩვეულია! წაიყვანეთ! წაიყვანეთ! გესმით ჩემი განკარგულება.

ფერდინანდი — (ხელსა ჰკრავს ერთ პოლიციელს, ერთ ხელს მოხვევს ლუიზას და მეორე ხელით ლუიზას ხმაღს მოუდერბებს). მამაჩემო, ვიდრე ჩემს მეუღლეს შეარცხვენდეთ, ვარჩევ ამ ხმლით მოვუსპო მას სიცოცხლე! თქვენ კვლავ დაჟინებით მოითხოვთ?

პრეზიდენტი — რა ვუყოთ, თუ შენი ხმალი გალესილია...

ფერდინანდი — (ლუიზას ხელს გაუშვებს და სასოწარკვეთით ადაპკრობს თვალებს ზეცისაკენ) შენ მოწმე ხარ ზეციერო! ყველა ადამიანურ საშუალებას მივმართე, ახლა ეშმაკს მივმართავ, წაიყვანეთ სამარცხვინო ბოძისაკენ და ამასობაში კი (პრეზიდენტს ყურში ჩაჰყვიროს) მთელ ქალაქს ვუამბობ, თუ როგორ აღწევენ პრეზიდენტობას. (ჩქარა მიდის).

პრეზიდენტი — (თავბარდაცემული) როგორ? ფერდინანდი! გაუშვიტ ქალი! (ამოუდგება წაიროს).

მოქმედება მესამე.

გამოსვლა პირველი.

დარბაზი პრეზიდენტის სასახლეში.

შემოდინ პრეზიდენტი და მდივანი ვურში.

პრეზიდენტი — ცუდი ამბავია!

ვურში — მეც ამისი მეშინოდა, თქვენო აღმატებულება, ძალმომრეობა ყოველთვის ბრახსა ჰგვრის მეოცნებეთ და აროდეს მოჰყავს გონს.

პრეზიდენტი — ყველა იმედს ამ გეგმაზე ვამყარებდი. ვფიქრობდი, საცოლეს შეურაცხყოფდი და ის, როგორც ოფიცერი თავს დაანებებდა.

მ უ რ მ ი — მშვენიერია, მაგრამ უსკანდალოდ სულერთია არ გა-
თავდება.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — და მაინც, ახლა, როცა დამშვიდებით ვფი-
ქრობ, არ უნდა დამეთმო, ის თავის მუქარას არ შეასრუ-
ლებდა.

გ უ რ მ ი — მაგას ნუ იფიქრებთ! გაცეცხლებული გრძნობა ყო-
ველგვარ სიგიჟეს ჩაიდენს, თქვენ ბრძანებთ, მაიორს
თქვენი მმართველობა არ მოსწონდა და უკმეხად მუდამ თავს
იქნევდა. სავსებით თანახმა ვარ. აკადემიიდან მის მიერ მოტა-
ნილი აზრები თავიდანვე ფუქსავატურად მეჩვენებოდა. რა ფასი
აქვს ფანტასტიკურ იდეალებს, დიდსულოვნებასა და პირად
კეთილშობილებაზე სასახლეში, როდესაც უმაღლესი სიბრძნე
ის არის, რომ ერთსა და იმავე დროს იყო დიდიც და დაბალიც?
თქვენი ვაჟი მეტად ახალგაზრდაა და ფიცხი. მას არ უყვარს გრძე-
ლი, დახლართული ინტრიგების გზა, მხოლოდ რაღაც დიადს და
არაჩვეულებრივს შეუძლია გაიტაცოს მისი პატივმოყვარეობა.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (გაჯავრებით) რა აქვს საერთო მაგ ღრმა-
აზროვან შენიშვნებს ჩვენს საქმესთან?

გ უ რ მ ი — იგი უჩვენებს თქვენ აღმატებულებას სნეულებასაც
და წამალსაც. ბოდიშს ვიხდი, ასეთი ხასიათის ადამიანს ან არ
უნდა დაუმეგობრდეთ, ან არ უნდა წაეჩხუბოთ. მას ეზიზღება
გზა, რომლითაც თქვენ ამალდით, შესაძლებელია მამშვი-
ლური მოვალეობა აქამდე ნებას არ აძლევდა ხმა ამოელო, მა-
გრამ მიეცით კანონიერი საბაბი განთავისუფლდეს მოვალეო-
ბისაგან. დაარწმუნეთ მისი გრძნობა მუდმივი დევნით, რომ
თქვენ არა ხართ ნაზი მამა და მამინ მისი მოქალაქეობრივი მო-
ვალეობა ხმამალა ამეტყველდება. მარტო უცნაური ფანტა-
ზია — მართლმსაჯულებას ასეთი შესანიშნავი მსხვერპლი მო-
უტანოს — გაიტაცებს მას რომ მამა გასწიროს.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — ვურმ, შენ საშინელი უფსკრულის პირს მი-
გყავარ.

გ უ რ მ ი — მევე მოგაშორებთ ამ უფსკრულს. თქვენო ბრწყინ-
ვალეობავ, ნებას მიბოძებთ, გულახდილად გელაპარაკოთ?

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (ჯდმა) როგორც მისჯილი თავის ამხანაგს.

გ უ რ მ ი — მაშ, მაპატიეთ, თქვენ პირველ მინისტრობას, მე მგო-
ნია, კარისკაცის მოქნილ ხელოვნებას უნდა უმაღლოდეთ. რა-
ტომ არ გამოიყენეთ იგი შვილის მიმართაც? მახსოვს, როგორ
გულწრფელობით აჯერებდით თქვენ წინამორბედს თქვენთან

ერთი ხელი ბრიჯი ეთამაშნა, თითქმის მთელი ღამე მასთან გაატარეთ, მეგობრულად სვამდით ბურგუნდიის ღვინოს, იმ ღამეს კი თქვენ მიერ მისთვის ჩადებული ნაღმი უნდა აფეთქებულიყო. რატომ გაუშხილეთ თქვენ შვილს, ვინ იყო მისი მტერი? მას არ უნდა სცოდნოდა, რომ მე ვიცოდი მისი ტრფობის საგანი. ამ რომანისათვის ძირი ქალის მხრიდან უნდა გამოგეთხარათ. ფერდინანდის გული ხელუხლებლად დაგეტოვებინათ. თქვენ იმ ჰევიანი გენერლის როლი უნდა გეთამაშნათ, რომელიც მტრის მთავარ ძალას კი არ დაესხმის თავს, არამედ მის ნაწილებში თესავს უკმაყოფილებას.

ბ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — როგორ?

გ უ რ მ ი — სულ უბრალოდ — ჯერ საქმე კიდევ არ არის მთლად წაგებული. დროებით დაივიწყეთ რომ მამა ბრძანდებით, ნუ შეებრძოლებით გრძნობას, რომელსაც ყოველი წინააღმდეგობა მხოლოდ ახელებს. მომანდეთ, მისავე ალში მოვქებნოთ მატლი, რომელიც მას ძირს გამოუთხრის.

ბ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — ეს საინტერესოა.

გ უ რ მ ი — მე ან ცუდად ვიცნობ სულის ბარომეტრს, ან ბატონი მაიორი ისევე საშინელია ეჭვიანობის დროს, როგორც გაცოფებული მოზვერი. აღძარით ეჭვი, თუნდაც ყოვლად უნიადაგო. საკმარისია ერთი გრანი საფუარი, რომ მთელი მასა გამანადგურებელი ძალით ადუღდეს.

ბ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — სად ვიშოვნო ეს გრანი?

გ უ რ მ ი — ეგ არის სწორედ უმთავრესი, მაგრამ ჯერ მიბრძანეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, რას კარგავთ თუ მაიორი გაჯიუტდება, და რამდენად საჭიროა თქვენთვის მოისპოს რომანი მღაბით ქალთან და მაიორმა შეირთოს ლედი მილფორდი?

ბ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — განა ეს საკითხავია, ვურმ? მე დავკარგავ მთელ ჩემ გავლენას, უკეთუ ლედის დაქორწინება მაიორთან არ მოხერხდა, და თავს, თუ მაიორს დავაძალებ.

გ უ რ მ ი — (მხნედ) ახლა ინებეთ და მომისმინეთ. ბატონ მაიორს ჩვენ ეშმაკობის ბადეში გავაბამთ. ქალის წინააღმდეგ გამოვიყენებთ მთელ ჩვენს ძალაუფლებას, მუსიკოსის ქალს სხვა მესამე პირისადმი საარშვიო წერილს მივაწერიებთ და მას შეუმჩნევლად მაიორს მივუგდებთ.

ბ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — სისულელეა, გგონიათ ქალი დაგთანხმდებათ, საკუთარი სიკვდილის განაჩენი დაწეროს?

გ უ რ მ ი — ოღონდ დამავალეთ და იძულებული ვახდება, დაწე-

როს. როგორც ჩემს ხუთ თითს, ისე ვიცნობ მის კეთილ გულს. მას ორი სისუსტე სჭირს, რომლითაც შევევიძლია მისი სინდისი დავიმორჩილოთ — მამა და მამიორი. მამიორს არ შევეცხებით და მუსიკოსს კი ადვილად გავუსწორდებით.

ბ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — მაგალითად?

ვ უ რ მ ი — მას შემდეგ, რაც თქვენ მიამბეთ თუ რა ამბავი დატრიალდა მათ სახლში, ძლიერ ადვილია ბერიკაცს სისხლის სამართლით დავემუქროთ, ჰერცოგის საყვარელი პიროვნება და ბეკდის მფარველი ერთდაგვარად აჩრდილია მისი უდიდებულესობის. ბრეზიდენტის შეურაცხყოფა, მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფაა. ყოველ შემთხვევაში ეს საფრთხობელა საცოდავ მუსიკოსს გონს მოიყვანს.

ბ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — მაგრამ ყოველივე ამას სერიოზული სახე არ უნდა მიეცეს.

ვ უ რ მ ი — რასაკვირველია! მუსიკოსის მთელი ოჯახი მხოლოდ მძიმე მდგომარეობაში უნდა ჩავაყენოთ. ჯერ თვით ბერიკაცი ჩავსვათ ჩუმად საპყრობილეში, რათა მეტად დავაშინოთ, შეიძლება ცოლიც მივყალოთ. ქალს კი ველაპარაკოთ სისხლის სამართლის ხასიათის ბრალდების, სახრჩობელას, სამუდამო დაპატიმრების შესახებ, და მისი განთავისუფლების ერთადერთ პირობად წერილი მოვითხოვოთ.

ბ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — ჩინებულია, ჩინებული.

ვ უ რ მ ი — ქალს მამა გაგიყვებით უყვარს. და აი, მოხუცი მამის სიცოცხლე, ყოველ შემთხვევაში მისი თავისუფლება განსაცდელშია, სინდისის ქენჯნა, რომ ამის მიზეზი თვით შეიქმნა, იმის შეგნება, რომ მამიორს ხელში ველარ ჩაიგდებს, ბოლოს და ბოლოს გონებას აურევს — ამას მე ვიკისრებ და მგონი მოვახერხებ კიდევ და იგი უეჭველად ხაფანგში მოემწყვდევა.

ბ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — მაგრამ ჩემი ვაჟი! ის ხომ მყისვე ყველაფერს შეიტყობს, ეს ხომ მას უარესად გააცოფებს...

ვ უ რ მ ი — ეგ ჩემს კისერზე იყოს, თქვენო ბრწყინვალე ბავ. მამა-სა და დედას არ გამოუჩინებთ, ვიდრე მთელ ოჯახს ფიცს არ ჩამოვართმევთ საქმე საიდუმლოდ შეინახონ და ტყუილი დაამოწმონ.

ბ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — ფიცს? რა არის ფიცი, სულელი?

ვ უ რ მ ი — ჩვენთვის, მართლაც არაფერი, თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ ამ ჯურის ხალხისათვის — ყველაფერია. ახლა უყურეთ, როგორ ადვილად ვალწევთ მიზანს, ქალი დაკარგავს მამიორის სიყვარულს და თავის კეთილ სახელს; დედ-მამა ხმას

ჩაიკმენდს და თანდათანობით მთელი ეს აურზაური მათ ისე მოაჰკვიანებს, რომ ბოლოს ქალის სახელის გამოსწორებისათვის დიდ მოწყალებად ჩასთვლიან თუ მე ჩემ ხელს შევეთავაზებ.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (თავს აქნევს და იცინის) დიახ, შენ მაჯობე ეშმაკობით, ცუღლუტო! ყველაფერი ჯოჯოხეთური გამჰქრიახობით არის გამოანგარიშებული. შეგირდმა ოსტატს აჯობა! ახლა მითხარი, ვისი მისამართით იქნება წერილი? ვინ არის ცრუ საყვარელი?

ვ უ რ მ ი — რა თქმა უნდა ისეთი კაცი, რომელიც თქვენი ვაჟის გადაწყვეტილების შედეგად, ყველაფერს დაკარგავს, ან ყველაფერს მოიპოვებს.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ) ასეთ კაცად მე ჰოფმარშალი მიმაჩნია.

ვ უ რ მ ი — (აწვეს მარჯვს) ლუიზა მილერის ადგილზე ის მე ვერ მომხიბლადა.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — ჰმ... რატომაც არა! საუცხოოდ გამოწყობილი, ყოველთვის l'eau de mille fleurs¹ და მუშუკის სუნი ასდის, ყოველი სიტყვა სისულელე და ოქროების გროვა!.. მართლაც შეუძლია ქალს თავბრუ დასხას. ჩემო კარგო, ეჭვს ბევრი კვლევაძიება არ უყვარს. ვუბრძანებ, მარშალს დაუძახონ (რეჟავს).

ვ უ რ მ ი — ვიდრე თქვენი აღმატებულება მას მოელაპარაკება და მევიოღრნეს დაპატიმრების ბრძანებას გასცემს, მე წავალ და საჭირო საარსიყო ბარათს შეეტხზავ.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (ააწერი აგდიოაენ მიდის) როცა მორჩები, მომიტანე, წავიკითხავ. (ფურმი გადის, პრეზიდენტი წერს, შემოდის კამერდიფერი, პრეზიდენტი ადგება და ქალადს აძღვეს) ეხლავე გაუგზავნეთ ეს ბრძანება დატუსალების შესახებ პოლიციას. ვინმე თქვენგანი წავიდეს ჰოფმარშალთან და სთხოვოს ჩემთან მობრძანდეს.

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი — ბატონი ჰოფმარშალი ეს არის ახლა მობრძანდა ეტლით.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — მით უკეთესი. ფრთხილად დააპატიმრონ, უთხარი საქმე არ გახმაურდეს.

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი — მესმის, თქვენო აღმატებულება.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — გაიგე? რაც შეიძლება ჩუმად.

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი — მესმის, თქვენო აღმატებულება. (აადის)

¹ ფრან. ყვავილოვანი ოდეკოლონი.

პრეზიდენტი, ჰოფმარშალი.

ჰოფმარშალი — (სეტყვასავით აყრის სიტყვებს) მხოლოდ en passant¹, ჩემო ძვირფასო! როგორ ბრძანდებით? თავს როგორ გრძნობთ? დღეს საღამოს ოპერაში „დიღო“ გავა, გრანდიოზული ფთიერვერკი მოეწყობა, მთელი ქალაქი მაშხალების ცეცხლში იქნება გახვეული; რა თქმა უნდა თქვენც დაესწრებით ამ სანახაობას, არა?

პრეზიდენტი — ეჰ, ჩემო კარგო! საკუთარ სახლში ისეთი ფთიერვერკი მაქვს, რომ მეშინია, მთელი ჩემი დიდება არ ააფეთქოს. ძვირფასო მარშალი! სწორედ რომ კარგ დროს მოხვედით. თქვენ უნდა დამეხმაროთ სიტყვით და საქმით ერთ რამეში, რომელიც ჩვენ ორთავეს ან აგვამაღლებს, ან მიწასთან გავვასწორებს. დაბრძანდით!

ჰოფმარშალი — ნუ მაშინებთ, ჩემო კეთილო.

პრეზიდენტი — კვლავ გიმერჩებთ: ან აგვამაღლებს, ანდა მიწასთან გავვასწორებს-მეთქი. თქვენ იცით, ჩემი გეგმა მაიორისა და ლედის შესახებ. ისიც კარგად გესმით, თუ რა აუცილებელია თქვენი და ჩემი მდგომარეობის განმტკიცება. შეიძლება ყველაფერი დაიღუპოს, ფერდინანდი უარს ამბობს.

ჰოფმარშალი — უარს ამბობს... უარს ამბობს... მე ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოვდევი! ყველას პირზე ეს ქორწილი აყვრია.

პრეზიდენტი — მთელი ქალაქი მატყუარად ჩავთვლით. ფერდინანდს სხვა უყვარს!

ჰოფმარშალი — თქვენ ხუმრობთ! განა ეს დაბრკოლება?

პრეზიდენტი — ისეთი ჯიუტისათვის, როგორიც ფერდინანდია — გადაულახავი.

ჰოფმარშალი — ნუთუ ისეთი ჯიუტია, რომ უარს იტყვის საკუთარ ბედნიერებაზე, ჰა?

პრეზიდენტი — ჰკითხეთ მას და მოუსმინეთ, რას გიპასუხებთ.

ჰოფმარშალი — Ah, mon Dieu², რა უნდა მიპასუხოს?

პრეზიდენტი — ის, რომ მთელ ქვეყანას შეატყობინებს და-

¹ გავლით, გზად (ფრანგ.).

² აჰ, ღმერთო ჩემო (ფრანგ.).

ნაშაულს, რომელმაც ჩვენ აგვამაძლა, მიტელს ჩვენ ყალბ წერილებსა და ქვითრებს, არ დაგვინდობს არც ერთს და გაგვცემს. აი, რას გიპასუხებთ.

პოფმარშალი — წარმოუდგენელია, შეუძლებელია!

პრეზიდენტი — მან ეს მიპასუხა. უნდოდა კიდევ ამის გაკეთება და ძლივს დავაკავე უღრმესი თვითდამცირების შედეგად. ამაზე რაღას იტყვი?

პოფმარშალი — (უზრო გამოზეტყველებით) არაფერი გამეგება.

პრეზიდენტი — ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ ჩემმა ჯანსუღებმა შემატყობინეს, რომ ობერშენკი ბოკი თხოულობს ლედის ხელს.

პოფმარშალი — თქვენ მე ჰკუიდან შემწლით! როგორა სთქვით? ვინ პაბრებს ლედის შერთვას? ფონ ბოკი? იცით თუ არა, რომ ჩვენ ერთმანეთის დაუძინებელი მტრები ვართ? ისიც იცით თუ არა რისთვის?

პრეზიდენტი — პირველად მესმის.

პოფმარშალი — ძვირფასო, მომისმინეთ, რასაც გეტყვით და დარწმუნებული ვარ, თმები ყალყზე დაგიდგებათ. თქვენ ალბათ კარგად გახსოვთ ამ ოცი წლის წინათ სასახლეში მოწყობილი მეჯლისი. გემახსოვრებათ, რომ ამ მეჯლისში პირველად იცეკვეს ინგლისური კადრილი და გრაფ ფონ მერშაუმს დომინოზე კანდელიდან ცხელი სანთელი დაეწვეთა... აჰ, ღმერთო ჩემო! თქვენ ეს, რა თქმა უნდა, გახსოვთ!

პრეზიდენტი — განა ასეთი შემთხვევის დავიწყება შეიძლება?

პოფმარშალი — და აი, წარმოიდგინეთ, გახურებული ცეკვის დროს პრინცესა ამალიას წვივსაკრავი დაეკარგა. ცხადია, ყველაფერი აირღაირა. ფონ ბოკი და მე, — მაშინ ჩვენ ორივენი კამერიუნკრები ვიყავით, — მთელ დარბაზში ფორთხვით ვეძებდით წვივსაკრავს. ბოლოს, მე დავინახე წვივსაკრავი, ფონ ბოკმაც შეამჩნია იგი, ეძგერა და, წარმოიდგინეთ, ხელიდან გამომგლიჯა, მიართვა პრინცესას წვივსაკრავი და ხელსა და თვალს შუა წამართვა შექება... აბა, რას იტყვით ახლა?

პრეზიდენტი — თავხედი!

პოფმარშალი — დიხხ, ხელსა და თვალს შუა წამართვა შექება. კინადამ გული წამივიდა. გაგონილა ასეთი თავხედობა? ბოლოს, მოვიკრიფე ძალა, მივედი მის ბრწყინვალეობასთან და

ფთხარი: „თქვენო ბრწყინვალეებო, ფონ ბოკს ჰქონდა ბედნიერება მოერთმია თქვენთვის წვივსაკრავი, მაგრამ ის, ვინც პირველად დაინახა წვივსაკრავი, უკვე ამითაა ბედნიერი და სდუმს“.

პრეზიდენტი — ბრავო, მარშალ, ბრავისიმო!

ჰოფმარშალი — „და სდუმს“. — მაგრამ ამ ამბავს ფონ ბოკს მეორედ მოსვლამდე არ დაუფიწყებ. საზიზლარი, ქვემძრომი, ფარისეველი! ეს ყველაფერი როდია! როცა ორივენი დავიხარეთ იატაკზე და წვივსაკრავს ვეძგერეთ, ფონ ბოკმა პარიკის მარჯვენა მხარეზე სულ ჩამომაცალა პულრი და მთელი მეკლისი ჩამიშხამა.

პრეზიდენტი — აი, იგი შეირთავს ლედი მილფორდს და პირველი კაცი იქნება სასახლეში.

ჰოფმარშალი — თქვენ პირდაპირ დანას მიყრით გულში! პირველი კაცი? პირველი კაცი? რატომ იქნება პირველი კაცი? რა აუცილებლობაა, რომ ეს მოხდეს?

პრეზიდენტი — ის, რომ ჩემი ფერდინანდი უარს ამბობს, სხვა მსურველიც არავინაა.

ჰოფმარშალი — ნუთუ ვერ მონახავთ გზას, რომ აიძულოთ მაიორი? თუნდაც ეს უკიდურესი ზომა იყოს. ნუთუ არსებობს ქვეყნად ისეთი მდაბალი საშუალება, რომლის წინაშეც უკან უნდა დავიხიოთ, რომ ეს საზიზლარი ფონ ბოკი თავიდან მოვიცილოთ?

პრეზიდენტი — მე ვიცი მხოლოდ ერთი საშუალება და ის თქვენზეა დამოკიდებული.

ჰოფმარშალი — ჩემზეა დამოკიდებული? მაინც რა საშუალებაა?

პრეზიდენტი — უნდა დავაცილოთ მაიორი მის სატრფოს.

ჰოფმარშალი — დავაცილოთ? რანაირად? როგორ შევძლებ მე მათ დაცილებას?

პრეზიდენტი — ყველაფერი რიგზე იქნება, თუ ფერდინანდს ექვს ალუძრავთ ქალის მიმართ.

ჰოფმარშალი — დავყაროთ ხმები, რომ ქალი ქურდობს?

პრეზიდენტი — აჰ, არა. ფერდინანდი ამას დაიჭერებს განა? უნდა გავუვრცელოთ ხმა, რომ მას სხვაცა ჰყავს.

ჰოფმარშალი — და ვინ არის ეს სხვა?

პრეზიდენტი — ეს სხვა თქვენ უნდა იყოთ, ბარონ.

ჰოფმარშალი — მე უნდა ვიყო? მე? აზნაურია?

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — რას ამბობ, რომელი აზნაური! მუსიკოსის ქალია.

ჰო ფ მ ა რ შ ა ლ ი — მემჩანი ყოფილა. ჩემთვის შეუფერებელია.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — რა არის შეუფერებელი, რას სულელობ? ვის დაებადება ამ ქვეყნად აზრი, ჯერ ქალის გენეალოგია გაიგოს და მერე ეარშეოს.

ჰო ფ მ ა რ შ ა ლ ი — კი, მაგრამ ისიც მიიღეთ მხედველობაში, მე ცოლიანი ვარ, თანაც ჩემი რეპუტაცია სასახლეში..

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — ჰო, ეს სულ სხვა საქმეა! მაპატიეთ! არ ვიცოდი, რომ თქვენთვის უზადო რ ე პ უ ტ ა ც ი ა ს ა დ ა მ ი ა ნ ი მეტს წიშნავდა, ვიდრე გ ა ვ ლ ე ნ ი ა ნ ი, ამით დავამთავროთ ლაპარაკი, არა?

ჰო ფ მ ა რ შ ა ლ ი — ნუ ცხარობთ, ბარონ. მე თქვენ ვერ მიგიხედვით.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (ოვად) არა, არა! თქვენ სავსებით მართალი ხართ! მეც მომბეზრდა, მეყოფა ჭაპანის წვევა. ვუსურვებ ფონ ბოქს ბედნიერებას პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე. მე შიმშილით არ მოვკვდები. ვთხოვ ჰერცოგს, რომ გამათავისუფლოს.

ჰო ფ მ ა რ შ ა ლ ი — და მე? მე რა მეშველება? თქვენთვის ადვილია ლაპარაკი, განათლებული კაცი ხართ! მაგრამ მე? mon Dieu! მისმა ბრწყინვალეობამ რომ გამათავისუფლოს, მე რალა ვიქნები?

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — გაცვეთილი ხუმრობა, მოძველებული მოღა.

ჰო ფ მ ა რ შ ა ლ ი — ჩემო ძვირფასო! ჩემო ოქრო! გემულარები, თავიდან მოიცილე ეგ აზრი. მზად ვარ ყველაფერი გავაქეთო, რასაც მეტყვი.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — თანახმა ხართ თუ არა, რომ იმ ვილაც მიღერმა წერილით პაემანი დაგინიშნოთ?

ჰო ფ მ ა რ შ ა ლ ი — ღმერთია მოწყალე, რა თქმა უნდა.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — და ამ წერხლს სადმე იქ დააგდებთ, რომ მაიორმა დაინახოს?

ჰო ფ მ ა რ შ ა ლ ი — პარადზე, თითქოს ცხვირსახოცს ამოყვა და შემთხვევით დამივარდა.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — მაიორის წინაშე გაითამაშოთ იმ მიღერის საყვარლის როლი?

პო ფ მ ა რ შ ა ლ ი — Mort de ma vie¹, მე მას ვუჩვენებ სიერს! მაგ ცხვირმოუხოცელს, მადას წავუხდენ, რომ მეორედ აღარ გაბედოს ჩემ საყვარელთან გათამაშება.

პ რ ე ჯ ი დ ე ნ ტ ი — აი, ეს მესმის. წერილს დღესვე დაწერენ. საღამოს კიდევ შემოვივლით, რომ წერილი წაიღოთ და ერთხელ კიდევ მოვილაპარაკოთ თქვენი როლის შესახებ.

პო ფ მ ა რ შ ა ლ ი — როგორც კი თქვესმეტ უმნიშვნელოვანეს ვიზიტს დავამთავრებ, თქვენთან გავჩნდები. მაპატიეთ, იძულებული ვარ დაგტოვოთ (მიდის).

პ რ ე ჯ ი დ ე ნ ტ ი — (ოჰაჰა) მე თქვენი მოხერხებულობის იმედი მაქვს, მარშალ!

პო ფ მ ა რ შ ა ლ ი — აჰ, თქვენ ხომ მიცნობთ მე.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ს ა მ ე

პრეზიდენტი და ვჰრმი.

ვ უ რ მ ი — მეგობრინე და მისი ცოლი ყოველგვარი უსიამოვნებობა და ხმაურის გარეშე დავაპატიმრეთ. ხომ არ იხებებს თქვენი აღმატებულება წერილის წაკითხვას?

პ რ ე ჯ ი დ ე ნ ტ ი — (წერილის წაკითხვის შემდეგ) ყოჩაღ, ყოჩაღ, ვჰრმი! მარშალი უკვე წამოვადგეთ ანკესზე, ეს საწამლავი თვით ჯანმრთელობასაც კი ჩირქოვან კეთრად აქცევს. ჯერ მამს მივმართოთ ზოგიერთი წინადადებით, შემდეგ კი მის ქალთან გავემგზავროთ. (გადიან სხვადასხვა მხარეს).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო თ ხ ე

ოთახი მილერის ბინაში.

ლუიზა და ფერდინანდი.

ლ უ ი ზ ა — გემუდარები, ნულა ლაპარაკობ, აღარა მწამს, რომ დადგება ბედნიერი დღე. ყველა იმედი დავკარგე.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — სამაგიეროდ მე ვიპოვე. მამაჩემი აღელვებულია. იგი ყველა საშუალებას მიმართავს ჩვენ წინააღმდეგ. იგი მაიძულებს ჩავკლა ჩემში მამაშვილური გრძნობა. მამაშვილურ მოვალეობაზე მან უკვე ხელი ამადებინა. ბრაზი და სასოწარკვეთილება მაიძულებენ გავამხილო საშინელი საი-

¹ ეშმაკმა დასწყველოს (ფრანგ.).

დუმლოება მის მიერ ჩადენილი მკვლელობისა. შვილ^ტ გადასცემს მამას ჯალათებს, ჩვენ უდიდესი საფრთხის წინაშე ვდგევართ და ეს უდიდესი საფრთხე ადგმევენებს ჩემ სიყვარულს გოლიათურ ნაბიჯს. მისმინე, ლუიზა! მთელი ჩემი არსება შეუპყრობა ჩემ ვნებასავით დიად და გაბედულ აზრს... შენ, ლუიზა, მე და სიყვარული, განა ეს წრე არ მოიცავს მთელ სამყაროს? ან იქნებ, შენ კიდევ რაღაც მეოთხე გსურს?

ლუიზა — კმარა! ნუ ლაპარაკობ! შიშის ზარსა მგერის ის, რისი თქმაც გინდა.

ფერდინანდი — ჩვენ ქვეყანაზე არაფერს მოვიტხოვთ, რიდ უნდა ვთხოვოთ მას თანხმობა? რად უნდა გავწიოთ რისკი იქ, სადაც არაფერს მოგიგებთ და შეიძლება ყველაფერი წავაგოთ? განა შენ თვალთა ციმციმს მოაკლდება სინაზე იმით, რომ რაინის ტალღათა ნაცვლად მათში ელბის ან თუნდაც ბალტიის ზღვის ტალღები აირეკლება? ჩემი სამშობლო იქ არის, სადაც ჩემ ლუიზას ვეყვარები! ველურ, ქვიშოვან უდაბნოში შენი ფეხთა ნატერფალი ჩემთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე ჩემი სამშობლოს დიდებული ტაძრები. რად გვინდა ჩვენ ქალაქთა ბრწყინვალეობა? სადაც არ უნდა ვიყოთ, ლუიზა, მზე ყველგან ამოდის და ჩადის, ამ დიდებული სანახაობის წინაშე არაარა ხელოვნების თვით უბრწყინვალესი შედეგები. დე, ტაძარში ნუ დავდგებით ლოცვად, სამაგიეროდ ნაზი ღამე აღავსებს ჩვენ სულს, ცაზე მკურავი ბადრი მთვარე მოგვიწოდებს მორჩილებისაკენ და ვარსკვლავების კდემამოსილი ეკლესია ჩვენთან ერთად აღავლენს ხოტბას ღვთაებისადმი. განა ოდესმე დავიღლებით სიყვარულზე საუბრით? ჩემი ლუიზას ერთი ღიმილი საუკუნეებს ეყოფათ სალაპარაკოდ, ხოლო ვიდრე მისი ცრემლების მიზეზს არ შევისწავლო, ხელს ვიღებ ჩემი ცხოვრების ოცნებაზე.

ლუიზა — განა სხვა მოვალეობა არა ვგაქვს, გარდა სიყვარულია?

ფერდინანდი — (მოეხვევა) შენი სიმშვიდე, ჩემი წმიდათა წმიდა მოვალეობაა.

ლუიზა — (ძლიერ სერიოზულად) მაშინ გაჩუმდი და თავი დამანებე. მე მყავს მამა, რომლის ერთადერთი სიმდიდრე მე ვარ, რომელსაც ამ დღეებში სამოცი წელი შეუსრულდება და რომლის მიმართაც პრეზიდენტი შურს იძიებს.

ფერდინანდი — (აწყობტინებს) მამაშენიც თან წაგყვება, ნუ მეწინააღმდეგები, ჩემო ძვირფასო! ახლავე ფულად ვაქ-

ცევ ჩემ ძვირფასეულობას, მამის სახელობე ვალს ავიღებ. ყაჩაღის გაქურდვა არ არის ცოდვა. მამაჩემის სიმდიდრე კი სამშობლოს სისხლით არის შექნილი. ღამის სრულ პირველ საათზე ეტლი მოადგება თქვენს სახლს. შენ და მამაშენი იმავე წუთში წამოდით და ჩვენ გავიქცევით.

ლ უ ი ზ ა — და თან დაგვედევნება მამაშენის წყევლა? წყევლა, გიჟო, წარმოთქმული თვით კაცისმკვლელის პირიდანაც. შესმენილ იქნება, რადგან ზეციერი შურისმგებელი ყურად იღებს საწამებლად გავრულ შარაგზის ყჩაღის წყევლასაც კი. ჩვენ, ლტოლვილებს, ეს წყევლა, ვითარცა აჩრდილი, თან წაგვეყვება ყველგან, სადაც არ უნდა წავიდეთ. არა, ჩემო ძვირფასო! თუ შენი შენარჩუნება მხოლოდ დანაშაულის გზით შემიძლია, მირჩევნია რომ სულ დაგკარგო.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (სდგას გაუნძრევლად და პირქუშად ჩაილაპარაკებს) ამას მართლა ამბობ?

ლ უ ი ზ ა — დაგკარგო! — ო, რა უსაზღვროდ საშინელია ეს აზრი, იმდენად საშინელი, რომ იგი განგმირავს თვით უკვდავ სულს და სიხარულის აღისფერ ლოყებს სიკვდილის ფერს დაადებს. დაგკარგო შენ, ფერდინანდ! მაგრამ ადამიანს ხომ მხოლოდ იმისი დაკარგვა შეუძლია, რასაც ფლობს, შენი გული კი შენ წოდებას ეკუთვნის. ჩემი მისწრაფება მკრეხელობა იყო და მეც გულისკანკალით ვიღებ მასზედ ხელს.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (შეშლილი სახით, იკნევტს ჰედა ტუჩს) ხელს იღებ?

ლ უ ი ზ ა — არა! ძვირფასო ვალტერ. ნუ მიცქერბ ასეთი საშინელი თვალებით. მომიახლოვდი! მე მინდა ჩემი ქცევით მაგალითი მიეცე შენს მხნეობას, მინდა გმირობა გამოვიჩინო, მამას დავუბრუნო განდგომილი შვილი, უარი ვთქვა კავშირზე, რომელიც შეარყევდა ბიურგერული სამყაროს საფუძვლებს და დაანგრევდა საყოველთაო წესრიგს. მე დამნაშავე ვარ: ჩემი გული სიყვარულით ატარებდა კადნიერ, გიჟურ სურვილს და უბედურება მომევიწინა სასჯელად. ახლა ნულა დამიმსხვრევ ტკბილ, დამამშვიდებელ იმედს, რომ მე თვითონ შევწირე მსხვერპლად ჩემს დანაშაულს ჩემი ბედნიერება. ნუთუ მომიპობ ამ სიხარულს? (დაბნეული და საშინლად განრისხებული ფერდინანდი წაეფლებს ხელს ვიოლინოს და ცდილობს დაუკრას, დაწყევტს სიმებს, იატაკზე დაანარცხებს ინსტრუმენტს და ხმამალა ხარხარებს). ვალტერ! ღმერთი ძლიერია და სამართლიანი! რას ნიშნავს ეს? გამხსნევდი! ეს წუთი, წუთი გა ა ნ შ ო რ ე ბ ი ს ა ს ი მ ხ ნ ე ვ ე ს მოი-

თხოვს. ჩემო ძვირფასო, ჩემო ვალტერ! შენ კეთილი გული გაქვს, მე ვიცნობ მას. შენი სიყვარული მგზნებარეა ვით თვით ცხოვრება და ისევე უსაზღვრო როგორც სამყარო. მიუტანე იგი უფრო კეთილშობილ და ღირსეულ ქალს და დაწმუნებული ვარ, მას აღარ შემუშრდება არც ერთი ქალის ბედნიერება ამ ქვეყნად (იკავებს ცრემლებს). ჩვენ ერთმანეთს აღარ უნდა შევხვდეთ. პატივმოყვარე, იმედგაცრუებული გოგო ოთხ კედელში გამოიტყობს თავის უბედობას, მისი ცრემლები არავის შეაწუხებს. სიცარიელით და სასოწარკვეთილებით არის მოცული ჩემი მომავალი. მაგრამ ხანდახან მაინც ვიყნოსავ ჩემი წარსულის დამკჳნარ ყვავილთა სურნელებას (მობრუნდება და უწედის აკანკალებულ ხელს ფერდინანდს). მშვიდობით, ბატონო ფონ ვალტერ.

ფერდინანდი — (გამოერკვევა) მე გადავიხვეწები, ლუიზა. ნუთუ არ წამოხვალ ჩემთან ერთად?

ლუიზა — (ჯდება შორს, თვალებზე ხელებს იფარებს) მოვალეობა მიმიწოდებს დავრჩე და ვიტანჯო.

ფერდინანდი — ცრუობ, გველო! შენ რაღაც სხვა გაკავებს აქ!

ლუიზა — (ღრმა სულიერი მწუხარებით) იფიქრეთ ასე... თუ ეს თქვენ მწუხარებას შევებას მისცემს.

ფერდინანდი — ცივი მოვალეობა მგზნებარე სიყვარულის პასუხად! გსურს, რომ ამ ზღაპრით ამიხვიო თვალები? საყვარელი გაკავებს შენ აქ და ვაი მას და ვაი შენ, თუ ჩემი ეჭვი გამართლდება. (სწრაფად გადის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ხ უ თ ე

ლუიზა რამდენიმე ხანს გაუნძრევლად და მდუმარედ არის მიყრდნობილი სავარძლის ზურგზე. შემდეგ ადგება, მოდის წინ და შიშით იცქირება გარშემო.

ლუიზა — სად არის დედა და მამა? მამა დამპირდა რამოდენიმე წუთის შემდეგ დავბრუნდებო, უკვე ხუთი საშინელი საათი გავიდა. ხომ არაფერი უბედურება შეემთხვა? რა მომდის? გული რად მიჩერდება?

(ამ დროს ოთახში შემოდის ვურში, შეჩერდება სცენის სიღრმეში. ლუიზა ვერ ამჩნევს მას) არა, მე მხოლოდ მეჩვენება... ეს გახურებული სისხლის თამაშია მხოლოდ. საკმარისია ადამიანს გულში შიში ჩაესახოს, რომ ყოველ კუთხეში მოჩვენებები ელანდებოდეს.

- ვ უ რ მ ი — (დაბლა თავს დაუკრავს) სალამო მშვიდობისა!
- ლ უ ი ზ ა — ღმერთო ჩემო! ვინ არის აქ? (შიხნდავს, შეამჩნევს ვურმს და შეშინებული უკან დაიხვეს) თქვენა ხართ? ვგრძნობ, რომ ჩემი საშინელი წინათგრძნობა არ მატყუილებდა (ვურმს ზიხლით უყურებს) იქნებ პრეზიდენტს ეძებთ? ის აქ აღარ არის.
- ვ უ რ მ ი — მე თქვენ სანახავად გეახელით.
- ლ უ ი ზ ა — მიკვირს რატომ მოედნისაკენ არ წახვედით?
- ვ უ რ მ ი — რისთვის?
- ლ უ ი ზ ა — რათა თქვენი საცოლვე სამარცხვინო ბოძიდან მოგეხსნათ.
- ვ უ რ მ ი — ქალბატონო მილერ! ამოდ მდებთ მე ბრალს.
- ლ უ ი ზ ა — (არ სურს უპასუხოს) რა გნებაეთ?
- ვ უ რ მ ი — მე მამათქვენმა გამომგზავნა.
- ლ უ ი ზ ა — (შეშინებული) მამაჩემმა? მერე სად არის მამაჩემი?
- ვ უ რ მ ი — იქ, სადაც, უნდა გამოგიტყდეთ, ის ყოფნას არ მოისურვებდა.
- ლ უ ი ზ ა — ღვთის გულისათვის, ჩქარა მითხარით, გული მიჩრდება... სად არის მამაჩემი?
- ვ უ რ მ ი — ციხეში, თუ ძლიერ გნებაეთ გაიგოთ.
- ლ უ ი ზ ა — (ცისაკენ აღაპყრობს თვალებს) მამაჩემი... ციხეში? ვანა რისთვის? რისთვის?
- ვ უ რ მ ი — ჰერცოგის ბრძანებით.
- ლ უ ი ზ ა — ჰერცოგის?
- ვ უ რ მ ი — მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფისათვის, მისი წარმომადგენლის სახით...
- ლ უ ი ზ ა — რა? რაო? ღმერთო ძლიერო!
- ვ უ რ მ ი — მას სამაგალითო სასჯელი გადაუწყვიტეს.
- ლ უ ი ზ ა — ეს-ლა მაკლდა! მხოლოდ ეს. დიახ, დიახ, ჩემ გულს ფერდინანდის გარდა სხვაც უყვარდა. მე ვერ გავუფრთხილდი მას. მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფა... ღმერთო ძლიერო, იხსენ მონა შენი! ფერდინანდი?
- ვ უ რ მ ი — უნდა აირჩიოს ლედი მილფორდთან ჯვრისწერა ან შეჩვენება და მემკვიდრეობის ჩამორთმევა.
- ლ უ ი ზ ა — აი არჩევანის საუცხოო თავისუფლება! და მინც ეს უფრო ბედნიერია, მას არა ჰყავს მამა, რომ დაკარგოს იგი. მარ-

თალია, უმაზობაც თავისთავად დიდი მწუხარებაა. მამაჩემს უდიდებულესობის შეუარაცხოფას აბრალებენ. ჩემ საქმრას — ან ლედი ან შეჩვენება და მემკვიდრეობის ჩამორთმევა!.. გასაოცარია სრულყოფილი სისამაგლის სრულყოფილება.. სრულყოფილება? ერთი-და მაკლია... დედა სადღაა?

გ უ რ მ ი — სატუსალოში.

ლ უ ი ზ ა — (მწუხარე ღიმილით) ახლა ყველა; ყველა, მე კი თავთსუფალე ყოველგვარი მოვალეობისაგან, ცრემლებისა და სისხრტულისაგან თავისუფალი, ღეთისგანაც მიტოვებული, ან რაღად მჭირდება მე იგი. (საშინელი სიჩუბე) იქნებ კიდევ გაქვთ რაიმე ჩემთვის მომარაგებული, ბრძანეთ, ახლა შემიძლია ყველაფერი ვისმინოთ.

გ უ რ მ ი — რაც მოხდა იციოთ.

ლ უ ი ზ ა — მაგრამ არ ვიცი, რა მოხდება? (ყვლავ სიჩუბე, ლუიზა ათვლიერებს ვურნს თავიდან ფეხებამდე) სატოდავო! საშინელი ხელობა გაქვს, ამით ბედნიერებას ვერ მიადწევ. სხვების გაუბელურება—საშინელებაა, მაგრამ უბედურების მათუწყებლობა — საზიზღრობა. ყვავის მსგავსი ჩხავილი, გასისხლიანებული გულის ყურება, როდესაც ის თრთის აუცილებლობის რკინის მარწუხებში და იმის ცქერა, როგორ ჰკარგავს ქრისტიანი ღეთისადმი რწმენას! ყოველი წვეთი ცრემლისათვის, რომელსაც შენ ასე გულგრილად უყურებ, თითო კასრ ოქროს როგ მამღლედენენ, შენ ადგილს ყოფნას არ ვისურვებდო. რაღა უნდა მოხდეს?

გ უ რ მ ი — არ ვიცი!

ლ უ ი ზ ა — არ გინდათ იტოლეთ? ის, რაც თქვენ უნდა თქვათ, იმდენად საზარელია, რომ გაურბის სინათლეს და უფრთხის ბგერებს, მაგრამ თქვენი სახის საფლავისებურ უძრობაში საშინელ აჩრდილს ვხედავ. რაღა დარჩა? თქვენ სთქვით ჰერცოგს სურს სამაგალითოდ დასაჯოს. რას ნიშნავს თქვენებურად სამაგალითოდ?

გ უ რ მ ი — ნულარა მკითხავთ.

ლ უ ი ზ ა — ყური დამიგდე! შენ ჯალათთან ვისწავლია, სხვანიირად ვერ შეძლებდი ჯერ ნელა და ფრთხილად გაგეტარებია რკინა მტკივან სახსრებში და შემდეგ აფანცქალეზულ გულთან შებრალების გრძნობით გეხუმრა. რა მოელის მამაჩემს? რასაც შენ ღიმილით ამბობ—სიკვდილია. რაღას აგვიანებ? თქვი ერთ-

ბაშად, დამეც თავს მთელი შენი გამანადგურებელი საიდუმლოება. რა მოელის მამაჩემს?

ვ უ რ მ ი — კრიმინალური პროცესი.

ლ უ ი ზ ა — რა არის ეს? მე ერთი გაუნათლებელი ქალი ვარ. არ ვიცი რას ნიშნავს თქვენი საშინელი ლათინური სიტყვები. რა არის კრიმინალური პროცესი?

ვ უ რ მ ი — სამართალი, რომელიც გადასჯრის მამათქვენის სიცოცხლისა თუ სიკვდილის საკითხს.

ლ უ ი ზ ა — (ბაზბედულად) გმადლობთ! (გარბის შიორე თთახში).

ვ უ რ მ ი — (გაუჩვევლობაში) რას მოასწავებს ეს? ამ სულელმა ხომ არ გადასწყვიტა... დასწყევლოს ეშმაკმა. წავალ, ვნახავ. მე ვარ მისი სიცოცხლის თავდები... (უნდა გაჰყვას ლუიზას).

ლ უ ი ზ ა — (ბრუნდება წამოსახამით მხრებზე) უკაცრავად, ბატონო ვურმ. უნდა კარი დაგკეტო.

ვ უ რ მ ი — სად გეჩქარებთ?

ლ უ ი ზ ა — ჰერცოგთან. (აპირებს წასვლას).

ვ უ რ მ ი — რაო? სადა? (შეშინებული იჭვრს ლუიზას)

ლ უ ი ზ ა — ჰერცოგთან. ვანა არ გესმით? იმ ჰერცოგთან, რომელსაც სურს მამაჩემის გასამართლება სიცოცხლისა თუ სიკვდილისათვის. არა, კი არ ს უ რ ს, უნდა გაასამართლოს იმისათვის, რომ ასეთია რამოდენიმე არამზადას სურვილი. მთელ ამ პროცესში მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფის გამო ჰერცოგი მონაწილეობს მხოლოდ იმით, რომ მოსამართლეები დაეყრდნობიან მის უდიდებულესობის ტიტულს და ჰერცოგის ხელმოწერას.

ვ უ რ მ ი — (ხარხარებს) ჰერცოგთან?

ლ უ ი ზ ა — ვიცი, რადაც იცინით, მაგრამ მე იქ მოწყალეების იმედით ხომ არ მივდივარ, ღმერთმა დამითვაროს! მინდა მხოლოდ ჩემი ყვირილით შეგადარწუნო. მარწმუნებდნენ, რომ ამა ქვეყნის ძლიერთ არ უწყიან რა არის მწუხარება და არც სურთ შეიტყონ. მე ავუხსნი ჰერცოგს, რა ირის მწუხარება, ჩემი სიმწარით გამოწვეული კრუნხხვა უჩვენებს მას, რა არის მწუხარება, ჩემი გულის მომკვლელი კვნესა შეატყობინებს მას, რა არის მწუხარება და როცა ყოველივე ამისგან ჰერცოგს თმები ყალყზე დაუდგება, ყურში ჩავძახებ ხმამაღლა, რომ სიკვდილის სარეცელზე მიწიერ ღმერთებსაც ხრიალი აღმოხდებათ და განკითხვის დღეს ერთ საცერში გაატარებენ ყველას: ამა ქვეყნის ძლიერთაც და მათხოვრებსაც. (წასვლას აპირებს).

გ უ რ მ ი — (ბოროტი სიხარულით) მიბრძანდით, მიბრძანდით! მაგაზე ჰკვიანურს ვერას მოიგონებთ. გირჩევთ წახვიდეთ და სიტყვას გაძლევთ ჰერცოგი შეისმენს თქვენს თხოვნას.

ლ უ ი ზ ა — (შეცრივ შეჩერდება) რა სთქვით? მირჩევთ? (სწრაფად შიშის დაბრუნდება) რაღასა ვფიქრობ? თუ ეს კაცი მირჩევს, ეს ალბათ რაღაც საშინელება უნდა იყოს... საიდან იცით, რომ ჰერცოგი დასთანხმდება.

გ უ რ მ ი — რასაკვირველია, არა უსასყიდლოდ.

ლ უ ი ზ ა — არა უსასყიდლოდ? რა ფასად ჰყიდის ის თავის წყალობას?

გ უ რ მ ი — თქვენისთანა ლამაზი მოთხოვნელი ერთ რამედ ღირს!

ლ უ ი ზ ა — (დაგას გაჭვავებული, შემდეგ აღელვებული ხმით) ყოვლად სამართლიანო ღმერთო!

გ უ რ მ ი — საფასური მაინც და მაინც დიდი არ არის, თუკი ამით მამას დაიხსნით.

ლ უ ი ზ ა — (თავდაკარგული დადის ოთახში) დიახ, დიახ! ეს მართალია, თქვენი დიდი მბრძანებლები თავიანთი გარყვნილებით დაცულნი არიან სამართლისაგან როგორც ხმლით! მამა! ღმერთი იყოს შენი მფარველი, შენი ქალი შენი გულისათვის სიკვდილს ამჯობინებს, ვიდრე ამ სირცხვილს იკისრებს.

გ უ რ მ ი — ბედის ანაბარად დატოვებული საბრალო ბერიკაცისათვის ეს ახალი ამბავი იქნება. „ჩემმა ლუიზამ დამცა ძირს — მითხრა მან — იგივე წამომაყენებს“. წავალ, თქვენ პასუხს გადავცემ, ქალბატონო მილერ. (თითქოს წასვლას აპირებს).

ლ უ ი ზ ა — (გამოედევნება და იჭერს) შესდევით! შესდევით! მოითმინეთ! როგორა ჩქარობს ეს წყეული, როდესაც სურს ადამიანი ჰკუთხე შეშალოს! მე დავეცი — მე უნდა წამოვაყენო? სთქვი! მირჩიეთ... რა შემძლიან?... რა უნდა ვქნა?

გ უ რ მ ი — მხოლოდ ერთადერთი საშუალებაა.

ლ უ ი ზ ა — და ეს საშუალება?

გ უ რ მ ი — მამათქვენიც ყაბულს არის.

ლ უ ი ზ ა — მამაჩემიც? რა საშუალებაა?

გ უ რ მ ი — ის თქვენთვის ადვილი საქმეა.

ლ უ ი ზ ა — ჩემთვის სირცხვილზე სამძიმო არაფერია.

გ უ რ მ ი — თუ მაიორის განთავისუფლებას ისურვებთ...

ლ უ ი ზ ა — მისი სიყვარულსაგან? დამცინით? ჩემი [ნებისაგან დამოკიდებული გგონიათ, რისთვისაც უნებლიეთ ვარ იძულებული.

მ უ რ მ ი — ვერ გამიგეთ, ძვირფასო ლუიზა. მაიორმა პირველად თვით უნდა სთქვას უარი და ნებაყოფლობით.

ლ უ ი ზ ა — ის ამას არ იზამს.

მ უ რ მ ი — ეგრე გეჩვენებათ. განა ვინ მოგმართავდათ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ თქვენგან არ იყოს დამოკიდებული?

ლ უ ი ზ ა — ხომ არ შემძლია მაიორი ვაძულო, რომ შემეზიზღოს?

მ უ რ მ ი — ვეცადეთ. აბა დაბრძანდით.

ლ უ ი ზ ა — (შეშინებული) რა განზრახვა გაქვს, ადამიანო?

მ უ რ მ ი — დაბრძანდი და დასწერეთ. აგერ კალამი, მელანი და ქალაღდი.

ლ უ ი ზ ა — (დიდად შეძრწუნებული დაჯდება) რა დავწერო? ვის მივწერო?

მ უ რ მ ი — მამათქვენის ჯალათს.

ლ უ ი ზ ა — ო, სულთამხუთავთა ოსტატო! (აიღებს კალამს)

მ უ რ მ ი — (უკარნახებს) „მოწყალეო ხელმწიფეო“... (ლუიზა წერს ხელის კანკალით).

მ უ რ მ ი — „უკვე აუტანელი სამი დღეა... აუტანელი სამი დღე, რაც ერთმანეთი არ გვინახავს...“

ლ უ ი ზ ა — (შეჩრდება და კალამს დასდებს) ვისთვის არის წერილი?

მ უ რ მ ი — მამათქვენის ჯალათისათვის.

ლ უ ი ზ ა — ღმერთო ჩემო!

მ უ რ მ ი — „გაუფრთხილდით მაიორს, რომელიც მთელი დღე არგუსისავით მდარაჯობს.“

ლ უ ი ზ ა — (წამოხტება) ეს გაუგონარი სიმდაბლეა! ვისთვის არის ეს წერილი?

მ უ რ მ ი — მამათქვენის ჯალათისათვის.

ლ უ ი ზ ა — (დადის ოთახში, ხელების მტვრევით) არა, არა, არა! ეს უღმერთობაა! ღმერთო! დასაჯე ადამიანი ადამიანურად, თუ იგი შენს რისხვას გამოიწვევს, მაგრამ რატომ მჭყლეტავ ორ საშინელებას შორის? რატომ მაგდებ სიკვდილსა და სირცხვილს შუა? რატომ აძლევ უფლებას ამ სისხლისმსმელ სატანას, რომ კისერზე მაჯდეს? რაც გინდათ ჰქენით, ვერ დავწერ.

მ უ რ მ ი — (აიღებს ქუდს) როგორც გენებოთ, ქალბატონო ლუიზა. ეს თქვენგან არის დამოკიდებული.

ლ უ ი ზ ა — ჩემგან არის დამოკიდებული, ამბობთ თქვენ, ჩემგან... შენ დამცინი ბარბაროსო! ჩაჰკიდე უბედური ჯოჯოხეთის უფსკრულში, სთხოვე მას, რაიმე მკრეხელობა ჩაიდინე და

ჰკითხე, მისგან არის ეს დამოკიდებული თუ არა. ო, შენ კარგად იცი, ბუნებრივი კავშირი ჯაჭვზე ძლიერ ბორკავს ჩვენს გულს. ახლა ჩემთვის სულ ერთია. განაგრძეთ კარნახი. მე აღარ ვფიქრობ, ჯოჯოხეთურ ვერაგობას ვნებდები! (კვლავ ჯდება).

ვ უ რ მ ი — „მთელი დღე არგუსისავით მდარაჯობს“... დასწერეთ?

ლ უ ი ზ ა — შემდეგ, შემდეგ.

ვ უ რ მ ი — „გუშინ ჩვენთან იყო პრეზიდენტი. სასაცილო სანახავი იყო როგორ იცავდა მაიორი ჩემს პატიოსნებას“.

ლ უ ი ზ ა — მშვენიერია, საუცხოო! განაგრძეთ.

ვ უ რ მ ი — „მე გულისწუხილი, გულისწუხილი მოვივინე, რომ არ გამეცინა“.

ლ უ ი ზ ა — ო, ღმერთო!

ვ უ რ მ ი — „მაგრამ ამდენ ტყუილს უკვე ვეღარ ვუძლებ. ნეტავ როგორმე მოვიშორო“.

ლ უ ი ზ ა — (შეჩურჩბება, ადგება, ოთახში გაივლ-გამოივლის, თაფაქინდრული თითქოს რაღაცას ეძებს იატაკზე, შემდეგ დაჯდება და სწერს) როგორმე მოვიშორო“...

ვ უ რ მ ი — „ხვალ ის სამსახურშია. უდარაჯეთ, როდის გამოვა ჩვენი სახლიდან და მოდიეთ დათქმულ ადგილზე“. დასწერეთ „დათქმულ ადგილზე“?

ლ უ ი ზ ა — ყველაფერი დაწერე.

ვ უ რ მ ი — „დათქმულ ადგილზე. თქვენ მოსიყვარულე... ლუიზასთან“.

ლ უ ი ზ ა — მისამართი-ლა აკლია.

ვ უ რ მ ი — „ბატონ ჰოფმარშალს ფონ კალბს“.

ლ უ ი ზ ა — ღმერთო ძლიერო! ეს გვარი ისევე უცნოა ჩემი ყურისათვის, როგორც ეს საშინელი სტრიქონები ჩემი გულისთვის. (ადგება და დიდხანს გაშტერებული დაჭურვებს დაწერილს, შემდეგ მას ვურმს გადასცემს. ლაბარაკობს მისუსტებული, მიზრწნილი ხმით) წაიღეთ, მოწყალეო ხელმწიფე! მთელ ჩემ პატიოსნებას, ფერდინანდს, მთელი ჩემი სიცოცხლის ბედნიერებას თქვენ გაბარებთ, მე მათხოვარი ვარ.

ვ უ რ მ ი — იკმარეთ! იმედს ნუ დაჰკარგავთ, ძვირფასო ქალბატონო! გულითა და სულით მებრალებით. ვინ იცის, იქნებ ზოგიერთ რამეს ყურადღება არ მივაქციო და... მართლა! ღმერთმანი, მებრალებით!

ლ უ ი ზ ა — (შტკერის გაშტერებული, განმეკრეტი თვალებით) ნულარ და-

ამთავრებთ! თქვენ მზადა ხართ თქვენ თავს საშინელი რამ უსურ-
გოთ.

ვ უ რ მ ი — (სურს ლუიზას ხელზე აკოცოს) ეს ლამაზი ხელი რომ ვი-
სურვო? ამაზე რას იტყვით?

ლ უ ი ზ ა — (მკაცრი სიამაყით) ქორწინების პირველივე ღამეს და-
გახრჩობდით და ჩემ სხეულს ჯალათებს სიამოვნებით მივ-
ცემდი საწამებლად. (სურს წაგიდეს, მაგრამ სწრაფად შუან ბრუნდება).
ყველაფერს მორჩით, მოწყალეო ხელმწიფევ? შემძლია თავი-
სუფალი ვიყო?

ვ უ რ მ ი — კიდევ ცოტა რამ. ჩემთან ერთად წამოხვალთ და დაი-
ფიცებთ, რომ ამ წერილს თქვენი ნებით დაწერილად აღიარებთ.

ლ უ ი ზ ა — ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! შენ შენი ბეჭდით
ადასტურებ ამ ჯოჯოხეთურ საქმეს? (ვგრძნობ გაჰყავს ლუიზა).

მ ო შ მ ე დ ე ბ ა მ ე ო ტ ხ ე .

გ ა მ ო ს ვ ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი .

დარბაზი პრეზიდენტის სასახლეში.

ფერდინანდი ფონ ვალტერი ჩქარი ნაბიჯით შემოდის, ხელში გახსნილი წე-
რილი უჭირავს, მეორე კარიდან კამერდინერი შემოდის.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — მარშალი აქ ხომ არ ყოფილა?

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი — ბატონი პრეზიდენტი გთხოვთ მასთან შე-
ბრძანდეთ, ბატონო მაიორო.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — ეშმაკსაც წაუღიხარ!.. გეკითხები მარშალი
აქ ხომ არ ყოფილა?

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი — ბატონი ბარონი ზემოთ არის, ბანქოს თა-
მაშობს.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — ყველა ეშმაკების სახელით ბატონი ბარონი
აქ მომგვარეთ (კამერდინერი მიდის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო რ ე

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (კითხულობს წერილს. ხან გაქვავებული შესდგება, ხან
ოთახში დარბის ვაცოფებული) ეს შეუძლებელია!.. ასეთ ღვთიურ

ქმნილებაში არ შეიძლება ასეთი ეშმაკის გული იფარებოდეს, მაგრამ ყველა ანგელოზი რომ ჩამოფრინდეს ციდან და დამარწმუნოს მის უმანკობაში, ცა და მიწა, შემოქმედი და შექმნილი რომ შეერთდნენ და დამიწყონ მტკიცება, რომ ის უმანკოა... ეს ხომ მისი ხელია.... გაუგონარი, უმსგავსი ტყუილი, კაცობრიობას ჯერ რომ არ სმენია! აი, თურმე რატომ არ უნდოდა ჩემთან ერთად გაქცეულიყო! აი მიზეზი... ღმერთო! ახლა უკვე გამოვერკვიე! ახლა ჩემთვის ყველაფერი ცხადია. ამიტომ იყო, რომ ასე გმირულად აიღო ხელი ჩემს სიყვარულზე. კინალამ მეც შეცდომაში შემიყვანა მისმა ღვთიურმა ნილაბმა. (ჟფრო ჩქარა დაიწყებს სიარულს ოთახში. შემდეგ შეჩერდება და ჩაფიქრდება). ასე კარგად შესწავლა ჩემი, ყველა ჩემი გრძნობის გაგება, ყოველ ჩემ მგზნებარე სწრაფვაზე გამოხმაურება, ჩემი სულის ყოველი ხეულის ასეთი ღრმა ცოდნა; ყოველი ჩემი ცრემლის ანგარიშით აწონ-დაწონა, ჩემთან ერთად გრძნობის სახიფათო მწვერვალებით სრბოლა, ყოველი ჩემი ნაღველის გაზიარება... ღმერთო! ღმერთო! და ყველაფერი ეს მხოლოდ თვალთმაქცობა იყო? თვალთმაქცობა! ოჰ, თუკი სიცრუე ასე ლამაზი ფერებით იღებება, რატომ არის რომ დღემდე ვერც ერთ ეშმაკს ვერ შეუღწევია სამოთხეში მოტყუებით?

როცა ვამცნე მას, თუ რა საფრთხე მოელოდა ჩვენს სიყვარულს რა ბუნებრივად გაფითრდა იგი! როგორი ძლევამოსილი ღირსებით შეხვდა მამაჩემის კადნიერ დაცინვას და ამავდროს სულის სიღრმეში გრძნობდა იგი, რომ დამნაშავე იყო. რაო? განა მან არ ჩააბარა სიმართლის ცეცხლით გამოცდა— თვალთმაქცს გული წაუვიდა. რომელ ენაზე ილაპარაკებ ახლა შენ, გრძნობავ? კეკლუცებსაც მისდით გული. რითღა იმართლებ თავს, უმანკობავ? როსკიბებსაც ხომ მისდით გული.

მან იცის, რაც ჩაიდინა ჩემს მიმართ. ის იცნობს ჩემს გულს. როცა პირველ კოცნისას სახეზე სიმორცხვის აღმურმა გადამკრა, ჩემ თვალეში აირეკლა გული ჩემი. ნუთუ იმ წუთში მას არაფერი უგრძნია? ანდა, იქნებ, მან თავისი ხელოვნების ზეიმი იგრძნო მხოლოდ? მე კი, ნეტარების სიგიჟით შეპყრობილს, მეგონა მასთან ერთად მთელ ზეცას ვეხვეოდი, ჩემი ველური ზრახვები ჩაკვდნენ და მხოლოდ მარადისობაზე და ამ გოგონაზე ვფიქრობდი... ოჰ, ღმერთო! იგი კი ამ დროს არაფერს განიცდიდა? არაფერს გრძნობდა? მხოლოდ იმ აზრით იყო შეპ-

ყრობილი, შეასრულებს თუ არა თავის განზრახვას? მხოლოდ თავის მშვენიერებაზე ფიქრობდა? წყეულიც იყოს! ნუთუ მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ მე მოვეტყუილებინე?

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ს ა მ ე

ჰოფმარშალი და ფერდინანდი.

ჰოფმარშალი — (თითქოს მოფრინავს ოთახში) თქვენ ინებეთ, უძვირფასესო...

ფერდინანდი — (თავისთვის) კისერი უნდა მოვეუგრიხო არამზადას. (ხმაშადას). მარშალი, ეს წერილი ალბათ ჯიბიდან ამოგივარდათ ალლუმის დროს და... (გაბოროტებულ სიცილით), საბედნიეროდ, მე შემემთხვა მისი პოვნა.

ჰოფმარშალი — თქვენ?

ფერდინანდი — საინტერესო შემთხვევა! ახლა კი თქვენი სააქაო ანგარიშები გაასწორეთ.

ჰოფმარშალი — მე თქვენ მაშინებთ, ბარონ!

ფერდინანდი — წაიკითხეთ! წაიკითხეთ! (განზე გადაგება) თუ საყვარლად არ ვვარგებულვარ, იქნებ მაჰანკლად გამოვდგე. (ვიდრე მარშალი წაიკითხავდეს, მაიორი მივა კედელთან და ორ დამბაჩას ჩამოხსნის).

ჰოფმარშალი — (დასდებს წერილს მაგიდაზე და სურს გაიქცეს) ეშმაკმა დასწყევლოს!

ფერდინანდი — (წელს მოჰკიდებს და შეაჩერებს) მოთმინება იქონიეთ, ძვირფასო მარშალი, წერილი, როგორცა ჩანს, სასიამოვნოა! თქვენგან საპოვნელა მერგება! (უჩვენებს დამბაჩებს).

ჰოფმარშალი — (შიშით უკან დაიხევს) გონს ნუ დაჰკარგავთ, უძვირფასესო.

ფერდინანდი — (მრისხანედ და გადაჭრით) იმდენად გონიერი ვარ, რომ შენისთანა არამზადა ახლავე საიქიოს გავისტუმრო! (ძალით მისცემს მას დამბაჩას და ამოიღებს თავის ცხვირსახოცს) აიღეთ! მოჰკიდეთ ხელი ამ ცხვირსახოცს, ეს მე საყვარელმა მაჩუქა.

ჰოფმარშალი — ჩვენს შორის ხელსახოცი იყოს და ისე ვისროლო? გონს მოდიეთ! ეს რამ მოგაფიქრებინათ?

ფერდინანდი — ამ ბოლოს მოჰკიდე ხელი, გეუბნები, თორემ ააცდენ, მხდალო! როგორ თრთის ეს ლაჩარი! ღმერთს მაღლობა შესწირე, რომ შენს სიცოცხლეში ერთხელ მაინც თავშე რალაც

ჩაგედება. (ჰოფმარშალი გაიქცევა) ნუ მირბიხარ, გეთაყვა. (წა-
მოეწევა და კარს ჩაჰკეტავს).

ჰო ფ მ ა რ შ ა ლ ი — ოთახში, ბარონ?

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — ღირს განა შენს გამო თავის შეწუხება და
სადმე შორს წასვლა? აქ უფრო ძლიერი იქნება გასროლის
ხმა და ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა შენ ხმაურს გა-
მოიწვევ საზოგადოებაში. დამიმიზნე!

ჰო ფ მ ა რ შ ა ლ ი — (იწმინდს შუბლიდან ოფლს) და თქვენ გსურთ
განსაცდელში ჩააყენოთ თქვენი ძვირფასი სიცოცხლე, თქვენ
ძალღონით, იმედებით სავსე ახალგაზრდა კაცმა?

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — დამიმიზნე, გეუბნები! ამ ქვეყნად მე საქმე
ალარ დამრჩენია.

ჰო ფ მ ა რ შ ა ლ ი — სამაგიეროდ მე უთვალავი, ფრიად სასია-
მოგნო საქმე მაქვს.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — შენ, მურდალო? რა საქმე გაქვს შენ? იყო
საცობი იქ, სადაც სულ უფრო და უფრო მცირე რაოდენობით
გვხვდება ნამდვილი ადამიანები? თვალის დახამხამებაში შეიდ-
ჯერ მოიკრუნჩხო და გასწორდე, როგორც პეპელა ნემსის
წვერზე? აწარმოო რეგისტრაცია, რამდენჯერ ასაქმა შენს ბა-
ტონს და მისი ხუმრობის საგანი იყო? ასევე შემიძლია მეც ვა-
ჩვენო შენი თავი, როგორც იშვიათი ნადირისა. მოშინაურებუ-
ლი მიმუშევით იცეკვებ ცოდვილთა ღმუილზე, ჩამოატარებ
სატარებელს, უკანა ფეხებზე დადგები და შენი სასახლის ფო-
კუსებით გაართობ მარადიულ სასოწარკვეთილებას.

ჰო ფ მ ა რ შ ა ლ ი — რაც გნებავთ, ბარონო, რაც გნებავთ! მხო-
ლოდ გთხოვთ, იქით გადასდეთ თქვენი დამბაჩები...

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — უცქირეთ ამ საცოდავს! ქვეყნის შექმნის
მეექვსე დღის ამ სამარცხვინო არსებას! თითქოს იგი ღვთის
ქმნილება კი არ იყოს, ტიუბინგელ წიგნებით მოვაჭრეს გამოე-
ცეს მეორედ! დასანანებელია მხოლოდ ტვინის ის ნამცეცი,
რომელიც ტყუილად ფუჭდება შენს ცარიელ გოგრაში. ამ ერთ
ნამცეც ტვინს შეიძლება პავიანი ადამიანად ექცია. აქ კი გო-
ნიერების ნასახს წარმოადგენს მხოლოდ... და ამას გავუზი-
არო მისი გული? საშინელება! წარმოუდგენელია! — ამ არა-
რაობას, რომელიც უფრო იმისთვისაა შექმნილი, რომ ჩაგვი-
კლას ცდუნება, ვიდრე გაგვიღვივოს იგი.

ჰო ფ მ ა რ შ ა ლ ი — მადლობა ღმერთსა, მგონი უკვე ხუმრობა
დაიწყო.

ფერდინანდი — დავინდობ მას, დავინდობ როგორც მატლს ინდობენ. ზოგიერთი, როცა ამ არამზადას შეხვდება, მხრებს აიჩეჩს და ალბათ გაოცდება, რომ ასე ბრძნულად იქცევა ზეცა, რომელიც ნარჩენებით, ნაყარ-ნუყარებით, მაგრამ მაინც ჰყვება მსგავს ქმნილებებს; იგი ყვაე-ყორნებსაც აძლევს საკვებს სახრჩობელაზე და კარისკაცებსაც აკმაყოფილებს გვირგვინისანთა სიბინძურით. ბოლოს და ბოლოს არ შეიძლება არ გავვაოცოს განგების ნებამ, რომელსაც სულთა სამყაროშიც ჰყავს გველები და ტარანტულები შხამის დასანთხვეად. მაგრამ (კვლავ მოუფლის ბრაზი), მაგრამ ეს შხამიანი მწერი ვერ აცოცდება ჩემს ყვავილზე, ანდა მე მას (მხრებში ჩაავლებს ხელს მარშალს და ანჯღრევს) გავსრეს, გავანადგურებ!

ჰოფმარშალი — (ჩუმაღ ოხრაფს) ოჰ, ღმერთო ჩემო! როგორმე ამას ხელიდან დავუძვრე და თუნდაც ასი კილომეტრის მოცილებით პარიზთან, ბისეტრში¹, ამომაყოფინა თავი!

ფერდინანდი — არამზადა! ნუთუ იგი აღარაა ქალწული? ნაძირალა! ნუთუ შენ უკვე დასტკბი იმით, რასაც ვადმერთებდი? (მძინვარად). ნუთუ შენ მრუშობდი იქ, სადაც მე თავს ღმერთად ვთვლიდი? (შცბად გაჩუმდება, შემდეგ კვლავ მუქარით) ო, თუ ეს ასეა, გერჩივნა ჯოჯოხეთს წასულიყავ, სალახანა, ვიდრე ჩემს რისხვას შეჰყოფდი ზეცად! მითხარ, რა ურთიერთობა გქონდა იმ ქალთან?

ჰოფმარშალი — ოღონდ გამიშვით, ყველაფერს გეტყვით.

ფერდინანდი — ო! იმ გოგონასთან მრუშობა უფრო წარმტაცი უნდა იყოს, ვიდრე ოცნების კოშკთა აგება სხვასთან! თუ ის მრუშობას ისურვებდა, თუ ისურვებდა, იგი შეძლებდა სულისთვის ფასი დაეკარგა და ქველმოქმედება ცხოველური ვნებით შეეცვალა. (დამბახას მიაღებს გულზე) გამოტყდი, რა ურთიერთობა გქონდა იმ ქალთან ან ჩახმახს დავაცემინებ.

ჰოფმარშალი — არაფერი მქონია იმ ქალთან, არაფერი; ერთი წუთით მოთმინება იქონიეთ. თქვენ მოგატყუეს.

ფერდინანდი — ბედავ და ამას მაგონებ კიდევ, არამზადა! რა კავშირი გქონდა შენ იმ ქალთან? გამოტყდი ან აქვე მოგკლავ!

ჰოფმარშალი — Mon Dieu! ღმერთო ჩემო! ხომ გეუბნებით... მომისმინეთ... მისმა მამამ... მისმა საკუთარმა მამამ...

¹ შემოიღოთა სახლი პარიზის მახლობლად.

ფერდინანდი — (ბრაზმორეული) გაგირიგა თავისი საკუთარი ქალი? და რა გქონდა შენ იმ ქალთან, გამოტყედი ან მოგსპობ.

პოტმარალი — თქვენ თქვენს კქუაზე არა ხართ. არ გინდათ, რომ მომისმინოთ. მე ის თვალთაც არ მინახავს... არ ვიცნობ. ღმერთმანი, მისი არაფერი ვიცი.

ფერდინანდი — (უკან დაიხვეს) არ გინახავს? მისი არაფერი იცი? ის შენი გულისთვის დაიღუპა და შენ კი ერთი ამოსუნთქვით სამჯერ უარყოფ? დაიკარგე უმსგავსო ქვეწარმავლო! (დასცხებს დამბახის ყუას და ოთახიდან პანდურით გააგდებს) შენისთანა მანქანალებისათვის ჯერ თოფის წამალიც არ გამოგონილა.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო თ ე

ფერდინანდი — (ხანგრძლივი ღუმილის შემდეგ, როდესაც მისი სახე საშინელ აზრს გამოხატავს) დაიღუპა! დიახ, უბედურო! ჩვენ ორივე დავიღუპეთ — მეც და შენც. ვფიცავ ყოვლისშემძლე ღმერთს! თუ მე დავიღუპე, დაიღუპე შენც. ზეციურო მსაჯულო! ნუ წამართმევ მას. იგი ჩემია. მისთვის დაგითმე მთელი სამყარო, უარი ვთქვი შენს მიერ შექმნილ დიდებულ ქვეყანაზე. დამიტოვე მე იგი, ზეციურო მსაჯულო, მილიონები შემოგლალადებენ შენ, მიაპყრე მათ შენი მოწყალე თვალი და მარტოდ შეთენილს მომეც უფლება თვით ვიმოქმედო, ზეციურო მსაჯულო! (მუქარით გულხელდაკრეფილი). ნუთუ ყოვლისშემძლე, ყოვლისმფლობელი შემოქმედი ვერ დამითმობს ერთ სულს, ყველაზე ცუდს მის მიერ შექმნილთა შორის. ეს გოგონა ჩემია. ოდესღაც მისთვის ღმერთი ვიყავი, ახლა ეშმაკი ვიქნები (საშინელი თვალებით მიაშტერდება ერთ წვრტილს). უკუნითი უკუნისამდის, ერთ სხეულად ქცეული, წამების ბორბალზე გაქრულნი... თვალში თვალ გაყრილნი... ყალყზე დამდგარი თმები... ჩვენი ყრუ კვნესა ერთმანეთს ერთვის. მე ვუმეორებ მას ჩემს ნაზ სიტყვებს, ვაგონებ მის ფიცს... ღმერთო! ღმერთო! საშინელი ნიშნობაა, მაგრამ მარადიული! (სწრაფად მიდის კარებისაკენ, შეხვდება პრეზიდენტს).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ხ უ თ ე

პრეზიდენტი და ფერდინანდი.

ფერდინანდი — (უკან იხვეს) ო! მამაჩემო!

რეზიდენტი — მიხარია რომ შეგხვდი, ფერდინანდ! მოვედი,

შეგატყობინო სასიამოვნო ამბავი და კრდევე რაღაც, რაც შენ ალბათ გაგაკვირვებს. დავსხდეთ.

ფერდინანდი — (დიდხანს თვალს უშტერებს) მამა! (ძლიერ აღელვებული მიდის პრეზიდენტთან და აიღებს მის ხელს) მამაჩემო! (კვაცნის მის ხელს და ეცემა მის წინ მუხლებზე) ო, მამაჩემო!

პრეზიდენტი — რა დაგემართა, ფერდინანდ? ადექი! ხელეზი ცხელი გაქვს და გიკანკალებს.

ფერდინანდი — (ძლიერ აღელვებული და გრძნობით) მაპატიეთ ჩემი უმადურობა, მამაჩემო! მე ხელიდან წასული ადამიანი ვარ! ეჭვი შევიტანე თქვენს გულისხმიერებაში. თქვენ ჭეშმარიტად მამობრივ მზრუნველობას იჩენდით ჩემს მიმართ. ოჰ, რა შორსმჭვრეტელი ყოფილხართ თურმე... მაგრამ ახლა უკვე გვიანდაა... მაპატიეთ! მაპატიეთ! და დამლოცეთ, მამაჩემო!

პრეზიდენტი — (ისეთ გამომეტყველებას მიიღებს, თითქოს არაფერი იცოდეს) ადექი, შვილო! რა მოგდის? რა გამოცანებით მელაპარაკები?

ფერდინანდი — ის მიღერის ქალი, მამაჩემო... ო, თქვენ იცნობთ ხალხს!.. თქვენი აღშფოთება სამართლიანი იყო!.. სამწუხაროდ, თქვენმა მამობრივმა მზრუნველობამ ჩემი გული ვერ მოიგო. ის მიღერის ქალი...

პრეზიდენტი — ნუ მტანჯავ, ფერდინანდ! მე ვგმობ ჩემ სისასტიკეს. მოველ, რათა ბოდიში მოვიხადო.

ფერდინანდი — ბოდიში მოიხადოთ ჩემს წინაშე? უნდა დამწყევლოთ და შემაჩვენოთ! თქვენი საყვედური — სიბრძნე იყო, თქვენი სიმკაცრე თანაგრძნობა. ის მიღერის ქალი, მამაჩემო...

პრეზიდენტი — მშვენიერი, პატიოსანი გოგოა! მე უარსა ვყოფ ჩემს მოუფიქრებელ ეჭვებს. მან ჩემი პატივისცემა დაიმსახურა.

ფერდინანდი — (წამოხტება ფრიად აღელვებული) როგორ? თქვენც? განა მართალი არაა, რომ ის თვით უმანკოების განსახიერებაა? და ამ ქალის სიყვარული — გასაგები იყო!

პრეზიდენტი — მეტს ვიტყვი: იგი რომ არ გიყვარდეს — დანაშაულობაა!

ფერდინანდი — გაუგონარია! წარმოუდგენელია! თქვენ ხომ ასე კარგად იცნობთ ადამიანებს! თქვენ ხომ მას ზიზღის თვალთ უყურებდით, მამაჩემო! უმაგალითო ფარისევლობაა! — ის მიღერის ქალი, მამა...

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — ჩემი რძლობის ღირსია! მისი სათნოება წინაპართა მთელი რიგების თანასწორია, მისი სილამაზე სიმდიდრეზე ძვირფასი. ჩემი შეხედულებები გზას უთმობს შენს სიყვარულს. დეე შენი იყოს!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (როგორც შეშლილი გარეთ მირბის) ესლა მაკლდა! მშვიდობით, მამა! (გავა)

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (მისდევს)შესდექ! შესდექ! სად მირბიხარ? (გადის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ე ქ ე ს ე

მდიდრულად მორთული დარბაზი ლედი მილფორდისა.

შემოდინ ლედი და სოფი.

ლ ე დ ი — ნახე შენ ის? მოვა?

ს ო ფ ი — ახლავე! საშინაოდ იყო ჩაცმული და უნდოდა საჩქაროდ გადაეცვა.

ლ ე დ ი — მის შესახებ ნურას მეტყვი... გაჩუმი! დამნაშავესავით ვკანკალებ, რომ ვნახავ ბედნიერ მეტოქეს, რომლის გრძნობა ასე საშინლად ემთხვევა ჩემსას, როგორ მიიღო დაპატიება?

ს ო ფ ი — თითქოს გაუკვირდა, ჩაფიქრდა. ფართო თვალებით მიყურებდა და დუმდა. მეგონა უარს გავიგონებდი, მაგრამ მან რალაც უცნაურად შემომხედა და სთქვა: „თქვენმა ლედიმ ბრძანა ვეახლო, მე კი ზვალ მინდოდა ამისთვის ნებართვა შეთხოვნა“.

ლ ე დ ი — (ძლიერ ღელავს) დამტოვე, სოფი, შემებრაღე. მე, ალბათ, გავწითლდები თუ ის ჩვეულებრივი ქალია და სასოწარკვეთილებას მივეცემი თუ ჩვეულებრივზე მეტია.

ს ო ფ ი — მაგრამ, მილედი... თქვენ დღეს ისეთ განწყობილებაზე ხართ, რომ მეტოქე არ უნდა მიიღოთ. გაიხსენეთ ვინა ბრძანდებით! მოუხმეთ თქვენს შთამომავლობას, თქვენს მდგომარეობას, თქვენს ძალასა და გავლენას. ამაყი გული უფრო აამაღლებს თქვენს ამაყ მშვენებას.

ლ ე დ ი — (დაბნეული) რას ლაყბობს ეს სულელი გოგო?

ს ო ფ ი — (გაჯავრებით) განა შემთხვევითია, მილედი, რომ დღეს უძვირფასესი ბრილიანტებით მორთულხართ? შემთხვევითია, რომ ყველაზე მდიდრული ტანსაცმელი ჩაგიცვამთ და თქვენ

მისაღები ოთახი სავსეა ჰიდუკებითა და ბუკებით? რატომ დებულობთ საწყალ გოგოს თქვენი სასახლის საუკეთესო დარბაზში?

ლ ე დ ი — (ოთახში მიდი-მოდის გაბრაზებული) საზიზღარია, აუტანელია, რომ ქალი ყოველთვის შეამჩნევს ქალის სისუსტეს! მაგრამ რამდენად დაეცემულვარ, რომ ასეთი ქმნილებისთვისაც კი ვერ დამიმალა ჩემი განცდები.

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი — (შემოდის) ქალბატონი მილერი.

ლ ე დ ი — (სოფის) მომშორდი თავიდან! (სოფი ყოყმანობს. ლედი მუქარით მიმართავს) მომშორდი-მეთქი! (სოფი გადის. ლედი გაივლის დარბაზში) კარგია, ძლიერ კარგია, რომ აღელვებული ვარ! სწორედ ეს მინდოდა. (კამერდინერს) დაუძახე ქალბატონ მილერს! (კამერდინერი გადის. ლედი დავარდება დივანზე და მიიღებს მედიდურ დაუდევარ ჰოზას).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე შ ვ ი დ ე

შემოდის ლუიზა, მოკრძალებით გაჩერდება მოშორებით. ლედი ზურგშექცეული დაკვირვებით ათვალევებს მას პირდაპირ სარკეში. პაუზა.

ლ უ ი ზ ა — მილედი, თქვენ ბრძანებას ველოდები.

ლ ე დ ი — (მიუბრუნდება ლუიზას, ოდნავ თავს დაუქნევს, ცივად, დინჯად) ა! შენ აქა ხარ? ეს, ალბათ, ქალბატონი... რას გეძახიან?

ლ უ ი ზ ა — (ცოტაოდენი სიმწართ) მამაჩემს მილერს ეძახიან, თქვენ მისი ქალის დასაძახებლად გამოგზავნეთ.

ლ ე დ ი — დიახ! დიახ! მახსოვს.. ლატაკი მევიოლინეს ქალი, რომლის შესახებ ამასწინათ ლაპარაკობდნენ (ცოტა ხნის დუმის შემდეგ, თავისთვის) მიმზიდველია, თუმცა ლამაზი სულაც არ არის. (ხმამალლა ლუიზას) მომიახლოვდი, ძვირფასო, (თავისთვის) ამ თვლებმა იციან, რა არის ტირილი. როგორ მიყვარს ასეთი თვლები! (ხმამალლა) უფრო ახლო, ახლო. ჩემი ხომ არ გეშინია, ძვირფასო?

ლ უ ი ზ ა — (ამაყი სიმტკიცით) არა, მილედი, მე უკვე არავისი მეშინია.

ლ ე დ ი — (თავისთვის) ხედავთ როგორია! ქედმაღლობა მისგან უსწავლია. (ხმამალლა) შენ შესახებ კარგი რამ გადმომცეს. ამბობენ, რალაც ვისწავლია და საერთოდ ცხოვრება იცი. მე მზადა ვარ დავიჯერო. სულაც არ მინდა, რომ სიცრუეში დავიჭირო თქვენი მგზნებარე დამცველი.

ლ უ ი ზ ა — მაგრამ მე არავის ვიცნობ, მილედი, ვინც თავს შეიწუხებდა, რომ ჩემთვის მფარველი მოენახა.

ლ ე დ ი — (ქედმაღლურად) თავს შეიწუხებდა თქვენთვის, თუ მფარველისათვის.

ლ უ ი ზ ა — ეს ჩემთვის გაუგებარია, ქალბატონო.

ლ ე დ ი — შენი გამომეტყველება კაცს არ აფიქრებინებს, რომ ასეთი მაცდური ხარ. შენ ლუიზას გეძახიან? რამდენი წლისა ხარ?

ლ უ ი ზ ა — თექვსმეტი შემისრულდა.

ლ ე დ ი — (წამოხტება) გასაგებია! თექვსმეტი წლისა! ვნების პირველი ფეთქვა... ახალი საკრავის პირველი აკორდები. ამაზე მომხიბლავი არაფერია. დაჯექი, ძვირფასო, ძლიერ მომწონხარ და იმ ვაჟსაც პირველად უყვარს. განა საკვირველია, რომ ერთი და იგივე ალიონის სხივები ერთმანეთს დაეკონა! (დიდი აღერხით ხელს მოჰკიდებს) მე გადავწყვიტე გაგაბედნიერო (ლუიზას ლოკაზე ხელს უსვამს) ჩემი სოფი მალე გათხოვდება, შენ მის ადგილს დაიჭერ... თექვსმეტი წელი! ეს დიდხანს არ გრძელდება.

ლ უ ი ზ ა — (მოწიწებით ეამბორება ხელზე) გმადლობთ წყალობისათვის, მილედი, მარჯალია თქვენ მორბედობას ვერ ვიკისრებ.

ლ ე დ ი — (გაჯავრებული ტონით) რა დიდგვაროვანი ქალბატონია! ჩვეულებრივ შენი წოდების გოგოები ბედნიერად სთვლიან თავს, თუ კარგ ბატონს იშოვნენ. საით უმიზნებ, ძვირფასო? თუ ეს თითები მუშაობისათვის მეტად ნაზია? ან იქნებ შენმა მოხდენილმა პირისახემ გაგაამპარტავენა?

ლ უ ი ზ ა — ჩემი ბრალი არ არის, მილედი, რომ ასეთი სახე მაქვს, და ვერც ჩემ შთამომავლობაზე ვაგებ პასუხს.

ლ ე დ ი — იქნებ გგონია, რომ მუდამ ასეთი იქნები? საბრალო, ვინ შთაგაგონა ეს? ვინც არ უნდა იყოს იგი, მას დაუცინია ორივესათვის. ამ ლოყებს მალე დაეკარგება ფერი. ის, რაც ახლა სარკეში მყარი და მარადიული გეჩვენება, მხოლოდ თხელი, ოქროსფერი მტვერია, რომელსაც ადრე თუ გვიან წარხოცავს შენი თაყვანისმცემელი. რას იზამ მაშინ?

ლ უ ი ზ ა — შევიბრალებთ თაყვანისმცემელს, მილედი, რომელმაც იმიტომ იყიდა აღმასი, რომ ეგონა ოქროს ბუდეში იყო ჩასმული.

ლ ე დ ი — (თითქოს არ გაუგონია ლუიზას სიტყვები) თქვენს ასაკში ქალს ყოველთვის ორი სარკე აქვს. ერთი ნამდვილი, მეორე კი თაყვანისმცემლისა. უკანასკნელის ალერსიანი პირფერობა ოდ-

ნავ ანელებს ჰირველის უხეშ პირდაპირობას. პირველი სარკე უჩვენებს ულაზათო ნაყვავილარს, არა, — ამბობს მეორე, — ეს მოხდენილი ღრმულია მხოლოდ. თქვენ კი, ძვირფასო ბავშვებო! პირველს იმას უჯერით, რაშიც იგი მეორეს ეთანხმება და მანამდე ქანაობთ ორივეს შუა, ვიდრე თვითონვე არ აურევთ, რომელი რას გეუბნებათ. რატომ მიყურებთ ასე?

ლ უ ი ზ ა — მაპატიეთ, მილედი! მეცოდება ეს თქვენი დიდებული ლალი, რომელიც ასე თვალმომჭრელად ბრწყინავს. მან, ალბათ, არ იცის, რომ მისი მფლობელი ასე მკაცრად ამტყუნებს კეკლუცობას.

ლ ე დ ი — (გაწითლდება) სიტყვას ბანზე ნუ აგდება, ცუდლუტო! შენი გარეგნობის იმედი რომ არ გქონდეს, არაფერი ამქვეყნად არ შეგიშლიდა ხელს, მიგელო ეს ადგილი, ერთადერთი, სადაც დიდკაცურ მოქცევის ისწავლიდი და შენს მდაბიო ზნე-ჩვეულებას დაივიწყებდი.

ლ უ ი ზ ა — და ჩემს მდაბიო პატიოსნებასაც — მილედი?

ლ ე დ ი — რა სისულელეა, ყველაზე თავაშვებული არამზადაც კი ვერაფერს იფიქრებს ცუდს ჩვენზე, თუ ჩვენვე არ მივცემთ ამის საბაბს. კარგად დაიჭირეთ თავი, დაიცავით პატიოსნება და ღირსება და სიტყვას მოგცემთ, რომ თქვენი ახალგაზრდობა გაუძღვებს ცდუნებას.

ლ უ ი ზ ა — ნება მიბოძეთ, მილედი, მაგას არ დავუჯერო. დიდებულ მწიფილსანთა სასახლეები იშვიათად არის აღვირახსნილი თავშექცევისაგან თავისუფალი. განა შეიძლება საბრლო მევიოლნეს ქალს მოსთხოვოთ გმირობა გამოიჩინოს, ჰირიან სახლში შევარდეს და ამასთან სენის გადადების არ ეშინოდეს? ვინ იფიქრებდა, რომ ლედი მილფორდს განუწყვეტლივ უმზამავს სინდისს საშინელი მორიელი, რომ იგი იმიტომ ჰფანტავს ფულს, რათა საშუალება ჰქონდეს ყოველწუთს სირცხვილისაგან დაიწვას? მე თქვენთან გულახდილი ვარ, მილედო. განა თქვენ სიხარულს მოგგვრიდათ ჩემი ცქერა, როცა სადმე დროს გასატარებლად წახვიდოდით? ატუნელი არ ვიქნებოდი თქვენთვის, როცა შინ დაბრუნდებოდით? ო, არა! არა! უკეთესია მთელი ქვეყნები გვაშორებდეს ერთმანეთს, ბობოქარი ზღვის ტალღები იყოს ჩვენს შორის! დაფიქრდით, მილედი! შეიძლება დაგიდგეთ საათი გამოფხიზლებისა, წუთები ღონემიხდილობისა, შეიძლება მონანიების გველებმა დაუწყონ წოვა თქვენს მკერდს. როგორი წამება იქნება მაშინ თქვენ-

თვის ამოიკითხოთ თქვენი მსახურის სახეზე უშფოთველი სიმ-
შვიდე, რითაც აჯილდოვებს უმანკოება შეუბილწავ სულს!
(ერთი ნაბიჯით უკან დაიხვეს) კვლავ ბოდვის ვიხდი, მილედი.

ლ ე დ ი — (ძლიერი სულიერი მღელვარებით შეპყრობილი დადის ოთახში)
აუტანელია, რომ იგი ამას მე მეუბნება! კიდევ უფრო აუტა-
ნელია, რომ ის მართალია! (მიდის ლუიზასთან ახლოს და სახეში
უხურობს). ეშმაკობით ვერ მჯობობ! ასე მგზნებარედ ადამი-
ანები თავიანთ რწმენაზე არ ლაპარაკობენ: ეს მსჯელობა ვნე-
ბას ამჟღავნებს, ამიტომაც გეზიზღება ასე ჩემთან სამსახური!
ამიტომ ლაპარაკობ ასე მგზნებარედ. (მუჭარით) მაგრამ მე
ყველაფერს შევიტყობ!

ლ უ ი ზ ა — (ღირსეულად) რა ვქნა, შეიტყვეთ. მაგრამ ქედმაღლუ-
რად ფეხის კვრით თუ გააღვიძებთ შეურაცხყოფილ ჭიას, რო-
მელსაც შემოქმედმა თავდასაცავად მაინც მისცა ნესტარი!
მე თქვენი შურისძიებისა არ მეშინია, მილედი! სამარცხეინო
ბოდს მიკრული საბრალო ცოდვილისათვის სულ ერთია თუნდაც
მთელ ქვეყნიერებას ცეცხლი მოედოს. ჩემი უბედურება მძი-
მეა და მისი მეტად დამძიმება ჩემი გულწრფელობით არ შემიძ-
ლია. (რამდენიმე ხნის დუმილის შემდეგ, ძლიერ მკაცრად) თქვენ გსურთ
ჩემი წოდების მტერიდან გამანთავისუფლოთ. არ მინდა ამ საეჭვო
წყალობას დავუფიქრდე. მხოლოდ ერთ რამეს შეგეკითხებით,
მილედი: მითხარით, რამ გაფიქრებინათ რომ სულელი ვარ და
ჩემი წარმოშობისა მრცხვენთან? რამ მოგცათ თქვენ უფლება,
თქვენს თავზე აიღოთ ჩემი ბედნიერების მოწყობა და წინასწარ
არც კი მკითხოთ, მივიღებ თუ არა თქვენი ხელიდან ამას? მე
სამუდამოდ ხელი ავიღე მიწიერ სიხარულზე. უკვე შევეჩვიე
იმ აზრს, რომ ჩემი ბედნიერება მეტისმეტად ხანმოკლე იყო.
რატომ მაგონებთ კვლავ მას? თუკი ღვთაება უმაღლეს საკუ-
თარ ქმნილებათ თავისი სახის ბრწყინვალეობას, რათა თვით უმაღ-
ლესი სერაფიმები არ შეძრწუნდნენ და მათი ციაგი არ ჩაქ-
რეს, რატომ სურთ ადამიანებს იყვნენ გულქვანი გულმოწყალების
დროსაც კი? რატომ არის ასე, მილედი, რომ თქვენი განთქმული
ბედნიერება მოწყალებასავით ითხოვს მწუხარებას, მოშურნე-
ობას და გაოცებას? იქნებ თქვენი ნეტარება აუცილებელ ფო-
ნად სჭირდება სასოწარკვეთილებას? ო, უკეთესია ნუ ამიხელთ
თვალეხს, მხოლოდ ამას შეუძლია შემარიგოს ჩემს მწარე ხვედრ-
თან!.. მწერი ნეტარებს ერთ წვეთ წყალშიც, იგი მას ზეციურ
სამეფოდ მიაჩნია, სტკბება და ხარობს. მანამდე, ვიდრე მას
არ უამბობენ ოკეანის შესახებ, სადაც გემები დაცურავენ და

ვეშაპები დანავარდობენ. თქვენ ხომ ჩემი ბედნიერება გსურდათ? (ოტა ხნის დუმილის შემდეგ უცებ მიდის ლედისთან და ეკითხება). თქვენ ბედნიერი ხართ, მილედი? (მილედი სწრაფად მოცილდება. ლუიზა კვლავ მიუახლოვდება და დაადებს ხელს გულზე). ან იქნებ თქვენი გულიც ისევე უღარდელია, როგორც ყველა დიდგვაროვნისა? რომ შესაძლებელი ყოფილიყო ჩვენი მდგომარეობის ერთმანეთში გაცვლა და მე თქვენ დაგნდობოდი, თქვენ სინდისზე დანდობილს მომემართა თქვენთვის, როგორც დედისათვის, მირჩევდით თქვენ ასეთ გაცვლას?

ლ ე დ ი — (ძლიერ აღფლავებული დივანზე დავარდება) უცნაურია! გაუგონარია! არა, ძვირფასო! არა!.. სულის ასეთი სიდიადე თანდაყოლილი არ არის. ამას ვერ შთაგაგონებდა მამა, — მეტისმეტად ახალგაზრდულია. კეთილშობილ გრძნობათათვის შენ მასწავლებელი გეყოლებოდა.

ლ უ ი ზ ა — (ლედის თვალბეჭეში უტყერის, თითქოს მის აზრებსა ხედავს) საოცარია, მილედი, ეს მასწავლებელი თითქოს ახლა მოგაგონდათ. ადგილი კი უფრო ადრე შემომთავაზეთ.

ლ ე დ ი — (წამოხტება) ეს აუტანელია! შენთან თვალხუჭუნას თამაში უსარგებლოა. დიახ, ვიცი, ყველაფერი ვიცი! (შეცირვებულად წაიხრება). შემდეგ სიმკაცრით, რომელიც თანდათანობით ცოფში გადადის). ახლაც გაბედე, უბედურო, რომ ის გიყვარდეს, ან მას უყვარდე! რას ვამბობ? გაბედე მის შესახებ ფიქრი, ან მის თავს ფიქრად შეეხიზნე და... მე ძლიერი ვარ, უბედურო, ჩემი შურისძიება საშინელია! ღმერთსა ვფიცავ, შენ დაღუპული ხარ!

ლ უ ი ზ ა — (შეუბოვრად) და სამუდამოდ, მილედი! როგორც კი აიძულებთ, რომ მან თქვენ შეგიყვაროთ.

ლ ე დ ი — მე მესმის შენი... მაგრამ არაა აუცილებელი, რომ მან შემეყვაროს. მე ჩავახშობ ჩემს სამარცხვინო ვნებას, დავითრგუნავ ჩემს გულს და დავამსხვრევ შენსასაც! თქვენს შორის ციკაბო კლდეებს აღმართავ, უფსკრულებს ამოვთხრი... ვით ფურია თქვენს სამოთხეში შემოვიჭრები! ჩემი სახელი დაფრთხობს თქვენს კოცნას, როგორც მოჩვენება აფრთხობს ბოროტმოქმედებს, შენი ახალგაზრდა სხეული მის მკლავებში მუშაობით გაიყინება. კარგად დაიმახსოვრე, უბედურო: მე მასთან ბედნიერი ვერ ვიქნები, მაგრამ არც შენ გელირსება იგი. სხვისი ბედნიერების დანგრევაც ბედნიერებაა!

ლ უ ი ზ ა — ბედნიერება, რომელიც თქვენ უკვე წაგართვეს, მილედი! ცილს ნუ სწამებთ თქვენს საკუთარ გულს. თქვენი

გული არ მოგცემთ ნებას თავს დამატებით ყველა ის უბედურება, რითაც შემუქრებით. თქვენ არ შეგიძლიათ სტანჯოთ არსება, რომელსაც თქვენს წინაშე არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, გარდა იმისა, რომ იმასვე გრძნობს, რასაც თქვენ, მაგრამ მე თქვენ მიყვარხართ, მილედი, თქვენი სულის ასეთი აღტყინების გამო.

ლედი — (თავს იკავებს) სად ვარ? რა მოხდა? რა გავამქლავნე? ვის გავუმქლავნე? ო, ლუიზა! კეთილშობილო, მაღალო, ღვთიურო არსება! მიუტევე ჰკუიდან შეშლილს! ვინ გაბედავს, რომ ხელი გახლოს, ჩემო ბავშვო! მითხარი, რაც გინდა, მომთხოვე ყველაფერი, მეგობარი ვიქნები შენი, შენი და. შენ ლარიბო ხარ — აი, უცქირე! (იხსნის რამდენიმე ბრილიანტს) გაყვიდი ამ ძვირფას ქვებს, ჩემს მორთულობას, ცხენებს და ეტლს... ყველაფერი შენი იქნება, ოღონდ უარი სთქვი მასზე.

ლუიზა — (გაოცებული უკან იხვეს) რას სჩადის? დასცინის ჩემს სასოწარკვეთილებას, თუ მართლა არ არის მონაწილე ჩადენილი ბარბაროსობისა? ა? თუ ის ასეა, მე შემეძლო თავი გმირად მომეჩვენებინა და ჩემი უძლურებისათვის დამსახურების იერო მიმეცა. (ცოტა ხანს დაფიქრებული დგას, შემდეგ მიუახლოვდება ლედის, აიღებს მის ხელს და თვალჩიებით და მრავალმნიშვნელოვნად უცქირის) გყავდეთ ის, მილედი! ჩემი ნებით გითმობთ ადამიანს, რომელიც ჯოჯოხეთის ჩანგლებით მოჰგლიჯეს ჩემს დასისხლიანებულ გულს. თქვენ, ალბათ, არც კი იცით, მილედი, რომ დაუნგრითთ ორ შეყვარებულს სამოთხე, ერთმანეთს მოჰგლიჯეთ ღვთის მიერ დაკავშირებული ორი გული, ფეხით გასრისეთ არსება, რომელიც მისთვის ისევე მახლობელი იყო, როგორც თქვენ ხართ, რომელიც მან ისევე შექმნა სიხარულისთვის, როგორც თქვენ შეგქმნათ და რომელიც მას ისევე აღიდებდა, როგორც თქვენ აღიდებთ, მაგრამ აწი აღარასოდეს შელალადებს მას. მილედი, ზეციურის ყურთასმენას არ გამოეპარება გასრისოლი მატლის უკანასკნელი კრუნჩხვაც კი. შემოქმედს არ შეუძლია გულგრილად უყუროს მის ქმნილებათა სიკვდილს. ახლა იგი თქვენია! თქვენი იყოს ის, მილედი! ჩაიკარით ის გულშო! მიიყვანეთ ის საკურთხეველთან... მაგრამ გახსოვდეთ, მილედი, საქორწინო კოცნის დროს თქვენ შორის აღიმართება თ ვითომ კვლეღის აჩრდილი. ღმერთი შემინდობს ამას, რადგან სხვა გზა აღარ დამრჩენია. (გარბის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე რ ე ე

მარტოდ დარჩენილი ლედი გაოგნებული და თავდავიწყებული დგას და მიშტერები კარებს, საიდანაც ლუიზა გავარდა. დიდხანს ვერ გამოერკვევა.

ლ ე დ ი — ეს რა იყო? რა მოხდა? რას ამბობდა ის უბედური? ო, ღმერთო! ახლაც ყურში მიდგას მისი საშინელი, საბრალდებლო განაჩენის მსგავსი სიტყვები: „გყავდეთ ის, მილედი!“ ვინ, უბედურო! შენი სასიკვდილო კენესის საჩუქარი, საშინელების მომგვრელი შენი სასოწარკვეთილების ანდერძი? ღმერთო! ღმერთო! ნუთუ ისე დავმდაბლდი, ისე დავეცი ჩემი სიამაყის ყველა ტახტიდან, რომ მოუთმენლად ველი მოწყალებას სასიკვდილო აგონიით შეპყრობილ დიდსულოვან მათხოვრისაგან? „გყავდეთ ის, მილედი!“ — როგორი ტონით წარმოთქვა მან ეს! როგორი თვალებით მიყურებდა! ოჰ, ემილია! განა იმისთვის დასძლიე შენი სქესისთვის დამახასიათებელი სისუსტე, განა იმისთვის ცდილობდი მოგეპოვებინა ბრწყინვალე სახელი დიდებული ბრიტანელი ქალისა, რომ მთელი შენი ღირსების სატრაბახო შენობა დაემხოს ვილაც უმწეთ ბიუტგერი ქალის უფრო მაღალი სათნოების წინაშე? არა, ბედშავო ქედმაღლო არსება, არა! ემილია მილფორდი დაუშვებს, რომ უსაყვედურონ, მაგრამ რომ შეარცხვინონ — არასოდეს! მეც შემწევს ძალა, რომ უარი ვთქვა (აშავად დადის წინ და შავს). განვედ ჩემგან, მორჩილო, ტანჯულო ქალო! თქვენც მშვიდობით, ტკბილო ოქროს სურათებო სიყვარულისა! დიდსულოვნება იქნება ამიერიდან ჩემი ერთადერთი ხელმძღვანელი! ან ეს შეყვარებული წყვილი დაიღუპება, ანდა ლედი მილფორდი უარს იტყვის პრეტენზიებზე და ჰერცოგის გულში ჩაქრება! (ცოტახნის დუმილის შემდგა, ცოცხლად) გადაწყდა!.. დაძლეულია საშინელი დაბრკოლება, გაწყვეტილია ყველა კავშირი ჩემსა და ჰერცოგს შორის, ამოგლეჯილია ჩემი გულიდან გაცოფებული სიყვარული... შენს მკლავებში ვვარდები, სათნოებავ! მიიღე მომნანიებელი ასული, შენი ემილია! ო, რა კარგად ვარ! როგორ მომეშვა გულზე! რა სასიამოვნოა! მსგავსად ჩამავალი მზისა, მეფური სიმშვიდით დავეშვები ჩემი სიდიადის მაღალი მწვერვალისაგან. დაე, ჩემს სიყვარულთან ერთად მოკვდეს ჩემი ღიღბაც და ჩემი გული იყოს მხოლოდ ჩემი ამაყი გაძევების თანმხლები (გაბედული ნაბიჯით მიდის მაგიდასთან). ეს უნდა მოხდეს ახლავე,

დაუყოვნებლივ, ვიდრე მშვენიერებს იმ ძვირფასი ახალგაზრდისა არ განუახლებია სისხლიანი ბრძოლა ჩემს გულში. (ჯდება და იწყებს წერას).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ც ხ რ ე

ლედი, კამერდინერი, სოფი, შემდეგ ჰოფმარშალი, ბოლოს მსახურები.

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი — ჰოფმარშალი ფონ კალბი მოსაცდელში დგას, ჰერცოგის დავალება აქვს გადმოსაცემი.

ლ ე დ ი — (გატაცებით განაგრძობს წერას) როგორ შეხტება ეს გვირგვინოსანი მარიონეტი! ცხადია! საკმაოდ თავშესაქცევი საქმეა მისი ბრწყინვალეების ტვინის ამოძრავება. კარის მლიქვნელები აწრიალდებიან; მთელი საჰერცოგო ალაპარაკდება.

კ ა მ ე რ დ ი ნ ე რ ი და ს ო ფ ი — ჰოფმარშალი, მილედი!..

ლ ე დ ი — (მობრუნდება) ვინ? რა? მით უკეთესი! ამ ყაიდის ადამიანები ჭორიკანობისათვის არიან დაბადებულნი. სთხოვეთ შემოვიდეს. (კამერდინერი გადის)

ს ო ფ ი — (მოკრძალებით უახლოვდება ლედის) ჩემი გული რომ დამშვიდებული იყოს, თავხედობა იქნებოდა, მილედი. (ლედი განაგრძობს გატაცებით წერას) ჯერ იყო და ლუიზა მილერი გავარდა აქედან თავდაკარგულივით. თქვენ, მილედი, სახეზე აღმური გიკიდათ, თქვენ თავთან ლაპარაკობთ. (ლედი კვლავ განაგრძობს წერას) შიში მიპყრობს... რა უნდა მომხდარიყო ასეთი?

ჰ ო ფ მ ა რ შ ა ლ ი — (შემოდის. დაუსრულებლივ უკრავს თავს ზურგშექცეულ ლედის რადგან ლედიმ ვერ შეამჩნია, იგი მიუახლოვდება მას, დგება ლედის სავარძლის უკან, ხელში აიღებს მისი კაბის კალთას, ჰყოცნის და მოკრძალებით ტიტინებს). მ ი ს ი უ მ ა ლ ლ ე ს ო ბ ა.

ლ ე დ ი — (აყრის წერილს ფხვნილს და გადაიკითხავს) ის ამას, რა თქმა უნდა, უმადურობად ჩასთვლის. მე, ყველასაგან მიტოვებული, მან სიღარიბისაგან ამომიყვანა. სიღარიბისაგან? ეს საზოგადოებრივი გაცვლა იყო! დახიე შენი ანგარიშები, მაცდურო! ჩემს სახეზე აღბეჭდილი მუდმივი სირცხვილის აღმური ერთიორად ანაზღაურებს მათ.

ჰ ო ფ მ ა რ შ ა ლ ი — (ამოდ დარბის ლედი მილფორდის გარშემო) დღეს რაღაც დაბნეული სჩანხართ, მილედი, ჩემს თავს ნება უნდა მივცე უფრო გაბედული ვიყო (ძლიერ ხმამაღლა). მისმა უმალლესობამ გამომგზავნა, რომ გამეგო: დღეს საღამოს სეირნობა მოაწყონ ბაღში, თუ გერმანული კომედია უჩვენონ?

ლ ე დ ი — (სიცილით დგება) ან ერთი, ან მეორე, ჩემო ანგელოზო! მანამდე კი თქვენს ჰერცოგს ეს წერილი მთავრით დესერტად. (სოფის) უბრძანე, ცხენები შეაბან, სოფი, და ყველა მოსამსახურე აქ შემოვიდეს.

ს ი ფ ი — (შიდის შემოთვლილი) ღმერთო დიდებულო! წინათგრძნობა კარგს არაფერს მეუბნება! რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს?

ჰ ი ფ მ ა რ შ ა ლ ი — თქვენ აღელვებული ბრძანდებით, ჩემო უპატივცემულესო?

ლ ე დ ი — მით უფრო მეტი სიმართლე იქნება ჩემს სიტყვებში... ვაშა, ბატონო ჰოფმარშალი! ადგილი თავისუფლდება, მაქანკლებს საქმე გამოუჩნდებათ! (შეატყობს, რომ ჰოფმარშალი საეჭვოდ უყურებს წერილს) წაიკითხეთ, წაიკითხეთ! მსურს, რომ ამ წერილის შინაარსი ყველამ იცოდეს.

ჰ ი ფ მ ა რ შ ა ლ ი — (კითხულობს, სცენის სიღრმეში თავს იყრის ლედი მილფორდის მსახურები) „მოწყალეო ხელმწიფე! ხელშეკრულება, რომელიც თქვენ ასე დაუფიქრებლად დაარღვიეთ, აღარ შეიძლება რომ მე მბორკავდეს. თქვენი ქვეყნის კეთილდღეობა წარმოადგენდა ჩემი სიყვარულის პირობას. სამი წლის განმავლობაში მატყუებდით. ახლა თვალები ამეხილა. მე ზიზღსა მგვრის თქვენს ქვეშევრდომთა ცრემლებში განბანილი თქვენი მოწყალეობა. აჩუქეთ თქვენი სიყვარული, რომელსაც მე ველარ გავიზიარებ, თქვენს დაჩაგრულ ქვეყანას და ისწავლეთ ბ რ ი ტ ა ნ ე ლ ი პ რ ი ნ ც ე ს ა ს ა გ ა ნ ლ მობიერება თქვენი გ ე რ მ ა ნ ე ლ ი ხალხისადმი. ერთი საათის შემდეგ მე უკვე თქვენი ქვეყნის საზღვრებს იქით ვიქნები. იოჰანა ნორფოლი“.

მ ს ა ხ უ რ ე ბ ი — (გაოცებული ვიწროხედიანი ვართმანეთს) საზღვრებს იქით?

ჰ ი ფ მ ა რ შ ა ლ ი — (შეშინებული დებს წერილს მაგიდაზე) ღმერთო, დამიფარე, ჩემო უძვირფასესო და უპატივცემულესო, ამ წერილის მიმტანს ისევე უნდა მოძულებოდეს თავი, როგორც მის დამწერს.

ლ ე დ ი — როგორც გენებოთ, ჩემო ოქრო! სამწუხაროდ, კარგად ვიცი, რომ შენ და შენს მსგავსებს შიშისაგან ენა გებმით იმის მოყოლაზედაც კი, რაც სხვებს საქმით ჩაუდენიათ! გირჩევთ ეს წერილი გარეული ფრინველის პაშტეტს ჩაუროთოთ, რომ მისმა უდიდებულესობამ იგი თეფშზე აღმოაჩინოს.

პოემა რეალ — Ciel! რა კადნიერებაა! გონზე მოდით, მი-
ლედო — (მიუბრუნდება შეკრებილ მსახურებს და გულარეულებს მიმარ-
თავს მათ) თქვენ გაცელებული ხართ, კეთილო ადამიანებო, და ში-
შით ელით, რით გადაწყდება ეს გამოცანა. მომიახლოვდით, ჩემო
ძვირფასებო! თქვენ პატიოსნად და ერთგულად მემსახურებოდით
და უფრო სწირად თვალებში მიცქეროდით, ვიდრე საფულე-
ში. ჩემდამი მორჩილება იყო თქვენი ვნება, ჩემი მოწყალება
იყო თქვენი სიამაყე. მწყინს მხოლოდ, რომ თქვენი ერთგულე-
ბის მოგონება ყოველთვის დაკავშირებული იქნება ჩემი დამცი-
რების მოგონებასთან. ოჰ, რა სამწუხაროა, რომ ჩემი ცხოვრე-
ბის ყველაზე შავბნელი დღენი, თქვენთვის უბედნიერესი დღე-
ები იყო! (თვალებზე ცრემლმორწყული) მე თქვენ განთავისუფლებთ,
ჩემო მეგობრებო! ლედი მილფორდი აღარ არსებობს, იოჰანა
ნორფოლკი კი მეტისმეტად ღარიბია, რომ თქვენი ვალი გადაი-
ხადოს. ჩემი ხაზინადარი გაანაწილებს თქვენს შორის ყველა-
ფერს, რაც ამ კოლოფშია. ეს სასახლე ჰერცოგს რჩება. ყველა-
ზე დარიბი თქვენთაგან აქედან უფრო მდიდარი წავა, ვიდრე
თქვენი ქალბატონი (გაუწვიდის მათ ხელს. მსახურები მხურვალედ ჰკოც-
ნიან ხელზე) მე მესმის თქვენი, ძვირფასებო! მშვიდობით! მშვი-
დობით სამუდამოდ! (ძალას მოიკრეფს). აი, კარეტაც მოვიდა
(სურს გავიდეს, ჰფიქრობს გადართობას გზას) შენ კიდევ აქ ხარ,
საცოდავო ადამიანო?

პოემა რეალ — (მთელი ამ ხნის განმავლობაში უაზროდ დაცქერის
წერილს). ეს წერილი საკუთარ ხელში უნდა მიეცე მის უმაღ-
ლესობას?

ლედი — საკუთარ ხელში მის უმაღლესობას, საცოდავო ადამიან-
ო, და უნდა მოახსენო მისი უმაღლესობის საკუთარ ყურებს,
თუ ლორეტომდე ფეხშიშველი ვერ მივალწევ, ყოველდღიურ
მუშად დავდგები, იქნებ ამით ჩამოვირეცხო გარედან ურთიერ-
ობის სამარცხვინო ლაქა. (სწრაფად გადის).

დანარჩენებიც აღელვებულნი გადინ.

მოქმედება მეხუთე

გამოსვლა პირველი

მუსიკოსის ოთახი.

ლუიზა — (გაჩუმებული და უძრავი ზის ოთახის ბნელ კუნძულში და თავი
ხელებზე დაუდვია. ხანგრძლივი და ღრმა სიჩუმის შემდეგ, შემოდის მი-
ღერი ფანარით, შეშინებული მიანათ-მოანათებს, ვერ შენიშნავს ლუიზას,
ქუდს მაგიდაზე დასდებს და ფარანს დადგამს).

¹ დმერთო ჩემო (ფრანგ.).

მ ი ლ ე რ ი — აქც არ არის, არც აქ არის ყველა ქუჩა შემოვიარე, ყველა ნაცნობთან ვეყავი, ყველა ჭიშკართან მოვიკითხე. არავის უნახავს ჩემი გოგონა. (გაჩუხდება) მოთმინება იქონიე, საბრალო, უბედურო მამა. დაიცადე დილამდე. დილით იქნებ ნაპირზე გამოსცურდეს შენი ერთადერთი შვილი... ღმერთო! ღმერთო! იქნებ მე მეტისმეტად ვაღმერთებდი ჩემს გოგონას, მაგრამ სასჯელი მაინც მკაცრია, ზეციერო მამა, ძლიერ მკაცრი. მე არ ვწუწუნებ, ზეციერო მამა, მაგრამ სასჯელი ძლიერ მკაცრია (ღრმა მჭუნარებით შეპყრობილი დაფშვება სკამზე).

ლ უ ი ზ ა — (კუნჭულიდან) შეეჩვიე, საბრალო მოხუცო, ახლავე შეეჩვიე მის დაკარგვას!

მ ი ლ ე რ ი — (წამოხტება) აქა ხარ, შვილო? აქ? რას აკეთებ მარტოკა სიბნელეში?

ლ უ ი ზ ა — არა, მე მარტო არა ვარ, როცა ჩემს ირგვლივ ასე ბნელა, მაშინ მეწვევიან ყველაზე ძვირფასი სტუმრები.

მ ი ლ ე რ ი — ღმერთი გგფარვიდეს! მხოლოდ არაწმინდა სინდისსა და ჭოტებს უყვართ სიბნელე, სინათლის მხოლოდ ცოდვას და ბოროტ სულებს ეშინიათ.

ლ უ ი ზ ა — აგრეთვე მარადისობას, მამა, რომელიც ადამიანებთან უშუამავლოდ საუბრობს.

მ ი ლ ე რ ი — შვილო! შვილო! რას ნიშნავს შენი სიტყვები?

ლ უ ი ზ ა — (ადგება და წინ გამოვა) მძიმე განსაცდელი გადავიტანე შენ ეს იცი, მამა! ღმერთმა ძალა მომცა, ბრძოლა გადაწყდა. მამა, ჩვენ, ქალებს, სუსტ, ნაზ ქმნილებას გვიწოდებენ. ამას ნულარ დაუჯერებ. ჩვენ ვკანკალებთ ობობას დანახვაზე, მაგრამ უშიშრად ვიხუტებთ სიკვდილის შავბნელ ურჩხულს! იცოდე ეს, მამაჩემო! შენი ლუიზა გამხიარულდა!

მ ი ლ ე რ ი — ჰე, ლუიზა, ნეტავ ქვითინებდე და ცრემლად იღვრებოდე, ჩემთვის უფრო ადვილი იქნებოდა შენი ცქერა.

ლ უ ი ზ ა — მე მას ვაჯობებ ეშმაკობით, მამა, მოვატყუებ იმ ტირანს. სიყვარული ბოროტებაზე უფრო ეშმაკია და გაბედული. ეს არ იცის მან, კაცმა, რომელიც გულზე ნაღვლიან ვარსკვლავს ატარებს. ოჰ, ისინი მარჯვენი არიან მანამდე, ვიდრე საქმე თავთანა აქვთ, მაგრამ საკმარისია გულს შეეჯახონ და ბოროტნი სულელდებიან. ფიქრობდა თავისი სიყალბე ფიცით განემტკიცებინა! ფიცი ცოცხლებსა ბოჭავს, ხოლო სიკვდილი ფიცის კავ-

შირსაც არღვევს! ფერდინანდი თავის ლუიზას იცნობს! თუ არ შეწუხდები ამ ბარათს მას გადასცემ, მამაჩემო!

მილერი — ვის, შვილო?

ლუიზა — განა საკითხავია?! მთელი უსასრულობა და ჩემი გული მცირე მეჩვენება, რომ დაიტოოს ერთადერთი ფიქრი მხოლოდ მასზე. სხვას ვის უნდა მივწერო?

მილერი — (ზეზუხეზული) იცი, რა, ლუიზა? ამ წერილს გავხსნი.

ლუიზა — როგორც გსურდეს, მამა! მხოლოდ ვერაფერს ჭაიგებ. ასოები მანდ მკვდრებისათვის ალაგია და მხოლოდ სიყვარულის თვალებისათვის ცოცხლდება.

მილერი — (კითხულობს) „შენ მოგატყუეს, ფერდინანდ. გაუგონარმა ვერაგობამ დაარღვია ჩვენ გულთა კავშირი. მაგრამ საშინელმა ფიცმა შემიკრა ენა, ხოლო მამაშენმა ყველგან თავის ჯაშუშები ჩასაფრა. მხნედ იყავი, ძვირფასო. მე ვოცი მესამე ადგილი, სადაც ფიცი ველარ შეგვბორკავს და ჯაშუშები ველარ მოგვწვდებიან“.

(მიღწერი შეწყვეტს კითხვას და სერიოზულად უცქერის ქალს თვალებში).

ლუიზა — ეგრე რად მიუტრებ? წაიკითხე შემდეგ, მამა!

მილერი — „მაგრამ დიდი ვაჟკაცობა დაგჭირდება, რომ გაიარო წყვედიანთ მოცული გზა, სადაც არავინ გაგინათებს უფნი ლუიზას და ღმერთის გარდა. მხოლოდ სიყვარული უნდა იყოს შენი თანმხლები; უნდა დასტოვო ყველა იმედი და მღელვარე სურვილები. შენ არაფერი გჭირდება გარდა შენი გულისა. თუ გაბედავ, გაუღდექი გზას, როცა კარმელიტების მონასტრის ზარებს თორმეტჯერ დარეკენ, შეშინდები და ამომალე ვაჟკაცობა შენი სქესის დამახასიათებელ თვისებათაგან, რადჟან გოგონამ სირცხვილი გაქამა“. (დებს წერილს, დიდხანს უცქერის თვალმომშორებლად და დაღონებული ერთ წერტილს თავის წინ; შეადგვ მიმართავს ლუიზას წყნარი და დახშული ხმით) სად არის ეს მესამე ადგილი, ლუიზა?

ლუიზა — შენ არ იცი, მამა? მართლა არ იცი? უცნაურია! მე ის მკაფიოდ აღვნიშნე. ფერდინანდი იპოვის.

მილერი — ჰმ! გარკვევით მითხარი.

ლუიზა — ახლა მისთვის შესაფერ სახელს ვერ გამოვნახებ. ნუ შეშინდები, მამილო, თუ უსიამოვნო სახელით ვახსენებ. ის ადგილი... ეჰ, რატომ სიტყვები სიყვარულმა არ მოიგონა! მას უმშვენიერეს სახელს უწოდებდა. ის ადგილი, მამაჩემო, — მხოლოდ ნუ შემაწყვეტიანებ — საფლავია.

მ ი ლ ე რ ი — (დაბარბაცდება; სავარძლისაკენ შიდას). ღმერთო!
ლ უ ი ზ ა — (მიუახლოვდება და შეეშველება) კმარა, მამილო! მხოლოდ სიტყვაა საშინელი... უიმისოდ ეს საქორწინო სარეცელია, რომელსაც დილა თავის ოქრომკერდს აფენს და გაზაფხული ფერადი თაგულებით ამკობს. მხოლოდ დიდ ცოდვილს შეეძლო მისთვის ჩონჩხი ეწოდებინა. იგი მშვენიერი, მიმზიდველი, ვარდისფერლოყება ბავშვია, სწორედ ისეთი, როგორსაც ხატავენ სიყვარულის ღმერთს, მაგრამ არა მასავით ცბიერი, — იგი მოკრძალებული, სამსახურისთვის ყოველთვის მზადმყოფი გენიაა, რომელიც დახმარების ხელს უწვდის დატანჯულ მოხეტიალე სულს, რომ გადალახოს დროთა ზღურბლი, უხსნის მას მარადიული ნეტარების ჯადოსნურ კოშკს, მეგობრულად უქნევს თავს და ქრება.

მ ი ლ ე რ ი — რა განგიზრახავს, ლუიზა? გინდა თავი მოიკლა?

ლ უ ი ზ ა — არა, ეგრე ნუ ამბობ, მამაჩემო! საზოგადოებაში ადგილი გავანთავისუფლო, სადაც ზედმეტი ვარ, გავეშურო იმ ადგილისაკენ, რომელიც ასე მიზიდავს — განა ეს ცოდვაა?

მ ი ლ ე რ ი — თვითმკვლელობა ყველაზე მძიმე ცოდვაა, შვილო, ერთადერთი ცოდვა, რომლის მონანიებაც არ შეიძლება, რადგან მასში შეერთებულია სიკვდილი და დანაშაული.

ლ უ ი ზ ა — (დას გაბტყობული) საშინელია! მაგრამ სიკვდილი ასე ჩქარა ხომ არ მოვა, მდინარეში გადავვარდები, მამა, და, ფსკერზე დაშვებამდე, შევევედრები ყოვლად ძლიერს, რომ შემინდოს!

მ ი ლ ე რ ი — ეს იგივეა, გამოტყდე ქურდობაში მას შემდეგ, როცა ნაქურდალი საიმედო ადგილზე გაქვს შენახული... შვილო! შვილო! უფრთხილდი, ნუ დასცინი ღმერთს, როცა იგი ყველაზე მეტად გჭირდება. შორს, ძლიერ შორს შესტოპე, შვილო! სულ დაანებე თავი ლოცვას და ყოვლადმოწყალემაც აგალო ხელი.

ლ უ ი ზ ა — განა სიყვარული დანაშაულია, მამაჩემო?

მ ი ლ ე რ ი — თუ ღმერთი გიყვარს, სიყვარული არასოდეს მიგიყვანს დანაშაულამდე. მძიმე მწუხარება მარჯუნე წილად, ჩემო ერთადერთო! მძიმე, მძიმე, შეიძლება მან საფლავშიც კი ჩამაწვინოს. მაგრამ არ მინდა, რომ გული კიდევ უფრო მეტად დაგიდარდიანო. შვილო, აქ რომ შემოვედი რაღაცას ვამბობდი. მეგონა მარტო ვიყავი. შენ გესმოდა, რასაც ვამბობდი.

და ესეც რომ არ იყოს, რატომ უნდა დავმალო შენგან? შენ ჩემი ღვთაება იყავი. მისმინე, ლუიზა, თუკი შენს გულში მცირე ადგილი მაინც დარჩა მამაშენისთვის... შენ ჩემთვის ყველაფერი იყავი. შენ არა მარტო შენს თავს ღუპავ, შენთან ერთად მეც ყველაფერს ვკარგავ. ხომ ხედავ, თმაში ჭალარა შემეპარა.. შეუმჩნეველად მომეპარა დრო, როცა ჩვენ, მამებს, გვჭირდება ჩვენს მიერ ჩვენს შვილთ გულებში დაბანდებული კაპიტალი.. ნუთუ ჩემი ლუიზა გამიცრუებს იმედს? ნუთუ მიიმალები და თან წაიღებ მამაშენის უკანასკნელ ავლაღიდებას?

ლ უ ი ზ ა — (ფრიად აღელვებული უკონის მამას ხედვს) არა, მამაჩემო, მე დავტოვებ ქვეყანას შენი მოვალე და ერთიორად გადაგიხდი მას იმ ქვეყნად.

მ ი ლ ე რ ი — გაფრთხილდი, შვილო, ანგარიშში არ მოტყუვდე!! (ძლიერ სერიოზულად და სახეიმო ტონით) ვინ იცის, შევხვდებით კო იმ ქვეყნად ერთმანეთს? ხომ ხედავ, თვითონვე ფითრდები. ჩემმა ლუიზამ კარგად იცის, რომ მე ვერ დავეწევი იმ ქვეყნად, რადგან მე მასავით როდი მივისწრაფვი იქითკენ.. (ცახცაიებული ლუიზა მამას მკლავებში ჩაუჯარდება. იგი იკრავს მას გულში).. შვილო! შვილო! საბრალო, იქნებ დაღუპული შვილო! ყურთ დაუგდე მამის წრფელ სიტყვებს! ვერ გიხსნი. წაგართმევ დანას — შეგიძლია ჭინძისთავით მოისპო სიცოცხლე. ხელს შეგიშლი საწამლავი არ მიიღო — შეგიძლია ყელსაბამის ძაფით დაიხრჩო თავი. ლუიზა, მე შემიძლია მხოლოდ გაგაფრთხილო.. ნუთუ არ გეშინია, რომ უიმედო შენი ოცნება გაქრება, როგორც კი აღმოჩნდები დროსა და მარადისობას შორის გადებულ საშინელ ხიდზე? ნუთუ გაბედავ წარსდგე ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე ცრუ სიტყვებით: „შენს გამო მოველ აქ, შემოქმედო“, როცა იმავე დროს შენი ცოდვილი თვალები ძებნას დაუწყებთ თავის მოკვდავ თოჯინას? და თუ შენი ოცნების ეს მიწიერი კერპი, ახლა შენსავით მატლად ქცეული, შენი მსაჯულის ფეხქვეშ განრთხმული, მოატყუებს ამ მერყევე წუთებში შენს უღმრთო რწმენას და შენს გაცრუებულ იმედებს დასტოვებს ანაბრად მარადიული სათნოებისა, რომელიც იმ უბედურს გაუჭირდება, რომ თვითონ დაიმსახუროს — მაშინ? (ხამალა და დაბეჯითებით) მაშინ, უბედურო? (კიდევ უფრო ჩაკრავს გულში, რამდენიმე ხანს გაშტერებით ჩასცურის, შემდეგ ხელს უშვს) მეტს ვერაფერს გეტყვი, (აღმართავს მარჯვენა ხელს) პასუხს არ ვაგებ შენს წინაშე ამ სულის გამო, დიადო ღმერთო!

(ლუიზა) როგორც გინდა ისე მოიქეცი. შესწირე შენს ძვირფასს მსხვერპლი, რომელიც გაახარებს ეშმაკს და განდევნის შენგან შენს მფარველ ანგელოზს. წადი, აიღე შენს თავზე ყველა ცოდვა, აიღე ეს უკინასკნელი, ყველაზე დიდი ცოდვაც და თუ ტვირთი მსუბუქი იქნება, დაამატე ჩემი წყევლაც. აჰა, დანა... დაეც ეს შენს გულს (ზამაღლა ჭვითინებს და სურს ვაიქცეს) და განგმირე მამაშენის გულიც.

ლ უ ი ზ ა — (მოსწყდება ადგილიდან და მირბის მამისაკენ) მოითმინე, მოითმინე! მამილო! ო! მამის სიყვარულში ზოგჯერ მეტი იძულებაა, ვიდრე ბოროტების ტირანიაში. რა ვქნა? არ შემოიძლია!.. რა ვქნა?..

მ ი ლ ე რ ი — თუ შენი მაიორის კოცნა მამიშენის ცრემლებზე მწვავია, შენც მოკვდი.

ლ უ ი ზ ა — (ტანჯვით ვბრძვის თავს და შემდეგ ერთგვარი სიმტკიცით) მამა! აი ჩემი ხელი! მე მიინდა... ღმერთო, რას ჩაედივარ? რას ვაპირებ? მამილო, ვფიცავ! ვაგლახ მე! ვაგლახ მე, დავრდომილ ცოდვილს! მამილო, ეგრე იყოს, როგორც შენა გსურს. ფერდინანდ... ღმერთია მოწამე... აი, როგორ მოვსპობ მის უკინასკნელ ხსოვნასაც! (წვილის დახვეს).

მ ი ლ ე რ ი — (სიხარულით მოხვევს ხელს) ვიცანი ჩემი ლუიზა! შემომხედე, მიჯნური აღარა გყავს, სამაგიეროდ გააბედნიერე მამა (ჰოცნის ტიროლითა და სიცილით). ლუიზა! შვილო! მთელი ჩემი სიკოცხლე ერთ ამ დღედ არა ღირს. მე საცოდავ ადამიანს, ვით მომცა ბედმა ასეთი ანგელოზი! ლუიზა! ჩემო სამოთხე! ოჰ, ღმერთო, არა გამეგება რა სიყვარულისა, მაგრამ რა წამება უნდა იყოს სიყვარულის უარის ყოფა — ეს კარგად ვიცი.

ლ უ ი ზ ა — მხოლოდ, მოვმორდეთ ამ ქვეყანას, მამილო! მოვმორდეთ ამ ქალაქს, სადაც მეგობრები დამცინიან, სადაც სამუდამოდ გამიტყდა სახელი. შორს აქედან, სადაც ყველაფერი მაგონებს ჩემს წარსულ ბედნიერებას! შორს, რაც შეიძლება შორს აქედან!

მ ი ლ ე რ ი — სადაც გინდა, შვილო! ღვთის წყალობით პური ყველგან იზრდება და ყველგან მოინახება ყურები ჩემი ვიოლინოსათვის. დეე, ნურაფერი დაგვრჩება... მე ნოტებზე დადვიტან შენი მწუნარების ამბავს, ვუმღერებ ქალს, რომელმაც მამის სიყვარულისათვის გული დაიფლითა. კარდაკარ ვივლით ამ ბალადით და სიამოვნებით მივიღებთ ჩვენთვის აცრემლებული ხალხის მოწყალებას.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო რ ე

იგივენი და ფერდინანდი.

ლ უ ი ზ ა — (პირველი შენიშნავ; მას, წამოიყვირებს და ჩაუფარდება შამის მკლავებში) ღმერთო! ის არის! დავიღუპე!

მ ი ლ ე რ ი — ვინ? სად?

ლ უ ი ზ ა — (მიუთითებს მაიორზე, ისე რომ პირს იჭით არ მიიბრუნებს და უფრო მაგრად ჩაეყვრება მამამისს) ის არის, თვითონ ის! შეხედე, მამა! იგი მოვიდა ჩემს მოსაკლავად.

მ ი ლ ე რ ი — (დაინახავს ფერდინანდს და უკან დაიხვეს) როგორ? თქვენ აქა ხართ, ბარონ?

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (ნელი ნაბიჯით მიდის და შეჩერდება ლუიზას წინ. უხურობს მას თვალმოუცილებლად და გამოძვდვლად. დუმილის შემდეგ) მადლობა შენდა, მოულოდნელად დაჭერილო სინდისო! შეენი აღიარება საშინელია, მაგრამ სწრაფი და მართალი. აღარ დამჭირდება მივმართო წამებას. საღამო მშვიდობისა, მილერ!

მ ი ლ ე რ ი — ღვთის გულისათვის! რა გნებაეთ, ბარონ? რამ მოგიყვანათ აქ? რას მოასწავებს თქვენი მოულოდნელი შემოჭრა?

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — იყო დრო, დღეს წუთობით თვლიდით, მოლოდინში აუჩქარებელ საათს თვალს არ ამორებდით და მაჟის ცემით ანგარიშობდით ჩემი აქ მოსვლის დროს. ახლა რად გიკვირს ჩემი აქ მოსვლა?

მ ი ლ ე რ ი — მიბრძანდით, ბარონ, მიბრძანდით, თუ თქვენს გულს მცირეოდენი სიბრალული მაინცა აქვს... თუ არ გსურთ იყოთ მისი მკვლელი, ვინც თქვენ, როგორც ირწმუნებოდით, გიყვარდათ, მიბრძანდით, არც ერთი წუთი არ დარჩეთ აქ. ღმერთმა აიღო ხელი ჩემს ოჯახზე, როგორც კი თქვენ შემოდგით ფეხი. თქვენ მწუხარება შემოიტანეთ ჩემს ჭერქვეშ, სადაც წინათ მხოლოდ მხიარულება სუფევდა. ნუთუ ეს არ კმარა და უეჭველად გსურთ გახსნათ ჭრილობა, რომელიც მიაყენა თქვენთან გაცნობამ ჩემს ერთადერთ შეილს.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — უცნაურო მამა! იმისთვის მოველ, რომ თქვენს შეილს ახალი სასიამოვნო ამბავი შევატყობინო!

მ ი ლ ე რ ი — ახალი იმედები, რომელთაც ახალი სასოწარკვეთილება უნდა მოჰყვეს არა, მიბრძანდით, უბედურების მაუწყებლო! შენი სახე სასიკეთოს! არას მაუწყებს.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — ჩემს ოცნებათა განხორციელებას აღარაფე-
598

რი უდგას წინ. ლედი მილფორდმა, ჩვენი ტრფობის ყველაზე საშინელმა დაბრკოლებამ, დასტოვა საჰერცოგო. მამა ადასტურებს ჩემს არჩევანს, ბედი აღარ გვდევნის. ჩვენი ბედნიერი ვარსკვლავი აღმოაბრწყინდა. მთვედი ჩემი სიტყვა შევასრულა და ჩემი საცოლვე საკუთრებელისავენ წავიყვანო.

მ ი ლ ე რ ი — გესმის, ლუიზა? გესმის? როგორ დასცინის შენს გაცრუებულ იმედებს? განაგრძეთ, ბარონ! მაცდუნებელს შეფერის, ავარჯიშოს გონებამახვილობა თავის მსხვერპლზე.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — გგონიათ ვხუმრობ, პატიოსნებას ვფიცავ, არა! ეს ისე მართალია, როგორც... ჩემი ლუიზას სიყვარული და მეც ისე შევასრულებ ჩემს სიტყვას, როგორც მან თავისი ფიცი შეასრულა!.. ჩემთვის არაფერია ამაზე უწმინდესი... კიდევ არა გჯერათ? ჩემი მშვენიერი საცოლეს სახე ჯერ კიდევ არა ბრწყინავს სიხარულით? უცნაურია! ცხადია, აქ სიცრუეს კარგი გასავალი აქვს, თუკი სიმართლეს ასე უნდობლად ხედებიან. თქვენ არა გჯერათ ჩემი სიტყვების? მამ ამ წერილობით საბუთს დაუჯერეთ (მიუხედავს ლუიზას ჰომმარშალისადმი მიწერილ წერილს. ლუიზა ხსნის შას, საშინლად გაფთვრდება და გონებას დაკარგავს).

მ ი ლ ე რ ი — (გვრ ანჩნევს ამას და მიმართავს ბარონს) რას ნიშნავს ეს, ბარონ? არაფერი მესმის.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (მიიყვანს მიღვრს ლუიზასთან) მით უფრო კარგად ესმის მას.

მ ი ლ ე რ ი — ღმერთო ჩემო! ლუიზა!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — სიკვდილივით გაფთვრდა, აი ახლა მომწონს მე იგი, შენი შვილი! არასოდეს ყოფილა ასე მშვენიერი, შენი მოკრძალებული, პატიოსანი ასული, როგორც ახლა, როცა სახე მიცვალებულს მიუგავს. უმაღლესი მსაჯულის მსუბუქმა ქროლვამ, რომელიც ყოველგვარ სიცრუეს აცილებს მაცდურ ბრწყინვალეებას, მოაცილა ელფერი, რომლითაც გაწაფულ შენს ქალს შეცდომაში შეჰყავდა თვით ნათელის ანგელოზები. აი, ესაა მისი მშვენიერი სახე! ესაა მისი ნამდვილი სახე! მოდი, ვაკოცებ. (სურს დაიხაროს და აკოცოს)

მ ი ლ ე რ ი — მოშორდი! ნუ აცეცხლებ მამის გულს, შენი ალერსისაგან ვერ დავიფარე, მაგრამ შენი შეურაცხყოფისაგან დაცვას შეეძლებ.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — რა გინდა, მოხუცო? მე შენთან საქმე არა მაქვს. ნუ ჩაერევი აშკარად წაგებულ საქმეში. ან, იქნებ შენც უფრო ჭკვიანი ხარ, ვიდრე მე ვფიქრობდი? ნუთუ სამოცი

წლის სიბრძნით შენს ქალს საარშვიო საქმეში ხელს უწყობდი ნუთუ ჰალარა თმა მაქანკლის ხელობით შეირცხვინე? ო, თუ ეს ასე არაა, უბედურო მოხუცო, მაშინ უმჯობესია დაწვე და მოკვდე! კიდევ არაა გვიან. კიდევ შეგიძლია დაიძინო ტკბილ ფიქრებში, რომ ბედნიერი მამა იყავი! კიდევ წუთი და შენ გააძევებ ამ შხამიან გველს, ჯოჯოხეთის ამ ნაშიერს იქით, საიდანაც მოსულა, დაწყველი საჩუქარსაც, მასაც, ვინც ეს საჩუქარი გამოგიგზავნა და ღვთის მგმობი ჩახვალ სამარეში. (ლუიზას) სთქვი, უბედურო! შენ დაწერე ეს წერილი?

მ ი ლ ე რ ი — (აფრთხილებს ლუიზას) გაფიცებ, შვილო! ნუ დაგავიწყდება, შვილო! ნუ დაგავიწყდება.

ლ უ ი ზ ა — ეს წერილი, მამილო!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — მისამართით არ მივიდა? დაილოცოს ეს შემთხვევა! მან უფრო დიდი საქმე ჩაიდინა, ვიდრე ბრძნულმა გონებამ და განკითხვის ღღეს იგი უფრო ურყევი იქნება, ვიდრე ყველა ბრძენის გონება. შემთხვევაო, ვამბობ მე? განგების ნების გარეშე ბელურაც კი არ დაეცემა მიწაზე: ნუთუ იგი განზე დადგება, როცა ეშმაკს პირბადე უნდა ჩამოეხადოს! მიპასუხე! შენ დაწერე ეს წერილი?

მ ი ლ ე რ ი — (ლუიზას ვეპრებით) გაბედულად, ჩემო გოგონა! გაბედულად. კიდევ ერთი „ჰო“ და ყველაფერი რიგზე იქნება.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — ო, რა სასიამოვნო სანახავია! მამაც მოტყუებულა! ყველანი მოატყუა! უცქირეთ ამ უსირცხვილოს, ენა არ უბრუნდება, რომ უკანასკნელი სიცრუე სთქვას! დაიფიცე ღმერთი, შენ დაწერე ეს წერილი?

ლ უ ი ზ ა — (შინაგანი ბრძოლის შემდეგ, ჭოშმის დროსაც იგი მამას ელაპარაკებოდა თვალებით) დიახ! მე დაეწერე.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (გაჭვავდება ერთ ადგილზე) ლუიზა, ვფიცავ, რომ სტყუი! წამების დროს უმანკოებაც კი იბრალებს დანაშაულს, რომელიც მას არ ჩაუდენია. ასე არაა, ლუიზა, ბრალდება იკისრე იმისათვის, რომ მკაცრად შეგეკითხე, არა, ლუიზა?

ლ უ ი ზ ა — მე მართალი ვთქვი.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — არა! მე ვამბობ! არა! ეს შენ არ დაგიწერია. ეს შენი ხელი არ არის. კიდევ რომ ჰგავდეს შენს ნაწერს, განა ხელის მიმსგავსება უფრო ძნელია, ვიდრე გულის მოკვლა? მართალი მითხარი, ლუიზა! ანდა არა! არა, ნუ იტყვი! შენ შეგიძლია სთქვა „ჰო“ და მე დავიღუპები: ცრუე, ლუიზა, ცრუე! ო, რომ შეგეძლოს უმანკო სახით მითხრა სიცრუე, დააჯრო

ჩემი სმენა, ჩემი თვალები, მოატყუო ჩემი გული. მაშინ, ლუიზა, სიმართლე ამ სუნთქვასთან ერთად დასტოვებდა ქვეყანას, ხოლო სიკეთე, მსგავსად კარის მლიქვნელებისა, თავის უდრეკ ქედს მოიხრიადა. (შიშისაგან ათრთოლებული ზმით) შენ დაწერე ეს წერილი?

ლუიზა — ვფიცავ ღმერთს, მე დავწერე.

ფერდინანდი — (ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, ნაღვლით სავსე ტონით) დედაკაცო! დედაკაცო! რა თვალებით მიცქერი? ეგ თვალები რომ კაცს სამოთხის სიამოვნებას ანიჭებდეს, თვით ჯოჯოხეთში მყიდველს ვერ იპოვიდი. იცი, რა იყავი შენ ჩემთვის, ლუიზა? არა, არ შეიძლება შენ გცოდნოდა, რომ შენ ჩემთვის იყავი ყველაფერი! ყველაფერი! ეს სიტყვა თითქოს უმნიშვნელოა, არად ჩასაგდება და ამავე დროს მარადისობაც ვერ დაიტევს მას. მთელი სამყარო მოძრაობს მასში. ყველაფერი, და ასე დანაშაულებრივად მოექცე მას! ეს საშინელება!

ლუიზა — მე გამოგიტყდით, ბატონო ვალტერ. მე თვით შევაჩვენე ჩემი თავი. ახლა წადით, დასტოვეთ სახლი, სადაც თქვენ ამდენი უბედურება ნახეთ.

ფერდინანდი — კეთილი! კეთილი! მე აღარ ვღელავ, გულში სიმშვიდეა. სიმშვიდეაო იტყვიან, იმ წყვეულ მხარეზეც, სადაც შავი ჭირი ბობოქრობდა. ასე ვარ მეც. (ცოტა ხანს დუმს). მაგრამ, ლუიზა, კვლავ ერთი თხოვნა, ალმური მედგება, მინდა გავგრილდე. ერთ ჭიქა ლიმონათს ვერ დამიმზადებ? (ლუიზა გადის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ს ა მ ე

ფერდინანდი და მილერი

დიდი ხნის განმავლობაში ორივენი სდუმან და დადიან კუთხიდან კუთხეში.

მილერი — (ბოლოს შეჩერდება და ნაღვლიანი უცქერის მაიორს) ძვირფასო ბარონ, შეიძლება თქვენი მწუხარება ოდნავ მაინც შევამსუბუქო, თუ გეტყვით, რომ გულით მებრალეებით.

ფერდინანდი — მაგას თავი დაანებე, მილერ. (კიდევ რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს) თითქმის აღარც კი მახსოვს როგორ მოვხვდი შენს სახლში.. რა იყო საბაბი?

მილერი — როგორ, ბატონო? ნუთუ არ გახსოვთ, თქვენ გინდოდათ ფლეიტაზე დაკვრა გესწავლათ.

ფერდინანდი — (სწრაფად) შეენახე შენი ქალი. (გლავ ღუში-
ლი) პირობა არ შეასრულე, მეგობარო! თქვენ შემპირდით, რომ
ჩვენი გაკვეთილები განცალკევებით ჩატარდებოდა და მყუდროე-
ბას არავინ დაგვირღვევდა. თქვენ მომატყუეთ და მორიგელებს
მიმეცით (ანჩნევს რომ მიღერი ღელავს). ნუ შიშობ, მოხუცო!
(ხელს მოხვევს) შენ დამნაშავე არა ხარ.

მილერი — (რწმუნდს ცრემლგუს) ღმერთია მოწამე.

ფერდინანდი — (გლავ დადის შავ ფიჭობს მიცემული) უცნაურად,
გაუგონრად! უცნაურად გვეთამაშება ღმერთი! უწმინდეს,
შეუმჩნეველ ძაფებზე ხშირად ჰკიდია აუტანელი სიმძიმენი-
იცოდა ადამიანმა, როს აკრძალული ხილი იგემა, ამით
ის სიკვდილს ეზიარა! ჰმ! იცოდა მან ეს? (ჩქარა დადის წინ და
უჯან, შემდეგ ძლიერ აღელვებული, მოჰკიდებს მიღერს ხელს) მოხუცო,
შენი ფლეიტის ორიოდე გაკვეთილი ძლიერ ძვირად დამიჯდა...
შენც ვერაფერი მოიგე... შენც ჰკარგავ... ჰკარგავ, იქნებ ყვე-
ლაფერს (მწარედ ჩაფიჭობული შორდება მიღერს) ჩემდა საუბედუ-
როდ მოგვიდე ხელი ფლეიტაზე სწავლას.

მილერი — (ცდილობს დაფაროს მღელვარება) რალაც ლუიზა აგვი-
ანებს ლიმონათს, წავალ, ვნახავ, თუ არ დამძრახავთ.

ფერდინანდი — არც ისე საჩქაროა, ძვირფასო მილერი!
(თავისთვის) განსაკუთრებით მამისთვის. დარჩით! რა მინდოდა
მეკითხა? ჰო! ლუიზა თქვენი ერთადერთია? სხვა შვილი არა
გყავთ?

მილერი — არა, ბარონ! და მეტიც არ მინდა. მაგ გოგომ დაი-
პყრო მთლიანად ჩემი გული. მთელი ჩემი სიყვარული მაგას მო-
ვანდომე.

ფერდინანდი — (ძლიერ აღელვებული) წადი, ძვირფასო მილერი!
ნახეთ ლიმონათი. (მიღერი გადის)

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო თ ხ ე .

ფერდინანდი — (მარტო) ერთადერთი შვილი! გრძნობ თუ
არა ამას, მკვლელი? ერთადერთი, გესმის, მკვლელი, ერთად-
ერთი. ამ მოხუცს ქვეყანაზე არაფერი გააჩნია, გარდა თავისი
ვიოლინოსა და ამ ერთადერთი ქალისა... შენ გინდა ისიც წა-
ართვა? გლახაკს უკანასკნელი გროშიც მოსტაცო! ხეიბარს ყავარ-
ჯნები დაუმსხვრიო და ფეხებწინ დაუყარო? როგორ! ნუთუ

გეყოფა ძალა, რომ ეს ჩაიდინო? აი, მიიჩქარის იგი სახლში, მოუთმენლად ელის იმ წუთს, როცა ნახავს თავის შვილს, თავისი სიხარულის ერთადერთ წყაროს, შედის შინ და ის კი მოწყვეტილი, დამპყნარი, ბოროტი განზრახვით გასრესილი ყვაველი, უკანასკნელი ერთადერთი უსაზღვრო იმედი, უსიცოცხლოდ აგდია. ჰა! იგი დგას მის წინ, დგას და განადგურებული უცქერის მისთვის მკვდარ ბუნებას, არარად ქცეულ მარადისობას, ეძიებს ღმერთს და ვეღარ პოულობს და კიდევ უფრო განადგურებული თავისთავს უბრუნდება. ოჰ, ღმერთო! ღმერთო! მაგრამ მამაჩემსაც ხომ ერთადერთი შვილი ჰყავს... ერთადერთი შვილი, მაგრამ იგი არაა მისი ერთადერთი სიმდიდრე (ცოტა ხნის დუმილის შემდეგ), მაგრამ შეუძლია თუ არა მას მამას ბედნიერება მოუტანოს, თუ სიყვარულის უწმინდესი გრძობა მისთვის მხოლოდ თავშექცევა იყო? არა, არა! მე მადლობის ღირსიც ვიქნები, თუ გავსრეს გველს, ვიდრე მამისათვის არ უკბენია!

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ხ უ თ ე

მილერი და ფერდინანდი.

- მილერი — ახლავ მოგართმევთ, ბარონ! საბრალო ზის და ტირილით თავს იკლავს, ის ლიმონათში ცრემლებს ჩაგიღვრით.
- ფერდინანდი — კარგია, თუ, გარდა ცრემლებისა, სხვა არაფერს!.. ჩვენ მუსიკაზე ვსაუბრობდით, მილერ, (ამოიღებს ქისას) დღემდე ვალი კიდევ არ გადამიხდია!
- მილერი — რაო? რას ბრძანებთ? როგორ გეკადრებათ, ბარონ! ვინა გგონივართ? თქვენზე იყოს; ნუ მაწყენინებთ, ჩვენ ხომ ღვთის შეწევნით, უკანასკნელად არ გხვდებით ერთმანეთს?
- ფერდინანდი — ვინ იცის? აიღეთ, აიღეთ! ყველა სიკვდილის შვილი ვართ, რომ რამე შემემთხვეს?
- მილერი — (იციხის) აი რაში ყოფილა საქმე! სიკვდილს თქვენთან რა ხელი აქვს!
- ფერდინანდი — რატომაც არა! განა არ გაგიგონიათ, რომ ახალგაზრდებიც კვდებიანო — გოგონები და ყმაწვილები, იმედის შვილები, მოტყუილებული მამების ფიქრთა კოშკები, სადაც უძლურია ავადმყოფობა და ასაკი, იქ შეიძლება მეხმა გააკეთოს მათი საქმე. არც შენი ლუიზაა უკვდავი.

მ ი ლ ე რ ი — იგი ღმერთმა მიბოძა.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — მისმინე, მილერ, მე ვამბობ, არც იგი არის უკვდავი-მეთქი. შენთვის იგი თვალისჩინზე ძვირფასია, იგი შენი სულისა და სხეულის განუყოფელ ნაწილად მიგიჩნევია. ფრთხილად იყავი, მოხუცო! მხოლოდ სასოწარკვეთილი მოთამაშე ამყარებს ყველა იმედს კამათლის ერთ გაგორებაზე. თავზე ხელაღებულს უწოდებენ ვაჟარს, რომელიც მთელ თავის ქონებას ერთ გემზე ტვირთავს. კარგად დაუგდე ყური ჩემს რჩევას, დაუპვირდი... რატომ არ იღებ ფულს?

მ ი ლ ე რ ი — როგორ, ბატონო! მთელი ეს გატენილი ქისა მე? რას ნიშნავს ეს, თქვენო მოწყალეობა?

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — ეს ჩემი ვალია, აიღე! (ისე დააგდებს ქისას მაგიდაზე, რომ იქიდან ოქროა ფულები გადნოცვოდება) არ შემძლია ეს ნაგავი მთელი სიცოცხლე თან ვათრიო.

მ ი ლ ე რ ი — (განციფრებულ) დიდება შენდა, ღმერთო! ვერცხლი ასე არ ჩხრიალებს. (მიუახლოვდება მაგიდას შეძრწუნებული) ეს რა არის? ღვთის გულისათვის, ბარონ! ბარონ! სადა ხართ? რას ჩადიხართ, ბარონ! აი, რას ნიშნავს დაბნეულობა. (ხელს ხელზე დარტყამს) ეს ხომ... ან, იქნებ მოჯადოებული ვარ, ან, ღმერთო მომკალი, ეს ხომ ოქროა, ნამდვილი, ბაჯალო ოქრო! არა, სატანა! ამით მახეში ვერ გამაბამ!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — შენ დღეს ხომ არსად გადაგიკრავს, მილერ?

მ ი ლ ე რ ი — (უხეშად) ეშმაკმა დასწყევლოს! შეხედეთ, შეხედეთ, ოქრო!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — მერე რა, რა მოხდა?

მ ი ლ ე რ ი — დალახვროს ღმერთმა! მე თქვენ გეუბნებით, ყველა წმინდანის სახელით გთხოვთ, შეხედეთ! ოქრო!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — ვხედავ, მერე რა მოხდა?

მ ი ლ ე რ ი — (ცოტა ხანა სდუმს, შემდეგ მიდის მაიორთან და აღუღვებულნი ვუბნება) მოწყალეო ბატონო! მე უბრალო, ალაღმართალი კაცი ვარ; ხომ არ გინდათ, რამე ცუდ საქმეში ჩამითრიოთ? კარგი საქმისთვის ასეთ თანხას, ღმერთმანი, არავინ გაიმეტებს.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (გულაჩუყებული) დამშვიდდი, ძვირფასო მილერ! ასეთი თანხა თქვენ დიდი ხანია დაიმსახურეთ ჰატიო-სანი შრომით; ღმერთმა დამიფაროს, რომ თქვენი სუფთა სინდისის მოსყიდვა მოვიწოდო.

მ ე ლ ე რ ი — (გიჟვით ხტის) მაშ ეს ფქრო ჩემია! ჩემი! ღვთის ნებით და მისი კურთხევით; ჩემი! (შიიბუნა კარებთან და ყვირის) დედაკაცო! შვილო! ვაშა! აქ მოდიო! (ბზუნდება) ღმერთო დიდებულო! როგორ მოულოდნელად დამატყდა თავს ასეთი სიმდიდრე? რით დავიმსახურე? როგორ გადავიხდი? ჰა?

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — არა მუსიკის გაკვეთილებით, მილერ. ამ ფულისთ მე გიხდი (ხმის კანკალით) გიხდი... (ცოტა ხანს დუნს, შემდეგ ნაღვლიანად) იმ ტკბილი სიზმრისათვის, რომელსაც სამი თვის განმავლობაში ვხედავდი შენი ქალის წყალობით.

მ ი ლ ე რ ი — (სწვდება ხელში და მაგრად უჭერს) თქვენო მოწყალება! თქვენ რომ უბრალო, უმნიშვნელო ბიურგერი ყოფილიყავით (ცოცხლად) და ჩემ შვილს არ შეიყვარებინეთ, საკუთარი ხელით გამოვჭირდი ყელს (კვლავ მიუახლოვდება ფულით სავსე ქიხას). ახლა მე ყველაფერი მაქვს, თქვენ კი არაფერი.... გამოდის, რომ მე ჩემს ბედნიერებაზე უარი უნდა ვთქვა! ჰა?

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — ამაზე თავს ნუ შეიწუხებ, მეგობარო! მე სხვა ქვეყანაში ვაპირებ წასვლას; იქ ჩვენ ფულს გასავალი არა აქვს.

მ ი ლ ე რ ი — (ოქროს თითქოს თვალებით შეჭმას უპირებს; აღტაცებით) მაშ, ფული მე მრჩება? ჩემია? მხოლოდ ის მწყინს, რომ თქვენ მიდიხართ, ნახავდით როგორ მოვაწყობდი ჩემს ცხოვრებას (დაიხურავს ქუდა და დადის ოთახში). მუსიკის გაკვეთილებს მხოლოდ მდიდრულ ოჯახებში მივცემ, თუთუნს მხოლოდ „სამ მეფეს“ მოვწევ, მეხუთე ნომერს და კაცი არ ვიქნები, თუ ორკაპიკიან სამუშაოს ხელი მოგვიდო (გასვლას აპირებს).

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — მოიცადე! გაჩუმდი და ფული შეინახე! (დამარცვლით) მხოლოდ ამ საღამოს გაჩუმდი და ჩემი ხათრით ამიერიდან ნულა მისცემთ მუსიკის გაკვეთილებს.

მ ი ლ ე რ ი — (ყდვე უფრო აღტაცებული, სტაცებს ხელს ფერდინანდს ჟილბეში) ჩემი გოგო, ჩემი შვილი, ბარონ! (გაუშვებს ხელს) ფული კაცისთვის არაფერია. ჩემთვის სულერთია კარტოფილს შევჭამ, თუ გარეული ქათმის ხორცს, ოღონდ მაძლარი ვიყო. ეს სერთუკი თუ ღმერთმა ქნა და იდაყვებზე არ გაიცრიცა, მთელი ჩემი სიცოცხლე შემიძლია ვატარო. ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. ქალიშვილს კი ყველაფერი ეს სჭირდება; რასაც მის თვალებში ამოვიკითხავ, ყველა სურვილს შევუსრულებ.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (აწყვობინებს) გაჩუმდიო! გაჩუმდიო!

მიღერი — (კიდევ მეტი აღტაცებით) ფრანგულს საფუძვლიანად ვასწავლი; მენუეტის ცეკვაც უნდა ისწავლოს, სიმღერაც, ისე, რომ მასზედ გაზეთებში წერდნენ. ჩაჩი ისეთი უნდა ეხუროს, როგორც კარის მრჩეველთა ქალებს ახურავთ, კიდებარი ქვია, თუ რაღაც, იმასაც ვუყიდი. ოთხი მილის მანქილზე მევიოლინეს ქალზე უნდა ლაპარაკობდეს ყველა.

ფერდინანდი — (საზინლად დღეღებულის წაავლებს ხელს) კმარა! კმარა! ღვთის გულისათვის გაჩუმდი! მხოლოდ დღეს გაჩუმდი! ამის მეტს არაფერს გთხოვ.

გამოსვლა მეექვსე

იგივენი და ლუიზა ლიმბნათით.

ლუიზა — (ლამბაქით აწვდის მაიორს ჭიქას, აკანკალებული ხმით, ტირილისაგან დაწითლებული თვალებით) აბა, გასინჯეთ როგორია.

ფერდინანდი — (აიღებს ჭიქას. დადგას მაგიდაზე და აწრატად მიბრუნდება მილერისაკენ) კინლამ დამავიწყდა, ერთი რამ უნდა დაგავალთ. პატარა სამსახურს ვერ გამიწევთ, ძვირფასო მილერ?

მიღერი — ათასს ერთის ნაცვლად! რას მიბრძანებთ.

ფერდინანდი — ვახშმად სახლში მელოდებიან, მე კი სამწუხაროდ უხალისოდა ვარ, საზოგადოებას ვერ ავიტან, იქნებ წახვიდეთ და მამასთან ბოდიში მომხადოთ?

ლუიზა — მე წავალ!

მიღერი — პრეზიდენტთან?

ფერდინანდი — არა, მამასთან პირადად. რაც გითხარით, რომელიმე კამერდინერს გადაეცი დერეფანში! რომ დაგიჯერონ, მართლაც ჩემგანა ხარ გაგზავნილი, აი ჩემი საათი. დაელოდე პასუხს. შენ დაბრუნებამდე მე აქ დავიცდი.

ლუიზა — (შემართალი) არ შეიძლება მე რომ წავიდე?

ფერდინანდი — (მიღერს, რომელიც წასვლელად ეზადება) მოიცადე! აი კიდევ წერილი მამაჩემის სახელზე. დღეს გადმომცეს. გაუხსნელია.... იქნებ რამე საჩქარო საქმეა, ესეც გადაეცი.

მიღერი — მესმის, ბარონ! (გადის)

ლუიზა — (ჩაქოყვირდა მამას მკლავზე, ძლიერ შემინებული) მამა, ყველაფერ ამას მე გავაკეთებდი!

მიღე რი — ასეთ სიბნელეში მარტო წახვიდოდნ, შეილო?!
ფერდინანდი — გაუნათე მამას, ლუიზა? (ლუიზა იღებს შანდალს და გააცილებს მამას. ფერდინანდი ლიბონათში საწამლავს ჩაჭკრის).
დიახ, დადგა მისი უკანასკნელი საათი! ციური ძალნი მიგზავნიან თავიანთ მრისხანე თანხმობას! ზეციური მსაჯული ჩემს მხარეზეა, მფარველმა ანგელოზმა დასტოვა იგი.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე შ ე ი დ ე

ფერდინანდი და ლუიზა.

ლუიზა — ნელა ბრუნდება შანდლით ხელში, დგამს მას მაგიდაზე და თავდაპირველი დგება ფერდინანდის პირდაპირ, მხოლოდ ხანდისხან შიშით და მოკრძალებით გააპარებს მხერას მაიორისკენ. ფერდინანდი დგას მგორე მხარეს და თვალმოუცილებლად უყურებს ერთ წერტილს თავის წინ.

ამ გამოსვლას წინ უძღვის ხანგრძლივი დუმილი.

ლუიზა — თუ ისურვებთ, რომ ჩემთან ერთად რაქმე დაუკრათ, ბატონო ფონ ვალტერ, სიამოვნებით შევესარულებ ფორტეპიანოს პარტიას (ახლის ინსტრუმენტს სახურავა, ფერდინანდი არ პასუხობს. პაუზა, თქვენზე ერთი ხელი ქადრაკია, რევანში ხომ არ გსურთ, ბატონო ფონ ვალტერ? (სიჩუმე) ბატონო ფონ ვალტერ, გახსოვთ ქისის მოქარგვას შეგპირდით! უკვე დავიწყე... ხომ არ ინებებთ სახე ნახოთ? (სიჩუმე) ო, რა უბედური ვარ!

ფერდინანდი — (პოხის შეუცვლელად) ადვილი შესაძლებელია.
ლუიზა — ჩემი ბრალი არ არის, ბატონო ფონ ვალტერ, რომ თავს ვერ გაქცევენებთ.

ფერდინანდი — (მუთრავაჰყოფელი სიცილით) შენ რა შუაში ხარ, დამნაშავეა ჩემი სულელური მოკრძალება.

ლუიზა — კარგად ვიცოდი, ჩვენი ერთად დარჩენა ახლა რომ არ ივარგებდა. გამოგიტყდებით, როცა თქვენ მაძიჩემი გააგზავნეთ, შიშმა შემიპყრო. ბატონო ფონ ვალტერ, ვფიქრობ ეს წუთები ჩვენი მარტოდ ყოფნისა, აუტანელი იქნება ორივესათვის. ნება მომეცით დავუძახო რომელიმე ჩემს ნაცნობს.

ფერდინანდი — რატომაც არა, მოიყვანე. მე კი ჩემს ნაცნობს მოვყვან ვინმეს.

ლუიზა — (უცქერის გაოცებით) ბატონო ფონ ვალტერ!

ფერდინანდი — (ბოროტად) პატიოსნებას. ვფიცავ, ასეთ ვითარებაში უკეთესს ვერას მოვიგონებთ. ჩვენ უსიამოვნო დუეტს სასიამოვნო დროსტარებად ვაქცევთ და ქათინაურთა

გაცვლა-გამოცვლით შურსაც ვიძიებთ სიყვარულის ახირებაზე.
ლუიზა — თქვენ რალაც მხიარულ გუნებაზე ხართ, ბატონო
ფონ ვალტერ.

ფერდინანდი — ისეთ არაჩვეულებრივზე, რომ მზად ვარ
ბავშვივით ხტუნვა დავიწყო. არა, შენი მაგალითი მართლა
მომწონს, ლუიზა! იყავ ჩემი მასწავლებელი. სულელები არიან
ისინი, ვინც მარადიულ სიყვარულზე ლაყბობენ! მუდამ ერთი
და იგივე ადამიანს წყინდება. ცვალებადობა — აი, რა არის სი-
მოვნების მარილი. შენ მართალი ხარ, ლუიზა. მოდი, ვიცვალოთ
შეყვარებულები, ვეთრიოთ წუმპედან წუმპეში, — შენ აქეთ,
მე იქით. შეიძლება მე კვლავ მოვიპოვო სიმშვიდე სადმე საროს-
კიბოში. იქნებ, ასეთი მხიარული გადარბენების შემდეგ, ჩვენ,
ორი მიხრწნილი ჩონჩხი, კვლავ შევეჯახოთ ერთმანეთს და ეს
ორივესათვის უღარესად სასიამოვნო მოულოდნელი შეხვედრა
იქნება. ზოგიერთი კომედიის გმირების მსგავსად აღმოვაჩინთ
ჩვენს შორის ნათესაურ მსგავსებას, ვალიარებთ, რომ ერთი
დედის შვილები ვართ და სისაძაგლე და სირცხვილი შექმნიან
იმ ჰარმონიას, რომელსაც ვერ მიაღწია ნაზმა სიყვარულმა.

ლუიზა — ო, ფერდინანდი! შენ უკვე უბედური ხარ, რატომ
ცდილობ დაამტკიცო, რომ იმსახურებ მას?

ფერდინანდი — (გაბოროტებული ცრის კაილებში სიტყვებს) უბე-
დური ვარ? ვინ მოგახსენა? შენ მეტისმეტად ცუდი ხარ, რომ
იციოდე რა არის ტანჯვა, ვით შეგიძლია გაიგო სხვისი წამება?
იგი ამბობს, რომ მე უბედური ვარ? ო, ეს სიტყვები თვით სა-
მარეშიც კი გამაცეცხლებდნენ. მან იცოდა, რომ მე უბედური
ვიქნებოდი. სიკვდილი და მარადიული წყევლა მას! მან ეს იცო-
და და მაინც მილაღატა. მისმინე, გველო! კიდევ შეგიძლო გქო-
ნებოდა შებრალების იმედი, მაგრამ შენმა აღიარებამ სამუდა-
მოდ დაგღუპა. აქამდე კიდევ შემიძლო შენს მიერ ჩადენილი
დანაშაული გულუბრყვილობით შემელამაზებინა, შენდამი
ჩემმა ზიზღმა კინალამ გიხსნა შურისძიებისაგან (მკვეთი ნოძ-
რაობით იღებს ჰიქას მაგიდიდაქ) მაშ შენ ქარაფშუტა, სულელი
გოგო კი არა, თვით სატანა ხარ! (სვამს) ეს ლიმონათი ისევე
უგემურია, როგორც შენი სული. გასინჯე.

ლუიზა — ო, ღმერთო! ტყუილად როდი მეშინოდა ამ შეხვედ-
რისა.

ფერდინანდი — (ბრძანების ტონით) გასინჯე! (ლუიზა თავს ძალას ატანს,
იღებს ჰიქას და სვამს, როგორც კი მიიტანს ტუჩებთანა ჰიქას ფერდინანდი
ფიქროდგბა, ზურგს შეაქცევს ლუიზას და მიდის შორს, ოთახის კუთხეში).

- ლ უ ი ზ ა — ლიმონათი კარგია.
- ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (ზურგშექცევით, შიშით შეპყრობილი) ღმერთმა შეგარგოს.
- ლ უ ი ზ ა — (დგამს ჭიქას მაგიდაზე) ო, რომ იცოდე, ვალტერ, რა დიდ შეურაცხყოფას მაყენებთ.
- ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — ჰმ!
- ლ უ ი ზ ა — დადგება დრო, ვალტერ...
- ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (კვლავ მიუახლოვდება) დროსთან ჩვენ ანგარიში უკვე გავასწორეთ.
- ლ უ ი ზ ა — როცა ამ საღამოს მოგონება მძიმედ დაგაწვებთ გულზე...
- ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (სწრაფად დადის ოთახში, ადგილს ვერ პოულობს, მოიხსნის შარავს და იხდის ქულა) მშვიდობით, სამსახურო!
- ლ უ ი ზ ა — ღმერთო ჩემო! რა დაგემართათ?
- ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — მცხელა, ჰაერი არ მყოფნის... ასე უკეთესი იქნება.
- ლ უ ი ზ ა — დალიეთ! დალიეთ! ლიმონათი გაგაგრძობს.
- ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — ეს მართალია. ამ მეძავს კეთილი გული აქვს. სხვათაშორის, ყველა მეძავი ასეთია!
- ლ უ ი ზ ა — (სიყვარულით მივარდება მას, სურს მოეხვიოს) მაგას ამბობ შენს ლუიზაზე, ფერდინანდ?
- ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (მოიცილებს) განმშორდი! განმშორდი! შორს ჩემგან, ეს ნაზი, მშვიდი თვალები! მე ვერ გავუძლებ. მაჩვენე შენი ნამდვილი სახე, გველო! შეცი, ჭვეწარმავალო, გახსენი შენი საზიზღარი რკალი, ცად აღმართე შენი ხერხემალი. მეჩვენე მთელი საზიზღროებით, როგორც კი უნახავხარ ჯოჯოხეთს! მხოლოდ ნუ გამომეცხადები ანგელოზის სახით! ახლა აღარაა საჭირო, მომევიწიო ანგელოზად! უკვე ძლიერ გვიანაა. ან გაგსრისავ, როგორც გველს, ანდა სასოწარკვეთილები მსხვერპლი გავხდები, შემებრალებ!
- ლ უ ი ზ ა — სადამდე მივიდა ყოველივე ეს!
- ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (აღნაცურად უცქერის) ეს მშვენიერი ნაწარმოები ზეციური მოქანდაკისა... ვინ იფიქრებდა, ვის შეეძლო ეფიქრა? (იღებს მიწაზე ხელს და ზევით ასწევს) მე შენ არა გთხოვ პასუხს, ყოვლის შემქმნელო, მაგრამ რატომ ასხამ შხამს ასეთ მშვენიერ ჭურჭელში? განა შეიძლება მანკი იმალებოდეს ასეთ მშვიდ, ზეციურ გარეგნობაში? — ო, ეს საოცრებაა!
- ლ უ ი ზ ა — ისმინო ყოველივე ეს და იძულებული იყო სდუმდე!

ფერდინანდი — და ეს ტკბილი, მელოდიური ხმა... როგორ ხდება, რომ დაწყვეტილი სიმები ასე მძაბრად გეგონება? (გატაცებით უცქერის ლუიზას) მაინც რა მშვენიერი, რა ჰარმონიული, რა ღვთაებრივად სრულყოფილია! თითქოს შემოქმედს თავის უმაღლეს შთაგონების წუთებში შეექმნას იგი! ვფიცავ ღმერთს, ასე მგონია, სამყარო მხოლოდ იმისთვის შეიქმნა, რომ შემოქმედს მოხასიათებოდა ასეთი ბრწყინვალე ნაწარმოები მიემატებინა მისთვის! ნუთუ მისი სულის მიმართ შესცდა ღმერთი? განა შეიძლება, რომ ასეთი აღმაშფოთებლად მახინჯი ასე უნაკლოდ მოვლენოდა ქვეყანას? ან, იქნებ, შემოქმედმა რა იხილა, რომ მისი ხელიდან ანგელოზი გამოდიოდა, გადაწყვიტა სასწრაფოდ გამოეწორებინა ეს შეცდომა და ჩაუდგა მას ძლიერ ცუდი გული?

ლუიზა — ო, უღვთო სიჯიუტე! იგი უფრო იოლად ზეცის წინააღმდეგ გაილაშქრებს, ვიდრე თავის აჩქარებულობას აღიარებდეს.

ფერდინანდი — (ქვითინით მოეხვევა ლუიზას ყელზე) ერთხელ კიდევ, ლუიზა, ერთხელ კიდევ, როგორც ჩვენი კოცნის პირველ დღეს, როცა პირველად წაიჩურჩულე „ფერდინანდ“ და შენს მხურვალე ბაგეებს „შენ“ მოსწყდა. ო, მეგონა, რომ იმ წუთებში, როგორც კვირტში მოთავსებული იყო მარადიული, გამოუთქმელი სიხარულის თესლი; მაშინ ჩვენს თვალთა წინაშე მშვენიერი მაისის დღესავით გაშლილი იყო მარადისობა, მორთულ-მოკაზმულ პატარძლებივით მიქროდნენ ჩვენს გონებაში ოქროს საუკუნენი! მე მაშინ ბედნიერი ვიყავი! ო, ლუიზა! ლუიზა! ლუიზა! რატომ მომეპყარ ასე?

ლუიზა — იტირეთ, იტირეთ, ვალტერ! მე უფრო თქვენი სიბრაღულის ღირსი ვარ, ვიდრე რისხვისა.

ფერდინანდი — შენ ცდები! ეს არ არის სიბრაღულის ცრემლები, თბილი, სასიამოვნო ცვარი, რომელიც მალამოსავით ედება დაკოდილ გულს და კვლავ აამოძრავებს ვენების შეჩერებულ ბორბალს, ეს ცალკეული ცივი წვეთებია — საშინელი მარადიული „მშვიდობით“ ჩემი სიყვარულისა. (აახვიმო განწყობით დაადგმს ლუიზას თავზე ხელს) ეს არის ცრემლები შენი სულის გამო, ლუიზა! ცრემლები ღვთაებაზე, რომლის უსაზღვრო მოწყალება არ გავრცელდება შენზე და რომელიც ასე თვითნებურად მოეპყრა თავის საუკეთესო ქმნილებას. ასე მგონია, ყოველმა არსმა უნდა იგლოვოს და შეძრწუნდეს მათ წიაღში მომ-

ხლარ ამ მაგალითის გამო. ადამიანები რომ ეცემიან და სან-
მოთხის ნეტარებას ჰკარგავენ, ეს ახალი არაა, მაგრამ როცა
შავი ჭირი მძვინვარებს ანგელოზთა შორის, გლოვა უნდა გა-
მოაცხადოს მთელმა ბუნებამ.

ლ უ ი ზ ა — უკიდურესობამდე ნუ მიმიყვან, ვალტერ! სულიერი
სიმტკიცე სხვაზე ნაკლები არც მე მაქვს, მაგრამ არაადამიან-
ურ გამოცდას ვერც მე გაგუძლებ. კიდევ ერთი სიტყვა, ვალ-
ტერ, და ერთმანეთს დავცილდეთ. მკაცრმა ბედმა ხელი შეუ-
შალა ჩვენს გულებს ერთმანეთისა გაეგოთ. რომ შემეძლოს ხმის
ამოღება, ვალტერ, ბევრ რამეს გეტყოდი... გეტყოდი... მაგრამ
უმოწყალო ბედმა ენა წამართვა ისევე, როგორც სიყვარული
და იძულებული ვარ ავიტანო, როცა შენ ისე მეპყრობი, თითქო
ქუჩის ქალი ვიყო.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — თავს კარგად გრძნობ, ლუიზა?

ლ უ ი ზ ა — რად მეკითხებით?

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — ძლიერ შემაწუხებდა, თუ ამ ქვეყანას პირ-
ზე ყალბი სიტყვებით მოშორდებოდი.

ლ უ ი ზ ა — ვალტერ! გაფიცებთ ყველაფერს!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (ძლიერ აღფლგებული) არა, არა! ეს ჯოჯო-
ხეთური შურისძიება იქნებოდა! ღმერთმა დაგიფაროს! იმ ქვეყ-
ნად ამას მე ვერ ავიტან. გიყვარდა მარშალი, ლუიზა? შენ ამ
ოთახიდან ველარ გახვალ.

ლ უ ი ზ ა — მკითხეთ, რაც გინდათ, მე მეტს არ გიპასუხებთ
(ჯდება).

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (მკაცრად) იფიქრე შენს სულზე, ლუიზა,
გიყვარდა მარშალი? შენ ამ ოთახიდან ველარ გახვალ.

ლ უ ი ზ ა — მე თქვენ აღარ გიპასუხებთ.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (ძლიერ აღფლგებული დაეცემა მის წინ მუხლებზე)
ლუიზა! გიყვარდა მარშალი? ეს სანთელი დაწვას ვერ მო-
სწრებს, რომ შენ უკვე ღვთის წინაშე წარსდგები.

ლ უ ი ზ ა — (შეშინებული წამოხტება) ღმერთო, ეს რა მემართება?
ცუდად გავხდი (იხუფ ჯდება).

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — უკვე? ო, ქალებო! მუდმივი გამოცანა ხართ.
თქვენი ნაზი ნერვები უძლებენ დანაშაულს, რომელიც კაცობ-
რიობას ძირს უთხრის, მცირეოდენი დარიშხანა კი სიცოცხლეს
გასალმებთ!

ლ უ ი ზ ა — საწამლავი, საწამლავი, ო, ღმერთო!

ფერდინანდი — სწორედ ასეა! შენი ლიმონათი, ალბათ, ჯოჯოხეთში შეამზადეს... შენ შენი სიკვდილი შესვი.

ლუიზა — სიკვდილი! სიკვდილი! ო, ყოვლად მოწყალეო ღმერთო! საწამლავი ლიმონათში და სიკვდილი. ო, შეიწყალე სული ჩემი, გულთამხილავო!

ფერდინანდი — ახლა ესაა მთავარი, მეც მაგას ვთხოვ ღმერთს.

ლუიზა — დედაჩემი... დედაჩემი... იესო მაცხოვარო! ჩემი საბრალო, დაღუპული მამა! ხსნა არსად არის? მე ჯერ კიდეც ასე ახალგაზრდა ვარ, ხსნა არსად არის და უნდა მოვეკვდე.

ფერდინანდი — ხსნა არსად არის, მაგრამ დამშვიდდი. ამ უკანასკნელ გზას ერთად ვიმგზავრებთ.

ლუიზა — ფერდინანდი! შენც? საწამლავი ფერდინანდი... საწამლავი შენგან! ო, ღმერთო! შეუხდე მას, მოწყალეო ღმერთო! აპატიე ეს ცოდვა.

ფერდინანდი — იფიქრე შენს ცოდვებზე... არა მგონია უცოდველი იყო.

ლუიზა — ფერდინანდი! ფერდინანდი! ახლა ველარ გავჩუმდები. სიკვდილი ყველა ფიცისაგან გვანთავისუფლებს... ფერდინანდი! არც ცას, არც დედამიწას ჩემზე უბედური არავინ უნახავს. მე უდანაშაულოდ ვკვდები, ფერდინანდი!

ფერდინანდი — (შეშინებული) რა სიტყვი შენ? განა შეიძლება, რომ ასეთ გზაზე ვინმემ სიცრუე თან წაიღოს?

ლუიზა — მე არ ვცრუობ, მე არ ვცრუობ. მხოლოდ ერთხელ ჩემს სიცოცხლეში ვთქვი სიცრუე!.. უჰ! როგორ შემცივდა... მაშინ, როცა ჰოფმარშალს ვწერდი წერილს.

ფერდინანდი — აჰ! წერილი! მადლობა ღმერთს! კვლავ დამიბრუნდა ვაკაცობა.

ლუიზა — (ენა ებმება, ხელის თითები ვკრუნჩხება) ის წერილი, ფერდინანდი, აიყვანე შენი თავი ხელში, რომ საშინელი აღსარება მოისმინო, ჩემი ხელი სწერდა მას, რასაც გული სწყევლიდა, ის წერილი მამაშენმა მიკარნახა... (ფერდინანდი ქანდაკებასავეით დგას გაუნძრევლად. დიდი ხნის საპარისებური სიჩუმეა. შემდეგ მესდამუღივით იცემა ძირს) ეს ყველაფერი სამწუხარო გაუგებრობაა... მე მაიძულეს, ფერდინანდი... მაპატიე! შენი ლუიზა სიკვდილს ირჩევდა, მაგრამ მამაჩემის განსაცდელი... მათ ისე ვერაგულად მოაწყვეს.

ფერდინანდი — (საშინლად აღფრთოვნილი წამოხტება) მადლობა
ღმერთს, ჩემზე საწამლავს ჯერ არ უმოქმედია (იძრობს ხმაღს).
ლუიზა — (სულ უფრო და უფრო სუსტდება) ღმერთო! რა განიზრახე, ის
მამაა მინც.

ფერდინანდი — (ზაცოფებული) კაცის მკვლელი და კაცის მკვლე-
ლის მამა! ისიც იქ წამოვა, რომ ზეციერმა მსაჯულმა თავი-
სი რისხვა ნამდვილ დამნაშავეს დაატეხოს თავს (გაფართობა
წასაფლელად).

ლუიზა — იესო ქრისტემ სიკვდილის წინ ყველას შეუხდო. ღმერ-
თი იყოს თქვენი მფარველი. შენი და მისი. (კვდება).

ფერდინანდი — (სწრაფად მოტრიალდება, შეამჩნევს ლუიზას უკანა-
სკნელ ამოსუნთქვას და პირქვე დაემხობა ცხედარზე). მომიცადე, მო-
მიცადე! ნუ ისწრაფვი, ცის ანგელოზო, (აიღებს მის ხელს და
ისევ გაუშვებს) ცივია, ცივი და სველი! მისი სული უკვე იქ
არის! (წამოდება) ჩემი ლუიზას ღმერთო! შეუხდე! შეუხდე
მკვლელთა შორის ყველაზე უბედურს! ეს იყო მისი უკანასკ-
ნელი ლოცვა. მკვდარიც რა ლამაზია და მშვენიერი! სიკვდილმა
ღვთიური სახე ვერ შეუშალა, სათნოება პირბადე არა ყოფილა
მისთვის და სიკვდილმაც ვერ მოსტაცა ის. (დუმილი) მაგრამ
ეს რა არის? რატომ არაფერს არ ვგრძნობ? იქნებ ჩემს ახალ-
გაზრდულ ძალას უნდა გადამარჩინოს? ამით ცდაა (აიღებს ჰიქას).

ფ ა რ დ ა

უკანასკნელი გამოცლა

ფერდინანდი. პრეზიდენტი, ვურმი და მსახურნი შეშინებულნი შემორბიან
ოთახში. შემდეგ შემოდის მილერი, მას შემოყვება პოლიციელები და ბაღნი,
რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად დადგებიან სცენის სიღრმეში.

პრეზიდენტი — (წერილით ხელში) შეილო, ეს რას ნიშნავს?
ვერ დავიჯერებ...

ფერდინანდი — (ფეხებთან დაუბდებს ჰიქას) აი, ნახე, კაცის მკვლე-
ლო! (პრეზიდენტი უკან იხევს. ყველანი ერთ ადგილზე დგანან გაქვავე-
ბულნი. შიშის მომგვრელი დუმილი).

პრეზიდენტი — შეილო, რატომ გამიკეთე ასეთი რამ?

ფერდინანდი — ჰო, რა თქმა უნდა, ჯერ უნდა შეგკითხოდი
სახელმწიფო მოღვაწეს, ხომ არ შეუშლიდა ხელს ჩემი მოქმე-
დება!.. გამოგიტყდებით, საოცრად კარგად მოგიფიქრებიათ,

დაგეცილებინათ ჩვენი გულები ჩემში ეჭვის გაღვივების გზით. ანგარიში სწორი იყო; სამწუხაროა მხოლოდ, რომ გახელდებულ იქნა სიყვარული არ აღმოჩნდა ისე მორჩილი, როგორც შენი ხის თოჯინა.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (დაბნეულად ავლებს თვალებს იქ მყოფთ) ნუთუთ არავე აღმოჩნდება აქ, რომ იტიროს უნუგეშოდ შეთენილი მამა?

მ ი ლ ე რ ი — (ყვირის კულისებიდან) გამიშვით! ღვთის გულისათვის! გამიშვით!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — ეს გოგონა წმინდანია. მის მაგივრად პასუხი სხვამ უნდა აგოს (აღებს კარებს. შემოვარდება მიღერი, რომელსაც შემოყვება ხალხი და პოლიციელები).

მ ი ლ ე რ ი — (შიშით შეპყრობილი) შეილო! შეილო! საწამლავი! გავიგე აქ ვიღაცას საწამლავი დაუღვია! ჩემო გოგო! სად ხარ?

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (აყენებს მიღერს პრეზიდენტსა და ცხედარს შორის) მე უდანაშაულო ვარ. ამას გადაუხადე მადლობა.

მ ი ლ ე რ ი — (დემბობა შვილის ცხედარზე) ო, მაცხოვარო!

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — სულ რამდენიმე სიტყვა, მამაჩემო! ეს სიტყვები ძვირი დამიჯდა. მე ვერაგულად მომპარეს სიცოცხლე, იგი მომპარეთ თქვენ. ახლა ვდგავარ და ისე ვკანკალებ, თითქოს ღმერთის წინაშე ვიდგე, თუმცა ბოროტმოქმედი არასოდეს ვყოფილვარ. რა წილიც არ უნდა მხვდეს მარადიულ ცხოვრებაში, თქვენი ხვედრი სხვანაირი იქნება. მაგრამ მე კაცი მოვკალი. (მუჭარით იმბლღებს ხმას) კაცის მკვლელობა! მაგრამ შენ ვერ მომთხოვ, რომ მე ერთმა ვზიდო ეს ცოდვა და ისე წარვდგე ზეციური მსაჯულის წინაშე. დიდსა და ყველაზე საშინელ ნაწილს ამ ცოდვისას საქვეყნოდ გაბრალებ შენ. ვით შეგიძლია ზიდო ეს ტვირთი, შენი საქმეა. (მიიყვანს პრეზიდენტს ლუიზასთან) უცქირე, მხეცო! დასტები შენი ჰკუამახვილობის საშინელი ნაყოფით. ტანჯვით შემოვიღე ამ სახეზე დაწერილია შენი სახელი და შურისძიების ანგელოზები წაიკითხავენ მას. დეე, მისმა აჩრდილმა გადასწიოს შენი სარეცეულის ფარდა, როცა ტკბილ ძილს მიეცემი და გამოგიწოდოს თავის ყინულივით ცივი ხელი; დეე, მისი აჩრდილი თვალწინ დაგიდგეს სულის განტევებისას და შეგაწყვეტინოს უკანასკნელი ლოცვა; დეე, მისი აჩრდილი იდგეს შენ საფლავთან მკვდრეთით აღდგომისას და წარგიდგეს ღვთის წინაშე შენი განსჯის დღეს! (გზიხობას კარგავს).

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (შიშით ატანილი ალაპყრობს ხეცად ხელებს) ყოველად

სამართლიანო მსაჯულო! მე ნუ, მე ნუ! ამას მოკითხე მათ
ცოდვა (გამართება ჯურმისაკენ).

ვ უ რ მ ი — (შეკრთება) მე?

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — შენ, წყეულო! შენ, სატანა! შენ, შენ მომეცი
ეს გველური რჩევა... შენა ხარ დამნაშავე... მე ხელები დამი-
ბანია.

ვ უ რ მ ი — მე ვარ დამნაშავე? (სახიზღრად ხარხარებს) საინტერე-
სოა! საინტერესოა! ის მაინც გავიგე, როგორ იხდიან ეშმაკე-
ბი მადლობას! მე ვარ დამნაშავე, უპკუო ბოროტმოქმელო?
ეს განა ჩემი შვილი იყო? განა მე უფლება მქონდა მებრძანე-
ბინა შენთვის? მე ვარ ყველაფერში დამნაშავე? ჰა! მაშინ როცა
ამ სანახობამ ძარღვებში სისხლი გამიყინა? დე ასე იყოს, მე
ვიყო დამნაშავე, მე დავიღუპო, მაგრამ ჩემთან ერთად შენც
უნდა იყო. ჰეი, ჰეი, მოუხმეთ ყარაულს ქუჩებიდან! გააღვი-
ძეთ მართლმსაჯულება! პოლიცია, შემკარით, წამიყვანეთ აქე-
დან! მე ფარდას ავხდი საიდუმლოებას, რომელიც მსმენელთ
თმებს ყალყზე დაუყენებს (სურს წავიდეს).

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (შეჩხრება) კკუაზე შეშლილო, ხომ არ იტყ-
ვი, რომ?

ვ უ რ მ ი — ვიტყვი, მეგობარო! ვიტყვი! მე მართლაც გიყი ვარ,
შენა ხარ ამის მიზეზი — და ახლა ისე მოვიქცევი, როგორც
გიყს შეეფერება. შენთან ერთად წავალ ეშაფოტზე, შენთან
ერთად გავუღებები გზას ჯოჯოხეთისაკენ. ჩემთვის საამაყო იქნე-
ბა, ნამუსგარეცხილო, რომ შენთან ერთად დამსჯიან (ჯურმი
გაჰყავთ).

მ ი ლ ე რ ი — (მთელი ამ ხნის განმავლობაში ლუიხას მუხლებთან დამხო-
ბილი, თავჩაქინდრული იყო, უცებ წამოხტება და ესკრის მაიორს ფეხებ-
ში ჭისას) კაცის მკვლელო! წაიღე შენი წყეული ოქრო! ამით
ფიქრობდი გეყიდა იგი! (გარბის ოთახიდან).

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — (ხმა უწყდება) დაედევნეთ! ის სასოწარკვე-
თილებამი ჩავარდნილი... ის ფული შეუნახეთ... ეს ჩემი საშინე-
ლი საჩუქარია... ლუიზა... ლუიზა... მოვდივარ... მშვიდობით...
მომეციო საშუალება ამ სალოცავთან მოგკვდე.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (გამოფრკვევა ღრმა ფიჭობიდან) ფერდინანდ! შვი-
ლო, ფერდინანდ! ნუთუ ერთხელაც არ შეხედავ დარდისაგან
სასოწარკვეთილ მამაშენს? (ფერდინანდს აწვნიან ლუიხას გვერდით)

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი — ყოვლად მოწყალე ღმერთს მივაპყრობ ჩემს
უკანასკნელ მზერას.

პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი — (განუსახდვრელი წამების გამომხატველი სახით ეშ-
ვება მის წინ მუხლებზე) შექმნილი და შემოქმედი ორივენი
მტოვებენ... ნუთუ უკანასკნელად არ შემომხედავ, არ დაა-
მშვიდებ ჩემს გულს! (ფერდინანდი გაუწვდის უკვე გაციებულ ხელს,
პრეზიდენტი სწრაფად წამოდგება) მან მაპატიო! (მიმართავს დანარჩენთ)
ახლა თქვენი ტყვე ვარ (მიდის პოლიციელების თანხლებით, ფარდა ეშ-
ვება).

8 3 5 0 8 3 5 0 3 0

ფრიდრიხ შილერმა ლექსების წერა ბავშვობიდანვე დაიწყო. ჯერ კიდევ კარლს-შულეში ყოფნისას ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში ჰაბტუი პოეტის მუზის ნაყოფი (მაგ. ლექსი „საღამოს“ გამოქვეყნდა 1776 წ., „დამპყრობელი“—1777 წ.). რამდენიმე ლექსსა და სიმღერას შეიცავს დიდი გერმანელი დრამატურგის პირველი დრამა „ყაჩაღები“ („ჰექტორის გამოთხოვება“, „ამალია“, „ბრუტოსი და კეისარი“). მაგრამ ახალგაზრდა შილერის ლირიკის უმნიშვნელოვანეს ქველს წარმოადგენს კრებული „1782 წლის ანთოლოგია“, რომელიც მან, თავის რამდენიმე მეგობართან ერთად, „ყაჩაღების“ შემდეგ გამოსცა. ამ კრებულში შესულ 82 ანონიმურ ლექსიდან 48 შილერს ეკუთვნოდა. კრებულში მოთავსებული შილერის ლექსების უმრავლესობა დაწერილია 1781 წელს, მასში გამოქვეყნებულია აგრეთვე პოეტის ადრინდელი ლექსებიც. მაგალითად, ლექსი „მზეს“, რომელიც ანთოლოგიაში შევიდა, შილერს, მისი დის ცნობის მიხედვით, 14 წლის ასაკში დაუწერია.

თუმცა შილერის ჰაბტუკურ ლექსებს ემჩნევა კლოპშტოკის — XVIII საუკუნის ადრინდელი გერმანელი განმანათლებელი პოეტის — დიდი გავლენა, ამ პერიოდის მის პოეზიას რელიგიური იერი გადაჰკრავს და ბუნებისადმი ლირიკული განწყობილება ამოძრავებს, მაგრამ უკვე პირველსავე ლექსებში გაისმის ძლიერი ხმა უსამართლობისა და ტირანიის წინააღმდეგ ამხედრებული დიდი მებრძოლისა. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ზევით უკვე დასახელებული ჯერ კიდევ 1777 წელს გამოქვეყნებული ლექსი „დამპყრობელი“, რომლის მრისხანე სტრიქონებში ნათლად მოსჩანს კაცობრიობის ბედნიერების მომავალი ქომაგის, „ყაჩაღებისა“ და „ვილიჰელმ ტელის“ ავტორის მგზნებარე სახე.

უსამართლობისა და ტირანიის წინააღმდეგ ეს პროტესტანტული განწყობილება კიდევ უფრო ძლიერდება „ანთოლოგიაში“, სადაც გამოქვეყნებულ ფორმითა და შინაარსით უაღრესად მრავალფეროვან ლექსებიდან (აქ ჩვენ გვგვძედა როგორც მითოლოგიური და რელიგიური, ისე რეალისტური და პოლიტიკური, ტირანთმებრძოლური და სატირფიალო, მელანქოლიური და სატირიკული შინაარსის ლექსები) განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას სასულიერო და საერო ტირანთა წინააღმდეგ მიმართული და თავისუფლებისათვის ბრძოლის პათოსით გამსჭვალული ლექსები: „რუსო“, „სპინოზა“, „ყაჩაღი მოორის მონუმენტი“ და „ეუდი მონარქები“. აღსანიშნავია, რომ უკვე ამ პერიოდის ისეთ ლექსებში, როგორცაა ლაურასადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი და აგრეთვე „სიყვარულის ზეიმი“, „მოგონების საიდუმლოება“, „მეგობრობა“, „ელიზიუმი“ და სხვა აშკარად იგრძნობა ის ტენდენცია, რომელიც განსაზღვრავს მოწიფული შილერის მთელ შემოქმედებას. სახელდობრ, სწორედ ამ ლექსებში მოსჩანს ის თვალსაზრისი, რომ ახალი, კაცობრიობის ბედნიერების უზრუნველმყოფელი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებისათვის ბრძოლა დადებით შედეგს მოგვცემს მხოლოდ მის შემდეგ, როცა ასეთი საზოგადოებრივი წყობილებისათვის მებრძოლნი თვით იქნებიან სათანადოდ აღზრდილნი,

რომ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა უზადარტუკი სინამდვილისაგან შერყენილი ადამიანების მანკიერებისაგან განწმენდა, მათი მორალური აღზრდა. საჭიროა, რომ ურთიერთობა, ბოროტება, ჩაგვრა, შური და გესლი დათრგუნოს და შთანთქას ურთიერთსიყვარულმა, მეგობრობამ და სიკეთემ.

1781 წლიდან 1784 წლამდე შილერის ლირიკული მუზა სდუმს. იგი მთლიანად დრამატურგიულ მუშაობაში ეფლობა. სახელგანთქმულ „ყაჩაღებს“ მოჰყვა რესპუბლიკური ტრაგედია „ფიესკოს შეთქმულება გენუაში“ და ახალგაზრდა შილერის დრამატურგიის შედეგრი, ბიურგერული დრამა „ვერაგობა და სიყვარული“, ამავე პერიოდში დაიწყო მან მუშაობა „დონ კარლოსზე“.

1784 წელს შილერმა შექმნა ორი მნიშვნელოვანი ლირიკული ნაწარმოები „ბრძოლა“ და „ბედთან შერიგება“ (Resignation). ორივე ეს ნაწარმოები დაწერილია იმ პერიოდში, როცა შარლოტა ფონ ბუფთი ვატაყებელი პოეტის მძიმე განცდებს კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა მატერიალური ხელმოკლეობა და, განსაკუთრებით, ის მსოფლმხედველობრივ-შემოქმედებითი კრიზისი, რომელიც დაეუფლა პოეტს ამ ეტაპზე.

მწუნრით მოცულ პოეტის ცხოვრებაში ნათელ სხივად შეიქრა კერნერთან დამეგობრება. ამ მეგობრობის ძალით არის ნაკარნახევი დიდებული ლექსი „პიზნი სიხარულს“, რომელიც 1785 წელს არის დაწერილი. ეს ლექსი გამოიყენა ბეთოვენმა თავისი პერიოკული მეცხრე სიმფონიის პათეტიკური ფინალის ტექსტად.

თუმცა კერნერთან მეგობრობამ შეუმსუბუქა შილერს მდგომარეობა, მაგრამ, ცხადია, იგი ვერ გამოიყვანდა მას იმ მძიმე შემოქმედებით კრიზისიდან, რომელიც პირობადებული იყო იმით, რომ გერმანიის გამოჩენილი პოეტი და მოაზროვნე თავისი თანამედროვე მანკიერი სინამდვილის დასაძლევად არა მარტო შტურმერული ინდივიდუალისტური ბუნტარობის უკმარობაში დარწმუნდა, არამედ არსებული საზოგადოებრივი უკულმართობის გარდასაქმნელად თავის მიერ წამოყენებული გზის მართებულობაშიც დაეჭვდა. საქმე ისაა, რომ შილერმა არა მარტო დაინახა იდეალსა და სინამდვილეს შორის ღრმა უფსკრული, არამედ იდეალის სინამდვილეუ ქვეყის თავის მიერ არჩეული გზის ნაკლოვანებაც მწარედ განიცადა. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ მის თვალში, როგორც ის 1785 წლის ოქტომბერს გუბერისადმი გაგზავნილ წერილში წერდა, „ენტუზიაზმი და იდეალი მეტისმეტად დაეცა“. ასეთ პირობებში შილერმა მიმართა მეცნიერებას. განსაკუთრებით დაეწაფა ანტიკური ისტორიის შესწავლას და საფუძვლიანად გაიცნო ძველებრძნული ხელოვნება, რომელმაც მას კვლავ გაუღვიძა იმედი იდეალისა და სინამდვილის დაახლოებისა. შილერის შემოქმედებითი განვითარების ეს ეტაპი ასახულია ლექსში „საბერძნეთის ღმერთები“ (1788) და „ხელოვანნი“ (1789). პოეტის ეს ლირიკული შედეგები, საერთოდ მიღებული აზრის თანახმად, ითვლებიან ე. წ. „ვაიმარული კლასიციზმის“ პროგრამულ ნაწარმოებებად.

„საბერძნეთის ღმერთებში“ შილერი განუდგა ქრისტიანული სამყაროს რელიგიურ-დოგმატურ შეხედულებებს, იგი შენატრის იმ დროს, როცა საბერძნეთის ღმერთები, „ზღაბართ სამყაროს ტურფა არსნი, სახემზიანნი“ ვანაგებდნენ, „ლამაზ ქვეყანას“, როცა „დუღდა ქვეყანა ლაღი სიცოცხლით და სიყვარულით, უსაზღვრო განცდის ცეცხლით ფეთქდა გული ყოველი“ და როცა თავისუფალი ადამიანის პიროვნება ლაღად, პარმონიულად ვითარდებოდა: ფიზიკურ-მატერიალურ მხარეს სულიერი აფაქიზება და სულიერი ფიზიკური ანმტიკეცედა. მაგრამ დროთა ვითარებაში: „ნორჩი ყვაფილი მინდორ-ველის შემამყოფელი, ყინვით დააქვნო ჩრდილოეთის საშინელ ქროლვამ“. ბუნება განიძარცვა და ადამიანი „უსიცოცხლო ჩონ-

ჩხად“ იქცა. ამიტომაც „ვარსკვლავთ შხარის“ მორტფილზე „სვედით აღსაყენე“ პოეტი მიმართავს ძველ დროს:

„ტურფა ქვეყანავ, სად ხარ ახლა? მზიბლელი ეშხით?
დაბრუნდი, მიწის აყვავების ნეტარო ყამო!“.

მაგრამ „საბერძნეთის ღმერთებში“ შილერი ჯერ კიდევ ვერ ხედავს „ნეტარი ყამის“ დაბრუნების გზას. ამ გზას, გზას იდეალის სინამდვილედ ქცევისა — იგი დასახავს „საბერძნეთის ღმერთების“ გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ დაბეჭდილ ლექსში „ხელოვანნი“. დიდი ჰუმანისტის აზრით, ნეტარი ყამის დასაბრუნებლად საჭიროა ადამიანის ესთეტიკური აღზრდა. „ხელოვანში“ წამოყენებულ ამ აზრს შილერი შემდგომ განავითარებს თავის ესთეტიკურ-ფილოსოფიურ სტატიებში, ლირიკასა და დრამატურგიაში.

1789 — 1794 წლებში, მთელი ექვსი წლის მანძილზე, შილერს არ მიუშარტავს მხატვრული შემოქმედებითი პრაქტიკისათვის. იგი ამ პერიოდში ინტენსიურად მუშაობს ისტორიაში, აქვეყნებს თავის ისტორიოგრაფიულ შრომებს და ფილოსოფიურ-ესთეტიკურ სტატიებს. სამაგიეროდ 1795 წელს პოეტი ზედინზედ აქვეყნებს ფილოსოფიური ლირიკის ისეთ შედეგებს, როგორცაა „ცხოვრების პოეზია“, „სიმღერის ძალა“, „ბეგასი უღელში“, „იდეალები“, „იდეალი და ცხოვრება“ და სხვა. ამ ლექსებში შილერი გამოხატავს უკვე „ხელოვანში“ წამოყენებულ, ხოლო შემდეგ, განსაკუთრებით — ტრაქტატში „ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ“ საფუძვლიანად დამუშავებულ და განვითარებულ, მართალია უტოპისტურ. მაგრამ უაღრესად საყურადღებო და ჭეშმარიტად „რაციონალური მარცვლს“ შემცველ აზრს იმის შესახებ, რომ არსებული მანკიერი სინამდვილის გარდაქმნა შეიძლება ადამიანის ესთეტიკური აღზრდის გზით. ამ უტოპისტური ილუზიის „რაციონალური მარცვალი“ ისაა, რომ, როგორც მართებულად აღნიშნავს ო. ჯინორა 1957 წ. გამოცემული შილერის ლირიკისათვის აქტიური, გარდამქმნელი, გამანათლებლურ-აღმზრდელითი ძალისა და როლის ღრმად შეგნებას“.

ლიტერატურის ისტორიაში 1796 წელი შილერის და მისი უდიდესი თანამედროვის გოეთეს შემოქმედებაში „ეპიგრამების წელიწადად“ არის ცნობილი. მართლაც, 1796 წელს გოეთემ და შილერმა ურთიერთთანამშრომლობით შექმნეს ათასამდე ეპიგრამა, ე. წ. „ქსენიები“, რომელთაც მართებულად მიაკუთვნებენ გერმანული ლიტერატურის ორი ბუმბერაზის საუკეთესო ლირიკულ ნაწარმოებთა რიცხვს. „ქსენიები“, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობენ თემატური მრავალფეროვნებით. მათში მკაფიოდ არის გამოხატული გოეთესა და შილერის ლიტერატურული, ფილოსოფიური, ესთეტიკური, მორალური და პოლიტიკური შეხედულებანი და ასახულია ის ტიტული ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდნენ ისინი მათ წინააღმდეგ ამხედრებულ ფილისტერთა მიმართ.

გოეთესთან მჭიდრო თანამშრომლობით შექმნა შილერმა თავისი უკვდავი ბალადებიც. თუ 1796 წელი შილერის შემოქმედებით განვითარებაში „ეპიგრამების წელიწადად“ არის მიჩნეული, 1797 წელს „ბალადების წელიწადად“ თვლიან. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შილერს 1797 წლის შემდეგ აღარ დაუწერია ბალადები. 1797 წელს დაწერილ ისეთ ბალადებთან ერთად, როგორცაა „რაინდი ტოგენბურგი“, „თასი“, „ხელთათმანი“, „პოლიკრატეს ბეჭედი“, „იბიკოსის წეროები“ და სხვა, აღსანიშნავია „ბრძოლა გველეშაპთან“ და „მძევალი“ (1798), „ჰერო და ლანდრაე“ (1801), „ქასანდრა“ (1802), „გრაფი ჰაბსბურგი“ (1803) და სხვა. შილერის ყველა ბალადა მდლმხატვრული ოსტატობითაა დაწერილი. მოქმედება ღრმა

დრამატისმითა და გრძობათა უშუალობითა აღბეჭდილი. მოქმედება იმ ბაღადების-
სა, რომელთა მამაცი გმირების თბიმიზმის საფუძველს ბოროტებაზე სიკეთის აუცი-
ლებელი გამარჯვების რწმენა წარმოადგენს, ვითარდება კონკრეტულ-ისტორიულ
გარემოში. სწორედ მხატვრულმა სრულყოფამ, მოქმედების კონკრეტულ-ისტორი-
ულ გარემოში გაშლამ და ცხოველყოფილობამ, ქეშმარიტმა ჰუმანიზმმა და მო-
მავლის დიდმა რწმენამ განსაზღვრა შილერის ბაღადების განსაკუთრებული წარმა-
ტება და აქცია ისინი არა მარტო დიდი გერმანელი პოეტის ლირიკის შედევრებად,
არამედ მსოფლიო ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებებად.

შილერის ბაღადების მნიშვნელობა ისიცაა, რომ აქ აშკარად იჩინს თავს მისი
მისწრაფებები „მშვენიერი ხილვის სამყაროში“ — თავშესაფრის ძიების ნაცვლად
რეალურ სამყაროში განახორციელოს პიროვნებისა და საზოგადოების მთლიანობა-
ზე დამყარებული „მშვენიერი კაცობრიობის“ შექმნის იდეალი. დიდმა პოეტმა ჯერ
კიდევ „იდეალსა და ცხოვრებაში“ (1795) წამოაყენა აზრი: „ვისაც სწაღია გამარჯ-
ვება — უნდა იბრძოდოს“, რადგან მსგავსად გოეთესა, რომელიც ამბობს:

„თავისუფლებას და სიცოცხლეს ის ინარჩუნებს

ვინც მათთვის ვადის საბრძოლველად ყოველდღიურად“ (ფ ა უ ს ტ ი),
შილერმაც იწაბა, რომ ადამიანთა ქეშმარიტი ბედნიერება ბრძოლითა და შრომით
მოიპოვება, რომ ესთეტიკურად აღზრდილი, ჰარმონიულად განვითარებული ადამიან-
ის სრულყოფას თავისუფალი შრომა დაავიკრივინებს. გოეთეს მსგავსად, რომლის
თვალწინ საბოლოო „დასკვნა სიბრძნისა“ ადამიანის „ხიფათისაგან მრავალგზის და-
მცველმა“ შრომამ „გამაშიურა“, შილერიც შრომას თვლის ადამიანის სამკაულად
და მიუძღვნის მას დიდებულ ჰიმნს „სიმღერა ზარზე“ (1799), რომელშიც განდი-
დებულა შეგნებული შრომა, როგორც ადამიანის აღმაშენებელი და განმკეთილ-
შობილებელი ძალა.

მართალია, თავისი ხანმოკლე სიცოცხლის უკანასკნელი ხუთი (1800 — 1805)
წელი შილერმა მთლიანად დრამატურგიას მიუძღვნა, მაგრამ ამ პერიოდშიც შექმნა
მან შესანიშნავი ლირიკული ნაწარმოებნი, რომელთაგან ზემოთ უკვე აღნიშნულ
სიმთ ბაღადებთან ერთად, როგორცაა „ჰერო და ლეანდრე“ (1801), „ქასანდრა“
(1802), „გრადი ჰაბსბურგი“ (1803), უნდა აღინიშნოს „გოეთეს“ (1800) „ახალი საუ-
კუნის დასაწყისი“, „სურვილი“ და „ორღეანელი ქალწული“ (1801), „მეგობრებს“
და „ოთხი საუკუნე“ (1802), „ყრმა ნაკადულთან“, „მოგზაური“, „გამარჯვებულთა
ზეიმი“ (1803), „ალბელი მონადირე“ (1804) და სხვა. ყველა ამ ლექსში იგრძნობა
კაცობრიობის მომავალი ბედნიერებისათვის დაუღალავი მებრძოლის აღგზნებული
გულის ძლიერი ძვრა.

შილერის თხზულებათა სამტომეულში წარმოდგენილია დიდი პოეტის ლირიკის
ყველა ჟანრი, გარდა ეპიგრამებისა. ლექსები დალაგებულია ქრონოლოგიური თან-
მიმდევრობით. ასეთ დალაგებას ის უპირატესობა აქვს თემატიკური ან ჟანრობრივი
თვალსაზრისით დალაგებასთან შედარებით, რომ იგი ნათლად წარმოგვიდგენს პოე-
ტის შემოქმედებით განვითარებას.

1 7 7 7

გვ. 87. დ ა მ ჰ ყ რ ო ბ ე ლ ი — ახლგაზრდა შილერის პირველი ტირანომებრ-
ძოლური ლექსია, რომელსაც ძლიერ ეტყობა კლოპშტოკის რელიგიური პოეზიის
გავლენა.

გვ. 88. ი ე ლ ო ვ ა — იუდეველთა ღმერთი, რომლის კულტი შეიქმნა დაახლო-
ებით მეათე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ებრაელთა ტომების პალესტინის

ტერიტორიებზე კონსოლიდაციის შემდეგ. იელოვა თავდაპირველად აღიარებულ იყო უმთავრეს ღმერთად სხვა ღმერთებსა და ქალღმერთებს შორის, შემდეგ კი მას თაყუანს სცემდნენ, როგორც ებრაელთა ერთადერთ ღმერთს.

გვ. 89. ოლიმპის მთა — ჩრდილოეთ საბერძნეთში სალონიკის ყურის საზღაპირობთან მდებარე მთის მასივი. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ოლიმპის მთა ღმერთთა სამყოფელი ადგილი იყო.

იქვე ერებოსი — (ბერძნ. მით.): მიწის ქვეშეთი, ბნელეთი, გარდაცვლილთა სამყოფი ადგილი.

გვ. 90. სფერები — ბერძენი ფილოსოფოსის პითაგორას მიხედვით, არსებობს თითქო ათი უხილავი ციური სფერული — სფერო (ცენტრალური სფერო, ორი დედამიწა, მზე, მთვარე და ხუთი პლანეტა), რომელნიც ერთმანეთის ირგვლივ ბრუნდვენ და ამასთან გამოსცემენ საოცარ სფერულ მუსიკას.

1 7 8 0

გვ. 91. ჰექტორის გამოთხოვება — ვარიანტია იმ სიმღერისა, რომელსაც „ყაჩაღების“ მეორე მოქმედების მეორე სურათში მღერის ამალია. განსხვავებით ჰომეროსის „ილიადასაგან“, საიდანაც აღებული აქვს შილერს მასალა, ამ ლექსში ჰექტორი თავის მეუღლე ანდრომაქეს ეთხოვება არა პატროკლესთან შერკინების წინ, სადაც მან გაიმარჯვა, არამედ აქილეესთან ბრძოლის წინ, ბრძოლისა, რომელშიც ჰექტორი აქილეესის ხელით განიგმირება. ეს ფაქტი, როგორც მართებულად არის აღნიშნული საბჭოთა შილეროლოგების მიერ, იმის დამადასტურებელია, რომ დიდი პოეტი და დრამატურგი ჯერ კიდევ თავისი შემოქმედების დასაწყისში ზუსტად კი არ მიჰყვებოდა მასალებს და ფაქტებს, არამედ მათ ისე აჯგუფებდა, რომ მიედწია რაც შეიძლება დიდი დრამატული ეფექტისათვის.

გვ. 91. ჰექტორი — ბერძნული ეპოსის მიხედვით ტროას მეფე პრიამოსისა და დედოფალ ჰეკუბას უფროსი ვაჟი, ტროელთა მხედართმთავარი.

იქვე ანდრომაქე — ჰექტორის მეუღლე, ჰომეროსს გამოყვანილი ჰყავს როგორც უკეთილშობილესი ქალი, ერთგული მეუღლე და შესანიშნავი დედა.

იქვე აქილეესი — ილიადას მთავარი გმირი, სწორუბოვარი მებრძოლი, რომელმაც უფრო იძია თავისი მეგობრის პატროკლეს სიკვდილის გამო, ჩაება ტროელთა წინააღმდეგ ბრძოლაში და განგმირა ჰექტორი.

იქვე ორკუსი — რომაული სახელწოდება ქვესკნელის ღმერთისა, აგრეთვე თვით ქვესკნელისა.

იქვე ჰერგამი — ტროას აკროპოლისი (ქალაქის გამაგრებული ნაწილი, რომელიც მდლობზე მდებარეობს).

იქვე სტიქსი, კოციტუსი, ლეთე — ქვესკნელის მდინარეები.

გვ. 92. შმაგი მტერი — ივულისხმება აქილეესი.

გვ. 93. ამალია — ამალიას სიმღერა „ყაჩაღების“ მესამე მოქმედების პირველ სურათში.

იქვე ვალჰალა — ძველი სკანდინავური მითოლოგიის მიხედვით, ღმერთი ოდინის სასახლე, რომელშიაც იმყოფებოდნენ ბრძოლის ველზე დაღუპულ გმირთა სულები.

გვ. 94. ბრუტოსი და კეისარი — კარლ შოპრის სიმღერა „ყაჩაღების“ მეოთხე მოქმედების მეხუთე სურათში. ბრუტოსი — იულიუს კეისარის მეგობარი, მთავრამ მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგე (კეისარი ავტოკრატის მომხრე იყო, ბრუტოსი კი — რესპუბლიკისა) განუდგება კეისარს და მახვილს ჩასცემს მას. ში-

ღერს გამოყენებული აქვს ისტორიულად დაუხსაზუთებელი, მაგრამ საკმაოდ გაჯერ-
ცელეზული გადმოცემა, თითქოს კეისარი მამა იყო ბრუტოსისა. ლექსში კონფლიქ-
ტი კულმინაციას აღწევს, როცა ბრუტოსისაგან სასიკვდილოდ დაპირილი კეისარის
ეუბნება თავის მკვლელს, რომ მან საკუთარი მამის სისხლი დაღვარა.

გვ. 94. ბ რ უ ტ ო ს ი, კ ა ს ი უ ს ი — მარკოს იუნიუს ბრუტოსი და გაიუს კასიუს
ლონგინი იყვნენ იულიუს კეისარის წინააღმდეგ შეთქმულების მოთავენი. 44 წელს
ჩვენს წელთაღრიცხვამდე მოჰკლეს იულიუს კეისარი. კეისარის სიკვდილის შემდეგ
ხალხმა არ დაუჭირა მხარი ბრუტოსსა და კასიუსს, ისინი იძულებულნი გახდნენ
დაეტოვებინათ რომი და გაქცეულიყვნენ აღმოსავლეთის პროვინციებში, სადაც
თავი მოუყარეს რესპუბლიკის მომხრეთა მრავალრიცხოვან არმიას, ჩაუღვნენ მას
სათავეში და გაილაშქრეს ანტიონოსისა და ოქტავიანეს წინააღმდეგ. 42 წელს
რესპუბლიკელები დამარცხდნენ, რის შემდეგაც ჯერ კასიუსმა, ხოლო შემდეგ ბრუ-
ტოსმა თავი მოიკლეს.

იქვე მ ი ნ ო ს ი — კრეტას მითიური მეფე. ჰომეროსის მიხედვით იგი ზევსისა
და ვერობას შვილი იყო. გარდაცვალების შემდეგ მიცვალებულთა სამეფოებს მო-
სამართლე გახდა.

1781

გვ. 96. ც უ ლ ი მ ო ნ ა რ ქ ე ბ ი — მონარქთა წინააღმდეგ მიმართული ოს
მგზნებარე ლექსი არ წარმოადგენს გამონაკლისს XVIII საუკუნის ლიტერატურა-
ში. საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის წინა ორ ათეულ წელიწადში
მრავალი ფრანგი პოეტის შემოქმედების ძირითადი მოტივია ტირან მეფეთა მსჯერ-
დება. XVIII საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს ამ მოტივს მიმართავენ
გერმანელი მწერლებიც, განსაკუთრებით კლოპშტოკი, ბიურგერი და შუბარტი, ში-
ლერის „ცული მონარქები“ — წარმოადგენს მიბაძვას შუბარტის ცნობილი ლექსისა
„თავადთა აკლამა“.

იქვე ა ფ რ ო დ ი ტ ე — (ბერძნ. მით.) სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი.
მითის მიხედვით აფროდიტე წარმოიშვა ზღვის ქაფისაგან. თავდაპირველად მას
თვლიდნენ ნაყოფიერებისა და ცის ქალღმერთად. მითოლოგიაში ცნობილია მრავა-
ლი სახელწოდებით: ამატლზია, ურანია, ანალიომენა, კიპრი და სხვ.

იქვე ფ რ ი ნ ა — ძველ დროში ცნობილი ჰეტერა, რომელიც განთქმული იყო
თავისი სილამაზით.

გვ. 97. მ ი ნ ო ტ ა ვ რ ი — (ბერძ. მით.) საშინელი ურჩხული, ადამიანის ტანითა და
ხარის თავით, ცხოვრობდა ლაბირინთში. მითის მიხედვით მინოსი — კუნძულ კრე-
ტას ლეგენდარული მეფე — ათენიდან ხარკად წამოყვანილი ქალ-ვაყებით ჰკვებავ-
და მას.

იქვე ჰ ე კ ა ტ ე — (ბერძ. მით.) მიწისქვეშა სამყაროს ერთ-ერთი ღვთაებათაგანი,
რომელსაც შეეძლო მიცვალებულთა სულის გამოძახება.

გვ. 98. ბ რ მ ა რ ო ს კ ი პ ი — იგულისხმება ბედნიერების ქალღმერთი, რომ-
ელიც მითოლოგიის მიხედვით ბრმა იყო.

გვ. 99. ი ქ, ს ა დ ა ც ს ა ს წ ო რ ი ა — იგულისხმება სასწორი, რომელზედაც
მეორედ მოსვლის დროს აიწონება ადამიანის მიერ ჩადენილი სიკეთე და ბორო-
ტება.

გვ. 100. ყ ა ჩ ა ლ ი მ ო ო რ ი ს ძ ე გ ლ ი — ეს ლექსი მიძღვნილია შილერის
პირველი დრამის „ყაჩაღების“ გმირის კარლ მოორისადმი, რომელსაც იგი „დიდუ-
ბულ ელვის დარად, ღამის გამაბრწყინებლად“ თვლის და „ციური გენიის“ ჭედ
მიიჩნევს, მაგრამ, ამასთანავე, შილერი მას ფაეტონს ადარებს, რომელსაც შეეძლო

ქვეყანა გუნდგურებნა და ქაყოფილებას გამოთქვამს „დიდებული კოლეჯის“ საზარდის ხვედრის აღსრულების გამო“.

გვ. 101. ფაეტონი — (ბერძნ. მით.) მზის ღმერთის ჰელიოსის ვაჟი. ჰელიოსმა ნება მისცა მას ერთი დღით ემართა მზის ეტლი. ფაეტონმა ვერ შესძლო ეტლის მართვა. მზე ჰბუგავდა ცასა და დედამიწას. ზევსმა, ქვეყანა რომ განადგურებისაგან ეხსნა, ელვით განგმირა კადნიერი ფაეტონი.

გვ. 102. რუსო — ამ ლექსში შილერი მიმართავს საფრანგეთის გამანათლებელთა შორის ყველაზე რადიკალურად მოაზროვნე, ფეოდალიზმის მგზნებარე მოწინააღმდეგე ჟან-ჟაკ რუსოს (1712 — 1778) ძეგლს, რომელიც დაუღდგეს მას პარიზის მახლობლად ერმენონვილში, სადაც გარდაიცვალა იგი.

იქვე სოკრატე — ბერძენი ფილოსოფოსი — იდეალისტი (დაიბადა დაახლოებით 469 წ., გარდაიცვალა 399 წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე). სოკრატეს მოძღვრება ეწინააღმდეგებოდა ათენის დემოკრატიის წესწყობილებას, ამიტომ იყო, მმართველმა წრეებმა სასამართლოს გადასცეს, ბრალდებად ახალგაზრდობის გარყვანა და სახელმწიფო რელიგიის უპატივობა წაუყენეს და სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს. განაჩენის სისრულეში მოსაყვანად, მაშინდელი წესის მიხედვით, სოკრატემ თავის ხელით დასცალა საწამლავის საცხე თასი და გარდაიცვალა.

იქვე „იგი მოკვლეს ქრისტიანებმა“ — იგულისხმება დედნა, რომელსაც განიცდიდა რუსო რეაქციონერების მხრივ. რუსოს ნაწარმოები „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“ დასწვეს, თვითონ მას დაპატიმრება მიუსაჯეს. დიდი მოაზროვნე იძულებული გახდა მამობლიდან გაქცევით ეხსნა თავი.

გვ. 103. სპინოზა — ეს ლექსი მიძღვნილია გამოჩენილი ჰოლანდიელი ფილოსოფოს-მატერიალისტის ბენედიქტ (ბარუხ) სპინოზასადმი (1632 — 1677).

გვ. 104. სიყვარულის ზეიმი — ანონიმურ ავტორი ეწინააღმდეგება „1782 წ. ანთოლოგიაზე“ შილერი „სიყვარულის ზეიმის“ გამო წერდა, რომ იგი მიბაძევა ბიურგერის „ვენერას ღამის ქეიფის“, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს უცნობი რომელიღაც პოეტის პოემის თავისუფალ თარგმანს.

იქვე „სალი კლდისაგან გაჩნდა ქვეყანა და ქვეებისაგან ადამიანი“ — იგულისხმება ბერძნული მითი, რომლის მიხედვით ადამიანებზე განრისხებულმა ზევსმა ქვეყანას წარღვნა მოუვლინა. აბოთქრებულ სტიქიას გადაურჩა მხოლოდ პრომეთეოსის ვაჟი დეკალიონი — თესალოს ლეგენდარული მეფე — და მისი მეუღლე — პირა. სტიქიონმა ნაჲი, რომელშიც ისინი ისხდნენ, პარნასის მთაზე გარიჴა. ზევსმა გადაწყვიტა ადამიანთა ახალი მოდგმა დეკალიონისა და პირას საშუალებით შეექმნა; ოლიმპის მბრძანებლის შთაგონებით მისანმა ურჩია ცოლ-ქმარს, ზურგს უკან ქვეები ესროლათ. დეკალიონის გასროლილი ქვებიდან მამაკაცები წარმოიშენენ, პირას გადასროლილი ქვეები კი დედაკაცებად იქცნენ.

გვ. 105. ნიდა — (ბერძნ. მით.) — ფერიების ერთ-ერთი სახესხვაობა. ბინადრობენ წყლებში, მდინარეებსა და ტბებში.

იქვე ჰიგმალიონი — კიპროსის მითური მეფე, რომელმაც სპილოს ძეღო საგან გამოკვეთა აფროდიტეს ქანდაკება. პიგმალიონს თავდავიწყებით შეუყვარდა ეს ქანდაკება, აფროდიტემ სული შთაბერა მას და კიპროსის მეფემ შეირთო იგი.

გვ. 106. „იძინებს ზევსი — ტიტანთა მმუსვრელი“ — (ბერძნ. მით.) ზევსმა დაამარცხა ტიტანები, მათ შორის კრონოსიც — მამა ზევსისა.

იქვე „ამ შვიდებს ლედას ამბორი მწველი“ (ბერძნ. მით.) — ზევსს მოეწონა მეფე ტინდარეოსის მეუღლე ლედა. მიიღო გედის სახე და დაუკავშირდა მას.

გვ. 106. პერა — ზეგის მეუღლე.

იქვე ურანიდი — ტიტან ურანუსის შთამომავალი. აქ იგულისხმება პელეოსი — მზის ღმერთი.

გვ. 107. პროზეფინა — (ბერძნული სახელწოდება პერსეფონა) — ნაყოფიერების ქალღმერთის დემეტრეს ქალი, რომელიც შეუყვარდება მიწის ქვეშეთისა და ბნელეთის მბრძანებელს ჰაესს.

იქვე ორფეოსი — მითიური მუსიკოსი, რომლის სიმღერა უსულო საგნებს ამოძრავებდა და გარეულ მხეცებს ათვინიერებდა.

იქვე მეგერა — ერთ-ერთი ეგმენიდავანი, შურისძიების ქალღმერთი.

გვ. 110. გაზაფხულს — ეს ლექსი შილერის ერთი იმ მცირერიცხოვან ლექსთაგანია, რომელიც გამოხატავს პოეტის წმინდა ლირიკულ განწყობილებას. შილერი უმღერის გაზაფხულს, სიყვარულს, სიხარულს, სითბოს რომ უღვივებს ადამიანს გულში.

გვ. 111. ქვეყნის სიდიადე — გამოხატავს უსაზღვროებისაკენ მისწრაფების, აზარაობის სამყაროს (Reich des Nichts) წვდომის ამაოებას.

გვ. 112. მეგობრობა — ნაწყვეტები ამ ლექსიდან შილერს გამოკვეყნებული აქვს თავის „ფილოსოფიურ წერილებში“, რომელიც ეურნალ „ტალიაში“ გამოაქვეყნა 1786 წელს. „მეგობრობას“, ისევე, როგორც ლექსების ციკლს ლაურაზე, აგრეთვე „სიყვარულის ზემს“, „ელიზიუმს“ და სხვ. საფუძვლად უდევს ბერძენი ფილოსოფოსის ემპელოკუსის შეხედულება, რომლის მიხედვით სამყაროს შემომქმედი სიყვარულის ღმერთი ეროსია. პოეტის აზრით, თუ მატერიალურ სამყაროს მიზიდულობა აერთიანებს, „სულთა სამყაროს“ ურთიერთ მისწრაფება აკავშირებთ; ორივე ამ ძალას იგი სიყვარულს უწოდებს. „მეგობრობის“ უკანასკნელი სამი სტრიქონით:

„კაცმა ვერ ჰპოვა დღესდღეობით ამის ფასი რამ,
მსოფლიო სულთა სამყაროს დიდი თავიდან
უსასრულობა მისთვისა სჩქეფს ასე ნებისად“.

ამთავრებს ჰეგელი თავის „სულის ფენომენოლოგიას“.

იქვე ნიუტონი, ისაკ (1642 — 1727) — დიდი ინგლისელი ფიზიკოსი, მექანიკოსი, ასტრონომი და მათემატიკოსი, ჩამოაყალიბა კლასიკური მექანიკის ძირითადი კანონები. აღმოაჩინა მიზიდულობის კანონი და ა. შ.

იქვე რაფაელი — შილერის „ფილოსოფიური წერილების“ გმირი. რაფაელის როლი უნდა ეკისრა კერნერს — შილერის უახლოეს მეგობარს, მეოცნებე ადვალისტ იულიოსისა კი — შილერს, მაგრამ კერნერმა მხოლოდ ერთი წერილი დასწერა. სხვა წერილები კი — როგორც იულიოსის, ისე რაფაელისა, შილერს ეკუთვნის.

გვ. 113. სერაფიმები — ბერაული და ქრისტიანული სარწმუნოების მიზიდვით უმაღლესი ანგელოსები, რომელთაც ექვს-ექვსი ფრთა ჰქონდათ, თავდაპირველად სერაფიმები წარმოდგენილნი იყვნენ ცეცხლოვანი გველის სახით.

1784

გვ. 114. ბედთან შერიგება — ეს შილერის ბირველი ათეისტური ლექსია, რომელშიც იგი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ილაშქრებს არა საერთოდ სათნოების, არამედ „ქრისტიანულ ანგარებიანი სათნოების“ წინააღმდეგ, ადამიანს ამქვეყნიურ ბედნიერებაზე ხელის აღების სამაგიეროდ იმქვეყნიურ ნეტარებას რომ ჰპირდება. პოეტს სწამს „თუ წუთმა ერთხელ წაგართვა ძღვენი, მარადისობა არ დაგიბრუნდება“. და ამტკიცებს, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანს არაფერი

შეწევდა. ამიტომ არა იმედო იმქვეყნიური ბედნიერებისა, არამედ ტკბობა — ამ ქვეყნად — ეს არის უმაღლესი სიბრძნე ცხოვრებისა. მაგრამ შილერისეული ცნება „ტკბობისა“ არ შეიძლება გაიგებულ იქნეს ჰედონიზმთან. შილერის „ტკბობა“ გამომდინარეობს მისი მაღალი ჰუმანიზმიდან და კაცობრიობის ამქვეყნიურ ბედნიერებას გულისხმობს უწინარეს ყოვლისა.

გვ. 114. ა რ კ ა დ ი ა — მთავარიანი ადგილი პელეპონესის ცენტრში. არკადია იქცა საზოგადო სახელად, რომლითაც აღინიშნება იდილიური ზღაპრული მხარე.

გვ. 115. ლ ა უ რ ა — ამ ლექსში იგულისხმება შარლოტა ფონ ბუფი.

1785

გვ. 117. ჰ ი მ ნ ი ს ი ხ ა რ უ ლ ს — შილერის ლირიკის ერთ-ერთი ბრწყინვალე შედევრთაგანი, რომელიც შთაგონებული იყო კერნერთან დამყარებული მეგობრობის სითბოთი და სიხარულით. შილერის მართებული თქმისამებრ, ამ ლექსს „წილად ზედა პატივი რამდენადმე მაინც სახალხო ლექსად ქცეულიყო“. ბეთოვენმა, როგორც აღვნიშნეთ, იგი გამოიყენა თავისი ჰეროიკული მეცხრე სიმფონიის ფინალის ტექსტად.

1788

გვ. 120. ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ო ს ღ მ ე რ თ ე ბ ი — ეს ლექსი, რომელშიც შილერი განუდგა ქრისტიანულ რელიგიას და დაუპირისპირა მას ნათელი მსოფლიო აღქმა წარმართი ძველბერძნებისა, პირველად 1788 წელს დაიბეჭდა ვილანდის ჟურნალში „Der deutsche merkur“. გერმანელი ფილისტერები, ამ ლექსის გამო საშინლად აღშფოთდნენ. პოეტი შტოლბერგი „საბერძნეთის ღმერთებზე“ გამოქვეყნებულ ზეცეწილში წერდა: „ვამაჯობინებდი საყოველთაო დაცივის საგნად ვქცეულიყავი, ვიდრე ასეთი ლექსი დამეწერაო“. საბოლოო რედაქცია „საბერძნეთის ღმერთებს“ შილერმა 1800 წელს გაუკეთა. უკანასკნელ ვარიანტში, რომელიც მხატვრულის თვალსაზრისით პირველ ვარიანტზე გაცილებით უკეთესია, ამოღებულია ის ადგილები, რომლებიც რეაქციულ-კლერიალურმა კრიტიკამ ქრისტიანობის შეურაცხყოფელად გამოაცხადა, მაგრამ ლექსის იდეური მიმართულება, მისი სული-კვეთება მაინც უცვლელი დარჩა.

იქვე ა ფ რ ო დ ი ტ ე — სიყვარულის ქალღმერთი (იხ. ლექსის „უცდი მონარქების“ შენიშვნები).

იქვე ჰ ე ლ ი ო ს ი — (ბერძნ. მით.) — მზის ღმერთი.

იქვე ო რ ი ა დ ე ბ ი — მთის ფერიები.

იქვე დ რ ი ა დ ე ბ ი — ტყის ფერიები.

იქვე ნ ი ა დ ე ბ ი — (იხ. ლექსის „სიყვარულის ზემის“ შენიშვნები).

იქვე ღ ა ფ ა — ფერია, რომლის სილამაზითაც მოხიბლული იყო მშვენიერების ღმერთი აპოლონი. მითის მიხედვით აპოლონის დეენისაგან რომ ეხსნათ, დაფნას თხოვნით, მოზობლებმა იგი სურნელოვან მცენარედ აქციეს.

გვ. 120. „და ქ ვ ა შ ი ს ღ უ მ და მ ხ ნ ე ტ ა ნ ტ ა ლ ი ს ა ს უ ლ ი ნ ა ზ ი“ — იგულისხმება ნიობე, ფრიგიის ლეგენდარული მეფის ტანტალის მშვენიერი ასული, რომელიც ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, მისი ქედმაღლობით განრისხებულმა აპოლონმა და არტიმედემ მკაცრად დასაჯეს: ჯერ ქალ-ვაჟები დაუხოცეს, ხოლო შემდეგ თვითონ იგი მარმარილოს ქვად აქციეს.

იქვე ს ი რ ნ ი ქ ს ი — (ბერძნ. მით.) ფერია, რომელიც ფანისაგან დაცვის მიზნით ლერწმად აქცია მამამ. ამ ლერწმისაგან პანმა — მწყემსთა ღმერთმა — საღამური გააკეთა.

გვ. 120. ფ ი ლ ო მ ე ლ ა — (ბერძნ. მით.) თრაკიის მეფე ტერეოსი შეიყვარებებს თავის ცოლისდას ფილომელას, რომელსაც ჭურღმულში ჩააგდებს იმის გამო, რომ უარპყოფს სიძის სიყვარულს. პროვინე — ტერეოსის ცოლი, განათავისუფლებს ფილომელას, შურისძიების მიზნით მოჰკლავს ტერეოსის ვაჟს იტისს და დასთაან ერთად გაიქცევა. ტერეოსი ცდილობს დაეწიოს მათ, მაგრამ ღმერთებმა პროვინე მერცხლად აქცეეს, ფილომელა — ბუღბუღად, ხოლო ტერეოსი — ოფოფად.

გვ. 121. ც ე რ ე რ ა — იხ. ქვემოთ ლექსის „ცერერას ჩივილის“ შენიშვნები. იქვე ც ი ტ ე რ ა — სიყვარულის ქალღმერთის — აფროდიტეს რომაული სახელწოდება.

იქვე დ ე ვ კ ა ლ ი ო ნ ი ს მ ო დ გ მ ა — ახალი ადამიანების მოდგმა (იხ. ლექსის — „სიყვარულის ზეიმის“ შენიშვნები.)

იქვე ლ ე ტ ო ს ვ ა ე ი — აპოლონი.

იქვე პ ი რ ა — (ბერძნ. მით.) დევკალიონის მეუღლე (იხ. ლექსის „სიყვარულის ზეიმის“ შენიშვნები.)

იქვე ა მ ლ რ ი — ბერძენთა სიყვარულის ღმერთის ეროსის (ეროტის) რომაული სახელწოდება.

იქვე ა მ ა თ უ ნ ტ ი — ქალაქი კიპროსზე, სადაც აღმართული იყო სიყვარულის ქალღმერთის აფროდიტეს ტაძარი.

იქვე კ ა მ ე ნ ა — (რომ. მით.) იგივეა რაც ბერძნული მითოლოგიის მიხედვით მუზები — პოეზიის, ხელოვნებისა და მეცნიერების ქალღმერთები.

იქვე გ რ ა ც ი ე ბ ი — (რომ. მით.) სიყვარულის ქალღმერთის განუყრელად თანმხლები სილამაზისა და სიკოხტავის ქალღმერთები.

იქვე „ისტმუსის ზეიმს გვირგვინების შვენიოდა რკალი“ — ისტმუსი კორინთის ყელია, სადაც ძველი ბერძნები ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მართავდნენ ზღვის ღმერთის პოსეიდონისადმი მიძღვნილ საზეიმო დღესასწაულებს, იმართებოდა შეჯიბრი გიმნასტიკაში, ცხენოსნობასა და მუსიკაში, რასაც ისტმუსის თამაშობებს უწოდებდნენ.

იქვე ტ ი რ ს უ ს ი — ღვინისა და ნაყოფიერების ღმერთის ბახუსის კვერახო.

იქვე ს ა ტ ი რ ი — (ბერძნ. მით.) — ბახუსის თანმხლები მითიური არსება ადამიანის თავით და თხის წვერითა და ფეხებით.

გვ. 121. ფ ა ვ ნ ი — რომაული მითის მიხედვით მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის მფარველი, ცხოველთა განაყოფიერების ღმერთი. რომში და განსაკუთრებით მის მახლობლად მდებარე მიდამოებში ფავნის სადიდებლად იმართებოდა დღესასწაულები მსგავსად საბერძნეთის სატირული დღესასწაულებისა.

იქვე მ ე ნ ა დ ე ბ ი — (ბერძნ. მით.) იგივე ბაკქანები — ღვინის ღმერთის დიონისეს სადიდებლად მოწყობილ ორგებებში მონაწილე ქალები. ბაკქანები ანტიკურ მითოლოგიაში ეწოდება აგრეთვე ბახუსის თანმხლებ ქალებს.

გვ. 122. ო რ კ უ ს ი — ქვესკნელის ღმერთი (იხ. ლექსი „ჰექტორის გამოთხოვება“ შენიშვნები).

იქვე „და თრაკიელის სევდიანი გოდება შორი ღმობიერეუ-ბით გულს უვსებდა მკაცრერი ნებს“ — იგულისხმება ო რ ფ ე ო ს ი, მითიური თრაკიელი მგოსანი, რომელიც მითის მიხედვით ქვესკნელს ჩავიდა ნეულის წამოსაყვანად. მან იქ თავისი მომჯადოებელი სიმღერით თვით ერიონებიც კი მოხიბლა.

იქვე ე რ ი ნ ი ე ბ ი — (ბერძნ. მით.) შურისძიების ქალღმერთები, რომელთაც თმების ნაცვლად გველები ჰქონდათ თავზე და ხელში ჩირაღდანი და მახვილი ან შოლტი ეპირათ.

გვ. 122. ე ლ ი ზ ი უ შ ი — (ბერძნ. მით.) კუნძული, სადაც გარდაცვალების შემდეგ მართალთა სულები იმყოფებოდნენ; ამიტომ მას „ნეტარების კუნძულს“ უწოდებდნენ.

იქვე ლ ი ნ ო ს ი — (ბერძნ. მით.) მითიური მომღერალი, რომელმაც ორფოსაც კი აჯობა. განასახიერებს მცენარეულ სამყაროს დაღუპვას.

იქვე ა ლ კ ე ს ტ ა და ა დ მ ე ტ ე — თესალოს მითიური მეფე ადმეტე აპოლონის საყვარელი გმირი იყო. სიკვდილის ქალღმერთები შეპირდნენ აპოლონს, რომ შეიბრალებდნენ ადმეტეს იმ შემთხვევაში, თუ ვინმე მის მაგივრად ისურვებდა მომკვდარიყო. როცა ყველამ უარი განაცხადა, თვით მშობლებმაც კი, მაშინ ადმეტეს ნაცვლად სიკვდილს დათანხმდა ალკესტა, ადმეტეს მეუღლე. ამ სიამაყისა და ერთგულების გამო ღმერთებმა ალკესტა გაანთავისუფლეს ქვესკნულიდან და დაუბრუნეს იგი ადმეტეს. ეს მითი დრამატულად დაამუშავა ევრიპიდემ.

იქვე ო რ ე ს ტ ე — ბერძენთა მითიური მეფის ავამენონის ვაჟი. ორესტესა და მისი მეგობრის პილატეს სახეები მეგობრობის აღმნიშვნელ საზოგადო სახელად იქცნენ.

იქვე ფ ი ლ ო ქ ტ ე ტ ე — (ბერძნ. მით.) ტროადის ომის ერთ-ერთი მონაწილეთაგანი, რომელსაც პერაკლემ ასწავლა მშვილდისრის სროლის ხელოვნება და აჩუქა კიდევ მას თავისი მშვილდისარი.

იქვე ი უ პ ი ტ ე რ ი ს ნ ა შ ი ე რ ი — ღვიძლი ტყუპები — (ბერძნ. მით.) ლედასა და ზევსის ტყუპი ვაჟები — კასტორი და პოლუქსი, რომლებიც შეზღვაურთა მფარველებად ითვლებოდნენ. (მათ უწოდებდნენ აგრეთვე დიოსკურებს, ე. ი. ზევსის ყრმებს.)

იქვე ი უ პ ი ტ ე რ ი — რომაელთა მთავარი ღმერთი.

გვ. 123. „ ო რ ჩ ი ყ ვ ა ვ ი ლ ი, მ ი ნ დ ო რ - ვ ე ლ ი ს შ ე მ ა მ კ ო ბ ე ლ ი, ყ ი ნ ვ ი თ და ა ბ ქ ნ ო ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ს ა შ ი ნ ე ლ ქ რ ო ლ ვ ა მ —“ იგულისხმება ქრისტიანული სარწმუნოება, რომელმაც მრავალღმერთიანობა მონოთეიზმით შესცვალა, მოსპო ბუნების გამაცოცხლებელი ჰილოძოისტური ბერძნული რელიგია და ამით იგი უსიცოცხლო, სილამაზისა და სიკეთის უგრძობო შექანიზმად აქცია.

გვ. 123. ს ე ლ ე ნ ა — (ბერძნ. მით.) მთავრის ქალღმერთი.

იქვე პ ი ნ დ ო ს ი — მთა ჩრდილოეთ საბერძნეთში. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით იგი აპოლონისა და მუზეების სავანეს წარმოადგენდა.

გვ. 124. ხ ე ლ ო ვ ა ნ ნ ი — ფილოსოფიური ლექსი. ამ ლექსში შილერმა წამოაყენა ის ძირითადი დებულება, რომლის შემდგომ გაშლა-განვითარებას მიეძღვნა დიდი პოეტის ესთეტიკური ძიებანი. სახელდობრ, შილერი სწორედ ამ ლექსში სახავეს შესაძლებლად ხელოვნების გზით, ადამიანის ესთეტიკური აღზრდის საშუალებით სრულყოფილი, პარმონიულად განვითარებული კაცობრიობის შექმნის შესაძლებლობას. პროგრესულად მოაზროვნე პოეტი ხელოვნებას მართებულად ანიჭებდა აქტიურ როლს საზოგადოების გარდაქმნის, ბუნებისა და ადამიანის განკეთილშობილების საქმეში. საყურადღებოა თვით შილერის აზრი გამოთქმული 1789 წლის 9 თებერვალს თავის საუკეთესო მეგობრის გოტფრიდ კერნერისადმი მიწერილ წერილში „მე ვიწყებ ლექსს (იგულისხმება „ხელოვანი“ დ. ლ.) — სწერს შილერი კერნერს — კაცობრიობის დღევანდელი სრულყოფილების განსახიერებით, რასაც ეძღვნება თორმეტი სტრიქონი. ეს საშუალებას მაძლევს საუკე-

თესო მხრიდან მოვხაზო ჩვენი საუკუნის სურათი. აქედან მე გადავდივარ ხელოვნებაზე, რომელიც იყო მისი აკვანი“. ციტირებულ ადგილს ის მნიშვნელობა აქვს, რომ პოეტი ხედავს დიდ, ისტორიულ როლს, რომელიც შეასრულა ხელოვნებამ ადამიანის გადამიანურების, მისი სულიერი და პოლიტიკური განთავისუფლების საქმეში და უსახავს მას გრანდიოზულ ამოცანას მომავლისათვის, რადგან შილერის ღრმა რწმენით „ადამიანის სრულყოფილება მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა მეცნიერული და ზნეობრივი კულტურა კვლავ გაითქვამება მშვენიერებაში“ და „იმისათვის, რომ მეცნიერული ამოღიდეს ხელოვნების ნაწარმოებზე, იგი თვითონ უნდა იქცეს ხელოვნების ნაწარმოებად“.

„ხელოვანი“, შილერისავე აღიარებით, იყოფა სამ ნაწილად. პირველი შვიდი სტროფი წარმოადგენს თავისებურ შესავალს, რომელშიც ლაპარაკია ხელოვნების განმარტებლობილებელ როლზე. მეორე ნაწილში (სტროფი 8 — 14) აღწერილია ბერძნული ხელოვნების ისტორიული როლი. მესამე ნაწილში, აღორძინების ეპოქის ხელოვნების მნიშვნელობის გაშუქების შემდეგ შილერი აწვითარებს აზრს ხელოვნების როლის შესახებ მომავლისათვის. ლექსის ფინალში პოეტი მიმართავს თანამედროვე ხელოვნებას, ემსახუროს მხოლოდ თავის წმიდა მოწოდებას.

გვ. 125. უ რ ა ნ ი ა — აქ იგულისხმება არა მუხა, არამედ აფროდიტე, როგორც სულიერი სიყვარულის ქალღმერთი.

გვ. 128. მ ე ო ნ ი — ჰომეროსი.

გვ. 130. ე ვ მ ე ნ ი დ ე ბ ი ი გივეა რაც ერიინები (იხ. ლექსის „საბერძნეთის ღმერთები“ (შენიშვნები).

გვ. 130. თ ე ს პ ი დ ე — ითვლებოდა ბერძნული ტრაგედიის ფუძემდებლად.

გვ. 131. ა ვ ე რ ნ ა — კამპანიაში (იტალია) მდებარე ღრმა ტბა, რომელიც მითოლოგიაში ქვესკნელში ჩასასვლელ ადგილად იყო მიჩნეული.

იქვე ა თ ი ნ ა — (ბერძნ. მით.) ომის, აგრეთვე სიბრძნის ქალღმერთი.

გვ. 133. პ ა რ კ ე ბ ი — (რომ. მით.) სამი ქალღმერთი, რომელნიც ადამიანის სიცოცხლეს განაგებდნენ.

გვ. 134. ჰ ე ს პ ე რ ი — იგულისხმება იტალია.

იქვე ი ო ნ ი ა — მცირე აზიის მხარე, სადაც იმყოფებოდა ძველი საბერძნეთის მრავალი კოლონია — აქ იგულისხმება საბერძნეთი საერთოდ.

იქვე ჰ ე ა ნ ე ბ ი — სახოტბო სიმღერები.

1 7 9 5

გვ. 138. ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს პ ო ე ზ ი ა — ექვსი წლის ღუმლის შემდეგ შილერის ლირიკული მუზის პირველი ნაყოფია ეს ლექსი, რომელშიც შილერი პასუხობს მათ, ვინც რეალური ცხოვრების იქით უარპყოფს ყოველგვარ ფანტაზიას, ოცნებას და, მასსადამე, შილერის აზრით, მშვენიერებასაც.

იქვე ა პ ო ლ ო ნ ი — (ბერძნ. მით.) ზევსისა და ლეტოსის ვაჟი. აპოლონის კულტი თავდაპირველად დაკავშირებული იყო მიწის მწარმოებლურ ძალთა კულტთან. უფრო გვიან აპოლონს თავყანს სცემდნენ როგორც სინათლის უძლიერეს ღმერთს, შემდეგ აპოლონი ითვლებოდა ხალხისათვის ზევსის ნების მათუწყებელ ღმერთად. ბერძენთა კოლონიზაციის პერიოდში (8 — 6 ს.) მას თვლიდნენ გადასახლებისა და საზღვაო მიმოსვლის მფარველ ღმერთად. კლასიკურ პერიოდში აპოლონს თავყანს სცემდნენ როგორც მუსიკის, პოეზიისა და მშვენიერების ღმერთს.

იქვე ჰ ე რ მ ე ს ი — (ბერძნ. მით.) ზევსისა და მიანის ვაჟი. საძოვრების, ნახი-

რის, გზების, ვაკრობის, გიმნასტიკისა და მკვერმეტყველების ღმერთი. მითის თანახმად ჰერმესს მიცვალებულთა სულები ქვესკნელში ჩაჰყავდა. იგი იყო აგრეთვე ღმერთთა მანქანა.

გვ. 140. სიმღერის ძალა — ეს ლექსი იდეურად დაკავშირებულია ლექსთან „ხელოვანი“, რომელსაც იგი შილერმა პირველად შესავლის სახითაც კი წაუძღვარა. პოეტის აზრით, ამ ლექსის ერთიანობა მის იდეაშია. სასწაულებრივი და უცნაური ზემოქმედების ძალით პოეტი აღადგენს ადამიანში „ბუნების სიმართლეს, ე. ი. ბუნებასთან ერთიანობას, უნარს წყდეს ბუნებას; დაბოლოს იგი აღადგენს ადამიანის ადამიანურობას, რომელიც ოდიოზანვე ჩაუნერგია მასში ბუნებას“.

გვ. 142. პეგასი უღელს — შილერის ერთადერთი ფილოსოფიური იგავია, რომელშიც მსგავსად ლექსებისა: „სიმღერის ძალა“, „იდეალები“, „იდეალი და ცხოვრება“ და სხვ. პოეტურ ფორმაშია გამოხატული პოეტის შეხედულებანი ცხოვრებაზე და ხელოვნებაზე.

გვ. 145. იდეალები — შილერი ამ ლექსში იდეალების ქვეშ გულისხმობს თავის ახალგაზრდობის განუხორციელებელ იდეალებს. ლექსის უკანასკნელ ორ სტროფში პოეტი უმღერის მეგობრობას და შრომას. ორ ძალას, რომელიც მისი „გულის იარებს“ კუთრანედნენ და სულს „სიმშვიდეს ანიჭებდნენ“.

იქვე პიგმალიონი — კიპროსის მითიური მეფე (იხ. ლექსის „სიყვარულის ზეიმის“ შენიშვნები.)

გვ. 148. იდეალი და ცხოვრება — შილერის ფილოსოფიური ლირიკის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ნიმუში, მასში გატარებული აზრის მიხედვით მშვენიერება წარმოადგენს „ქემშარიტი თავისუფლების“ აუცილებელ პირობას. ამ იდეალისტური ჩანაფიქრის გვერდით ლექსის პროგრესულ ტენდენციას წარმოადგენს ის, რომ იგი გამსჭვალულია ადამიანის ძალისა და ადამიანური შრომის ღრმა რწმენით.

იქვე „უსაზღვრო არის ნება ნეტარ ურანი დების“ — ე. ი. ზეციური არსებებისა, ღმერთებისა.

იქვე ცერერა — ღმერთებს რომაული სახელწოდება (იხ. ქვემოთ ლექსის „ცერერას ჩივილი“ შენიშვნები).

გვ. 149. ავრორა — რომაული სახელწოდება ეოსისა — ცისკრის ქალღმერთი, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ჰიპერიონისა და თეას ასული, ელეოსის და.

იქვე ჰესპეროსი — საღამოს ვარსკვლავი.

გვ. 151. ლაოკოონი (ბერძნ. მით.) აპოლონის ქურუმი ტროადაში. მითის მიხედვით ლაოკოონი და მისი ორი ვაჟი დაახრჩვეს გველებმა ღმერთთა ბრძანებით, რადგან მიუხედავად ოლიმპის მფლობელთა გადაწყვეტილებისა დაცემულიყო ტროადა, ლაოკოონი ურჩევდა ტროელებს არ შეეყვანათ ქალაქში ხის ცხენი, რომელიც, მისი აზრით, ტროელებს უბედურებას დაატეხდა თავს. ლაოკოონისა და მისი ვაჟების სიკვდილი გამოსახულია ცნობილ ანტიკურ ქანდაკებაში, რომელიც აღმოაჩინეს 1506 წელს რომში და ამჟამად ვატიკანში ინახება. ფიქრობენ, რომ ლაოკოონის ჯვრულ გამოქანდაკებულია როდოსელი მოქანდაკების აგვანდროსის, პოლიდოროსისა და ათიონდოროსის მიერ.

იქვე ალკიდი — მითიური გმირი ჰერაკლე.

იქვე „ებრძოდა ჰიდრას და იჭერდა ლომს გაპრილს ველად“ — იგულისხმება ჰერაკლეს თორმეტ ბრძოლიდან მეორე და მესამე ბრძოლა, როცა მან გაიმარჯვა საშინელ ურჩხულებზე: არკადიის გამანადგურებელ გარეულ ტახზე და მრავალთავიან ჰიდრაზე.

იქვე ჩაიყრებოდა... სტიქის სიღრმეში — იგულისხმება ჰერაკ-

ლეს მეთორმეტე ყველაზე ძნელი თავგადასავალი, რომელიც მას ქვეყნულში გადახდა.

გვ. 151. „მოძულე ბული, განწირული ულმოზე ღმერთით“ — იმ დღეს, როცა ალკემენას უნდა ეშვა ჰერაკლემ, ზევსმა იწინასწარმეტყველა, რომ დაიბადებოდა ადამიანი, რომელიც ძალაუფლებას მოიპოვებდა ზევსის ნაშიერზე. ამ წინასწარმეტყველებით განრისხებული ჰერა — ზევსის მეუღლე — განუწყვიტლივ სდევნიდა ჰერაკლეს, ვიდრე მას უკვლავება არ მიანიჭა ზევსმა.

გვ. 152. „წამოღდა კრძალვით თვით ღმერთქალი დიმორეთული და მიაწოდა მას სასმისი, აღსავსე ღვინით“ — იგულისხმება ზევსისა და ჰერას ასული, მარადიული სინორჩის განმასახიერებელი ჰებე, რომელიც მითის მიხედვით, ნექტარს აწოდებდა ღმერთებს. ჰებე უკვლავად ქმნილი ჰერაკლეს მეუღლე გახდა.

გვ. 153. შებურვილი კერპი საისში — ამ ბალადის სიუჟეტად შალერს გამოყენებული აქვს ძველი აღმოსავლური თქმულება ცნობისმოყვარე ჰაბუჰზე, რომელიც გაემგზავრა ეგვიპტის ქალაქ საისში, რათა იქ მოგვების დახმარებით ცოდნის წყურვილი დაეკმაყოფილებინა და ბუნების ყველა სიღუმლოება გაეგო; მაგრამ ჰაბუჰმა მიზანს ვერ მიაღწია. ზოგიერთი კომენტატორის აზრით ბალადის ძირითადი იდეაა პოეტური ფორმით დაამტკიცოს კანტის მცდარი მოძღვრება, რომ „საგანი თავისთავად“ არ შეიძლება შემეცნებულ იქნეს. სხვა კომენტატორების აზრით, ბალადის ძირითად იდეას გამოხატავს უკანასკნელი ტაემის შემდეგი სიტყვები „იგი მას! იგი ვერასოდეს ვერ გაიხარებს, დანაშაულით ვინც იხილავს ქეშმარიტებას“. ე. ი. ქეშმარიტების წვდომა ბედნიერების მომტანო მხოლოდ მაშინაა, როცა იგი ზნეობრივი სიწმინდის გზითაა მიღწეული.

გვ. 155. იზიდა — ეგვიპტელთა მთავარი ქალღმერთი, მზის ღმერთ ოზირიმის მეუღლე.

გვ. 156. გასეირნება — ლექსში პოეტი ერთმანეთს უპირისპირებს ცივილიზაციას და ბუნებას და ატარებს იმ იდეას, რომ აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრების პარმონიული შერწყმა ბუნებასთან. თუმცა შილერი ამ ლექსში რუსოს მსგავსად ამტკიცებს, ცივილიზაცია ზნეობრივად განძარცვა ადამიანო, მაგრამ საუბრიდაც არ უარყოფს კულტურის დიდ ძალას, მის მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში. „გასეირნებას“ თავდაპირველად „ელეგია“ ეწოდება, რაც შეესაბამებოდა ლექსის ფორმას. ლექსი ორიგინალში დაწერილია ძველბერძნული ელეგიით, ე. ი. ორსტრიქონიანი სტროფით, რომელშიც პირველი სტრიქონი ჰეგზამეტრიო, მეორე კი პენტამეტრიო.

გვ. 157. ცერერა — ღმერთეს რომაული სახელწოდება (იხ. ქვ. ლექსის „ცერერას ჩივილი“ შენიშვნები).

გვ. 158. ჰერმესი — იხ. ლექსის „ცხოვრების პოეზია“ შენიშვნები. იქვე ბახუსი — ღვინისა და ნაყოფიერების ღმერთი.

იქვე მინერვა — რომაული სახელწოდება ბერძნული სიბრძნის ქალღმერთი ათინასი, რომელმაც მითის მიხედვით, ზეთის ხილის მოყვანა ასწავლა ათინელებს.

იქვე პოსეიდონი — (ბერძნ. მით.) ზღვის მბრძანებელი; რომაულ მითოლოგიაში მას ნეპტუნი შეესატყვისება. მითის მიხედვით პოსეიდონმა შექმნა ცხენები და ასწავლა ადამიანებს მათდამი მოპყრობა.

იქვე დედა კიბელა — ზევსისა და ოლიმპის სხვა ღმერთების დედა, რომლის კულტიც განსაკუთრებით ყოო გავრცელებული მცირე აზიაში.

გვ. 158. „როს სპარტას მოხვალ, მგზავრო, თქვი, რომ ჩვენ გვინახულ არ სამშობლოსათვის დახოცილი აქ ვაჟაცუ-

რად — შილერის მიერ ტიტოვებული ამ ძველბერძნული ელევგური დისტიხის ავტორად მიჩნეულია სიმონადე კესელი (დაახ. 556—467). ეს დისტიხი წარმოადგენს საფლავის წარწერას. მიძღვნილს სპარტას მეფე ლეონიდესა და მისი სამსახურმომრისადმი, რომელნიც გამირულად დაიღუპნენ თერმეპოლეს ხეობაში სპარსელთა შემოტრევისაგან სამშობლოს დასაცავად ბრძოლაში.

გვ. 158. დ რ ი ა დ ე ბ ი — იხ. ლექსი „საბერძნეთის ღმერთები“ შენიშვნები.

გვ. 159. „და ამაღლთეა განძეულით ოქროს რქას ავსებს“ — ამაღლთეა სახელწოდებაა თხისა, რომელმაც მითის მიხედვით ზევსი გამოკვება. ერთხელ ამაღლთეას რქა მოტყდა. იგი ზევსმა აჩუქა თავის აღმზრდელ ფერებებს და შეჰპირდა მათ, რომ ამ რქიდან მიიღებდნენ ყველაფერს, რასაც კი მოისურვებდნენ.

იქვე „ხელოვნური ცა ემყარება იონურ სვეტებს“ — ძველბერძნულ არქიტექტურაში გაბატონებული იყო სვეტების სამი სტილი: იონური, დორიული და კორინთული.

იქვე ი რ ი ს ი — (ბერძნ. მით.) იგივეა, რაც ირიდა — ღმერთების მაცნე, ცისარტყელას ქალღმერთი.

გვ. 160. ს ი კ ო ფ ა ნ ტ ი — (ძველბერძნული) ჯაშუში, ენის მიმტანი.

იქვე ნ უ მ ი დ ი ს ტ ყ ე — ნუმიდია უძველესი ქვეყანა აფრიკაში.

გვ. 162. ქვეყნის დაყოფა — შილერს ამ ლექსში პოეტი გამოჰყავს, როგორც ყოველგვარ ანგარებას მოკლებული ადამიანი, რომლის ადგილი მხოლოდ ღმერთებს გვერდითაა.

გვ. 164. მ ს ო ფ ლ ი ო ს ი ბ რ ძ ნ ე — მკაცრი სატირაა მეტაფიზიკოსების წინააღმდეგ მიმართული. ამ ლექსში აშკარად ჩანს შილერის მატერიალისტური ტენდენცია.

იქვე ჰ ო მ ე რ ო ს ი — ძველი საბერძნეთის ლეგენდარული ეპიკური პოეტი. მას მიაწერენ „ილიადას“ და „ოდისეას“.

იქვე ლ ო კ ი ჯ ო ნ (1632—1704) — გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი. ლოკის ძირითადი დამსახურება ფილოსოფიაში ისაა, რომ მან დაამუშავა შემეცნების სენსუალისტური თეორია, რომელიც ცოდნის ერთადერთ წყაროდ შეგრძნებას აღიარებს.

იქვე დ ე კ ა რ ტ ე — რენე (1596—1650) გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი, ფიზიკოსი, მათემატიკოსი და ფიზიოლოგი. რაციონალიზმის მამამთავარი (იხ. ლექსის „გასეირნება“ შენიშვნები).

გვ. 165. მ ი ნ ე რ ვ ა (რომ. მით.) — ხელოსნობის მფარველი ქალღმერთი.

იქვე ჰ უ ფ ე ნ დ ო რ ფ ი, ს ა მ უ ე ლ (1632—1694) — გერმანელი ფილოსოფოსი, იურისტი, სახელი გაითქვა ერთა მშვიდობიანი თანამშრომლობის იდეის ქადაგებით.

იქვე ფ ე დ ე რ ი ო ჰ ა ნ — გეორგ ჰაინრიხ (1740—1821) ფილოსოფიის პროფესორი გეტინგენში.

გვ. 166. ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი უ ც ხ ო ე თ ი დ ა ნ — ამ ლექსში „ქალიშვილი“ პოეზიის სიმბოლოა.

გვ. 167. ც ე რ ე რ ა ს ჩ ი ვ ი ლ ი — ამ ლექსს შილერმა საფუძვლად დაუდო ანტიკური მითი ცერერას (რომაული სახელი მიწათმოქმედების მფარველი ქალღმერთის დემეტრესი) და მისი ასულის პროზერპინას (ბერძნულად პერსეფონეს)

შესახებ. მითის მიხედვით პლუტონმა — ქვესკნელის ღმერთმა მოიტაცა პროზერპინა. ამოდ ეძებდა დამწუხრებულ ცერერა თავის ასულს, ვიდრე აპოლონმა არ ამცნო მას პროზერპინას ბედი. ცერერამ იუპიტერს მიმართა ვედრებით, დაებრუნებინა მისთვის ასული. იუპიტერმა ისმინა ცერერას ვედრება და შეპირდა პროზერპინას უკან დაბრუნებას, თუ მას ქვესკნელში არაფერი ექნებოდა ნაგემბო. მაგრამ პროზერპინას უკვე შეეპაა ნახევარი ვაშლი. ამიტომ იუპიტერმა ბრძანა: ცერერას ქალს ნახევარი წელი ქვესკნელში გაეტარებინა, ნახევარი კი დედამიწაზე. ამდენად, პროზერპინა გახდა არამართ პირქუში ქალღმერთი ქვესკნელისა, არამედ სიმბოლოც მცენარეული სიცოცხლისა. შილერმა მითში მოცემული ტრაგიზმი გააძლიერა იმით, რომ პროზერპინას არ შეუძლია ესტუმროს დედას. მაგრამ მცენარეს ფესვები რომ ქვესკნელში გაუშვია, ხოლო ყვავილებითა და ფოთლებით ამშვენებს ქვეყანას—ნაყოფიერების ქალღმერთის ცერერას საბრძანებელს — ურთიერთ სიყვარულით აკავშირებს მათ გულებს.

გვ. 167. ო რ ე ა დ ე ბ ი — მითის ფერები.

იქვე ა პ ო ლ ო ნ ი — იხ. ლექსის „ცხოვრების პოეზია“ შენიშვნები.

იქვე პ ლ უ ტ ო ნ ი — (რომ. მითი) ქვესკნელის ღმერთი.

გვ. 168. პ ა რ კ ე ბ ი — იხ. ლექსის „ხელოვანი“ შენიშვნები.

გვ. 169. ა ვ რ ო რ ა — იხ. ლექსის „იდელი და ცხოვრება“ შენიშვნები.

იქვე ი რ ი ს ი — იხ. ლექსის „გასეირნება“ შენიშვნები.

იქვე ვ ე რ ტ უ მ ნ ი — (რომ. მითი) გარდაქმნის ღმერთი. მასზეა დამოკიდებული მცენარეთა ყვავილობა და დამწიფება.

1 7 9 7

გვ. 172. თ ა ს ი — ამ ბალადის შილერმა საფუძვლად დაუდო შუა საუკუნეების თქმულება განთქმული სიცილიელი მყვინთავის ნიკოლას შესახებ, რომელსაც ზედმეტ სახელად „თევზს“ უწოდებდნენ. მაგრამ შილერის ბალადის გმირი პროფესიული მყვინთავი კი არაა, არამედ ახალგაზრდა, მამაცი პაყი, რომელიც პირველად მეფის ქინის დასაკმაყოფილებლად, ვაჟაკობის სახელის მოსახვეჭად, მეორედ სიყვარულის გამო შეეჭიდა ამბოქრებული ზღვის ტალღებს. ორიგინალში ბალადის სათაურია „მყვინთავი“ (Der Teucher). „თასი“ მას ეუკოესკიმ მისცა სათაურად თავის თარგმანში.

ქ ა რ ი ბ დ ა — ზღვის ურჩხული, რომელიც წყლის შესრუტვით საშინელ გრივალს წარმოქმნიდა.

გვ. 171. ხ ე ლ თ ა მ ა ნ ი — ამ ბალადის საფუძვლად უდევს ნამდვილი ამბავი, რომელიც მომხდარა საფრანგეთის მეფის ფრანცისკ I (1515 — 1547) კარზე და მოთხრობილია სენფრუას წიგნში „ისტორიული შენიშვნები პარიზის შესახებ“, საიდანაც უსარგებლია შილერს. შილერი „ხელთათმანს“ „თასის“ ეპილოგს უწოდებდა.

გვ. 179. პ ო ლ ი კ რ ა ტ ე ს ბ ე ქ ე დ ი — ამ ბალადში, რომლის სიუჟეტიც შილერს აღებული აქვს ძველი ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს (V ს. ძვ. წ.) ნაამბობიდან, ასახულია ძველბერძნული წარმოდგენა ბედის გაუტანლობაზე. ძველი ბერძნების აზრით ღმერთები სჯიან მათ, ვისაც ბედი მეტისმეტად წყალობს. სწორედ ამიტომ ეუბნება სამოსის ბედნიერ ტირანს პიპოკრატეს მისი სტუმარი ეგვიპტის მეფე ამაზიზი: „ვეშოშობ, ღმერთებს არ აღეძრათ შურიო“. და ურჩევს თვითონ გაიმეტოს რაიმე ისეთი, რაც მისთვის განსაკუთრებით ძვირფასია, რომ ღმერთების გული მოიგოს და ბედისწერის ცვალებადობა თავიდან აიცილნოს. პოლიკრატემ შე-

მსრულს მეგობრის რჩევა, მაგრამ ღმერთებმა არ ამიდგეს მისი შესაწირავი. მაშინ ამაზისმა ვასწყვიტა მასთან ურთიერთობა. როგორც ცნობილია, სამოსის მპყრობელი პოლიკრატე 522 წელს სიკვდილით დასაჯა სპარსების სატრაპმა.

გვ. 179. მიღეთი — ძველი საბერძნეთის უდიდესი და უძლიერესი ქალაქი მცირე აზიაში.

იქვე პოლიდორე — მილეთის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში პოლიკრატეს მხედართმთავარი.

გვ. 181. ერინიები — იხ. ლექსის „საბერძნეთის ღმერთები“ შენიშვნები.

გვ. 182. ნადოვესური სამგლოვიარო სიმღერა — ნადოვესები ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები ინდიელთა ტომია. როცა ამ ტომის რომელიმე წარჩინებული პირი გარდაიცვლება, ნადოვესელები გამოწყობილ და სახეშეღებულ მიცვალებულს ქობის შუავულში დასვავენ, იარაღს შემოუწყობენ და სამგლოვიარო სიმღერით მიმართავენ. ეს ჩვეულება აღწერილი აქვს ინგლისელ მოგზაურ ჯონ კარვერს, თავის წიგნში „მოგზაურობა ჩრდილოეთ აფრიკაში“. აქვე მოჰყავს კარვერს სამგლოვიარო სიმღერის პროზაული თარგმანი, რომლითაც ისარგებლა შილერმა.

გვ. 184. რაინდი ტოგენბურგი — შილერის ამ ბალადის ლიტერატურული წყარო უცნობია. იგი მოგვითხრობს ძლიერ სიყვარულზე, რომლის წინაშე სიკვდილიც კი უძღურა.

გვ. 187. იბიკოსის წეროები — ამ ბალადს შილერმა საფუძვლად დაუდო ძველი საბერძნეთის ლირიკული პოეტის იბიკოსის (VI ს. ძვ. წ.) შესახებ არსებული ლეგენდა, რომლის სამ ვარიანტთაგან ყურადღებას იპყრობს პლუტარქეს ბიოგრაფიაში მოთხრობილი ვარიანტი. გადმოცემის მიხედვით იბიკოსი გაემგზავრა ისთმოსს, რომ იქ მონაწილეობა მიეღო კორინთის ველზე გამართულ ასპარეზობაში, რომელიც ეძღვნებოდა ზღვის ღმერთს პოსეიდონს. გზაში იბიკოსი ავაზაკებმა წოკეს. იბიკოსის მკვლელებმა თავიანთი თავი თვითონვე გამოამქლავნეს. ლეგენდისაგან განსხვავებით, შილერი მკვლელების თვითგამომქლავებას „სასწაულს“ კი არ მიაწერს, არამედ ხსნის ბოროტმოქმედთა ფსიქიკაზე ხელოვნების ზეგავლენით.

იქვე აკროკორინთი — კორინთოს აკროპოლისი.

გვ. 188. ფიჭვის გვირგვინი მსურდა შენთვის დამედგათ ავზე — ისთმოსის შეჯიბრებებში გამარჯვებულთ ფიჭვის გვირგვინით აჯილდოებდნენ.

იქვე პრიტანები — უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელი ათენში, ათენის საბჭოს წევრები.

გვ. 189. ჰელიოსი — იხ. ლექსის „საბერძნეთის ღმერთების“ შენიშვნები.

გვ. 190. ერინიები — იხ. ლექსის „საბერძნეთის ღმერთების“ შენიშვნები.

გვ. 193. რკინის ქარხნისკენ — ბალადის ძირითადი იდეა სიმართლე იმარჯვებს სიცრუეზე, სიკეთე — ბოროტებაზე. სიუჟეტი შილერს აუღია XVIII ს. ფრანგი მწერლის რეტი დელა ბრეტონის ნოველიდან, მხოლოდ მოქმედება საფრანგეთიდან ელზასშია გადატანილი და მოქმედ პირთა სახელებიც გავერმანულებულია.

გვ. 202. მძევალი — ამ ბალადის სიუჟეტი ანტიკური, კერძოდ ძველი რომაული ლიტერატურიდან არის აღებული, მაგრამ საფუძვლიანად შეცვლილი და გართულებული. ბალად წარმოადგენს პიმნს უანგარო და თავდადებული მეგობრობისადმი; ამ ძირითადი მოტივის პარალელურად აღსანიშნავია ტირანთმებრძოლურობა, რომლითაც იწყება ბალადა და უანგარო მეგობრობის მავალითი ტი-

ჩანის ზნობრივი გარდაქმნის მოტივი, რომელსაც უძღვნის შილერი უკანასკნელ ორ სტროფს, მაგრამ სათანადოდ არ ავითარებს.

გვ. 202. დ ა მ ო ნ ი დ ა ფ ი ნ ტ ი ა ს ი — პითაგორული სკოლის ფილოსოფოსები, ცხოვრობდნენ სირაკუზაში (სიცილია) დიონისე უფროსის დროს.

დი ო ნ ი ს ე უ ფ რ ო ს ი — სირაკუზას ტირანი (406 — 367 წ. ძვ. წ.).

გვ. 207. ე ლ ე ვ ზ ი ს დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ი — ძველი ბერძნები დემეტრეს (ცერერას) პატივსაცემად ქალაქ ელეფზში მართავდნენ დიდ სახალხო ზეიმს. ცერერასადმი ეს განსაკუთრებული პატივისცემა გამოწვეული იყო იმიტომ, რომ იგი როგორც ნაყოფიერების ქალღმერთი, ითვლებოდა მფარველად მიწათმოქმედებისა და შემქმნელად ბინადართ ცხოვრებისა, რაც ძველბერძენთა აზრით უფრო მაღალი საფეხური იყო, ვიდრე მეფოგებობა და მომთაბარე ცხოვრება. ძველბერძენთა ამ შეხედულებას შილერის ლექსში გამოხატავს ცერერასადმი მიმართული შემდეგი სიტყვები:

„ის თრგუნავს ხალხში ველურ ზრახვებს — სახემზიანი,
და გვახლოებს, მეგობრობის გენერგავს ხალისს,
მოხეტიალე მთად და ველად ადამიანი —
დააბინავა, მიუჩინა თავშესაფარი“.

ამ ლექსში, რომელიც ეგება „გასეირნებაში“ დასმულ საკითხს კულტურისა და ხელოვნების განვითარების შესახებ, ყურადღებას იპყრობს ერთი მოტივი, რომლითაც შილერი ხაზს უსვამს საბერძნეთის ღმერთების მაღალკულმანურობას ქრისტიანულ ღმერთთან შედარებით. როგორც ცნობილია, ქრისტიანულმა ღმერთმა უარპყო კანის მიერ სამსხვერპლოდ მიტანილი მცენარეული ნაყოფი და მიიღო აბელის შესაწირი — დაკლული ცხოველი. ცერერა პირიქით შეძრწუნდა, როცა მას მიართევს ქილა, „სისხლით აღსავსე“ და „ბრაზმოცულმა წარმოსთქვა რისხვით“:

„ღმერთს ეზიზღება ბინძური თესლი,
წმიდანს შეშვენის მსხვერპლი კეთილი,
მას უყვარს ძღვენი უსპეტაქესი,
შემოდგომის მზის ნაყოფი ტკბილი“.

იქვე ტ რ ო გ ლ ო დ ი ტ ი — გამოქვაბულის ადამიანი, ველური.

გვ. 210. ფ ე მ ი დ ა — (ბერძნ. მით) ზნეჩვეულებისა და წესრიგის ქალღმერთი.

იქვე კ ო მ ო ს ი — ქეიფისა და დროსტარების ღმერთი.

იქვე მ ი ნ ე რ ვ ა — იხ. ლექსის „მსოფლიო სიბრძნე“ შენიშვნები.

გვ. 211. დ ი ა ნ ა — (რომ. მით.) ტყისა და ნადირობის ქალღმერთი.

იქვე პ ო ს ე ი დ ო ნ ი — იხ. ლექსის „გასეირნება“ შენიშვნები.

იქვე ჰ ე რ მ ე ს ი — იხ. ლექსის „ცხოვრების პოეზია“ შენიშვნები.

გვ. 212. ა პ ო ლ ო ნ ი — იხ. ლექსის „ცხოვრების პოეზია“ შენიშვნები.

იქვე ც ი ბ ე ლ ა — (კიბელა) — იხ. ლექსის „გასეირნება“ შენიშვნები.

იქვე ი უ ნ ო ნ ა — ჰერას რომაული სახელწოდება.

გვ. 214. გ ო გ ო ნ ა ს მ ო თ ქ მ ა — ეს ლექსი წარმოადგენს მიბაძვას ინგლისური ხალხური სიმღერისა, რომელიც გერმანულად თარგმნა ჰერდერმა. ამ ლექსის პირველ ორ სტროფს მღერის თეკლა „პიკოლიმინებში“,

გვ. 213. სიმღერა ზარზე — ეს მონუმენტური ლექსი, რომელიც იღუპურად ძლიერ უახლოვდება გოეთეს „ფაუსტს“, წარმოადგენს ჰიმნს შრომისადმი. ამ ლექსის დაწერამდე შილერმა დაწვრილებით შეისწავლა ჩამოსხმის ტექნოლოგია. ლექსი დაწერილია მოხუცი ზარის ჩამომსხმელის მონოლოგის ფორმით.

1800

გვ. 227. გოეთეს — ეს ლექსი დაწერა შილერმა 1800 წელს ვაიმარის თეატრში ვოლტერის „მაპომედის“ დადგმის დროს. „მაპომედი“ თარგმნა და დადგა გოეთემ.

გვ. 228. თესპიდე — იხ. ლექსის „ხელოვანი“ შენიშვნები.

იქვე აქერონის ნავი—(ბერძნ. მით.) აქერონის ნავით გადაჰყავთ მიცვალებულთა სულები ქვესკნელში.

იქვე მელპომენე — ტრაგედიის მუზა.

გვ. 230. გერმანული მუზა — როგორც ცნობილია, რომის პირველი იმპერატორი ოქტავიუს ავგუსტუსი, ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი მოყვარული იყო და ხელს უწყობდა მათ განვითარებას. არანაკლებ მფარველობას უწყევდა ლიტერატურისა და ხელოვნების აღორძინებას იტალიაში მედიჩების დინასტია, განსაკუთრებით კაზიმო მედიჩი და მისი შვილიშვილი ლორენცო მედიჩი. გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ II კი, რომელიც თავისთავს ლიტერატურისა და ხელოვნების დიდ მკოდნედ და მფარველად თვლიდა, პირიქით, გერმანულ ლიტერატურას აბუჩად იგდებდა და მხოლოდ ფრანგული ლიტერატურის წინაშე იხრიდა ქედს. შილერის აზრით ამ გარემოებამ დადებითი გავლენა მოახდინა გერმანულ ლიტერატურაზე, რომელიც

„გულქვა მტარვალთა წინაშე რომ ქედს არ იხრიდა, საკუთარ მკერდით, დაუცხრომელ გულის სიღრმიდან დასცინის სასტიკ კანონებს და გესლავს ტირანებს“.

გვ. 231. ახალი საუკუნის დასაწყისი — ეს ლექსი გამოხატავს შილერის აღფრთობას სისხლისმღვრელი ომების გამო, რომელშიც ჩაბმული იყო მთელი ევროპა XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის დასაწყისში.

იქვე. „ვერც ოკეანემ, ვერც ნილოსის წყალთა ღვთაებებამ, ძველმა რაინმაც ვერ დაშრიტა ომის ხანძარი“ — იგულისხმება ომები წარმოებული ამერიკაში, აფრიკასა და ევროპაში.

იქვე „ორი ძალუმიერი ჭიშკობს და იმუქრება“—იგულისხმება საფრანგეთი და ინგლისი, რომელნიც მსოფლიო ბატონობის სურვილით შეპყრობილნი, ერთმანეთს ეჭიშვებოდნენ და აღვიგებდნენ ომის ხანძარს.

იქვე ბრენი — გალთა წინამძღოლი, რომელმაც ხარკის აწონის დროს თავისი ხმალიც დაადო სასწორზე და წამოიძახა „ვთი დამარცხებულს“. აქ იგულისხმება ის დიდი კონტრიბუციები, რომელსაც ადებდა ნაპოლეონი დაპყრობილ ქვეყნებს.

იქვე „სავაჭრო ფლოტით ეჭიდება ზღვას ბრიტანეთი...“ — ლამის ჩაპკეტოს, როგორც კერა თავისი სახლის, — იგულისხმება დიდი ბრიტანეთის ფლოტის მიერ საზღვაო სანაპიროების ბლოკადა და აგრეთვე კოლონიური სამფლობელოების გაფართოებისათვის ბრძოლა.

გვ. 231. ა მ ფ ტ რ ი ტ ა — (ბერძ. მით.) ზღვის ღმერთის პოსეიდონის მეუღლე, ამ ლექსში განასახიერებს ზღვას.

გვ. 233. ო რ ლ ე ა ნ ე ლ ი ქ ა ლ წ უ ლ ი — ეს ლექსი წარმოადგენს პასუხს ვოლტერის „ორლეანელი ქალწულისადმი“, რომელშიც დიდმა ფრანგმა განმანათლებელმა რელიგიური ფანატიზმის, ასკეტიზმისა და წმინდანობის კულტის დაცინვის მიზნით საფრანგეთის ეროვნულ გმირად ქცეული გმირი მწყემსი გოგონა ენა დარკი შეუბრალებელი ცინიზმის ობიექტად აქცია.

გვ. 236. ჰ ე რ ო დ ა ლ ე ა ნ დ რ ე — ამ ბალადის სიუჟეტი შილერმა აიღო ბერძნული მითიდან, რომელიც ჰერ დიდმა რომაელმა პოეტმა ოვილიუსმა (43 წ. ძვ. წ. — 17 წ. ჩვ. წ.) დაამუშავა თავის „ჰეროიდებში“, ხუთი თუ ექვსი საუკუნის შემდეგ და ბიზანტიელმა მწერალმა მუსეოსმა (IV VI ს. ჩვ. წ.) გამოიყენა ამავე სახელწოდების პოემისათვის. ბალადა წარმოადგენს აპოთეოზს, მძლე სიყვარულისა, რომელიც საშინელ სტიქიონს არ უშინდება და თვით სიყვდილსაც კი უკვდავებად აქცევს. სიყვარულის ქალღმერთის აფროდიტეს ულამაზეს ქურუმს ჰეროს, რომელიც ჰელესპონტის ნაპირზე ქალაქ სესტოში ცხოვრობს და ქალაქ აბიდოსში მცხოვრებ მზეკაბუკს ლეანდრეს ერთმანეთი შეუყვარდებათ. მითის მიხედვით, მშობლები აღუდგენენ წინ მათ ურთიერთტრფობას, მაგრამ ამან ვერ შეუშალა ხელი შეყვარებულთ. ჰერო ღამღამობით ანთებდა კოშკზე ჩირაღდანს და გზას უნათებდა ლეანდრეს, რომელიც ყოველღამით გადასცურავდა ჰელესპონტს, რომ ეხილა ჰერო. ერთხელ, როცა ლეანდრე აბიდოსიდან სესტოსაკენ მისცურავდა, საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და ჩირაღდანი ჩაქრა. ლეანდრემ გზა დაჰკარგა და დაიღუპა. ჰერომ მეორე დღეს ზღვის ნაპირზე თავის სატრფოს ცხედარი იხილა, გულმოკლული თვითონაც ზღვაში გადაეშვა და თავი დაიხრჩო.

გვ. 236. ჰ ე ლ ე ს პ ო ნ ტ ი — ძველბერძნული სახელწოდება დარდანელის სრუტისა.

იქვე ა მ უ რ ი — იხ. ლექსის „საბერძნეთის ღმერთების“ შენიშვნები.

იქვე ჰ ე ბ ე — (ბერძნ. მით.) ზევსისა და ჰერას ასული, მარადიული სინორჩის განმასახიერებელი. ჰებე ნექტარს აწვდიდა ღმერთებს.

გვ. 236. ა ბ ი ღ ო ს ი — დარდანელის სანაპიროზე მცირე აზიაში მდებარე ქალაქი.

გვ. 237. „ ვ ე ლ უ რ ნ ა დ ი რ ე ბ ს ა თ ვ ი ნ ი ე რ ე ბ ს “ — იგულისხმება აღმეტე, ძველბერძნული მითის გმირი, რომელმაც თავისი სატრფოს ალკესტიდას გულისთვის ველურ ნადირებს უღელი დაადგა.

იქვე „ დ ა ც ე ც ხ ლ ის მ ფ რ ქ ე ვ ე ლ გ ო ლ ი ა თ ხ ა რ ე ბ ს ა ლ მ ა ზ ი თ ნ ა ჰ ე დ გ უ თ ა ნ შ ი ა ბ ა მ ს “ — იგულისხმება იაზონი, არგონავტების მითის გმირი, რომელსაც ამ საქმეში დაეხმარა კოლხეთის მეფის ასული მედეა.

იქვე ს ტ ი ქ ს ი, პ ლ უ ტ ო ნ ი — იხ. ლექსის „ცერერას ჩივილი“ შენიშვნები.

გვ. 238. ა ვ რ ო რ ა, ჰ ე ს ჰ ე რ ი — იხ. ლექსის „იდეალი და ცხოვრება“ შენიშვნები.

იქვე თ ე ტ ი დ ა — (ბერძნ. მით.) ზღვის ქალღმერთი, აქილეუსის დედა.

იქვე ჰ ე კ ე ტ ე — იხ. ლექსის „ცული მონარქები“ შენიშვნები.

გვ. 239. „ რ ო ს ო ქ რ ო ს ვ ე რ ძ ი უ ტ უ რ ფ ე ს ჰ ე ლ ე ს, ა ს უ ლ ს უ ნ ა ზ ე ს ს, ღ ვ ი ძ ლ ძ მ ა ს თ ა ნ ლ ტ ო ლ ვ ი ლ ს მ ო ა ქ ა ნ ე ბ დ ა შ ე ნ ს მ კ ე რ დ ზ ე ქ რ ო ლ ვ ი თ “ — ძველბერძნული მითის მიხედვით, მამისა და დედინაცვლის უდიერო მოქცევის გამო, ბეოტიის მეფის ასული ჰელე, ძმასთან ერთად ოქროს ვერძზე შეჯდა და სამშობლოდან გაიქცა, მაგრამ ზღვაზე მიმავალი

ვერძიდან გადმოვარდა და დაიღუპა. აქედან წარმოსდგება დარდანელის სოფტის ძველბერძნული სახელწოდება პელესპონტი (პონტი ბერძნულად ზღვას ნიშნავს).

გვ. 241: აფროდიტე — იხ. ლექსის „ცუდი მონარქები“ შენიშვნები.

გვ. 242. ლევკოთეა — (ბერძნ. მითი) ზღვაში მოგზაურთა მფარველი ქალღმერთი. მითის მიხედვით ქმრის უდიერი ქცევით განაწამები ინო ზღვაში გადავარდა, ქალღმერთად იქცა და ლევკოთეა ეწოდა.

იქვე ეოსი — (ბერძნ. მითი) ცისკრის ქალღმერთი. იხ. ლექსის „იდეალი და ცხოვრება“. შენიშვნები.

1802

გვ. 244. ოთხი საუკუნე — დაწერილია გოეთეს მომღერალთა გუნდისათვის, რომელიც ოთხშაბათობით იკრიბებოდა „ვაიმარელი ბრძენის“ სახლში. ლექსი ეხმარება „საბერძნეთის ღმერთებს“ და „ხელოვანთ“ (იხ. ზევით).

გვ. 245. როცა სატურნი ფლობდა მიწას — სატურნის საუკუნეს უწოდებდნენ ძველ რომში მითიურ ოქროს საუკუნეს.

იქვე სკამანდრის ველიც გადიბუჯა — სკამანდრი მდინარეა, რომელიც ტროას ველებზე მიედინება. ციტირებულ სტრიქონში იგულისხმება ტროადის ომი.

გვ. 247. კასანდრა — მითის მიხედვით კასანდრა — ტროას მეფის პრიამოსის ასული — სატრფო იყო აპოლონისა, რომელმაც იგი წინასწარმეტყველების უნარით დააჯილდოვა, მაგრამ კასანდრამ დაარღვია სიყვარულის ფიცი და აპოლონმა დასაჯა იგი, იმით, რომ კასანდრას წინასწარმეტყველების აღარავის სჯეროდა. შილერის ზოგიერთი მეგობრის გადმოცემის მიხედვით, კასანდრამი ნაწილობრივ ასახულია განწყობილება პოეტისა, რომელიც გრძობდა სიკვდილის მოახლოებას.

იქვე „მშვენიერ პელიდს დღეს ეუღლება პრიამოსის ქალი სახენათელი“ — მითის მიხედვით პელიდს—ჰელიასისა და თეტიდას ძეს აქილევსს უნდა შეერთო პრიამოსის ქალი პოლიქსენე, მაგრამ აქილევსი მოკლეს.

გვ. 248. ჰიმენე — (ბერძნ. მით.) ქორწინების ქალღმერთი.

გვ. 248. „პითიას ღმერთო, რისხვით აღსავსევე“—იგულისხმება აპოლონი. მითის მიხედვით პითიასი აპოლონის ქურუმი და მგოსანი იყო დელფოს ტაძარში.

გვ. 249. „ერთხელ მეც შემხვდა ცხოვრების გზაზე მზე, სანატრელი“... — მითის მიხედვით კასანდრას ხელი სთხოვა ფრიგიის მეფემ, მაგრამ კასანდრამ მას დაღუპვა უწინასწარმეტყველა და უარი უთხრა.

გვ. 250. სტიგიის ლანდი — (ბერძნ. მით.) იგულისხმება ქვესკნელის ღმერთის პლუტონის ლანდი.

იქვე პროზერპინა — იხ. ლექსის „სიყვარულის ზეიმის“ შენიშვნები.

იქვე მკვლელის თვლები — იგულისხმება პარისი, პრიამოსის ვაჟი, მშვენიერი ელენეს მეუღლე, რომელმაც მოკლა აქილევსი.

იქვე „ვაჰ, მე მისანი, გვემილი ბედით, დავიღუპები უცხო მხარეში“ —კასანდრას ეს წინასწარმეტყველება გამართლდა. ტროას დაცემის შემდეგ კასანდრა წაიყვანა აქაველთა ლაშქრის მთავარსარდალმა აგამემნონმა, რომელიც კასანდრასთან ერთად გამოასალმა სიცოცხლეს კლიტემენსტრამ—აგამემონის მეუღლემ და ივისთემ — კლიტემენსტრას საყვარელმა.

იქვე ერისი — (ბერძნ. მით.) უთანხმოების ქალღმერთი.

გვ. 241. ყ რ მ ა წ ყ ა რ ო ს თ ა ნ — შილერის ერთ-ერთი წმინდა ლირიკული-
ლექსიკონი, რომელიც დაწერა მან გოეთეს მომღერალთა გუნდისათვის.

გვ. 255. გ რ ა ფ ი ჰ ა ფ ს ბ უ რ გ ი — ამ ბალადის სიუჟეტი შილერმა აილ-
შვეიცარიელი მემბტიანის ეგიდი ჩუდის (გარდაიცვალა 1572 წ.) ქრონიკებიდან,
რომელსაც აღწერილია რუდოლფ ჰაფსბურგის (1218 — 1291) იმპერატორად
კურთხევა ქალაქ აახენში 1273 წლის 24 ოქტომბერს.

გვ. 259. გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ უ ლ თ ა ზ ე ი მ ი — ეს ბალადა დაწერა შილერმა,
როგორც საგუნდო სიმღერის ტექსტი. იგი შილერის ლირიკული მუზის საუკეთესო
შედეგია.

იქვე კ ა ლ ა ხ ს ი — ბერძენთა ქურუმი, რომელიც ახლდა აქაველთა ლაშქარს
ტროასთან ომის დროს.

იქვე პ ა ლ ა დ ა — ქალღმერთი ათინა — პალადა, რომელიც მფარველობდა
ოდისევს.

გვ. 260. ნ ე პ ტ უ ნ ი — (რომ. მით.). ზღვის ღმერთი.

იქვე ა ტ რ ი დ ე ბ ი ს ძ ე — აგამემონი, ბერძენთა ლაშქრის მხედართმთავარი
ტროასთან ომში.

გვ. 261. „ხ ა რ ო ბ ს ა ტ რ ი დ ა , ლ ა მ ა ზ ი ც ო ლ ი რ ო მ გ ა მ ო ს ტ ა -
ც ა ვ ე რ ა გ უ რ დ ო ე ბ ს“ — იგულისხმება მენელაესი, აგამემონის ძმა, რომელ-
მაც ტროას დამარცხების შემდეგ დაიბრუნა თავისი ცოლი, პარისის მიერ გატაცე-
ბული მშვენიერი ელენე.

იქვე ი ო ლ ე ო ს ი ს ძ ე — აიაქსი, ბერძენთა გამოჩენილი გმირი ტროას ომში.
აიაქსმა ვადაარჩინა ტროელების მიერ ცეცხლწყვილებული ბერძენთა გემები. იმით
განრისხებულმა აიაქსმა, რომ ოდისევსმა ცბიერებით მიითვისა მოკლული აქილევ-
სის საჭურველი, თავი მოიკლა. სწორედ ეს ამბავია ნაგულისხმევი ბალადის მეთხუ-
თმეტე სტროფში „ვაეკაცს ჰსპობს ომი, ო, ძმავ ჩემო, ... როცა გვდაგავდა ომის
ხანძარი, შენ დაგვიხსენი, სტიქია სძლიე, ზოლო ჯილდო კი შენი სადარი, წილადა
ხვდა ლაჩარს, მხდალსა და ცბიერს“.

გვ. 261. პ ა ტ რ ო კ ლ ე — აქილევსის მეგობარი, რომელიც დაეცა პექტორთან
ერთა ბრძოლაში.

იქვე თ ე რ ს ი ტ ე — „ილიადაში“ გამოყვანილი მახინჯი მეომარი, რომელიც
უკმაყოფილო მეფეთა მოქმედებით.

გვ. 262. ნ ე ო პ ტ ო ლ ე მ ი — აქილევსის ვაჟი.

იქვე თ ე დ ე ო ს ი ს ძ ე — იგულისხმება დიომიდე „ილიადას“ ერთ-ერთი
გმირი.

იქვე ნ ე ს ტ ო რ ი — „ილიადას“ ერთ-ერთი გმირი, პილოსის მსცოვანი მეფე,
რომელიც ტროას ომში ბერძენთა მხარეზე იბრძოდა.

იქვე ჰ ე კ უ ბ ა — ტროას დედოფალი, პრიამოსის მეუღლე.

გვ. 263. ნ ი ო ბ ე — არსებობს ორი ვადმოცემა. ერთის მიხედვით თავისი
თორმეტი შვილის დაღუპვით გამწარებული ნიობე სულელად იქცა, მეორე ვად-
მოცემის მიხედვით, მან შვება ღვინოში იპოვა.

„უაჩალები“ ახალგაზრდა შილერის ჩვენამდე მოღწეული პირველი დრამატული ნაწარმოებია, თუმცა იგი არ წარმოადგენს პირველ ცდას დიდი გერმანელი დრამატურგისა. ჯერ კიდევ 13 წლის ჭაბუკს დაუწერია ლიუდვიგსბურგში ტრაგედია „ქრისტიანები“, მაგრამ როგორც ეს ტრაგედია, ისე მის შემდგომ დაწერილი სხვა ნაწარმოებები თვითონვე გაუნადგურებია ყრმა პოეტს, რომელიც თავის თავს უაღრესად დიდ მოთხოვნილებებს უყენებდა.

პიესა, რომელიც ავტორისა და გამოცემლის გვარმიუწერლად 1781 წლის 6 მაისს გამოქვეყნდა სათაურით „უაჩალები. დრამ. ფრანკფურტი და ლაიპციგი“, იყო ფრიდრიხ შილერის ოთხი წლის მუშაობის შედეგი. კარლ ევგენის აკადემიის მსმენელს ღამეები უტეხია, რომ შეექმნა დიდებული სახე კეთილშობილი უაჩალისა, რომელიც შილერის სიტყვებით, „ქურდი კი არაა, კაცისმკვლელია; არაშადა კი არაა, ურჩხულია, და „პლუტარქეს და სერვანტესს უნდა უმაღლოდეს თავისი ხასიათის ძირითად თვისებებს, რომელშიც შექსპირის მიხედვით შეაღწეა პოეტის თვითმყოფმა სულმა ახალ, მართალ, ჰარმონიულ ხასიათში“.

როგორც შესავალშია აღნიშნული, შილერმა ამ ტრაგედიის სიუჟეტი აიღო დანიელ შუბარტის მოთხრობიდან „ადამიანის გულის ისტორიისათვის“, რომელიც 1775 წელს გამოქვეყნდა ეურნალ „Schwäbische Magazin“-ში. მოთხრობაში აწერილია დიდგვაროვანი ოჯახიდან გამოსული ორი ძმის ამბავი. უმცროსი ძმა, გარეგნულად ღვთისმოსავი, მამის გამგონე, შრომისმოყვარე და ვითომდა ზნეობრივად სპეტაკი ვილჰელმი, ვერაგულად მოატყუებს მამას, დაუმალავს მას უფროსი ვაჟის—კარლის წერილს; ამ წერილში გულდია, კეთილი, ყველას საყვარელი, მაგრამ ფიცხი და დაუფიქრებელი, სტუდენტობისას ქეიფდა და დროსტარებას გადაყოლილი, ღუელის გამო გადამალული კარლი, მას შემდეგ, რაც ფრიდრიხ მეორის არმიაში დაპირილი ჰოსპიტალში გაეცნობა ადამიანთა ტანჯვას და სულიერად გარდაიქმნება, ინანიებს თავის ცოდვებს და შენდობას სთხოვს მამას. რადგან ვილჰელმის ბოროტი მოქმედების გამო კარლს მამისაგან პასუხი არ მიუღია, იგი ვერ ბედავს თავის ოჯახში დაბრუნებას და თავის საგვარეულო ციხე-კოშკის მახლობლად მოჯამაგირედ დაუდგება ერთ მდიდარ გლეხს. „კეთილ ჰანსს“ — ასე უწოდებდნენ სახელგამოცვლილ კარლს — ერთხელ ტყეში მუშაობისას შემოესმა გულშემზარავი ყვირილი. ყვირილის ხმაზე ნაჯახით ხელში გაემართება იგი საშველ და და დაინახავს, რომ ავაზაკებს მოუკლავთ მამამისის მეგობელი და ახლა ეტლიდან მამის გადმოთრევას აპირებენ. კარლმა მოკლა სამი ავაზაკი, ხოლო მეოთხე შეკრა და გონდაკარგული მამა ციხე-კოშკში წაიყვანა. გონსმოკლულ მოხუცი ცოცხლად დარჩენულ ავაზაკისაგან გაიგებს, რომ ამ ბოროტმოქმედების მომწყობი ვილჰელმი იყო. შვილის ვერაგობით შექარწყუნებული მამა დასტირის თავის უბედობას, რომ ერთი შვილი მამისმკვლელი გამოდგა, მეორე კი უჯუჯო-უკვლოდ დაეკარგა. მაშინ კარლი გამოამკლავნებს თავის თავს და თხოვს მამას, აპატიოს ვილჰელმს ბოროტმოქმედება. მამა სიცოცხლეს შეუწირა ჩუენებს უღირს შვილს, მაგრამ გააძეევებს მას მამულიდან. ვილჰელმი სულაც არ განიცდის სინდისის ქენჯნას. იგი მიემზავრება ქალაქში, სადაც ერთ-ერთ რელიგიურ სექტას ჩაუდგება სათავეში.

ამ მოთხრობას გამოქვეყნებიდან ორი წლის შემდეგ გაეცნო შილერი, რომლის

გენიამ სიუჟეტის შუბერტისეული მეშჩანურ-შეზღუდული ახსნა ისტორიულ სიამაღლემდე აიყვანა, მაშინდელი გერმანული საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ მხარეთა კრიტიკის ნაცვლად კარლისა და ფრანცის სახით ერთმანეთს დაუუპირისპირა ეპოქის ორი ძირითადი საზოგადოებრივი ძალა, ფეოდალურ სამყაროს მკაცრი საბრალდებულო აქტი წაუყენა და ბიურგერული საზოგადოების ნაკლოვანებებიც გააკრიტიკა.

შილერს არ დაუწერია „ყაჩაღები“ სცენისათვის. ამიტომ, როცა მანჰაიმის თეატრის დირექტორმა ბარონმა დაღბერგმა განიზრახა დადგმა, ავტორი შეუღღგა პიესის სცენისათვის გადაკეთებას, რაც მეტისმეტად რთული აღმოჩნდა და ბევრ დროს ართმევდა. 1781 წლის 6 ოქტომბერს დაღბერგისადმი გაგზავნილ წერილში შილერი წერდა, რომ მას გაცილებით ნაკლები შრომა დასჭირდებოდა და ცხადია, გაცილებით მეტ სიამოვნებასაც ნახავდა უკვე დაწერილი ნაწარმოების სცენისათვის გადაკეთების ნაცვლად სრულიად ახალი ნაწარმოები რომ შეექმნა, რადგან „როგორც ბუნებაში, ისე სცენაზე ყოველი იდეის, ყოველი გრძნობის გამოხატვის მხოლოდ ერთი ფერი არსებობს, ჩემს მიერ ხასიათში შეტანილი ერთი რომელიმე ცვლილება ხშირად სულ სხვა ხასიათს აძლევს მოქმედ პირს, მაშასადამე, მის მოქმედებასაც და ამ მოქმედებით დამყარებულ პირობაზე დამყარებულ პოემის შექანზმასაც“. სცენისათვის გადაკეთებასთან ერთად დაღბერგმა პიესის დადგმის აუცილებელ პირობად იმ მიზნით, რომ მისთვის პოლიტიკური სიმკვეთრე გამოეცალა, მოქმედების მეთექვსმეტე საუკუნეში გადატანა წამოაყენა. ამო აღმოჩნდა შილერის ყოველგვარი მტკიცება, რომ ასეთი ოპერაცია პიესის დამამხინჯებლად, რადგან მოქმედ პირობა ხასიათები, მათი ენა, მათი მსოფლმხედველობა და მისწრაფებანი არ შეესატყვისებოდა მეთექვსმეტე საუკუნის ადამიანთა ხასიათს, ენას, ჩვევებსა და მსოფლმხედველობას. შილერი იძულებული აღმოჩნდა, პიესის რეალისტური პრინციპების შერყენის ხარჯზე, მოქმედება გერმანიის იმპერატორის მამქსიმილიანე მეორის ეპოქაში გადაეტანა. მაგრამ მოქმედების მეთექვსმეტე საუკუნეში გადატანამ და ტრაგედიიდან მთელი რიგი ადგილების ამოღებამ პიესაში შინც ვერ აღმოფხვრა გერმანიაში არსებული სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება. სწორედ ამ სულისკვეთებამ განაპირობა, უწინარეს ყოვლისა, ის დიდი წარმატება, რომელიც ახალგაზრდა დრამატურგის პირველ ნაწარმოებს ხვდა წილად.

„ყაჩაღებს“ ქართული მკითხველი პირველად გაეცნო 1876 წელს, როცა ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა ნ. ავალიშვილის მიერ შესრულებული თარგმანი, რომელიც ცალკე წიგნად მხოლოდ 1912 წელს იქნა გამოცემული. ქართულ სცენაზე კი „ყაჩაღები“ პირველად 1883 წლის 13 ნოემბერს დაიდგა. ამ დღეს სხვა პიესებთან ერთად ქართველ მაყურებელს უჩვენეს „ყაჩაღების“ მეხუთე მოქმედების პირველი გამოსვლა, რომლის თარგმანიც შესრულებული იყო ა. ფურცელაძის მიერ. მთლიანი სახით „ყაჩაღები“ დადგმულ იქნა 1892 წლის 5 თებერვალს თბილისის დრამატული დასის მიერ ლ. მესხიშვილის საბენეფისოდ გამართულ საღამოზე. ამის შემდეგ „ყაჩაღები“ არ მოსცილებია ქართული თეატრის რეპერტუარს. აღსანიშნავია, რომ რევოლუციამდე ქართულ თეატრში „ყაჩაღები“ მთლიანი სახით თითქმის ოთხმოცჯერ იქნა დადგმული, ყველა ეს დადგმა ხორციელდებოდა ნ. ავალიშვილის თარგმანის მიხედვით.

1933 წელს რუსთაველის თეატრმა დადგა „ყაჩაღები“, რომელიც ამ დადგმისათვის სპეციალურად თარგმნა ს. შანშიაშვილმა. ეს თარგმანი ფ. შილერის „პიკოლომინებთან“ ერთად ცალკე წიგნად გამოიცა 1952 წელს.

ს. შანშიაშვილს, როგორც ჩანს, გაუთვალისწინებია სტენის მოთხოვნები და მთელი რიგი დიალოგების ამოღებითა და მონოლოგების შეკვეცით თითქმის ერთიმესამედით შეუმოკლებია პიესა. ამიტომ ფრიდრიხ შილერის თხზულებათა წინამდებარე გამოცემისათვის, რომელშიც შევიდა ს. შანშიაშვილის მიერ თარგმნილი „ყაჩაღები“, პიესის ტექსტის დაზუსტებასთან ერთად საჭირო გახდა გამოტოვებული ადგილების ხელახლა თარგმნა, რაც შესრულებულ იქნა ჩემს მიერ.

ე პ ი გ რ ა ფ ი

„ყაჩაღები“ ეპიგრაფი ფ. შილერს აღებული აქვს ძველბერძენ ექიმისა და ფილოსოფოსის ჰიპოკრატეს (460—337 ძვ. წ.) „აფორიზმებიდან“. შილერს მთლიანად არ მოჰყავს აფორიზმი, რომელსაც ჰიპოკრატე ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „ნოლო ის, რასაც ცეცხლი ვერ განუტრნავს, განუტრნებლად უნდა ჩიათვალოთ“.

მოკმდება პირველი

სურათი პირველი

გვ. 271. გა ა ი უ ს ი უ ლ ი უ ს კ ე ი ს ა რ ი (100 — 44 ძვ. წ.)—ძველი რომის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, მწერალი და ორატორი.

იქვე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა კ ე დ ო ნ ე ლ ი (356—323 ძვ. წ.)—ძველი სამყაროს უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი, რომელიც ცდილობდა მიედგინა მსოფლიო ბატონობისათვის.

იქვე ტ ი ვ ი ტ ი — გმირი ბიბლიის ერთ-ერთი აპოკრიფული წიგნისა, რომელშიც მოთხრობილია არაბ ყაჩაღთა მიერ მისი დატყვევების ამბავი.

გვ. 272. ფ რ ი ნ ა — ბერძენი ჰეტერა, მსუბუქი ყოფაქცევის ქალი.

იქვე კ ა რ ტ უ შ ე ბ ი და ჰ ო ვ ა რ დ ე ბ ი — კარტუზად წოდებული ლუი დომინიკ ბურგუნონი (1693 — 1721) ცნობილი ფრანგი ჭურდი და ბანდიტი იყო. იგი დასაჯეს პარიზში, გრევის მოედანზე. ჰოვარდის შესახებ არაფერია ცნობილი, გვარის მიხედვით უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი ინგლისელი იყო.

გვ. 273. „ძ ე გ ლ ის ს ა ნ ა ხ ა ვ ა დ, რ ო მ ე ლ ს ა ც ი გ ი ზ ე ც ა ს ა და დ ე დ ა მ ი წ ა ს შ ო რ ის ა ი გ ე ბ ს“ — იგულისხმება სახრჩობელა.

იქვე რ ო ც ა შ ე ნ ი შ ვ ი ლ ის ს უ რ ა თ ს ლ ა ი პ ც ი გ ის ბ ა ზ ა რ ზ ე გამოკიდებენ — პორტრეტებს იმ დამნაშავეებისა, რომლებსაც ხელში ვერ ჩაიგდებდნენ, საბაზრო მოედნებზე აგებულ სამარცხვინო ბოძებზე გამოკიდებდნენ.

გვ. 277. „რ ა ტ ო მ პ ი რ ვ ე ლ ი მ ე არ გამოვძვერ დედის საშოღანი! — ფრანცის — გრაფ მაქსიმილიან მოორის უმცროსი შვილის — ეს სიტყვები გამოწვეულია იმით, რომ ფეოდალიზმის დროს უძრავი ქონება ტიტულთან ერთად მემკვიდრეობით გადადიოდა უფროს ვაჟზე.

სურათი მეორე

გვ. 279. პ ლ უ ტ ა რ ქ ე — (50 — 130 ჩვ. წ.) ბერძენი მწერალი, ისტორიკოსი და მორალისტი. ავტორი ცნობილი წიგნის „დიდ აღამიანთა ბიოგრაფიები“, რომელშიც აღწერილია ცხოვრება და მოღვაწეობა ძველ ბერძენთა და რომაელთა მხედართმთავრებისა, სახელმწიფო მოღვაწეებისა და სხვა გამოჩენილი აღამიანებისა. შილერს ძლიერ უყვარდა ამ წიგნის წაკითხვა.

გვ. 279. იოსებ ფლავიოსი — იუდეველთა ისტორიკოსი I საუკუნისა (ჩვ. წ.); მფარველობდა რომის იმპერატორი ტიტუს ფლავიოსი. იოსებ ფლავიოსი ავტორია „იუდეველთა ომისა“ და „იუდეველთა სიძველენისა“. ორივე წიგნი ბერძნულ ენაზეა დაწერილი.

იქვე პრომეთეს მგზნებარე ნაპერწკალი — ბერძნული მითოლოგიის მიხედვით პრომეთემ ცეცხლი მოჰპარა ღმერთებს და გადასცა იგი ადამიანებს, რისთვისაც ზევსმა დასაჯა იგი.

გვ. 280. ჰანიბალი (დაახ. 247 — 183) — კართაგენის გამორჩენილი მხედართმთავარი. 221 წელს მიიღო ესპანეთში მოქმედ კართაგენის არმიის მხედართმთავრობა. ჰანიბალმა მრავალ ომში გაიმარჯვა რომაელებთან.

იქვე კანასთან ბრძოლა — ჰანიბალის მიერ რომაელებთან ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებათაგან ყველაზე ბრწყინვალე იყო კანასთან გამარჯვება (216 ძვ. წ.).

იქვე სციპიონ აფრიკანელი — პიბლიუს კორნელიუს სციპიონ ემილიან აფრიკანელი უმცროსი (დაახ. 185 — 129 ძვ. წ.) ძველი რომის მხედართმთავარი და სახელგანთქმული ორატორი 147 და 134 წ. არჩეული იყო რომის კონსულად. 146 წელს დაიპყრო და დაანგრია კართაგენი და დაამთავრა მესამე პუნიკური ომი. 133 წელს მოიპოვა გამარჯვება ნუმანციასზე და ესპანეთი დაუქვემდებარა რომს.

იქვე საღუკეველი — ძველ იუდეველთა რელიგიურ-პოლიტიკური სექტა.

გვ. 281. ჰერმანი იგივე არმინიუსი — გერმანელთა ტომის ხერუსკების ბელადი, რომელმაც სხვა გერმანელ ტომებთან დაკავშირების შედეგად ტევტინბურგის ტყეში 9 წელს ჩვ. წ. დაამარცხა რომაელთა ლეგიონები.

იქვე იროდი — იუდეველთა ოლქის მმართველი (პირველი საუკუნის პირველი ათეული წლები ჩვ. წ.) გალიაში, რომელიც რომის მფლობელობაში შედიოდა.

გვ. 282. ბაცენი — ძველი გერმანული ლითონის ფული დაახ. 5—6 კაპ. ღირებულებისა.

გვ. 284. სიული — ჰერცოგ მაქსიმილიან დე სიული. 1560 — 1641. საფრანგეთის მეფე ანრი IV მინისტრი, რომელმაც მოახდინა საფრანგეთის ფინანსთა რეორგანიზაცია. მის მიერ დაწერილი მემუარები შილერმა გამოსცა ფრანგულ ენაზე.

გვ. 288. გალერების სამოთხე — გალერებზე, კატორღაში.

იქვე... ვულკანის სამჭედლო — იგულისხმება საკატორღო ჯაჭვები.

იქვე ფრანგული ავადმყოფობა — სიფილისი.

გვ. 289. ფრთოსანი ანგელოზები — ყვაეები, როლმებიც თავს დასტრიალებენ დასჯის ადგილს.

იქვე წმინდა სინედრონი — ძველ ებრაელთა უმაღლესი საბჭო და სასამართლო.

იქვე იუპიტერის მეფური ფრინველი — იგულისხმება არწივი, რომელიც ბერძნული მითის მიხედვით გულს უკორტინდა მიჯაჭვულ პრომეთესს.

გვ. 289. სამფეხიანი მხეცი — სახრჩობელა.

სურათი მესამე

გვ. 296. „საბრალო მახინჯ ში, როგორიც იყო ეზოპე“ ძველი ბერძენი მოიგვარავე ენაზე (VI ს.ძვ. წ.) გარეგნულად მახინჯი იყო, კუზიანი, მაგრამ პატივს სცემდნენ როგორც მაღალი სულიერი თვისებების მქონე ადამიანს.

მოქმედება მიორე

სურათი პირველი

გვ. 299. „საწამლავეთა შემზადება თითქმის მეცნიერების სიმალეზე აიყვანეს“ — ამ ადგილს შილერმა შემდეგი სახის შენიშვნა გაუკეთა: „ამბობენ, ვიღაც ქალმა პარიზში საწამლავ ფხვნილებზე სწორად დაყენებულ ცდების გზით იმას მიადგინა, რომ შეეძლო გარკვეული სიზუსტით გამოეანგარიშა სიკვდილის დღე. სირცხვილი ჩვენს ექიმებს, რომლებსაც ამ ქალმა თავი მოსკრა თავისი პროგნოზებით“. შილერი ალბათ გულისხმობდა მარია-მადლენ დ'ობრე მარკიზ ბრენვილიეს, რომელმაც თავის საყვარელ სენ-კრუას დახმარებით მოწამლა მამა და ძმა. მარია-მადლენს თავი მოჰკვეთეს 1676 წ. გრევის მოედანზე პარიზში.

გვ. 300. *Deux ex machina* — კვანძის მოულოდნელი გახსნა (სიტყვა-სიტყვით „ღმერთი მანქანიდან“) ეს გამოთქმა წარმოიშვა ძველბერძნულ ტრაგედიათა კვანძის გახსნიდან. რთულ სიტუაციაში, რომლიდანაც ძნელი იყო ბუნებრივი გამოსავლის პოვნა, დრამატურგს გამოჰყავდა ღმერთი, რომელიც სპეციალური მანქანით დაეშვებოდა სცენაზე.

სურათი მეორე

გვ. 306. „ქვლავ ატყდა ომი პრუსიასა და ავსტრიას შორის“ — იგულისხმება შვიდწლიანი ომი 1756 — 1763 წწ.

იქვე „მისულადი შვედინთან“ — იგულისხმება პრუსიის ფელდ-მარშალი გრაფი ფონ შვერინი, ფრიდრიხ II ერთ-ერთი მხედართმთავარი.

იქვე „პრადასთან გაცხარებულ ბრძოლა“ — ეს ბრძოლა მოხდა 1757 წ. 6 მაისს ავსტრიელებსა და პრუსიელებს შორის.

სურათი მესამე

გვ. 313. *Diem perdididi* (ლათ.). „დაკარგული დღე“ ამ სიტყვებს მიაწერენ რომის იმპერატორს ტიტუსს (1 ს. ჩვ. წ.), რომელიც თითქოს მან წარმოთქვა იმ დღეს, რომელმაც ისე ჩაიარა, რომ იმპერატორს არც ერთი კეთილი საქმე არ ჩაუდენია.

გვ. 315. „...ვინ ილაშქრებს ფიზიოგნომიკის წინააღმდეგ“ — ე. ი. ხელოვნების წინააღმდეგ, რომელიც ადამიანის შინაგან განწყობილებას განსაზღვრავს მოძრაობით, მიმიკით და ა. შ.

გვ. 315. „ჩააქრე შენი სანათური, ცბიერო დიოგენე“ — ამბობენ, რომ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენი (414 — 324 ძვ. წ.) დღისით ქალაქ ათენში დადიოდა ანთებული სანათურით. როცა მას ჰკითხეს თუ რას ეძებდა, მან უპასუხა: „ადამიანსო“.

გვ. 322. მამონი — (ბერძნ. მით.) სიმდიდრის ღმერთი. ქრისტიანულ-საეკლესიო ტექსტებში — ბოროტი სული, კერპი, რომელიც გამოხატავს ვერცხლმოყვარეობას და სიძუნწეს.

გვ. 322. შოლოხი — ძველი აღთქმის მიხედვით ამონიტთა სისხლისმსმელი ღმერთი. აქ კი შილერი, მსგავსად მილტონისა და კლოპშტოკისა, „მოლოხს“ ხმარობს, როგორც ეშმაკის ერთ-ერთ სახელწოდებას.

გვ. 324. „ო. ფარაონ, ფარაონ“ — პატერი აქ იგონებს ეგვიპტის ერთ-ერთ ფარაონს, რომელმაც ბიბლიის მიხედვით ბრძანა წყალში გადაესროლა ყველა ახლადბადებული ებრაელი ვაჟი.

გვ. 328 ატრუსი — (ბერძნ. მით.) გოლიათი უმარავი თვალებით, რომელთან გან ერთი ნაწილი მუდამ ფხიზლობდა.

იქვე „გაანადგურეს პერუს მცხოვრებნი ოქროს ზოდების გამო“ — მას შემდეგ, რაც 1551 წელს ესპანეთის კონკისტადორმა პიზარომ დაიპყრო პერუ, ოქროს მოპოვებით გატაცებული ესპანელები შეუბრალებლად ანადგურებდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ.

გვ. 329. იუდა ისკარიოტელი — ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფეთაგანი, რომელმაც 30 ვერცხლად გაყიდა ქრისტე.

მოკმედიბა მისამი

სურათი პირველი

გვ. 333. გრძნობამიხდილი სელადონი — სელადონი, ფრანგი მწერალი ონორე დ'იუფრე სელადონის რომანის „ასტრეის“ (1619) გმირი.

სურათი მეორე

გვ. 337. მოქვეითინე ამადონა — კლოპშტოკის პოემის „მესიდას“ გმირი, ღმერთის წინააღმდეგ ამხედრებული, დამარცხებული და მონანიე ანგელოზი.

გვ. 339. „გამგმირავი გამომეტყველების ვაჟკაცი, ჩამომჯდარი კართაგენის ნანგრევებზე“ — იგულისხმება რომის მხედართმთავარი გაიუს მარიუსი (156 — 86 ძვ. წ.), რომელმაც პლუტარქეს მოთხრობის მიხედვით იხსნა რომი გერმანელთა შემოსევისაგან, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაიმარჯვა მისმა მოწინააღმდეგე სულამ, იძულებული გახდა გაქცეულიყო კართაგენში. როცა მას გადასცეს აფრიკის პროკონსულის ბრძანება პროვინციის დატოვების შესახებ, გაიუს მარიუსმა ასე მიმართა მაცნეს: „გადაეცი შენს მბრძანებელს, რომ შენ იხილე ლტოლვილი გაიუს მარიუსი კართაგენის ნანგრევებზე ჩამომჯდარი“.

გვ. 340. „საქსონიის მარშალს კუდით ქვა ასროლიოს“ — მორიც საქსონელი (1696 — 1750) საფრანგეთის მარშალი, თავისი დროის გამოჩენილი მხედართმთავარი. შვაიცერი ხუმრობით ამბობს, რომ კოსინსკი გააძევეზს მას განგის იქით.

იქვე „განგის იქით“ — ასე აღნიშნავენ ხუმრობით შორ მანძილს.

გვ. 341. რობინ ჰუდი — ლეგენდარული კეთილშობილი ყაჩაღი, მრავალრიცხოვანი ინგლისური ხალხური თქმულებებისა და ბალადების გმირი.

იქვე სენეკა (1 ს. ჩვ. წ.) — რომაელი ფილოსოფოსი — სტოიკოსი. ქადაგებდა მკაცრ მორალს და ვალდებულებისადმი ერთგულებას.

მოქმედაზა მიოთხა

სურათი პირველი

გვ. 344. არაბელა — ქალაქი მცირე აზიაში, სადაც 331 წ. (ძვ. წ.) ალექსანდრე მაკედონელმა დაამარცხა სპარსეთის მეფე დარიოსი.

სურათი მეორე

გვ. 346. ბარბაროსა — (იტალიურად წვერს ნიშნავს) — მეტსახელი გერმანიის იმპერატორ ფრიდრიხს პირველისა (XII ს.).

სურათი მეთხე

გვ. 359. „მსხვერპლად შემწირა წმინდანის გვირგვინი“ — ე. ი. არ აღიკვეცა მონაზვნად.

სურათი მეხუთე

გვ. 366. ჰერილი — ძველი ბერძენი ოსტატი — შესპილენძე, რომელმაც გადმოცემის მიხედვით აგრიგენტის ტირან ფალარიდს დაუმზადა სპილენძის ხარი, რომლის მუცელშიც შეიძლებოდა ადამიანის შეწვა. ტირანის ბრძანებით ხარს ისეთი აკუსტიკური მოწყობილობა უნდა ჰქონოდა, რომ წამებულის კენესა მაყურებელთ ხარის ზმულიად მოჩვენებოდათ. ფალარიდმა პირველი ცდა თვით გამომგონებელზე მოახდინა.

გვ. 367. „ეს შენ ხარ, ჰერმან, ჩემო ყორანო?“ — ბიბლიის ერთ-ერთი ლეგენდა მოგვითხრობს, რომ წინასწარმეტყველი ილია, მდევნელებისათვის რომ თავი დაედწია, უდაბნოში გაიქცა და ნაკადულთან დასახლდა, სადაც მისთვის ყორნებს მიჰქონდათ საკმელი.

მოქმედაზა მახშოთა

სურათი პირველი

გვ. 372. მოხუცი ელეიაზარი — ბიბლიური აბრაამის მსახურის სახლი. სინონიმი მოხუცი ერთგული მსახურისა.

გვ. 378. რიჩარდი — რიჩარდ III ინგლისის მეფე (XV ს.), რომელმაც ტახტს თავის მახლობელთა მკვლევლობით მიადწია.

იქვე ნერონი — კლავდიუს ცეზარი (37 — 68 ჩვ. წ.) 54 — 68 წლებში იყო რომის იმპერატორი, განთქმული იყო თავის სისასტიკით.

სურათი მეორე

გვ. 389. „დიდონა, შენ მაინც მასწავლე, სიცოცხლეს როგორ გამოვესალმო!“ — ვირგილიუსის „ენეადას“ მიხედვით კართაგენის დედოფალი დიდონა თავს იკლავს იმის გამო, რომ მისმა სატრფომ ენეოსმა მიატოვა იგი.

ფიესკოს შემთქმულება გენუაში

(რესპუბლიკური ტრაგედია)

„ფიესკოს შემთქმულება გენუაში“ ახალგაზრდა შილერის პირველი ისტორიული ნაწარმოებია, რომელზედაც მან მუშაობა 1781 წლის ზაფხულში დაიწყო. როგორც მანჩაიმის თეატრის დირექტორის დალბერგისადმი 1782 წლის გაზაფხულზე მიწერილი წერილიდან ჩანს, პოლკის ექიმად გამწესებული შილერი ინტენსიურად მუშაობდა თავის ამ მეორე დრამატიულ ნაწარმოებზე, მაგრამ როცა იგი — იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინა ტრაგიკული ბედი თავის თანამედროვე პოეტ დანიელ შუბარტისა, რომელიც ვიურტემბერგის ჰერცოგს კარლ ევგენის 10 წლის განმავლობაში დაპატიმრებული ჰყავდა — 1782 წლის შემოდგომაზე სამშობლოდან გაიქცა, მას „ფიესკოს შემთქმულება“ ჯერ კიდევ დამთავრებული არ ჰქონდა.

შილერის ბიოგრაფიიდან კარგად არის ცნობილი, რომ 1782 წლის 22 მაისს კარლ ევგენის ნებართვის გარეშე „ყაჩაღების“ ახალი დადგმის სანახავად „სახლდარგარეთ“ მანჩაიმში მეორედ გამგზავრების გამო ჰერცოგმა ახალგაზრდა დრამატურგს ორი კვირით პატიმრობა მიუსაჯა, „სახლდარგარეთთან“ ყოველგვარი ურთიერთობა აუკრძალა და უბრძანა ყოველგვარი ნაწარმოების წერაზე ხელი აეღო, თუ ის სამედიცინო ხასიათის არ იქნებოდა. შილერს არ შეეძლო დამორჩილებოდა ჰერცოგის ნებას, მან 1782 წლის 22 სექტემბერს მუსიკოს შტრაიხერთან ერთად, ფარულად მიატოვა ვიურტემბერგის საჰერცოგოს საზღვრები და მანჩაიმსა გაემგზავრა, სადაც დალბერგს უნდა შეხვედროდა. პოეტი მანჩაიმში ვერ დაელოდა დალბერგს, რომელიც კარლ ევგენის მიერ შტუტგარტში გამართულ დღესასწაულს ესწრებოდა და ფრანკფურტს წვიდა, საიდანაც 30 სექტემბერს დალბერგს წერილი მიწერა, რომელშიც თავის მძიმე მდგომარეობას აცნობდა და მწუხარებით აღნიშნავდა იმ „საზიზღარ ჭეშმარიტებას“, რომ „არც ერთ თავისუფლებისმოყვარე შვებს არ უწერია არც ზრდა და არც სრულყოფა“. ფრანკფურტიდან შილერი ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა, მანჩაიმის მახლობლად ერთ-ერთ სოფელში დასახლდა, თავის ახალი ბიურგერული დრამის „ლუიზა მილერის“ წერას მიჰყო ხელი და „ფიესკოს შემთქმულების“ დამთავრებას შეუდგა. ნოემბრის დასაწყისს დაამთავრა შილერმა „ფიესკოს შემთქმულება“ და გადასცა მანჩაიმის თეატრს, მაგრამ დალბერგი ტყავს გაუფრთხილდა და როცა დესპოტების მსახურმა გაიგო, რომ შილერი ვიურტემბერგის საჰერცოგოდან ფარულად იყო გაქცეული, „ფიესკოს“ დადგმაზე უარი უთხრა. მაშინ შილერმა თავისი ახალი ტრაგედია გადასცა მანჩაიმის წიგნის გამომცემელ შვანს, რომელმაც იგი 1783 წლის გაზაფხულზე გამოაქვეყნა და ავტორის პონორარის სახით 11½ ლუიდორი მისცა მხოლოდ.

როცა მანჩაიმის თეატრის დირექტორი დარწმუნდა, რომ კარლ ევგენი არავითარ ზომებს არ იღებდა „ყაჩაღების“ ავტორის წინააღმდეგ, იგი დათანხმდა დაედგა „ფიესკო“. 1783 წლის 24 ივლისს შილერი, დალბერგის მიწვევით, ბაუერბახიდან, სადაც იგი უკიდურეს ხელმოკლეობაში მყოფი მისი სკოლის ამხანაგების ძმების ვოლცორგების დედამ შეიფარა, მანჩაიმს ჩავიდა და კონტრაქტი დალო. დალბერგმა პიესის დადგმის აუცილებელ პირობად მისი გადაყვება მოითხოვა. შილერი იძულებული გახდა დათანხმებოდა თეატრის დირექტორს. შილერმა „ფიესკოდან“ ამოიღო მთელი რაიგი სცენები, შეკვეცა ზოგიერთი დიალოგი და სრულად შესცვალა ფინალი — ფიესკო უარს ამბობს ჰერცოგის წითელ მანტიანზე და ხალხს ზეიმობს რესპუბლიკის გამარჯვებას. ასეთი სახით იქნა ნაჩვენები 1784 წლის 11 იანვარს პიესის პრემიერა, რომელიც ხალხმა გულცივად მიიღო.

„ფიესკოს“ წარუმატებლობას შილერი მართებულად ხსნიდა იმით, რომ მანჰაიმის ფილისტერულმა ბიურგერობამ ვერ გაიგო იგი: „აქაური საზოგადოე-ბისათვის, — წერდა შილერი, — რესპუბლიკური თავისუფლება მნიშვნელობას მოკლებული სიტყვა, ცარიელი ბგერაა. როგორც ჩანს მანჰაიმელთა ძარღვეებში არ ჩქედს რომაელების სისხლის არც ერთი წვეთი“.

ფიესკოს შეთქმულებაში დამუშავებულია მეთექვსმეტე საუკუნეში, სახელ-დობრ, 1547 წელს გენუაში მომხდარი შეთქმულების ამბავი. ტრაგედიის შესა-ვალში ავტორი წერს, რომ ამ შეთქმულების ისტორიის შესასწავლად მან გამოი-ყენა კარდინალ რეცის „გრაფ ეან ლუი ფიესკოს შეთქმულება“, რომერტსონას „იშპერატორ კარლ V მმართველობის ისტორია“, დიუბერის „ცნობილ შეთქმუ-ლებათა კონსპირაციათა და რევოლუციათა ისტორია“ და აგრეთვე, ჰებერლინის „დეწვრილებითა ისტორიულ-პოლიტიკური ცნობები გენუის რესპუბლიკის შე-სახებ“. მართალია, შილერი ძირითადად მიჰყვება ისტორიულ ფაქტებს, მაგრამ ზუსტად არ იცავს მათ, ეს შეეხება უწინარეს ყოვლისა ფიესკოს, რომელიც ისტო-რიული ფაქტის მიხედვით შემთხვევით დაიღუპა, შილერის დრამაში კი მას, როგორც რესპუბლიკური იდეის მოღალატეს, თანმიმდევარი რესპუბლიკელი ვერინა ჰკლავს. ავტორის მიერაა შექმნილი ფაქტიურად ვერინას სახე, რომელიც სინამდვილეში არაფრით გამოირჩეოდა სხვა დიდგვაროვან შეთქმულთაგან. ავტო-რის ფანტაზიის ნაყოფია, აგრეთვე ვერინას ქალი ბერტა. საერთოდ შილერი არ გაუბრბოდა ისტორიულ ტრაგედიასი გამოგონილ სახეთა და სიტუაციათა შექმნას და ლესანგის ყაიდაზე ამბობდა „მე არა ვარ მემატიანე და თუ გაბედული პოე-ტური გამოგონებით მაყურებლის გულში თუნდაც ერთადერთ ამბულელებელ გრძნობას გამოვიწვევ, ეს ჩემი აზრით, ყველაზე ზუსტ ისტორიულ ფაქტად ელირებაო“.

„ფიესკოს შეთქმულებაში“ შილერი უკვე გვევლინება მასობრივი სცენების შექმნის ოსტატად და პორტრეტების შესანიშნავ მხატვრად. მომხიბლავი გარე-ნობის, დიდი ნიჭისა და გაქანების მქონე ფიესკო, რომელიც თავისი „თამაშის“ მსხვერპლა ხდება, მკაცრი, სპეტაკი, სამშობლოსათვის თავდადებული რესპუბლუ-კელი ვერინა, ფიცხი, გაბედული, კეთილშობილი ვაჟაკი ბურგონინო, რომელიც მზადაა საკუთარი სისხლით დაიცვას სხვათა შეგინებული ღირსება, ზვიადი და ამაყი მოხუცი ანდრასე დორია და მისი გარყვნილი ზნედაცემული ძმისწული ჯანეტინო, რომელსაც აშკარა ტირანიის დამყარება სურს, ნაზი და კდემამოსილი ლეონორა, პატივმოყვარე ჭულია და გაიძვერა მავრი — დიდი მხატვრული სიძლ-ერით შესრულებული სახეებია, რომლებიც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებენ მკითხველზე.

ქართულ ენაზე „ფიესკოს შეთქმულება გენუაში“ ნ. ავალიშვილს უთარგმნია. თარგმანი გამოქვეყნებულია 1872 წლის „მნათობში“. რაც შეეხება ქართულ სცე-ნაზე ამ პიესის დადგმას, იგი განახორციელა მხოლოდ სოხუმის ქართულმა თეატრმა 1930 — 1931 წლის სეზონში. შილერის თხზულებათა წინამდებარე გამო-ცემებში შევიდა „ფიესკოს შეთქმულების“ ვახტანგ ბეწუჯელის მიერ შესრუ-ლებული თარგმანი, რომელსაც პირველად 1948 წელს გაეცნო ქართველი მკით-ხველი, შემდეგ ორჯერ გამოქვეყნდა და ამ გამოცემისათვის საფუძვლიანად შეას-წორა მთარგმნელმა.

ეპიგრაფი

„ფიესკოს შეთქმულების“ ეპიგრაფი შილერს აღებული აქვს რომაელი ისტო-რიკოსის სალიუსტინს წიგნიდან „კატილინას აჯანყების შესახებ“.

მოქმედება პირველი

გამოსვლა პირველი

გვ. 396. „მე ულლის დაკარგვა ათეული თაყვანისმცემლის (ორიგინალში Cicisbeo—ჩიჩისბეო) შეძენას ნიშნავს“.—იტალიური ჩვეულების თანახმად მალალი წოდების ქალებს სასაიროდ ან თეატრში წასვლისას თან ახლდათ ერთი ან რამდენიმე კავალერი — თაყვანისმცემელი.

გვ. 397. ანტინოისი — მამაცი ქაბუკი, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა რომის იმპერატორ ადრიანეს (II ს. ჩვ. წ.).

იქვე განხეთქილების ოქროს ვაშლი — ძველბერძნული მითის მიხედვით. უსიამოვნების ქალღმერთმა ერიდამ მეფე ჰელოსისა და ნიმფა თეტიდას ქორწილზე შურისძიების მიზნით, იმის გამო რომ იგი ქორწილში არ მიიწვიეს, დარბაზში შეაგდო ოქროს ვაშლი წარწერით „ულამაზესს“. ეს ვაშლი გახდა უსიამოვნების მიზეზი ქალღმერთების ათინას, ჰერასა და აფროდიტეს შორის.

გამოსვლა მეოთხე

გვ. 402. სილუეტის — ანაქრონიზმია. სილუეტის გამოსახვა დაიწყო XVIII საუკუნეში. მეორე ნახევარში, დაახლოებით 1757 წლიდან. სახელწოდება წარმოდგება ლუდოვიკო XV ფინანსთა გენერალური კონტროლიორის ეტიენ დე სილუეტის გვარიდან. პირველად მისი პროფილი გამოსახეს თეთრ ფონზე შავი ფერით.

გამოსვლა მეხუთე

გვ. 403. Amerveille (იტ.)—ჩინებულება.

იქვე პროკურატორის თანამდებობა — გენუის მთავრობა შედგებოდა რვა პროკურატორის კოლეგიისაგან. მათგან ორს ყოველწლიურად ცვლიდნენ ახალარჩეულებით.

გამოსვლა მეექვსე

გვ. 404. „ფიესკო მთლად ეპიკურელად გადაიქცა“. ეპიკურე (341 — 270 ძვ. წ.) გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსი-მატერიალისტი. ფილოსოფიის ეპიკურე განსაზღვრავდა, როგორც მოქმედებას, რომელიც გამოკვლევისა და მოფიქრების გზით გვანიჭებს ბედნიერ ცხოვრებას, ხოლო ბედნიერი ცხოვრების თავსა და ბოლოს იგი სიამოვნებაში, დატკობაში ხედავდა. თავდაპირველად ეპიკურელებად იწოდებოდნენ ეპიკურეს მიმდევრები, ხოლო შემდგომ ხანაში ეპიკურეს ფილოსოფიის არასწორი გაგების საფუძველზე, ეპიკურელს უწოდებდნენ ადამიანს, რომელიც პირად სიამოვნებასა და დატკობაში ხედავს ცხოვრების აზრს.

გამოსვლა მეცხრე

გვ. 411. ცეხინი — ოქროს ფული, იჭრებოდა ვენეციაში, დიდი გასავალი ჰქონდა განსაკუთრებით აღმოსავლეთ ქვეყნებში. მისი ღირებულება უდრიდა 4 მ. და 50 კ.

გვ. 412. თაღლითური საამქროები — XVI საუკუნის ევროპაში ბოროტმოქმედსა და თაღლითებს მართლაც ჰქონდათ თავიანთი გარკვეული ორგანიზაციები და კოდექსი.

გამოსვლა მეთე

გვ. 415. „რა უთხრა ვირგინიუსმა თავის შერცხვენილ ქალიშვილს?“ — ვერინას ეს სიტყვები არ შეეფერება სინამდვილეს, ვირგინიუსის ქალისათვის არ აუხდიათ ნამუსი. რომელი ისტორიკოსის ტიტუს ლივიუსის მიხედვით, პატრიც აპიუს კლავდიუსს შეუყვარდა პლემბეი ვირგინიუსის ასული, რომელმაც უარჰყო მისი სურვილი. მაშინ აპიუს კლავდიუსმა წააქეზა თავისი კლიენტი კლავდიუსი, წაერთმიათ ვირგინიუსისათვის ქალი იმ საბაბით, რომ თითქოს იგი იყო კლავდიუსის მონის შვილი, რომელიც ვირგინიუსის უშვილო მეუღლემ იშვილა. ვირგინიუსმა მიმართა სასამართლოს, მოსამართლე აპიუს კლავდიუსმა, რა თქმა უნდა, საქმე ვირგინიუსის საწინააღმდეგოდ გადაწყვიტა და ქალი თავის „კლიენტს კლავდიუსს მიუსაჯა. მაშინ ვირგინიუსმა, ქალიშვილი შერცხვენისაგან რომ ეხსნა, მოჰკლა თავისი ასული. სწორედ ეს მოტივი გამოიყენა ლესინგმა „ემილია გალოტიში“. შილერმა როგორც ჩანს, ვირგინიუსის ასულის ამბავი აურია მეფე ტარკვინიუს ამაყის ძის მიერ ლუკრეციას ნამუსის ახდის ამბავში.

გამოსვლა მეთორმეტე

გვ. 417. კორომანდელი — ინდოეთის აღმოსავლეთი ნაპირი, რომლის მცხოვრებლებთან ვაჭრობდნენ გენუელები, გამოჰქონდათ იქედან სანელებელი და აღმოსავლური ვაჭრობის სხვა საგნები.

გამოსვლა მცამეტე

გვ. 420. აპიუს კლავდიუსის დამხობა — ვირგინიუსზე ძალადობის მოხდენის ცდისა და თავისი თანამდებობის ბოროტად გამოყენების მრავალგზის შემთხვევის გამო რომის კონსული და დეცემვირი სასამართლოს გადასცეს, მაგრამ სასამართლოს წინაშე არ წარმდგარა. იგი 450 წელს (ძვ. წ.) ციხეში ნახეს მკვდარი.

მოჰმედება მემორა

გამოსვლა მეორე

გვ. 421. ლორნეტი — ანაქრონიზმი. შილერის დროს ლორნეტი ეწოდებოდა ქალის თეატრალურ ბინოკლს, მაგრამ ფიესკოს დროს იგი ხმარებში არ ყოფილა. იგი გავრცელდა მხოლოდ XVIII საუკუნეში.

გვ. 426. „ფრანგები იყვნენ გენუის ვირთხები, კატა დორიამ ისინი შეესანსლა“. 1524 წელს ანდრეა დორიამ (1468—1560) რომელიც დასაწყისში საფრანგეთის მეფის ფრანცისკ I (1515—1547) ფლოტს მეთაურობდა, გადაუდგა ფრანცისკ I, მხარი დაუჭირა იმპერატორ კარლ V და გენუიდან განდევნა ფრანგები.

გვ. 429. სინიორია — შენობა, სადაც თავს იყრია უმაღლესი საბჭო გენუის რესპუბლიკისა, რომელსაც განაგებდა არისტოკრატიული ოლიგარქია.

გამოსვლა მესუფე

გვ. 430. ოქტავიუსი — ოქტავიუს აგუსტუს — პირველი იმპერატორი რომისა, იულიუს კეისრის ძმისწული.

გამოსვლა მეთოხმეტე

გვ. 442. ლევანტო — გენუის მახლობლად ზღვისპირას მდებარე პატარა ქალაქი.

გამოსვლა მეთხუთმეტე

გვ. 443. დარსენა — გენუის ძველ პორტში გემთსაყუდელი.

გვ. 444. ენდომონი — (ბერძ. მით.) მომხიბლავი ჭაბუკი, რომელიც შეუყვარდა მთვარის ქალღმერთ სელენას (იგივე დიანა, ლუნა). დიანას თხოვნით ზევსმა მიანიჭა მას უკვდავება — სამუდამოდ დააძინა. დიანა ყოველ ღამე მიდიოდა და სტებებოდა მძინარე ჭაბუკის ცქერით.

მოკმედეზა მისამი

გამოსვლა მეოთხე

გვ. 457. სკიდი — ძველი იტალიური ვერცხლის ფული, დაახლოებით 1 მ. და 50 კაპ. ლირებულეზისა.

გვ. 459. წმინდა ლორენცო — ტაძარი გენუაში.

მოკმედეზა მიოთხე

გამოსვლა მეექვსე

ამ გამოსვლაში ფიესკოს მონოლოგი შილერს თითქმის სიტყვა-სიტყვით აღებული აქვს კარდინალ დე რეცის ისტორიიდან.

გამოსვლა მეთოთხმეტე

ლეონორასა და ფიესკოს დიალოგი შილერს დაწერილი აქვს აგრეთვე კარდინალ დე რეცის მიხედვით.

მოკმედეზა მისუთი

გამოსვლა პირველი

გვ. 491. „ბელონა“ — ანდრეა დორიას სამხედრო გემი.

გამოსვლა მესუფე

გვ. 496. „მეპორცია ვარა“ — პორცია, მარკ ბრუტოსის მეუღლე, აქტიურ მონაწილეობას იღებდა იულიუს კეისრის წინააღმდეგ ბრძოლაში. როცა პორციამ გაიგო, რომ ბრუტოსი მოჰკლეს, თვითონაც თავი მოიკლა.

გამოსვლა მეცამეტე

გვ. 503. ჯოჯოხეთის მეცხრე წრე — დანტე ალიგიერის „ღვთებრივ კომედიაში“ ჯოჯოხეთის მეცხრე წრეში მოთავსებულია მოლალატეები.

ბიურგერული ტრაგედია

„ფიესკოს შეთქმულება გენუაში“ დამთავრებული არ ჰქონდა, როცა შილერს 1782 წლის ზაფხულში დაებადა იდეა დაეწერა ბიურგერული ტრაგედია „ლუიზა მილერი“, რომელსაც შემდეგ მან, მსახიობ იფლანდის რჩევით „ვერაგობა და სიყვარული“ უწოდა. შილერთან ერთად ვიურტემბერგიდან გაქცეული მუსიკოსი შტრაიხერის ცნობით, ახალგაზრდა დრამატურგს მანჩაიმიდან ფრანკფურტამდე ფეხით მოგზაურობისას დაწვრილებით მოუფიქრებია თავისი ახალი ტრაგედიის გეგმა და, როცა მანჩაიმის მახლობლად მდებარე სოფელში დოქტორ შმიდტის სახელით დასახლებულა, ისე გულმოდგინედ შედგომია ზეპირად ჩამოყალიბებული გეგმის ჩაწერას, რომ მთელი კვირის განმავლობაში სულ რამდენიმე წუთით გამოდიოდა თურმე გარეთ. მიუხედავად ასეთი გატაცებისა, „ლუიზა მილერი“ შილერმა მხოლოდ 1783 წელს დაამთავრა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ იდეებით მდიდარი პოეტის ცხოველყოფელი ფანტაზია ახლა ახალმა სიუჟეტმა დაიპყრო, დონ კარლოსზე ტრაგედიის დაწერის სურვილმა აიტანა მთლიანად მგზნებარე დრამატურგი. 1783 წელს აპრილში იგი წერდა თავის მეგობარ რაინ-ჰოლდს: „მე დიდი სიამოვნებით ამოვიგდებდი მას („ლუიზა მილერს“ დ. ლ.) თავიდან, რომ მთლიანად ჩემს „კარლოსში“ ჩავფლულებოდა“.

მანჩაიმის თეატრმა „ვერაგობა და სიყვარულის“ პრემიერა აჩვენა 1784 წლის 9 მარტს. წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. პიესა ისეთივე ალტაცებით მიიღო საზოგადოებამ, როგორც ოთხიოდე წლის წინათ „ყაჩაღები“. ეს წარმატება იმით იყო უმთავრესად პირობადებული, რომ როგორც 1783 წლის 3 აპრილს დაღბრებისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა შილერი, „ლუიზა მილერში“ „ხასიათთა მრავალფეროვნებისა და რთულ ინტრიგებთან“ ერთად მოცემულია „ერთობ თავისუფალი სატირა, რომელიც დასცინის დიდგვაროვან გაიძვერებს და სულელებს“.

„ვერაგობა და სიყვარული“ ვერ დამკვიდრებულა ქართულ რევოლუციამდელ თეატრის რეპერტუარში, იგი მხოლოდ ერთხელ, 1916 წლის 28 იანვარს, დაუდგამს ქუთაისის თეატრს შ. დადიანის რეჟისორობით. სამაგიეროდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განსაკუთრებით 30-იან წლებიდან ეს პიესა წარმატებით იდგმებოდა საქართველოს ყველა მნიშვნელოვან თეატრში. დიდი ალტაცებით შეხვდა ქართველი მყურებელი ამ პიესის წარმოდგენას კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, რომლის დადგმაც განხორციელდა ე. ტატიშვილის თარგმანის მიხედვით.

ე. ტატიშვილს პიესა სანახევროდ შეუშოკლებია. მას სრულიად გამოუტოვებია მესამე მოქმედების მეორე, მესამე და მეოთხე გამოსვლები, მეოთხე მოქმედების მეორე, მერვე და მეცხრე, და აგრეთვე მეხუთე მოქმედების მეხუთე, მეშვიდე და უკანასკნელი გამოსვლები: გარდა ამისა, ამოუღია მთელი რიგი დიალოგები და მაქსიმალურად შეუკვცევას მონოლოგები. ყოველივე ამასთან ერთად მთარგმნელს მთლიანად შეუცვლია ლედი მილფორდის სახე. თუ შილერთან ლედი მილფორდი გამოყვანილია როგორც ფეოდალურ-აბსოლუტური საზოგადოების გახრწნილების მსხვერპლი, რომელშიც ადამიანური ღირსება არ არის ჩაკლული და რომელსაც, ლედისავე თქმით, სხეული გახრწნია, მაგრამ გულის სისპეტაკე ჯერ კიდევ შერჩენია, თარგმანის მიხედვით იგი საშინელი ფურიაა, რომელიც თავისი მდაბალი, გარყვნილი ვნების დასაკმაყოფილებ-

ლად ყველაფერს ჩაიდენს. ამისათვის მთარგმნელს მიუღწევია იმით, რომ სრულიად გამოუტოვებია ლედი მილფორდის ის მონოლოგები და აგრეთვე დიალოგები სოფისთან, ლუიზასთან, კამერდინერთან და ფერდინანთან, სადაც ჩანს ლედი მილფორდის ადამიანური ღირსებები, მისი სპეტაკი გული.

ფრიდრიხ შილერის თხზულებათა ამ გამოცემისათვის ე. ტატიშვილის მიერ თარგმნილი „ვერაგობა და სიყვარული“ დაწვრილებით შევადარე ორიგინალს და შევასწორე. მთარგმნელის მიერ ყველა გამოტოვებული ადგილიც ჩემს მიერ არის თარგმნილი.

მოქმედება პირველი

გამოსვლა პირველი

გვ. 516. როდენი — ინგლისის ადმირალი, რომელმაც რამდენჯერმე დაამარცხა საფრანგეთის ფლოტი. ნაწარმოებში როდენი ძალის სახელია.

მოქმედება მეორე

გამოსვლა მესამე

გვ. 544. თომას ნორფოლკი — (1536 — 1572) რომელსაც ლედი მილფორდი თავის წინაპრად ასახელებს, მარიამ სტიუარტის ხელის მთხოვნელი იყო. იგი საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა რომის პაპთან და ესპანეთის მეფე ფილიპ მეორესთან, რომელთა დახმარებითაც სურდა გაენთავისუფლებინა მარია და ტახტიდან ჩამოეგდო დედოფალი ელისაბედი. ამის გამო თომას ნორფოლკი დასაჯეს.

გამოსვლა მეშვიდე

გვ. 555. „როცა რკინის საყელოს გაუკეთებენ“—პროსტიტუტებს უკეთებდნენ რკინის საყელოს, რომლითაც მიაბამდნენ სამარცხვინო ბოძზე.

მოქმედება მესამე

გამოსვლა მესამე

გვ. 578. „ტიუბინგელ წიგნებით მოვაჭრეს გამოეცეს მეორედ“...—იმის გამო, რომ საავტორო უფლებების დაცვა არ ხდებოდა, წიგნით მოვაჭრენი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადაბეჭდავდნენ ხოლმე ცნობილი ავტორების წიგნებს, უმეტეს შემთხვევაში დაუდევრად, უამრავი შეცდომებით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ტიუბინგელი წიგნით მოვაჭრენი შრამი და ფრანკი, რომელთაც არაერთხელ გადაუბეჭდიათ თვით ფრიდრიხ შილერის წიგნები.

ფრიდრიხ შილერი — შესავალი წერილი დ. ლაშქარაძისა 5

ლ ე მ ს ე ზ ი

დამპყრობელი — თარგმანი ა. გელოვანისა	87
ჰექტორის გამოთხოვება — თარგმანი ვ. ბეწუქელისა	91
ამალიას — თარგმანი მისივე	93
ბრუტოსი და კეისარი — თარგმანი მისივე	94
ცუდი მეფეები — თარგმანი ა. გელოვანისა	96
ყაჩაღი მოორის ძეგლი — თარგმანი ვ. ბეწუქელისა	100
რუსო — თარგმანი მისივე	102
სპინოზა — თარგმანი ი. ქემერტელიძისა	103
სიყვარულის ზეიმი — თარგმანი ხ. ვარდოშვილისა	104
გაზაფხულს — თარგმანი ვ. ბეწუქელისა	110
ქვეყნის სიღიადე — თარგმანი ი. ქემერტელიძისა	111
მეგობრობა — თარგმანი მისივე	112
ბედთან შერიგება — თარგმანი ა. გელოვანისა	114
ჰიმნი სიხარულს — თარგმანი ი. ქემერტელიძისა	117
საბერძნეთის ღმერთები — თარგმანი ხ. ვარდოშვილისა	120
ხელოვანი — თარგმანი მისივე	124
ცხოვრების პოეზია — თარგმანი ა. გელოვანისა	138
სიმღერის ძალა — თარგმანი ხ. ვარდოშვილისა	140
პეგასი უღელში — თარგმანი ა. გელოვანისა	142
იდეალები — თარგმანი ხ. ვარდოშვილისა	145
იდეალი და ცხოვრება — თარგმანი მისივე	148
შებურვილი კერპი საისში — თარგმანი მისივე	153
გასეირნება — თარგმანი მისივე	156
მიწის განაწილება — თარგმანი ა. გელოვანისა	162
მსოფლიო სიბრძნე — თარგმანი მისივე	164
ქალიშვილი უცხოეთიდან — თარგმანი ვ. ბეწუქელისა	166
ცერერას ჩივილი — თარგმანი ხ. ვარდოშვილისა	167
ღირსებანი — თარგმანი ა. გელოვანისა	171
თასი — თარგმანი ხ. ვარდოშვილისა	172
ხელათმანი — თარგმანი ვ. ბეწუქელისა	177
პოლიკრატეს ბეჭედი — თარგმანი ხ. ვარდოშვილისა	179
ნაღოვესური სამგლოვიარო სიმღერა — თარგმანი მისივე	182
რაინდი ტოვენბურგი — თარგმანი მისივე	184

იბიკოსის წეროები — თარგმანი მისივე	187
რკინის ქარხნისკენ — თარგმანი ა. გელოვანისა	193
იმედი — თარგმანი ვ. ბეწუქელისა	201
მძევალი — თარგმანი ხ. ვარდოშვილისა	202
ელევზის დღესასწაული — თარგმანი მისივე	207
გოგონას მოთქმა — თარგმანი ვ. ბეწუქელისა	214
სიმღერა ზარზე — თარგმანი ხ. ვარდოშვილისა	215
გოეთეს — თარგმანი ა. გელოვანისა	227
გერმანული მუზა — თარგმანი მისივე	230
ახალი საუკუნის დასაწყისი — თარგმანი მისივე	231
ორღეანელი ქალწული — თარგმანი მისივე	233
მისწრაფება — თარგმანი მისივე	234
ჰერო და ლეანდრე — თარგმანი ხ. ვარდოშვილისა	236
ოთხი საუკუნე — თარგმანი მისივე	244
კასანდრა — თარგმანი მისივე	247
ყრმა წყაროსთან — თარგმანი ა. გელოვანისა	251
პილიგრიმი — თარგმანი ხ. ვარდოშვილისა	253
გრადი ჰაფსბურგი — თარგმანი მისივე	225
გამარჯვებულთა ზეიმი — თარგმანი მისივე	259

პ ი ნ ს ე ზ ი

ყაჩაღები — თარგმანი ს. შანშიაშვილისა	267
ფიესკოს შეთქმულება გენუაში — თარგმანი ვ. ბეწუქელისა	393
ვერაგობა და სიყვარული — თარგმანი ე. ტატიშვილისა	513

გამომცემლობის რედაქტორი **ც. ბუაჩიძე**
მხატვარი **ი. დივოგორცევა-გრიგოლია**
მხატვრული რედაქტორი **გ. გორდელაძე**
ტექრედაქტორი **ვ. ხუციშვილი**
კორექტორები: **ე. ტრიპოლსკაია, ნ. მიქელაძე**

ზელმოწერილია დასაბეჭდად 20/III-61 წ.
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆. ნაბეჭდი
თაბახი 41,25. საავტორო თაბახი 32,81.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 33,5.
ტირაჟი 7 000. შეკვ. № 804.
ფასი 2 მან. 20 კაპ.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარბოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა,
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

1-я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР,
Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.